8
რა მოხდა სინამდვილეში ფურცელაძის ქუჩაზე 28 მაისს

3
მიხეილ სააკაშვილი:
შევარდნაძე დამფუძნებელია ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის...

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
3 — 9 ივნისი, 2009 №15
საქართველო & მსოფლიო
www.geworld.net
გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

9
ლევან ვეფხვაძე:
რა უნდა ალასანიას ამ გიჟებთან, რატომ დგას ნინოსთან ერთად მიტინგზე?!

ჯონ ტეფტის კვარტეტი, ანუ ორკესტრის რევოლუცია

4

2008 წლის აგვისტოს სცენარი 1996 წლის აპრილში დაიწერა 2

მოსალოდნელი სისხლისღვრა და თავში ჩარტყმული ლომაია 7

გია მეფარიშვილი:
მკრეხელობად მიმაჩნია ნატოზე საუბარიც კი, სანამ ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება 16

ზურაბ გაგნიძე: 13
სალომეში ზნეობის დეფიციტია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

2008 წლის აგვისტოს სცენარი 1996 წლის აპრილში დაიწერა

გახსოვთ, ალბათ, დავითაიას ავადმოსაგონარ კომისიის სხდომაზე, სანამ გივი თარგამაძე ბურთულიანი ავტოკალმით შეუტევდა, ეროსი კიწმარიშვილმა რომ წამოაყვედრა ხელისუფლებას — თქვენი პრეზიდენტი დიდხანს და გულმოდგინედ გეგმავდა ოსეთსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებას, ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და ტრაბახობდა კიდევაც — საქართველოს დედაქალაქი სოხუმში უნდა გადავიტანოო...

სოხუმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბათუმში საქართველოს დედაქალაქი სააკაშვილმა უკვე გადაიტანა. აქციებისა და ოპოზიციისგან შეწუხებული თბილისში ერთ ღამეს აღარ ათევს, დღენიადაგ რეგიონებში დაძრწის, საღამოჟამს კი ამალითურთ და რიგი მინისტრების თანხლებით ბათუმშია ხოლმე. სადაც პრეზიდენტი და მთავრობა სხედან, ქვეყნის დედაქალაქიც იქ არის, თუმცა ამჯერად სხვა საკითხზე, კიწმარიშვილის შეცდომაზე უნდა გესაუბროთ.

ვერ ვიტყვი, მოიტყუა-მეთქი, მაგრამ როდესაც თქვა, — სააკაშვილი გულმოდგინედ და ოთხი წლის მანძილზე ამზადებდა სეპარატისტულ რეჟიმებზე სამხედრო შეტევასო, იგი შეცდა.

შესაძლოა, ყოფილმა ელჩმა არც იცოდა, რომ სცენარი, რომლითაც სამაჩაბლოში სამხედრო მოქმედებები განვითარდა, ქართველი სამხედროებისთვის ჯერ კიდევ 1996 წლის აპრილში დაიწერა.

„საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, 1996 წლის 2 აპრილს თბილისში **„ნატოს, ევროპისა და შეერთებული შტატების ექსპერტების და თანამდებობის პირების მონაწილეობით“** შედგა **„საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბებისადმი“** მიძღვნილი კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილე უცხოელი **„ექსპერტებისა და თანამდებობის პირების“** მთავარი მესიჯი შემდეგი იყო:

„საქართველომ უნდა განსაზღვროს საგარეო საფრთხე და, შესაბამისად, გამოკვეთოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებები... საქართველოში უსაფრთხოების მტკიცე სისტემის შექმნას ობიექტურ მიზეზებთან ერთად მრავალი სუბიექტური ფაქტორიც უშლის ხელს; კერძოდ, მოსახლეობის დაბალი სოციალური და მოქალაქეობრივი შეგნება“.

სანამ სხვა დეტალებზე გადავიდოდე, გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ 1996 წლიდან განსაკუთრებით აქტიურდება **„სამოქალაქო სექტორი“**, იქმნება **„თავისუფლების ინსტიტუტი“**, მიზანმიმართულად ხდება **„მოსახლეობის დაბალი სამოქალაქო შეგნების“ „ამაღლება“**, მოგვიანებით საქმეში ერთვება სოროსის ფონდი, დანარჩენი ყველას გვახსოვს...

უფრო საინტერესოა, **„უცხოელი ექსპერტებისა და თანამდებობის პირების“** მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ქართული ჯარი და რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ **„არმიაში ერთდროულად იყოს, როგორც დამწყები, ისე მაღალპროფესიულ დონეზე გაწვრთნილი შენაერთები და მრავალრიცხოვანი რეზერვი, რომლის არსებობა დაკარგული ტერიტორიებისა და მეზობლებთან ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი ურთიერთობის პირობებში აუცილებელია...“**

აბა, გაიხსენეთ, პირველად რით დაიწყო ქართული არმიის მიშასეული რეფორმა: საყოველთაო გაწვევის შედეგად, არმიაში მობილიზებული ჯარისკაცების პარალელურად, ერაყში ბატალიონების გაგზავნით; სხვადასხვა საწვრთნელი პროგრამების მეშვეობით **„მაღალპროფესიულ დონეზე გაწვრთნილი შენაერთების“** მომზადებით და, რაც მთავარია, — რეზერვით! ხომ გახსოვთ, როგორ აიძულებდა სააკაშვილი დეპუტატებსა და მინისტრებსაც კი, ევლოთ რეზერვში, როგორ იკვეხნიდა, რეზერვის წყალობით ასიათასიან არმიას გამოვიყვან საჭიროების შემთხვევაშიო. სამწუხაროდ, ისიც გვახსოვს, რომ რეზერვის (რომელზეც ათეულობით მილიონი დაიხარჯა) ეფექტურობა შარშან, აგვისტოში, ნულის ტოლი იყო.

და რისთვის გვჭირდებოდა ეს ყველაფერი?! — იმისათვის, რომ, როგორც ამერიკელმა ექსპერტებმა და თანამდებობის პირებმა ჯერ კიდევ 1996 წლის აპრილში მიგვითითეს, **„მეზობლებთან ბოლომდე ვერ გარკვეული“ ურთიერთობები „გაგვერკვია“**... ცხადია, რომ მეზობლებში აზერბაიჯანი და თურქეთი არ იგულისხმებოდა და ეს დირექტივა ერთმნიშვნელოვნად რუსეთს ეხებოდა.

აი, კიდევ ერთი საინტერესო დირექტივა 1996 წლის აპრილის კონფერენციიდან:

„ტერიტორიების დაკარგვისა და წაგებული ომების (იგულისხმება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს 90-იანი წლების მოვლენები. — რედ.) **შემდეგ მოხდა გაუცხოება დამარცხებულ არმიასა და მოსახლეობას შორის... ამას თუ დავუმატებთ, რომ ჯარისკაცები ცუდ პირობებში იმყოფებიან, ცხადი გახდება, თუ რატომ არ არის არმიაში სამსახური პოპულარული... არმიას სჭირდება გმირთა ხატები, ოღონდ ისინი ეთნიკურად მხოლოდ ქართველები არ უნდა იყვნენ, — განაცხადა საქართველოში შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, ბატონმა ლოურენს კერიმ. მხოლოდ პატრიოტიზმით ხალხს ჯარში ვერ მიიზიდავ, მით უმეტეს, რომ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტი არაქართველები არიან“.**

სააკაშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეს დირექტივაც ზუსტად შეასრულა. მან ქვეყნის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არმიას მოახმარა, გადაიღეს ათეულობით კლიპი, დახარჯეს მილიონობით დოლარი, შექმნეს არაერთი (მათ შორის, ხაზგასმით, არაქართველი) პიარ-სახე იმისათვის, რომ არმიაში სამსახური პოპულარული გაეხადათ არამარტო პატრიოტიზმის, არამედ კომფორტული ყაზარმებისა და მაღალი საკონტრაქტო ანაზღაურების ხარჯზე.

იმისათვის, რომ მოესპო გაუცხოება **„დამარცხებულ არმიასა და მოსახლეობას“** შორის, სააკაშვილი წარამარა აწყობდა **„ხანმოკლე წარმატებულ“** ოპერაციებს ხან სამაჩაბლოს, ხან განმუხურის, ხანაც კოდორის მიმართულებით...

საუბარი გამიგრძელდა, მთავარი კი ახლა უნდა გითხრათ, უფრო ზუსტად, წარმოგიდგინოთ ციტატა ამერიკელი ექსპერტის, პროფესორ ჩარლზ ფერბენქსის განცხადებიდან, რომელიც მან 1996 წლის კონფერენციაზე გააკეთა!

„საქართველო აფხაზეთს ომის გარეშე ვერ დაიბრუნებს. მართალია, ამას უარყოფითი რეაქცია მოჰყვება როგორც რუსეთისა და თურქეთის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ ამის ნეიტრალიზება შესაძლებელია, თუ პარალელურად აქტიურ საგარეო პოლიტიკასა და მოლაპარაკებას აწარმოებთ... სწორი პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში, დასავლეთის რეაქცია შეიძლება, მხოლოდ ცალკეული განცხადებებით ამოიწუროს“.

შეგახსენებთ, ეს სცენარი-დირექტივა, რომ ტერიტორიებს უომრად ვერ დაიბრუნებთ, რომ ომი რუსეთს გააღიზიანებს, მაგრამ თუკი **„მოგველაპარაკებით“** და სწორ, ანუ საჩვენო პოლიტიკურ კურსს გაატარებთ, შეიჭრებით სოხუმში, ჩვენ ერთორ ნეიტრალურ განცხადებასღა გავაკეთებთ და საქმე ამით დასრულდებაო, ჯერ კიდევ 1996 წელს მოგვიმზადეს „ამერიკელმა პარტნიორებმა“...

ასეც მოხდა 2008 წლის აგვისტოში, ჩვენ ეს დირექტივა ზუსტად შევასრულეთ, მაგრამ რაღაცამ არ იმუშავა. სანამ გავაანალიზებდეთ, კერძოდ, რამ არ იმუშავა, გავაკეთოთ 1996 წლის აპრილის კონფერენციის რეზუმირება:

1996 წელს ამერიკელებმა გვითხრეს — **განსაზღვრეთ და ჩამოყალიბდით, რომ თქვენი საგარეო საფრთხე არის რუსეთი, რომ ჯარში ახალწვეულებთან ერთად უნდა გყავდეთ პროფესიონალები, კარგად გაწვრთნილი „კონტრაქტნიკები“, უნდა გყავდეთ ძლიერი მრავალრიცხოვანი რეზერვი, რომ ჯარისკაცები ჯარში მაღალი ანაზღაურებით და კარგი პროპაგანდით შევიტყუოთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ ომის გარეშე, ეს გააღიზიანებს რუსეთს, მაგრამ თუკი სწორ, ანუ აშშ სატელიტი სახელმწიფოს პოლიტიკას ხეირიანად გავატარებთ, სოხუმსა და ცხინვალში ქვა ქვაზეც რომ არ დატოვოთ, მათი შემოერთების შემდეგ დასავლეთის ნეგატიური რეაქცია „მხოლოდ ცალკეული განცხადებებით ამოიწურება“.**

ჩვენი პასუხი ამ დირექტივაზე ნათელი და მკაფიო იყო, რამდენიმე წელიწადი რუსეთისგან წარმატებით ვქმნიდით მტრის ხატს, რომელიც თურმე დღე და ღამე ჩვენთვის დამუქრებაზე ფიქრობდა, ნატოში გაწევრიანება ანუ **„სწორი საგარეო პოლიტიკის გატარება“** უმთავრეს მიზნად დავისახეთ, პარალელურად გავწვრთენით ჯარისკაცები, შევქმენით რეზერვი, ანუ საუკეთესოდ და მორჩილად გავატარეთ სატელიტი ქვეყნის პოლიტიკა...

შარშანდელი აგვისტოს ავანტიურა კი მაინც წავაგეთ!

რატომ მოხდა ასე?! რატომ გახდა საჭირო, რომ დასავლეთი იძულებული იყო **„ცალკეული განცხადებებით“** ამოეწურა არა საქართველოს მიერ ტერიტორიების ძალით დაბრუნებაზე რეაქცია, არამედ სააკაშვილის მიერ ცხინვალზე საარტილერიო იერიშის მიტანისა თუ მუცელზე ხოხვის ან სულაც ჰალსტუხის ღეჭვის შედეგები?!

მთავარი მიზეზი (ეს ჩემი სუბიექტური აზრია) ის გახლავთ, რომ ეს დირექტივა, ანუ 8 აგვისტოს მოვლენების ღამის დეტალურად გაწერილი გეგმა, ამერიკელებმა ჩვენთვის 1996 წელს, ანუ ელცინის რუსეთის პირობებში, მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით შეიმუშავეს... მას შემდეგ რუსეთი შეიცვალა და იმან, რაც იმუშავებდა ელცინის პირობებში, არ იმუშავა მედვედევის რუსეთთან...

ანუ რუსეთი აღარ დაელოდა, როდის ავიღებდით ცხინვალსა და სოხუმს და როდის **„ამოიწურებოდა ცალკეული განცხადებებით“** დასავლეთის რეაქცია საქართველოს მიერ ძალის გამოყენებაზე.

რუსეთმა მოქმედება გადაწყვიტა... შედეგი ყველამ ვიცით...

დაბოლოს:

კონსპიროლოგიის მოყვარულთათვის განვმარტავ — 1996 წლის კონფერენცია, რომელზეც გესაუბრეთ, ფართოდ გაშუქდა მაშინდელ პრესაში. ერთ-ერთი პუბლიკაცია ამ თემაზე ამჟამინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ავტორობით გაზეთმა **„კავკასიონმა“** 1996 წლის 6 აპრილს გამოაქვეყნა სათაურით **„ქართული არმიის მომავალი ნატოს ექსპერტის თვალით“.**

რაც შეეხება ამერიკას, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკამ **„მთლიანად და ჩუმად შეაჩერა სამხედრო ექსპორტი საქართველოში“.**

ანუ გასაგებად რომ ვთქვათ, ვაშინგტონმა სამხედრო დახმარება შეგვიზღუდა, სავარაუდოდ, რუსეთის გულის მოსაგებად ან იმიტომ, რომ იმპულსურ სააკაშვილს ბოლომდე აღარ ენდობა.

ამაზეა ნათქვამი, — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

თქვე მამაცხონებულებო, თუ 8 აგვისტოს სცენარი 12 წლის წინათ მოგვიმზადეთ, თავიდანვე გეზრუნათ შესაძლო გართულებებზე, თუ არადა, ახლა **„პირქვედამხობილი“** რომ ვყავართ რუსეთს იმისთვის, რომ თავის დროზე თქვენს დაკრულზე ვიცეკვეთ, სამხედრო ექსპორტის შეწყვეტა უშველის საქმეს?!

თუმცა თქვენ რას გერჩით. პატრონის დაკრულზე ბუქნაობა ხასიათში გადაგვივიდა, თუ ვინმეს სატელიტი ან მარიონეტი არ ვიქენით, ისე არსებობა შეუძლებელი გვგონია... მეტის ღირსი ვართ, მოვიმკით, მალე მოვიმკით **„ყურმოჭრილობის“** შედეგს. ეს მალე მაშინვე დადგება, როგორც კი ერთ მართულ ბელადს, ანუ სააკაშვილს, მეორე, არანაკლებ მართული ბელადით ჩავანაცვლებთ; არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ახალი **„დემოკრატიის შუქურა“** გვარად ალასანია იქნება, ბურჯანაძე თუ გამყრელიძე... მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ამ ახალ ბელადსაც ისევე დაუწერენ სცენარებს, დირექტივებსა და სამოქმედო გეგმებს...

გიორგი გიგიბერია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მიხეილ სააკაშვილი: შევარდნაძე დამფუძნებელია ახალი ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის...

საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც პოლიტიკურ ამნეზიას არ უჩივის, კარგად უნდა ახსოვდეს ახალბედა პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მისი წინამორბედის ქება-დიდებაში ლამის ქადაგად იყო დავარდნილი. საზოგადოების ამ ნაწილს ისიც კარგად ახსოვს, როგორ გააცნო ხალხს დეპუტატობის კანდიდატი სააკაშვილი მისმა აღმზრდელმა. ხმა მიეცით ამ ახალგაზრდას, ეს თქვენი მომავალი პრეზიდენტიაო... სწორედ ამიტომ ვერ გადაარწმუნებ საზოგადოების ამ ნაწილს, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამერიკისა და შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის ერთობლივი პროექტი არ იყო.



„ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს შევარდნაძე ასრულებს. იგი ისევე არის დამფუძნებელი ახალი ქართული სახელმწიფოსი, როგორც ჯორჯ ვაშინგტონი იყო ამერიკისთვის და ათა თურქი — თურქეთისთვის. პოლიტიკოსთა დღევანდელ თაობას ბედმა გაუღიმა, რომ სახელმწიფოს დაფუძნების პერიოდში მუშაობს. რატომღაც მგონია, რომ შევარდნაძის როლი მეტად პოზიტიურია: იგი პრაქტიკულად არ ერევა პარლამენტის საქმიანობაში. უმნიშვნელოვანესი კანონების მიღების დროს რჩევის სახითაც კი არ უთქვამს პირადად ჩემთვის, როგორ უნდა ვიმოქმედო. ერთი მხრივ, საოცარ თავდაჭერილობას იჩენს, მეორე მხრივ, თავად არის გარანტი იმ რეფორმებისა, რომელსაც პარლამენტი ატარებს. სამწუხაროდ, დღეს ჯერ კიდევ პრეზიდენტია იმის ერთადერთი გარანტი, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ცხოვრებაში გატარდება. სხვა ინსტიტუტები არ ჩამოყალიბებულა, პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ბოლო არბიტრი, რომლის ავტორიტეტს ყველა აღიარებს“, — ეს სიტყვები, არც მეტი, არც ნაკლები, მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის; დიახ, სააკაშვილს, რომელიც დღეს შევარდნაძეს ისეთივე დუუმორეული ლანძღავს, როგორც თავის დროზე ენის გადატყავებამდე აქებდა.

„დღეს შევარდნაძე უფრო მომრიგებლის როლს თამაშობს და ყველას საზღვარს და თამაშის წესებს უწესებს. ეუბნება — ეს არის თქვენი ჩარჩო და იმუშავეთ, როგორც გინდათ და შეგიძლიათ. ვიცი, რომ მთავრობის წევრებს, რომლებიც მასთან საჩივლელად დადიან, ურჩევს, რომ თვითონ მოაწესრიგონ პრობლემები პარლამენტთან. იმასაც მოუწოდებს, რომ პრესასთან ძალისმიერი მეთოდით ურთიერთობა არ შეიძლება. საკონსტიტუციო სასამართლოს უკან, რომელიც აბსოლუტურად მოუსყიდველი, კომპეტენტური და დამოუკიდებელია, დღესდღეობით შევარდნაძის ფიგურა დგას. გარანტი იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები განხორციელდება — მათ შორის, პრეზიდენტისა და პარლამენტის საწინააღმდეგო — ისევ შევარდნაძეა. ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი მხოლოდ თამაშის წესებს აწესებს და თავად თითქმის არაფერში ერევა, ერთი მხრივ, არც არის კარგი, მაგრამ ჯობს, ბავშვმა წაიბორწიკოს და სიარული ისწავლოს, ვიდრე სულ ხელით ატარონ. სახელმწიფოს დაფუძნების პერიოდი სწორედ ასე მესმის — ეს არის დრო, როცა ჩვენში თოთო დემოკრატია სიარულს სწავლობს. სანამ დამოუკიდებლად ივლის, მას ამისთვის ჯერ პირობების შექმნა სჭირდება, სწორედ ეს არის შევარდნაძის როგორც სახელმწიფოს დამფუძნებლის როლი. ნებისმიერი შემდეგი პრეზიდენტი, ალბათ, მართლაც იქნება სახელმწიფოს მეთაური და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, რომელსაც ექნება ფუფუნება, პარლამენტსაც წაეჩხუბოს, სასამართლოც გააკრიტიკოს, პოლიტიკური კამპანიაც აწარმოოს.

შევარდნაძე ამ ფუფუნებას მოკლებული იყო, მაგრამ იყო სახელმწიფო სტრუქტურების დამფუძნებელი.

ასე მესმის მე მისი როლი... ქვეყნის სტრუქტურების ჩამოყალიბება იწყება და ვისაც შენების სურვილი აქვს, ჩვენს გემში გადმოჯდეს“. შევარდნაძეს ხოტბას კვლავ მიხეილ სააკაშვილი ასხამდა, მაგრამ მერე მოვლენები შეიცვალა და შევარდნაძის ლანძღვა გახდა საჭირო, მხოლოდ ასე თუ გაიკვალავდა სააკაშვილი პრეზიდენტობისკენ მიმავალ გზას. მერე კვლავ შეიცვალა რაღაცები და დღეს სააკაშვილი სხვაგვარად ჭიკჭიკებს: — **„საქართველო არშემდგარი, დეზინტეგრირებული, ღირსებაშელახული და სრულიად დემორალიზებული სახელმწიფო იყო. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი, ბატონობდა კორუფცია, დაუსჯელობა და უკანონობა, სადაც რიგით მოქალაქეებს ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ და ფულს სძალავდნენ. იყო ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა ბიუჯეტი და არ სრულდებოდა მოქალაქეთა წინაშე აღებული არც ერთი სოციალური ვალდებულება, ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელებოდა. საქართველო თავდაცვისუუნარო ქვეყანა იყო — არც ერთი ტანკი გამართული არ იყო და ერთსაათიანი ბრძოლისთვის საჭირო ტყვია-წამალიც კი არ გვქონდა, გვყავდა რამდენიმე თვის უჭმელი ჯარი** (სააკაშვილი თავს იწონებს იმით, რომ, თურმე, ძლიერი ჯარი შექმნა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ვარდებით მოსული ხელისუფლების მიერ შექმნილი ჯარის სიძლიერე... — ავტ.). **გვქონდა ქვეყანა, რომელშიც კლანები, ფაშები და ფეოდალები თარეშობდნენ... საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო ავტორიტეტი — შელახული, ორიენტირი კი დაკარგული ჰქონდა, არ გააჩნდა ეროვნული იდეოლოგია და პატივს აღარავინ სცემდა** (თუ ეროვნულ იდეოლოგიაზე ვისაუბრებთ, ამ პრობლემის წინაშე დღესაც დგას ჩვენი ქვეყანა! ეროვნული იდეოლოგია არც დღეს გაგვაჩნია, სოროსის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი სააკაშვილის გუნდისთვის, როგორც ჩანს, ეროვნული იდეოლოგია შადრევნების შენება და დოქტორ დოტის მასაჟი ან რესტორნებში სუშის ჭამა და გაუთავებელი ღრეობაა. რაც შეეხება ქვეყნის ავტორიტეტის შელახვას, არც ამ მხრივ გვაქვს საქმე სახარბიელოდ. სააკაშვილი საერთაშორისო არენაზე რომ გაკოტრებული პოლიტიკოსია, ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ რომში „ბარსელონას“ „საბალეშჩიკოდ“ ჩასული სააკაშვილი, მოგვიტევოს მისმა უდიდებულესობამ, მაგრამ ძაღლად არ ჩააგდო არავინ! — ავტ.). **ეს იყო ქვეყანა, რომელიც ღირსეულ შვილებს ყოველდღიურად კარგავდა და რომლის მოქალაქეთა მთავარ ოცნებად სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გაქცევა და თავის შეფარება გახდა** (არც ამ მიმართულებით აქვს სააკაშვილს სატრაბახოდ საქმე, რადგან მისი გაპრეზიდენტების შემდეგ მიგრაცია გაიზარდა და არც უკან დაბრუნებულა შევარდნაძის რეჟიმის დროს გაქცეული საქართველოს მოსახლეობა. ქვეყნიდან ხალხის გადინებაზე რომ არაფერი ვთქვათ, დღეს საქართველო ფიზიკურად კარგავს ახალგაზრდებს. შეგახსენებთ, რომ პატრულის მიერ დაახლოებით 80 ადამიანია დახვრეტილი! — ავტ.)...

როდესაც გვეკითხებიან, რა არის თქვენი მთავარი მიღწევა, უნდა ვუპასუხოთ, რომ ჩვენი მთავარი მონაპოვარი სწორედ ეს არის — პირველად თანამედროვე ისტორიაში საქართველო ნამდვილი სახელმწიფო გახდა“.

მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ თურმე, მისი და მისი ხელისუფლების მთავარი მონაპოვარი ის არის, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, შექმნეს, მაგრამ სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი დღესაც მოშლილია. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, დემორალიზებული პარლამენტი გავიხსენოთ, რომელიც ორი თვეა, შეკრებას ვერ ახერხებს...

შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ახალბედა პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა: — **„საბედნიეროდ, მეტწილად ჩვენი პრესა არ კონტროლდება“**... ეს **„ნაკლი“** მან პრეზიდენტობის დროს გამოასწორა და მედია სრული კონტროლის ქვეშ მოაქცია. დღეს არავისთვისაა უცხო, რომ ელექტრონული მედია სრულად კონტროლდება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, ხოლო ურჩი გამოცემები საერთოდ დახურეს.

სააკაშვილი ჯერ კიდევ პოლიტიკური კარიერის დასაწყისში წუხდა იმაზე, რომ, თუ სტრუქტურა არ შეიცვლება, პოლიტიკური მკვლელობები ისევ გაგრძელდება... არც შემცდარა, პოლიტიკური მკვლელობები მისი პრეზიდენტობის დროს ნამდვილად გაგრძელდა. ამის ნათელი მაგალითია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას **„გაზით გაგუდვა“.** მისი ოჯახის წევრები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ჟვანიას მკვლელობა სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ აუცილებლად გაიხსნება და დაუფარავად აკეთებენ მინიშნებას იმაზე, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო. „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილმა ღიად განაცხადა, რომ მამამისი სააკაშვილის ხროვამ მოკლა... გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი, მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა გადაწყვიტა...

როგორც ზემოთ კონკრეტული ამონარიდებით შეგახსენეთ,

სააკაშვილი 1997 წელს მის აღმზრდელსა და წინამორბედს ქართული სახელმწიფოს დამაარსებელს უწოდებს და ჯორჯ ვაშინგტონს აღარებს, თუმცა ახლა თავად სურს ამერიკელი მამების ავტორიტეტთან გაიგივება.

ისე, საინტერესოა, სააკაშვილი 1997 წელს ამბობდა სიმართლეს თუ დღეს ღაღადებს ჭეშმარიტებს, როდესაც აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფოს შემქმნელი, მამა და მარჩენალია?!

მანანა ჩხეიძე

ევროპას ჩვენი არ ესმის...

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რომში მისი ქვეყნის მიმართ ევროკავშირის მხრიდან ყურადღების ნაკლებობაზე დაიჩივლა, თუმცა განაცხადა, რომ კვლავ ევროპისკენ სვლას განაგრძობს.

„ჩვენ მივისწრაფვით ჩვენს გზაზე ევროპისკენ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი თავისი საკუთარი პრობლემებითაა დაკავებული. ევროპას ჩვენი არ ესმის, მაშინ, როდესაც ჩვენ მის კარზე ვაკაკუნებთ, ალბათ, მის შიგნით ატეხილი დიდი ხმაურის გამო“, — განუცხადა საქართველოს პრეზიდენტმა პრესის წარმომადგენლებს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკო ფრატინისთან შეხვედრის შემდეგ.

მას მიაჩნია, რომ ბატონი ფრატინის სიტყვები, რომლითაც ის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების საკითხთან დაკავშირებით ამხნევებს, „ევროკავშირთან თანამშრომლობის შეთანხმებაზე“ მუშაობა და წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან „რამდენიმე წლის წინათ ასეთ სწრაფ დაახლოებაზე ვერც კი ვიოცნებებდით“.

„თუ დავაკვირდებით, რამდენად დავუახლოვდით უკვე ერთმანეთს და რამდენად ეფექტიანია ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები, ჩვენ ევროპასთან დაახლოების ისტორიულ ოცნებას აუცილებლად ავიხდენთ“, — ულოცავდა საკუთარ თავს პრეზიდენტი, რომელიც რომში თავისი წიგნის „მე გესაუბრებით თავისუფლებაზე“ პრეზენტაციაზე ჩავიდა, რომელიც იტალიაში უნდა გამოიცეს.

მაისის დასაწყისში ევროკავშირის ქვეყნებმა პრაღაში საბჭოთა სივრციდან გამოსული ექვსი ქვეყნისთვის (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) მათთან სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროექტის წინადადება წარმოადგინეს.

ევროკავშირმა თითოეულ ამ ქვეყანასთან თანაბარი „თანამშრომლობის შეთანხმების“ გაფორმების სურვილი გამოთქვა, მაგრამ მოლაპარაკებები, რომლებიც მხოლოდ უკრაინასთან არის დაწყებული, სხვებთან შეიძლება არც შედგეს, თუ ეს ქვეყნები შეთანხმების მისაღწევად საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს პატივს არ სცემენ.

„ვიზების ლიბერალიზაციის“ საკითხი, ევროკავშირის აზრით, „ამ ქვეყნების ძლიერი სურვილის“ მიუხედავად, ხანგრძლივი მოლაპარაკების საგანია.

Le Point

ტეფტის კვარტეტი, ანუ ორკესტრის რეპეტიცია

9 აპრილს დაწყებულმა საპროტესტო აქციებმა, რომელთა მთავარი მიზანიც, თითქოს, მიხეილ სააკაშვილის შეცვლა უნდა ყოფილიყო, ჩაილურის წყალი დალია. ოპოზიცია, როგორც მოსალოდნელი იყო, მარტივ მამრავლებად დაიშალა და დღეს ყველა ლიდერი საკუთარი გეგმით აპირებს სააკაშვილის რეჟიმის „დამხობას“. პოლიტიკურ კულუარებში კარგად გარკვეული არაერთი პოლიტიკოსი იმთავითვე ვარაუდობდა, რომ ამ აქციებით ქვეყანაში არაფერი შეიცვლებოდა და ყველაფერი მხოლოდ სააკაშვილის პოზიციების გასამყარებლად აგორდა. უფრო მეტიც, იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ ოპოზიციური სპექტრიდან ბევრი სააკაშვილის თამაშს თამაშობდა და ოპოზიციაში პატრონების, უფრო კონკრეტულად, თეთრი სახლის ადმინისტრაციის მითითებით აღმოჩნდნენ... შესაძლოა, რიგითი ობივატელისთვის ეს დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ვინ-ვინ და თავად პოლიტიკოსებმა შესანიშნავად იციან, ვის რა როლი ეკისრება ქართულ პოლიტიკაში და რომელი ძალა საიდან იმართება...

მრავლისმნახველ ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი „პოლიტიკოსი“ გამოჩნდა. პეტერბურგელი ბიზნესმენის ალექსანდრე ებრალიძის პოლიტიკური ამბიციები ქართული მედიის ტოპნიუსად იქცა. სამმა კონტროლირებადმა ქართულმა ტელეარხმა ერთდროულად მოამზადა ინტერვიუ ახლად გამომცხვარ პრეზიდენტობის კანდიდატთან. მან საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის, საქართველოში იყიდოს მედია. თურმე, „ალიკ ბაზარს“ საქართველოს პრეზიდენტობა სურს. ამაზეა ნათქვამი: „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო“...

როგორც „საქართველო და მსოფლიოს“ კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, სქემა, რომელიც დღეს საქართველოში მუშაობს, სააკაშვილის გადარჩენას ემსახურება. ჩვენი ინფორმატორის მტკიცებით, პოლიტიკური პროცესი, რაც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, კვლავ გარე ძალების მიერ, კერძოდ კი, ამერიკის ადმინისტრაციიდან იმართება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ირაკლი ალასანია, ნინო ბურჯანაძე და, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ახალბედა საპრეზიდენტო კანდიდატი ალექსანდრე ებრალიძეც ამერიკიდან მართული „ოპოზიციურად“ განწყობილი პოლიტიკური ფიგურები არიან. მათი ფუნქციაა: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის... **მოკლედ, მათი მთავარი ამოცანა და ვალდებულებაა, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ვადა გაახანგრძლივონ.**

ჩვენი ინფორმატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ალასანიას როლი ამ პოლიტიკურ პროცესში განისაზღვრა, როგორც ზომიერი ოპოზიციონერისა და მის გარშემო შემოკრებილი ზომიერი ფრთის მართვა თუ განეიტრალება სწორედ ალასანიას ეკისრება. რადიკალური ოპოზიციის ლიდერის ფუნქცია კი ნინო ბურჯანაძემ იტვირთა. თავის მხრივ, სწორედ ნინო „ანზოროვნამ“ უნდა მართოს რადიკალური ოპოზიცია. **რადიკალურ ოპოზიციაში კი დღეს, ძირითადად, სალომე ზურაბიშვილი და ეკა ბესელია მოიაზრებიან, ამიტომაც არის, რომ ბურჯანაძე განსაკუთრებულად „პარიჟანკა“ ქალბატონს დაუმეგობრდა, მაშინ, როცა ხელისუფლებაში ყოფნის დროს მათი ქალური ქიშპობა ყველასთვის თვალშისაცემი იყო. სწორედ ნინო ბურჯანაძეს გულისხმობდა ზურაბიშვილი, როდესაც იპოდრომზე ხელისუფლებას „ქაჯები“ უწოდა, მაგრამ ამ ქალაქში, მით უმეტეს, ქართულ პოლიტიკაში, ყველაფერი მოსულა...**

„ანზოროვნას“ გავლენის ქვეშ ზურაბიშვილის მოქცევა იმიტომაც გახდა საჭირო, რომ იგი ევროპასთან ინტეგრაციაზე უფრო იყო ორიენტირებული, ახლა კი, ბურჯანაძესთან პოლიტიკურად დამეგობრების შემდეგ, ზურაბიშვილს უნდა თუ არა, ამერიკული სცენარის პერსონაჟი ხდება.

იმისთვის, რომ მიმდინარე მოვლენებში გარე ძალების, უფრო ზუსტად, რუსეთის და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების მონაწილეობა ასევე მართული და კონტროლირებადი იყოს, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ შექმნა ალექსანდრე ებრალიძის ფიგურა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის კარზე მისი როლი ძალზე მნიშვნელოვანიაო...

ერთი მხრივ, ებრალიძემ უნდა ჩაძიროს ყველა ის პოლიტიკური ძალა, ვინც შესაძლოა, რუსეთმა გააააქტიუროს და, მეორე მხრივ, შეძლებისდაგვარად გაამყაროს მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა.

ინფორმატორმა ისიც გვამცნო, რომ ვიდრე ებრალიძე რამდენიმე დღის წინათ ქართველ ჟურნალისტებს მიიწვევდა და პრეზიდენტობაზე პრეტენზიას საჯაროდ განაცხადებდა, **იგი რამდენჯერმე ყოფილა ბათუმში და ქართველ მაღალჩინოსნებს შეხვედრია... წყარო იმასაც გვიამბობს, რომ ებრალიძის გავლენის ქვეშ მოექცევა კონსტანტინე გამსახურდიას და ზურაბ ნოღაიდელის მომავალი ალიანსი... ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება რეალობას ჩვენი წყაროს ინფორმაცია, მაგრამ ეჭვს ბადებს, თუნდაც, ის გარემოება, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს, რომელიც ღიად საუბრობს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი უნდა შეცვალოს, ქართულმა ტელევიზიებმა საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს. დავით კიკალიშვილმა ებრალიძის ინტერვიუ ისე შესთავაზა მაყურებელს, რომ ერთი კრიტიკული შეკითხვის დასმის სურვილიც კი არ გასჩენია (?). ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ყველა ღიად საუბრობს იმაზე, რომ ყველა ქართული ტელევიზიის საინფორმაციო ბადე ხელისუფლების მიერ იგეგმება...**

ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ გასული წლის აგვისტოს ავანტიურა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დიდი ხნით ადრე დაიგეგმა და ამ პროცესს ამერიკა მართავდა. ეს კულუარული ინფორმაცია ჯერ კიდევ 2007 წელს გაახმიანა რუსულმა პრესამ, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამან შედეგი ვერ გამოიღო და ამერიკაში დაგეგმილი სცენარის განხორციელებას ხელი ვერავინ შეუშალა.

ჩვენი ინფორმატორის მტკიცებით, სწორედ აგვისტოს მოვლენებამდე უნდა დაეტოვებინა ნინო ბურჯანაძეს თანამდებობა, რადგან უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, სააკაშვილის შემცვლელად ამერიკას სანდო კადრი ჰყოლოდა რეზერვში.

ამავე სცენარში ჩაიწერა ირაკლი ალასანიას როლი როგორც „მშვიდობისმყოფელისა“. მას აფხაზეთთან და ოსეთთან მომრიგებელ-მომლაპარაკებლის როლი უნდა ეთამაშა. **მიშას გადარჩენის ეს ამერიკული გეგმა ჩავარდა და ამიტომაც ამოქმედდა მეორე სცენარი ქუჩის აქციებისა. მართალია, აგვისტოს ომის მთავარი მიზანი მხოლოდ სააკაშვილის გადარჩენას არ ისახავდა მიზნად, ამით მსოფლიოს აგრესორი რუსეთის სახეც უნდა დაენახა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩვენთვის შედეგი სავალალო აღმოჩნდა...**

ჩვენი ინფორმატორი ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გვაწვდის. მისი მტკიცებით, ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და, სავარაუდოდ, ეს ნოემბერში მოხდება. **მართალია, დღეს ოპოზიცია აცხადებს, რომ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების გარდა მათთვის ნებისმიერი არჩევნები მიუღებელია, მაგრამ, როგორც წყარო გვარწმუნებს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში პირველი ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ალასანია „გაიქცევიან“.**

ჩვენი ინფორმატორი არჩევნების შედეგების პროგნოზირებასაც ცდილობს და ამბობს: — **„მართალია, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უმცირესობით შევა, მაგრამ მისი სატელიტი პარტიები და პოლიტიკური ფიგურები — ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ალასანია — მიიღებენ მანდატების უმრავლესობას და შედეგად მივიღებთ პარლამენტს, რომელსაც ისევ მიხეილ სააკაშვილი გააკონტროლებს“. უფრო მეტიც, ჩვენი წყაროს მტკიცებით, ნინო ბურჯანაძე კვლავ პარლამენტის თავმჯდომარედ მოგვევლინება, ხოლო ირაკლი ალასანია, სავარაუდოდ, პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს.** შედეგიც მიღწეული იქნება, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ პროცესს სრულად გააკონტროლებს და მსოფლიო მას კიდევ ერთხელ უწოდებს „დემოკრატიის შუქურას“. თანაც, ამერიკას ექნება იმის გარანტია, რომ სააკაშვილს კვლავ მათთვის სასურველი ლიდერით შეცვლიან.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ მართლა შეთანხმებულად მოქმედებენ სააკაშვილი და ბურჯანაძე, მაშინ მისი ოჯახის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას რით ახსნიდა, ინფორმატორმა გვიპასუხა, რომ ბურჯანაძეს სააკაშვილის გარემოცვა ებრძვის და არა პირადად სააკაშვილი. ლოგიკას მოკლებული არც ეს ვერსიაა, რადგან სააკაშვილის გარემოცვას ნამდვილად არ უნდა აწყობდეს ბურჯანაძის გაძლიერება და შემდეგ სააკაშვილის ჩანაცვლება ან „ანზოროვნას“, ან ალასანიას მიერ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გარანტიებს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი მიიღებს და არა — მთელი მისი გარემოცვა.

ჩვენი ინფორმატორი იმაზეც საუბრობს, რომ ირაკლი ალასანია და მიხეილ სააკაშვილი ნათესავები არიან და ორივე დიდი მიხეილის ბიძის — თემურ ალასანიას გაზრდილია. ასევე, ნათესავები არიან ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე და მიხეილ სააკაშვილი. მართალია, დღეს ამას ყველა უარყოფს, მაგრამ... ამიტომაც ჩვენი ინფორმატორი არსებულ ვითარებას ერთ ოჯახში ძალაუფლების გადანაწილებას უწოდებს....

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი წყარო, ასევე, ამერიკისა და სააკაშვილის ხელისუფლების პროექტს უწოდებს ალექსანდრე ებრალიძეს. **ცნობისთვის, როგორც შევიტყვეთ** (ინფორმაცია ჯერჯერობით გადაუმოწმებელია), **ებრალიძე ლევან ბერძენიშვილის კლასელი და ბავშვობის მეგობარი ყოფილა, აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეიძლება „რესპუბლიკელების“ და ებრალიძის გზები გადაიკვეთოს. მითუმეტეს, თუ „რესპუბლიკელების“ მატერიალურ ინტერესებს გავითვალისწინებთ. საზოგადოებას, ალბათ, კარგად ახსოვს, რომ თავის დროზე, გრანტის მიღების მიზნით, ამ ადამიანებმა ლამის აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს.**

როგორც ჩვენი წყარო გვატყობინებს, რუსეთში როგორც ნინო ბურჯანაძეს, ასევე, ალექსანდრე ებრალიძეს მირონოვი ლობირებს... **ებრალიძის ქართულ პოლიტიკურ სცენაზე „ამოგბრწყინებგა“ იმითაც არის ნაკარნახევი, რომ საქართველოში ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ არსებული ნეგატიური განწყობა გაანეიტრალოს. ობივატელისთვის ნინო ბურჯანაძე ებრალიძის ფონზე ანგელოზად უნდა წარმოჩნდეს. ერთი საინტერესო დეტალიც ებრალიძის ცხოვრებიდან: მისი ერთ-ერთი ქალიშვილი ამერიკაში ცხოვრობს. იგი დაქორწინებულია საზღვაო ქვეითების დაზვერვის ოფიცერზე. შესაძლოა, ესეც ამყარებს ვერსიას იმის შესახებ, რომ ებრალიძე ქართულ პოლიტიკაში ამერიკული პროექტია. დღეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ამ საკითხებზე საუბარი. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...**

მანანა ჩხეიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჯიმი ჯალიაშვილი:

ოპოზიციამ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის შანსი ხელიდან გაუშვა

26 მაისის მრავალათასიანი მიტინგით ოპოზიციამ მიმდინარე პროცესებით ისედაც თავზარდაცემულ ხელისუფლებას აღსასრულის მოახლოება კიდევ ერთხელ ამცნო. თავის მხრივ, ხელისუფლებამაც დროულად იგრძნო შექმნილი საფრთხე და მყისიერად გადამწყვეტ ზომებს მიმართა — ოპოზიციის გეგმა, პროცესებში პატრიარქი ჩართულიყო, ჩაიშალა, „სიურპრიზების“ მოლოდინში მყოფმა საზოგადოებამ კი მორიგი იმედგაცრუება იწვნია... საერთოდ, 26 მაისის შემდეგ მოვლენები ერთობ უცნაურად წარიმართა — ოპოზიციური სპექტრის გარკვეულმა ნაწილმა 9 აპრილის გეგმა უარყო და უცებ ამ გეგმის შეცდომებზე ალაპარაკდა. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ლიდერები რიგ საკვანძო საკითხებზე ვერ თანხმდებიან, თუმცა თავად ლიდერები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ... ...ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილს ესაუბრა. მას მიაჩნია, რომ ოპოზიციამ ხელისუფლების გადაყენების რეალური შანსი ხელიდან გაუშვა.



ხალხსა და ძალოვანებს შორის შეტაკება ხელისუფლების კრახით დამთავრდება

— ბატონო ჯიმი, 26 მაისის საპროტესტო მსვლელობა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ოპოზიციის შეცდომად შეაფასა. ეს მოსაზრება ოპოზიციის ზოგიერთმა ლიდერმაც გაიზიარა; მაგალითად, გუბაზ სანიკიძემ. თქვენ როგორ აფასებთ დამოუკიდებლობის დღეს განვითარებულ მოვლენებს?

— ის შედეგი, რითაც 26 მაისის ხალხმრავალი დემონსტრაცია დამთავრდა, სავსებით ლოგიკურია დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში... რა თქმა უნდა, ოპოზიციამაც უამრავი შეცდომა დაუშვა. მათ შორის, სტრატეგიულიც, მაგრამ საპროტესტო გამოსვლების უშედეგობას ამით ვერ ავხსნით. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყველა ძალოვანი სტრუქტურა მყარად მოტივირებული ყოფილიყო... არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ მომავალი ხელისუფლება ამგვარ მტკიცე პოზიციებს შეუქმნის ძალოვანებს...

დღეს ხელისუფლება გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე საზოგადოება. ამას არა ერთი ფაქტი მოწმობს...

ოპოზიციამ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა. ეს შესაძლებლობა მას ჰქონდა აგვისტოს ომის შემდეგ, როცა ხელისუფლება, ფაქტობრივად, ნოკაუტში აღმოჩნდა... მაშინ საკმარისი იყო, ოპოზიციურ ძალებს თავისი ელექტორატის მობილიზება მოეხდინა და ხალხი ქუჩაში გამოეყვანა, თუნდაც იმის ნახევარი, რაც ახლაა გამოსული, ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, წასულიყო...

— თუმცა მაშინ ოპოზიციამ მორატორიუმი გამოაცხადა და ხელისუფლებასთან ყოველგვარი ოპონირება შეწყვიტა...

— შეცდომაც სწორედ ეს იყო — ოპოზიციამ ხელისუფლებას დრო მისცა და მანაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა... საერთოდ, ოპოზიციამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და ახლა ადეკვატურ შედეგს იმკის...

...სააკაშვილს შეერთებული შტატების მხარდაჭერა ჯერ კიდევ აქვს, შესაბამისად, მყარად უჭირავს თავისი პოზიციებიც. აგვისტოს ომის შემდეგ ლაპარაკი თუ იყო ვადამდელი არჩევნების მიღწევაზე ათიათასი კაცის ქუჩაში გამოყვანით, ახლა უკვე ნახევარი მილიონი დემონსტრანტის გამოსვლასაც არანაირი შედეგი არ მოაქვს; ვერც მოიტანს, იმიტომ, რომ დღეს უკვე ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია, ის ფლობს ყველანაირ რესურსს (გარდა საზოგადოების მხარდაჭერისა).

— რა გამოსავალი რჩება ოპოზიციას და საზოგადოებას? რა გზითა და მეთოდებით შეიძლება „ნაცმოძრაობის“ ცხრაკლიტულების გაღება ან, თუნდაც, შელეწვა?

— ეს დამოკიდებულია ოპოზიციის და ხალხის გამძლეობაზე, ფინანსებზე, ადამიანურ რესურსებზე და ა.შ. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია საპროტესტო მუხტის შენარჩუნება. ოპოზიცია ყველანაირად უნდა შეეცადოს პროცესების თანმიმდევრულად წარმართვას, თუმცა ამან ქვეყანა შეიძლება მწვავე ეკონომიკური კრიზისის ზღვრამდე მიიყვანოს. ეკონომიკური კრიზისი, თავის მხრივ, ყოველთვის იწვევს პოლიტიკურ კრიზისს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რამდენად სასარგებლო იქნება ეს ჩვენი საზოგადოებისთვის?

პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამწვავებით შეიძლება, ისარგებლოს მესამე ძალამაც, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხელისუფლებისთვის ძალიან ძნელი იქნება იმის დათმობა, რაც მათ უკვე მოიპოვეს, უწინარესად, ვგულისხმობ იმას, რომ ქვეყანაში მოისპო რეკეტიორობა... არის ერთი ოფიციალური რეკეტიორი (ხელისუფლების სახით), რომელსაც არსებულმა ეკონომიკურმა კლანებმა ადვილად მოარგეს გასაღები...

რა იქნება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და რა სისტემით დარეგულირდება ეკონომიკის თუ ბიზნესის სფერო, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, ყველაზე მთავარი საკითხია, თუმცა დღევანდელ ვითარებაში ამის წინასწარი განსაზღვრა ან რაიმე ვარაუდების გამოთქმა ნაადრევად მიმაჩნია...

როცა ოპოზიცია და საზოგადოება გადამწყვეტი ზომების მიღებაზე საუბრობს, ის აუცილებლად გულისხმობს ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლას, რაც თავისთავად მოწმობს, რომ ოპოზიცია სათანადოდ ვერ აფასებს შექმნილ ვითარებას. დღეს ქართველი საზოგადოება სრულიად განიარაღებულია. ძალის გამოყენების რესურსებს მხოლოდ ხელისუფლება ფლობს. ერთი მხრივ, ეს შეიძლება კარგიც იყოს — ამით სამოქალაქო ომს მაინც ავიცილებთ თავიდან, მაგრამ, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს სამწუხარო ფაქტი — ხელისუფლება ჯიუტობს და ხალხის ნებას არანაირ ანგარიშს არ უწევს... ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიის დონე ჩვენს ქვეყანაში ნულის ტოლია.

რაც შეეხება გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან, ვფიქრობ, ოპოზიციამ უნდა გააგრძელოს დიალოგი ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს დიალოგი უნდა იყოს კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე გათვლილი. თუ ოპოზიცია ამ ნაბიჯზე არ წავა, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა განუდგება საერთო ოპოზიციურ სპექტრს...

— დიალოგის გზა ერთხელ უკვე სცადა ოპოზიციამ, მაგრამ სასიკეთო შედეგი ვერ მიიღო...

— ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან ხელისუფლება არ იყო მზად ოპოზიციასთან სალაპარაკოდ. როცა ვამბობ, რომ დიალოგი უნდა გაგრძელდეს, არ ვგულისხმობ, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია, უბრალოდ, ოპოზიციამ ეს გზაც უნდა მოსინჯოს, რათა ხალხი და საერთაშორისო ორგანიზაციები ერთხელ და სამუდამოდ დაარწმუნოს მის უშედეგობაში...

სააკაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად აცხადებს, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციები დემოკრატიული განვითარების ნიშანია. რაც ყველაზე საყურადღებოა, დასავლეთელი პოლიტიკოსებიც ამას ადასტურებენ და მათი ყველა განცხადება დიალოგის აუცილებლობას ქადაგებს. ერთი სიტყვით, ხელისუფლება მიმდინარე პროცესებში გარკვეულ სარგებელს ნახულობს, მაგრამ, როცა ლაპარაკია დემოკრატიის ნიშნებზე, სააკაშვილსა და იმავე დასავლეთს ყურადღების მიღმა რჩებათ ერთი რამ — ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყნებში საპროტესტო გამოსვლებს ანგარიშს უწევენ, ხელისუფლება მაქსიმალურად ითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს და, ასევე, მაქსიმალურად ცდილობს მათ დაკმაყოფილებას. ჩვენთან აბსოლუტურად პირიქით ხდება, ამიტომ მიმდინარე აქციები არა დემოკრატიის განვითარებაზე, არამედ დემოკრატიის არარსებობასა და ტოტალიტარულ რეჟიმზე მიანიშნებს... ასეთ პირობებში კი დიალოგით რამე კონკრეტული შედეგის მიღწევა, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, არ არსებობს დიალოგის გამამაგრებელი ფაქტორი ძლიერი ოპოზიციონერი ლიდერის სახით...

ДРЕС ბურჯანაძე ერთი რიგითი პროტესტანტია. ის არ არის ლიდერი, რომელიც ქვეყანას და საზოგადოებას სჭირდება...

— ოპოზიციურ ძალთა გარკვეული ნაწილი მიმდინარე პროცესებში რეგიონების აქტიური ჩართვის გარეშე რამე შედეგის მიღწევას შეუძლებლად მიიჩნევს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატური და ეფექტიანია ეს მიდგომა?

— თუ ოპოზიცია ფიქრობს, რომ ასი ათასი კაცის ქუჩაში გამოყვანა საკმარისი არ არის და ას ორმოცდაათი ათასი რამეს შეცვლის, ეს ძალიან მცდარი შეხედულებაა. ვფიქრობ, ეს თავად ოპოზიციის ლიდერებსაც კარგად ესმით, მაგრამ საპროტესტო მუხტის განელება ძალიან მტკივნეული იქნება მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამიტომ ახალი ტექნოლოგიების თუ სტრატეგიული გეგმების შემუშავებით ოპოზიცია ცდილობს, შეინარჩუნოს მუხტი და დარაზმულობა როგორც საზოგადოებაში, ისე ოპოზიციურ სპექტრში...

— 26 მაისს მიმდინარე აქციების უშედეგობით იმედგაცრუებულმა დემონსტრანტებმა ოპოზიციის ლიდერების მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს და მათი მხრიდან უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოითხოვეს. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა, ოპოზიციამ გაითვალისწინოს მოთხოვნა?

— საზოგადოების საყვედური სავსებით სამართლიანია. ოპოზიციამ საპროტესტო გამოსვლების დაწყებიდან დღემდე უკვე მერამდენედ შექმნა იმის ილუზია, რომ პროცესები გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა და ყველა შემთხვევაში საზოგადოებას იმედები გაუცრუვდა. ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიციას უფრო მეტი დაფიქრება მართებს, მან უნდა გადახედოს თავის სტრატეგიას და უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — ან შეიცვალოს სამოქმედო გეგმა, ან იგივე დატოვოს...

თუ ვერ ხერხდება პროცესების იმ გზით წარმართვა, რა მიმართულებითაც დღემდე ვითარდებოდა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ხალხი ნებისმიერ მოქმედებაზე წავა. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ ხალხსა და ძალოვანებს შორის შეტაკება მოხდება, მაქსიმუმ, ერთ კვირაში ეს ხელისუფლების კრახით დამთავრდება...

— როგორ ფიქრობთ, არსებობს ამის რეალური საფრთხე?

— რა თქმა უნდა, არსებობს. თუ ხელისუფლებამ დაიწყო ხალხთან ანგარიშსწორებები, მომიტინგეთა პერმანენტული დარბევა, თუნდაც, მცირე ინციდენტების სახით, ამას მოჰყვება საზოგადოების უკურეაქცია. ეს ინსტინქტურად და სტიქიურად ხდება ხოლმე...

ისტორიამ იცის მსგავსი ფაქტები, თუნდაც, საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციების მაგალითზე, სადაც თავიანთ ხალხთან ღია დაპირისპირებას იმპერატორები შეეწირნენ...

— თქვენ ამბობთ, რომ დემონსტრანტებზე ძალის გამოყენება ხელისუფლებისთვის კრახით დამთავრდება, თუმცა 2007 წლის 7 ნოემბერს მომხდარ დარბევას მსგავსი შედეგი არ მოჰყოლია...

— ეს იმიტომ, რომ მაშინ ოპოზიციამ ვერ შეძლო, პერმანენტული ხასიათი მიეცა საპროტესტო გამოსვლებისთვის. უფრო მეტიც, დარბევის მეორე თუ მესამე დღეს რიყეზე მისმა მართულმა მიტინგმა ყველაფერი ისე მიალაგა, როგორც ხელისუფლებას უნდოდა... ეს იყო ოპოზიციის უმთავრესი შეცდომა, რაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა დღემდე ვერ აპატია ლიდერებს...

დღეს კი ოპოზიციის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მეორეხარისხოვან პრობლემებს სადიალოგო თემებად ხდის; ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხები კი ყურადღების მიღმა რჩება... მხედველობაში მაქვს ხელისუფლების პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი, რაც, რატომღაც, უკანა პლანზე გადაწია ოპოზიციამ...

— პასუხისმგებლობაში რას გულისხმობთ, ხელისუფლების წარმომადგენლების გასამართლებას თუ...

— დღევანდელ სიტუაციაში ოპოზიცია თუ მოვა ხელისუფლების სათავეში, სააკაშვილი შეიძლება საბრალდებო სკამზე არ დაჯდეს, მაგრამ, თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს პროცესები და უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, რა თქმა უნდა, მას ეს არ ასცდება...

ხელისუფლებაში არიან ისეთი სუბიექტებიც, რომლებსაც უმძიმესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი და, ბუნებრივია, მათ არანაირი ამნისტია არ შეეხებათ, თუმცა,

როგორც კი იგრძნობენ, რომ პროცესები პიკს უახლოვდება, ისე გაქრებიან ქვეყნიდან, რომ ვერავინ ვერაფერს მოასწრებს... ამისთვის უკვე დიდი ხანია, მზად არიან...

ესაუბრა
ჯაბა ჭვანია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

პაპუასის ბედი, ძმაო, ძნელია

გასულმა კვირამ ნათლად აჩვენა, რომ მდგომარეობა საქართველოში ერთობ სახიფათო გახდა. შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც პროცესში ჩართულ თითქმის ყველა ჯგუფს, მიუხედავად მათი ფარდობითი ძლიერებისა, მოვლენათა განვითარებაზე განმსაზღვრელი ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. ცნობილ შედარებას თუ მოვიშველიებთ, ერთი ქვის დაგორებასაც კი შეუძლია ზვავის გამოწვევა. ალბათ, სწორი არ იქნება ვინმეს დადანაშაულება იმაში, რომ მას მასშტაბური სისხლისღვრისაკენ შეგნებულად მიჰყავს საქმე. მაგრამ, როდესაც თითქმის ყოველი ცალკეული ჯგუფი მოქმედებს საკუთარი სცენარით, რომელიც სხვა დანარჩენებთან მზარდ წინააღმდეგობაში მოდის, ფატალური დასასრულის საფრთხე დღენიადაგ იზრდება. სამოქალაქო ომის წინა პერიოდში ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაზე დაკვირვება ყოველთვის პასუხგაუცემელ კითხვებს ტოვებს: „რატომ?“, „როგორ გახდა ეს შესაძლებელი?“

ასე ხდება ხოლმე. საღამოს ყველაფერი თითქოს კონტროლს ექვემდებარება, დილით კი მოსახლეობას ტყვიამფრქვევების კაკანი აღვიძებს. სამწუხაროდ, სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ მოსალოდნელი საფრთხეების განეიტრალება საკუთარი ძალებით დღეს აღარავის შეუძლია: არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას, არც, ერთი შეხედვით, ყოვლისშემძლე შეერთებულ შტატებს, რომელიც გარკვეულწილად ორივეს უკან მოიაზრება. ასეთია იმ ქაოსის მთავარი თვისება, რომელიც ხელისუფლების მზარდი დეგრადაციის შედეგად წარმოიშვა.

ვინ გაურიგდება ხელისუფლებას?

თბილისის ქუჩებს ძალადობის ტალღამ გადაუარა. უკვე ათეულობით (თუ არა ასეულობით) ადამიანმა ამა თუ იმ შეტაკების შემდეგ დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. ეჭვგარეშეა, რომ ამის მთავარი მიზეზი ხელისუფლების მიერ ე.წ. ზონდერ-ჯგუფების გამოყენება გახდა. თუ დაღამების შემდეგ ცენტრში გავისეირნებთ, ერთგვარ პარალელურ სამყაროში მოვხვდებით, სადაც ადამიანებზე ნადირობა მიმდინარეობს. იქ ბევრ ახალგაზრდას შევხვდებით, რომელთაც კარგი განათლების და სამსახურის ნაცვლად ხელისუფლებამ კასტეტი და ხელკეტი მისცა. ასე დაბოდიალობენ, დაგეშილები და გალეშილები...

მათ უკან კი მთელი გენერაცია დგას, რომელსაც ნაციონალების ყბადაღებული „ხუთიანიდან“ გამომდინარე პირობითად შეიძლება „ხუთოსნები“ ვუწოდოთ. მათ შორის არიან პოლიციელები, რომლებმაც შეიძლება მენაგვის ფორმა ან სამოქალაქო სამოსი ჩაიცვან, მიეპარონ ადამიანს და თავში რკინის ჯოხი ჩაარტყან, ექიმები, რომლებიც უარს ამბობენ დახმარების გაწევაზე, თუ პაციენტი ოპოზიციის მხარდამჭერია, ექსპერტები, რომლებიც ყოველივე ამას ამართლებენ და ა.შ.

ნამდვილად, აღარასოდეს გამიჩნდება კითხვა, რომელიც ადრე არაერთგზის დამისვამს: **„რა დაემართა ასეთ წესიერ, პატიოსან და ბრძენ გერმანელებს 1933-1939 წლებში?“, იმიტომ რომ საკუთარი თვალით დავინახე, რა დაემართა ქართველებს (ყოველ შემთხვევაში, მათ ნაწილს) 2003-2009-ში, 70 წლის შემდეგ.**

ცოტაოდენი კონკრეტიკა: **დაუდასტურებელი ინფორმაციით, ზოგმა ქართველმა პოლიტიკოსმა (ორივე ბანაკიდან) „დასავლელი მეგობრების“ მოწადინებით მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას შემოდგომაზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ, ახლა კი საუბარი იმაზეა, რომ პროცესები, შეძლებისდაგვარად, უმტკივნეულოდ ამ კალაპოტში მოაქციონ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ სცენარს მოწინააღმდეგეები როგორც ოპოზიციაში, ისე ხელისუფლებაშიც ჰყავს. ამგვარად, იგი არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთადერთი შესაძლებელი, იმ „ზვავსაშიშროების“ გათვალისწინებით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. განსაკუთრებით სათუოა, ხელისუფლების მიერ იმ თამაშის წესების დაცვა, რომელიც ამ კონსენსუსის შედეგად შეიძლება შემუშავდეს, რადგან, სავარაუდოდ, სერიოზულ დათმობებზე წასვლა მოუწევს, რის სურვილიც ნამდვილად არ აქვს.**

საკმაოდ მომგებიანი მომენტია ასეთი სცენარის შემოსაგდებად, რადგან დღევანდელ ვითარებაში ოპოზიციის ნაწილი ამ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, რის შედეგად „ზომიერებს“ (რესპუბლიკელები, ალასანიას გუნდი) პარლამენტში ფართო წარმომადგელობისკენ გზა გაეხსნებათ. რის შემდეგაც ამერიკელი დიპლომატები, ბოლოს და ბოლოს, მშვიდად დაიძინებენ.

შედგება თუ არა ეს „დიდი გარიგება“ და ვინ შეუერთდება მას, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი ჩვენ არშემდგარ სახელმწიფოს კვლავ არშემდგარი ხელისუფლება ჰყავს.

გადმოცემით, ტერმინი „არშემდგარი სახელმწიფო“ („Failed State“) საქართველოსთან მიმართებაში **პირველმა დევიდ როკფელერმა გამოიყენა ერთ-ერთ ვიწრო წრეში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც სულ ორი ქართველი ესწრებოდა. სიტუაციის პიკანტურობა იმაში მდგომარეობს, რომ იმ მომენტისთვის საბჭოთა კავშირი ფორმალურად დაშლილიც არ იყო და დამოუკიდებელი საქართველო არ არსებობდა; უბრალოდ, ამ ჭარმაგმა მოხუცმა (Этот мощный старик, гигант мысли...) მისთვის დამახასიათებელი გამჭრიახობით უახლოესი მომავალი ზუსტად განჭვრიტა.**

პაპუასის ბედი, ძმაო, ძნელია

1 ივნისს პრემიერ-მინისტრმა გილაურმა განაცხადა, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკას ბევრი პრობლემა შეუქმნა და ყურადღება საინვესტიციო სფეროს დანაკარგებზე გაამახვილა. საერთოდ, თემა „ოპოზიცია ინვესტორებს აფრთხობს“ ბოლო დროს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებში ერთ-ერთი წამყვანი გახდა, თუმცა მთავარი „საფრთხობელის“ წოდებას ხელისუფლებას ვერავინ ჩამოართმევს, რადგან მისი წარმომადგენლები დღეგამოშვებით აცხადებენ, რომ საქართველო რუსეთთან ომშია ჩაბმული, აქედან კი გამომდინარეობს, რომ (ინვესტორების გადასახედიდან) ნებისმიერ ოფისში შეიძლება შევარდეს ტანკზე ამხედრებული თეთრი დათვი ბირთვული ბომბით კბილებში. რაში სჭირდებათ ინვესტორებს საკუთარ თავზე ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება, გაუგებარია.

საერთოდ, „ინვესტირების“ და „დახმარების“ კულტი საქართველოში, რომელიც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უკიდურესობამდე მიიყვანა, რაღაცით წააგავს ე.წ. „კარგო-კულტებს“ (ინგ. cargo- ტვირთი), რომელიც პაპუასებში იყო გავრცელებული. მეორე მსოფლიო ომის დროს ღვთისაგან მივიწყებულ წყნარი ოკეანის კუნძულებზე ამერიკული ნაწილების გადმოსხმა დაიწყო, შენდებოდა აეროდრომები, ბაზები, შემოდიოდა უამრავი სასარგებლო ნივთი, რომელთა უმრავლესობა პაპუასებს ადრე თვალითაც არ უნახავთ (მაგ., კონსერვები, კარვები, ასანთი). ამერიკელები ტვირთის ნაწილს აბორიგენებს გადასცემდნენ, რომლებიც მათთვის სასარგებლო სამუშაოებს ასრულებდნენ. პაპუასებმა ჩათვალეს, რომ ამ საჩუქრებს ღმერთები უგზავნიან, ხოლო თეთრი ადამიანები მათი წარმომადგენლები არიან.

შემდეგ ომი დასრულდა. ამერიკელები წავიდნენ. ჯადოსნური ნივთების ულევი ნაკადი შეწყდა. პაპუასები კი საგონებელში ჩავარდნენ. **მათ ჩათვალეს, რომ ღმერთები განარისხეს. საგანგებო რიტუალების ჩატარება დაიწყეს, მიტოვებულ აეროდრომებზე კოცონებს ანთებდნენ, ხისგან ამზადებდნენ სატრანსპორტო თვითმფრინავების მაკეტებს (სხვათა შორის, ნატურალურ ზომაში), საგანგებოდ შერჩეულ ყმაწვილებს კი მკერდზე საღებავით აწერდნენ USA. ისინი ყურებსა და პირზე მიდებული ნიჟარებით ამერიკელ რადისტებს განასახიერებდნენ. ათწლეულები დაჭირდა იმის გააზრებას, რომ თეთრი ადამიანი მოვა მაშინ, როდესაც ეს აწყობს მას და არა — სხვას.** საქართველოს მთავრობა ინვესტორების და კრედიტორების გაღმერთებით და მუდმივი (უკვე აუტანელი) წუხილით მათ „განრისხებაზე“ „კარგო-კულტის“ მიმდევარ პაპუასებს დაემსგავსა **(როგორ ფიქრობთ, შამანის როლს ნიკა გილაური მოუხდება ცხვირში რგოლით?), რომელთაც არ უნდოდათ ძალიან მარტივი რამის გააზრება: „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“.**

კეისარს კეისრისა

იმ მოვლენების გარშემო, რომელიც 26 მაისს სამების ტაძარში განვითარდა, ბევრი ითქვა, თუმცა ერთმნიშვნელოვნად დადასტურებული ფაქტები ხელთ არ გვაქვს; მხოლოდ ვერსიები, ვარაუდები და ნაწყვეტი პატრიარქის 27 მაისის განცხადებიდან: „ხელისუფლება არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ხოლო მომიტინგეების მკვეთრი მოქმედებების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლისღვრა“. როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლები სამების ტაძარში პატრიარქისთვის სწორედ ამ პოზიციის გასაცნობად მივიდნენ.

წამით დავფიქრდეთ იმის არსზე, რაც (ძალიან დიდი ალბათობით) სამების ტაძარში მოხდა: ადამიანები მივიდნენ ტაძარში, უფლის სახლში, შევიდნენ საკურთხეველში, წმიდათაწმიდაში, და იქ განაცხადეს, რომ სისხლს დაღვრიან (!). ასეთ სცენებს ამ ბედკრულ პლანეტაზე ადგილი, ალბათ, რომის ღვთისმებრძოლი იმპერატორების შემდეგ არ ჰქონია. რა სულიერ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, ასე რომ მოიქცეს?

კეისარს კეისრისა, თუმცა ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს. საკუთარი აზრის პატრიარქამდე მიტანა სხვა ფორმითაც შეეძლოთ. მათ კი გადალახეს უხილავი ზღვარი, რომლის გადალახვას კარგი არავისთვის არასდროს მოუტანია. ეტყობა, ხელისუფლება, რომელიც ხელიდან გეცლება, განსაკუთრებული ტიპის სულიერ აშლილობას წარმოშობს. საილუსტრაციოდ, ზემოთ ნახსენები იმპერატორებისგან ერთ-ერთის იულიანე განდგომილის ისტორიაც გამოდგება.

პირდაპირ პარალელებს, რა თქმა უნდა, ვერ გავავლებთ, თუნდაც იმიტომ, რომ იულიანე ფრიად განათლებული და ზრდილობიანი პიროვნება გახლდათ, თუმცა, რეალობასთან აცდენის თვალსაზრისით, ისიც ერთ-ერთი გამორჩეული მმართველი იყო. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან დაიწყო მოქმედება ქრისტიანების წინააღმდეგ, რათა იმპერიის მოსახლეობა წარმართობისკენ გადახრილიყო. იგი იყო ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე, რადგან წინამორბედებისგან განსხვავებით, რომლებიც სისხლიან რეპრესიებს ახორციელებდნენ, ბრძოლის ირიბ მეთოდებს მიმართა. **რაღა თქმა უნდა, ყველაფერი სასკოლო რეფორმით დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანების განდევნას სასწავლო დაწესებულებებიდან და მათ გადაქცევას წარმართი ახალგაზრდების ერთგვარ სამჭედლოდ. მათ, ვინც უარს იტყოდა ქრისტეს მოძღვრებაზე, კარიერული წინსვლისათვის ფართო გზა ეხსნებოდათ. კეისარი აწყობდა გრანდიოზულ წარმოდგენებს ამა თუ იმ ღვთაების პატივსაცემად, წარმართების სოციალური დახმარების (ქველმოქმედება, სპეციალური საავადმყოფოები) მთელი სისტემა შექმნა. ეკლესიასთან მიმართებაში მისი პოლიტიკა ეფუძნებოდა პრინციპს „დაყავი და იბატონე“: იგი მხარს უჭერდა ცალკეული იერარქების ამბიციებს, აპირისპირებდა მათ ერთმანეთს, ხელს უწყობდა სხვადასხვა სექტის აღმოცენებას, მოკლედ, იმ მეთოდებს მიმართავდა, რომლებმაც ასწლეულების შემდეგ საკუთარი ეფექტურობა (ფარდობითი) დაამტკიცა.**

და ყოველივე ეს ამაოდ; ქრისტიანების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ ეკლესიის ერთგული რჩებოდა. კეისარი გრძნობდა, რომ მისი ძალაუფლება ამ ადამიანებზე ძალზე პირობითია და ეს აზრი ნელ-ნელა აგიჟებდა. ჯერ რეპრესიების ტალღის აგორება სცადა (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ პროვინციებში), თუმცა მიხვდა, რომ ამით ვერაფერს მიაღწევდა. **გამოსავლის ძიებაში იულიანე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მას ომი სჭირდებოდა, რომლიდანაც იგი გამარჯვებული დაბრუნდებოდა. ისეთი ომი, რომელიც მას გმირად, ღმერთების რჩეულად აქცევდა. 363 წლის გაზაფხულზე 83 ათასმა რომაელმა სპარსეთის საზღვარი გადალახა.**

ისინი აზიის შუაგულისკენ მიიწევდნენ; კეისრის სულიერი აშლილობა სულ უფრო ეტყობოდა ომის მიმდინარეობას და ლეგიონებს ყორანივით დასტრიალებდა. მდინარე ტიგროსის გადალახვის შემდეგ მან ბრძანა, გემები დაეწვათ, შემდეგ დაწვა სურსათის ნაწილიც, რათა ჯარისთვის უკან დასახევი გზა მოეჭრა, ამასთან, დაუფიქრებლად მიენდო მტრის მიერ მოგზავნილ ჯაშუშებს, რომლებმაც ჯარი უდაბნოში შეიყვანეს. **როდესაც ჰორიზონტზე სპარსების უზარმაზარი ლაშქარი გამოჩნდა, იულიანე საბოლოოდ მიხვდა, რომ მისი ღმერთთან და ადამიანებთან დაპირისპირებით სავსე მმართველობამ სრული კრახი განიცადა და მის დასრულებამდე სულ რამდენიმე საათი რჩებოდა.**

მას შეეძლო (წყაროს თანახმად), თავად გაქცეულიყო და რომში დაბრუნებისას ჯარისკაცები მოღალატეებად და დეზერტირებად გამოეცხადებინა ან კიდევ, ქვიშაზე ხოხვა დაეწყო და ანტიკური სამოსის რომელიმე ელემენტი დაეღეჭა. მაგრამ მან სხვა არჩევანი გააკეთა. მართალია, კატასტროფა განიცადა, გზა, რომელიც ქვეყანას შესთავაზა, არასწორი აღმოჩნდა, მაგრამ იყო ერთი რამ, რაზეც ეს შემცდარი, ნახევრადშეშლილი ადამიანიც კი უარს ვერ იტყოდა, ეს იყო რომის დიდება, მისი ღირსება, ისტორია და მომავალი, რომელშიც (ეს ესმოდა) მას ადგილი არ ექნებოდა. „Decet Imperatorem Stantem mori“ (იმპერატორი ფეხზე მდგომი კვდება); იულიანემ ჯავშანი კარავში დატოვა, რადგან თავისთვის ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. რომაელები უდიდესი გაჭირვებით იგერიებდნენ მტრის იერიშებს. ერთგან, სპარსებმა მწყობრის გარღვევა მოახერხეს. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. კეისარმა მცირე რაზმთან ერთად მტერს გზა გადაუღობა და ისეთი გააფთრებით შეუტია, რომ მისი უკუქცევა მოახერხა. **რაღაც მომენტში ყველაფერი აირია, ხოლო მტრის მოგერიების შემდეგ იულიანე სასიკვდილოდ დაჭრილი იპოვეს. გადმოცემით, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო!“**

ამ ბრძოლის შემდეგ სპარსებმა ჩათვალეს, რომ ალყაშემორტყმული რომაელების განადგურება ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ, ზავის დადება ამჯობინეს. ათიათასობით ლეგიონერი შინ დაბრუნდა.

იულიანე განდგომილმა ეკლესიას უამრავი ბოროტება მოუტანა. ამპარტავნებამ იგი სიგიჟემდე, ხოლო იმპერია სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფამდე მიიყვანა. მაგრამ მანაც კი, მმართველობის დასრულებამდე ორიოდე საათით ადრე, საკუთარი თავი ქვეყნის ინტერესებს დაუქვემდებარა. მანაც კი...

დიმიტრი მონიავა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

„საქართველო და მსოფლიოს“ მე-14 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „სამ გივ ფეტვსა და ხუთ თხაზე“ გაყიდულნი“ ვწერდი, რომ უცხოურ პრესაში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შეცვლილ სტილზე ალაპარაკდნენ, სააკაშვილ №2-ზე.
ვის მოუბრუნდა პირველად ენა სათქმელად ამის? ანუ ვინ თქვა პირველად „ფრენჩი“?
ამის გასარკვევად ჯერ ერთ ანეკდოტივით ამბავს გავიხსენებ,
სამამულო ომის დროინდელს. მოსახლეობა მაშინ ფრონტისთვის —
სახსრებს, ჯარისკაცებისთვის — ტანსაცმელს, საკვებს და ა.შ. აგროვებდა.
ამ კამპანიაში სკოლებიც იყვნენ ჩართული. თბილისის ერთ-ერთი ვაჟთა სკოლის
(გოგოები და ბიჭები მაშინ განცალკევებულად სწავლობდნენ) დირექტორი დამამთავრებელ
კლასში ტანსაცმლის შეგროვებაზე შეუდგა აგიტაციას.

უმნიფარი პრეზიდენტი, მოსალოდნელი სისხლისღვრა და თავში ჩარტყმული ლომაია

ეს დირექტორი მოსწავლეებს ცოტა აგდებული ჰყავდათ და ერთმა მოსწავლემ ჰკითხა:

— **„ფრენჩის“ მოტანა შეიძლება?** *(„ფრენჩი“ მაშინ მოდური ჩასაცმელი იყო, ელიტური).*

— შეიძლება.

მეორემ მხარი აუბა:

— **ორი „ფრენჩის“?**

— შეიძლება.

— **სამის?**

— **ოთხის?**

და სადღაც მეხუთეზე თუ მეექვსეზე დირექტორმა იაზრა და აყვირდა:

— ვინ თქვა პირველად „ფრენჩი“?

ახლა, მოდი, გავარკვიოთ, ვინ თქვა პირველად „ფრენჩი“, ანუ ვინ დაასკვნა: „სააკაშვილმა ამას წინათ გადასინჯა თავისი სტილი და გაჩნდა სააკაშვილი №2“.

„ფრენჩი“ — სააკაშვილი №2.

გაზეთი „Le temps“ დარწმუნებით ამბობს, რომ **„ფრენჩის“** ავტორობა ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **დენის მაკშეინს.**

ბატონ მაკშეინს წარბიც არ შეუხრია, ისე დაუწერია: **„მოვლენების ცენტრში მიხეილ სააკაშვილი, ფიგურაა, რომელმაც ამას წინათ (!) გადასინჯა თავისი სტილი. გაჩნდა სააკაშვილი-2“ (!)**

გაჩნდა, დაიბადა, ვაშა და კირიელეისონ!

როცა დაწყნარდებით, განაგრძეთ კითხვა: **„იგი საშუალებას აძლევს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, მოახდინონ ტელეარხების მონოპოლიზება“ (!).** ცხონებული აბონ ციციაშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, იტყოდა: **„დენის მაკშეინს გავახსენებ ქართულ ანდაზას — ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო...“** ან უფრო უარესს იტყოდა.

უარესი მაკშეინის „დასკვნებში“ აქ ნახეთ: **„იგი უკვე აღარ ლაპარაკობს ნატოში დაუყოვნებლივ შესვლაზე. მისი მხედველობა ძირითადად ფოკუსირებულია ევროპასა და ევროკავშირზე“... „ამჟამად სააკაშვილი იქცევა როგორც ტოლერანტული დემოკრატი“...** და ასე შემდეგ, ერთი მეორეზე უარესი აბდაუბდა.

კაცმა რომ თქვას, ვინ ეკითხება ამ მარკშეიდერს ჩვენი ამბების შეფასებას?! ეგ იგივეა, გიგა ბოკერიამ ინგლისელებს ელისაბედ მეორეს მმართველობის შუქჩრდილები გაურჩიოს.

მაგრამ დედოფალი ბოკერიასთან არ მივა, აი, სააკაშვილი კი მისულა აღსარების სათქმელად მინისტრის მოადგილე მაკშეინთან და შეუჩივლია თავისი უმწეო მდგომარეობის შესახებ, ხელმეორედ დაბადებაზეც ულაპარაკია — სასწაულებრივ ინკარნაციაზე: **„მან ჩემთან აღიარა,** — განაგრძობს მაკშეინი, — **რომ არ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას მანდატის გასვლის შემდეგ და შეცვლიდა კონსტიტუციას, რათა დარჩეს ხელისუფლებაში, როგორც ეს პუტინმა გააკეთა“.**

ამას უთქვამს, იმას დაუჯერებია ან თავი მოუჩვენებია, რომ სჯერა მისი, რადგან

ერთი სული ჰქონდა, მოეცილებინა მის მკერდზე თავმიდებული მოზლუქუნე მამაკაცი, რომელსაც ასეთ ნერვულ მდგომარეობაში შეეძლო, მაგრად დაელეჭა მისი ინგლისური ჰალსტუხი.

ტიროდა ნიანგი მარკშეიდერის მკერდზე ქნარივით „როგორც მინდა“ თავმიდებული და ცრემლების უხვ მდინარებას რუსეთის გინებას ჩაროზად აყოლებდა **(იხ. გაზეთი „Le temps“),** რადგან, ცნობილია, რომ ყველა დროსა და ეპოქაში რუსეთის ლანძღვა ინგლისელებს განსაკუთრებით სიამოვნებთ.

ამასობაში **„მოსკოვი საქართველოში მიმდინარე პროცესებს გაფაციცებით აკვირდება. ორ საუკუნეზე მეტხნიანი საერთო ისტორია და მის ტერიტორიაზე გავლენიანი ქართული დიასპორის (მილიონი ადამიანი) არსებობა რუსეთს საქართველოს მოსახლეობაზე გარკვეული გავლენის ბერკეტს ანიჭებს“,** — მნიშვნელოვან მინიშნებას აკეთებს შვეიცარიული გაზეთი „Tribune de Geneve“.

აქვე ერთი გადახვევა: **„რადიკალურ ოპოზიციას“ და, განსაკუთრებით, ნინო ბურჯანაძეს ხელისუფლება და პრეზიდენტი აუხირდნენ, გინდა თუ არა, რუსეთი გაფინანსებთო.**

რაღაც ვერ ვიხსენებ, რომ ფერად რევოლუციონერებს, მათ შორის, სააკაშვილსა და, თუნდაც, იგივე ბურჯანაძეს, ცხვირი აებზუათ ამერიკის, იგივე, სოროსის დოლარების შემოდინების გამო, რითაც უხვად არწყულებდნენ „კმარას“ და, კერძოდ, იმ დროს ჯერ კიდევ გაუფურჩქნელ ვარდის კოკორ თეა თუთბერიძეს.

ფულს სუნი არ უდის, დოლარს — განსაკუთრებით.

რეალიზმი, რომელიც ამ გაზეთის პოზიციის დამახასიათებელი ნიშანია, ნათლად გამოიკვეთა საქართველოში არსებული ვითარების ობიექტურ ანალიზში. **ჟან ფრანსუა ვერდონეს** აქ გამოქვეყნებული წერილი **„პრეზიდენტი სააკაშვილი მზარდი პროტესტის პირისპირ“** ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მზარდი პროტესტისო, — ხაზს უსვამს ავტორი. ნიჰილისტებმა უნდა მიაქციონ ამას ყურადღება, ნიჰილისტებმა არა მარტო ხალხის მასაში, არამედ ოპოზიციურ ხელმძღვანელობაშიც, რომლის (ნაწილის) გულგატეხილობა კონკრეტული პერსპექტივის უქონლობაში გამოიხატა. თუნდაც. რადგან არის სხვა მინუსიც, რომელიც ხელისუფლებას, კერძოდ, პრეზიდენტს გარკვეულ შანსს აძლევს — „საპროტესტო კამპანიის არათანმიმდევრულობაშია“. ეგებ, ლოგიკური დაუსრულებლობაც, — დავუმატოთ ჩვენ. თუ **„ქარიზმატული ლიდერის დეფიციტი“** დიდი უბედურება არ არის და ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვნის ძიებაში არ უნდა დავიხარჯოთ, მინიშნება იმაზე, რომ ოპოზიცია **„სახელმწიფოს მეთაურის სათანადოდ შეწუხებას ჯერ, როგორც ჩანს, ვერ ახერხებს“,** უდავოდ ყურადსაღებია.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს, **„რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების დამღუპველი გადაწყვეტილება მიიღო და დღეს საკუთარი შეცდომების საფასურს იმკის“,** მშვიდობიანი მმართველობის პერსპექტივა უდევს წინ. იგი იძულებულია, თანდათან დათმოს პოზიციები, ყოველ შემთხვევაში, როგორც გაზეთი წერს, **„მარცხით დასუსტებული პრეზიდენტი იძულებულია, თავისი მოწინააღმდეგეებისთვის გარანტიების მიცემის შთაბეჭდილება შექმნას“.**

არ ჯერა ხალხს ამ „გარანტიების“. ამიტომ იყო, რომ 26 მაისს „სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მოთხოვნით“ ათასობით ადამიანი მივიდა ეროვნულ სტადიონზე. **„2003 წელს, ვარდების რევოლუციის დროს, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის წინააღმდეგ თავად სააკაშვილი ვერ ახერხებდა ამდენი ადამიანის შეკრებას“,** — ამბობს **ჩარლზ იურჟევსკი,** პარიზის ენებისა და აღმოსავლური ცივილიზაციების ეროვნული ინსტიტუტის პროფესორი.

ეს კი ნიშნავს, რომ ამჟამად საპროტესტო მუხტი შეუდარებლად ძლიერია **„უმწიფარი ხელმძღვანელის“** წინააღმდეგ (**კარლ რადერი, „Tsneth Zurich“**).

უცხოელი ექსპერტების დაკვირვებით, **„კრიზისი საქართველოში დიდწილად (მაგრამ არა მთლიანად) ინდივიდუალური ფაქტორით იმართება, ანტაგონისტებით, რომლებიც ადრე რევოლუციის მოკავშირეები იყვნენ. იმ რევოლუციის, რომელსაც საქართველო კორუფციული, შეუმდგარი სახელმწიფოდან დემოკრატიის ოაზისად უნდა ექცია“.**

ოაზისი, რა თქმა უნდა, შეიქმნა — კეთილდღეობის ოაზისი მმართველი გუნდისთვის გაუდაბურებულ საქართველოში.

ეს ფაქტია, რომელიც ყველა რევოლუციისთვის დამახასიათებელია.

მაგრამ ქართული რეალობის უნიკალურობა ის არის, რომ აქ თავდაყირა დადგა ცნობილი დებულება — **„რევოლუცია ჭამს თავის შვილებს“.** „ვარდების რევოლუციას“ მისმა შვილებმა შეუტიეს: მის წინამძღოლს სააკაშვილს — **მისმა ყოფილმა მხარდამჭერებმა.**

ინდივიდუალური ფაქტორი გადამწყვეტი გახდა.

უცხოურმა პრესამ ეს პიროვნული დაპირისპირება „დაიჭირა“:

„**ნინო ბურჯანაძე,** — წერს „Tsneth Zurich“, — **პარლამენტის სპიკერი და ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, არცთუ დიდი ხნის წინათ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უახლოესი მრჩეველი იყო. დღეს ის აცხადებს, რომ თუკი ოპოზიცია დამარცხდება, საქართველო დიქტატურად გარდაიქმნება.**

სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოს გარეთ გაატარა და სააკაშვილის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრად იყო მოწვეული, ახლა მისი ყველაზე მწვავე ოპონენტია და მის გადადგომას მოითხოვს.

ირაკლი ალასანია სააკაშვილის ელჩი იყო გაეროში და ახლა ისიც ოპოზიციაშია“.

ამ დრამაში **„ორ კოლორიტულ ფიგურას გამოყოფენ: პრეზიდენტს და „სატელევიზიო გმირს, რომელიც ხელოვნურ საკანში ცხოვრობს პროოპოზიციური სატელევიზიო არხის „მაესტროს“ სტუდიაში.**

ამერიკელი მასაჟისტი ქალი დოროტი სტეინი, რომლის ფსევდონიმიც დოქტორ დოტია, აღფრთოვანებულია მიხეილ სააკაშვილთან ჩატარებული სეანსებით და მას **„დედამიწაზე ყველაზე ლამაზ პრეზიდენტად“** მოიხსენიებს.

ქართველ ამომრჩეველს კი დაუჩემებია: **„მიშა, ნადი!“**

მიშა წამსვლელი არ არის.

მაშ, რა?

„ცოტა ქართველი თუ ელოდება, რომ სააკაშვილი გადადგება. ასე რომ, გამოუვალი სიტუაცია კიდევ გაგრძელდება ღამის მიტინგებით, პოლიტიკური თეატრებითა და დროდადრო ძალადობრივი შეტაკებებით პოლიციასთან. ახალი სკანდალები აუცილებლად მოხდება და უფრო მეტი სისხლი დაიღვრება“.

ასეთ პერსპექტივას გვიქადის უცხოეთის პრესა. სამწუხაროა!

„ესო, — წერენ, — **რევოლუციის განვითარების პროცესს არ ჰგავს. არ ჰგავს არც ქმედით, ზრდასრულ საზოგადოებას“ („Tsneth Zurich“).**

ავტორიტეტიან ქვეყანაზე ასე არ ლაპარაკობენ.

ჩვენი ავტორიტეტის დაცემა საერთაშორისო ორგანიზაციებში ნახეთ. განსაკუთრებით, გაეროში, სადაც ჩვენმა სახელოვანმა წარმომადგენელმა, თბილისიდან ნიუ-იორკში ექსორიაქმნილმა განათლების ყოფილმა მინისტრმა ლომაიამ, ნაციონალების გუნდის ტრადიციის შესაბამისად, გენერალური მდივანი პან გი მუნი ლამის რუსეთის მიერ შეშინებულ ბიჭად წარმოადგინა.

ამ საერთაშორისო სკანდალის შესახებ ქართულ პრესაში ბევრი დაიწერა, ამიტომ მხოლოდ საინტერესო მომენტებს მივაქცევ თქვენს ყურადღებას.

ლომაიას, ეტყობა, ჰგონია, რომ გაეროს „ნაცმოძრაობა“ მართავს და იქაც გაუვა ისეთივე ცრუპენტელობა, როგორიც აქ ჩვევად ჰქონდა.

„Reuters“ წერს:

„აფხაზეთში გაეროს მისიის მუშაობის ვადა, რომელშიც 129 სამხედრო დამკვირვებელი და 16 პოლიციური მრჩეველი შედის, 15 ივნისს იწურება. უშიშროების საბჭომ ან ახალი რეზოლუცია უნდა მიიღოს, რომლითაც მისიას მანდატს გაუგრძელებს, ან უნდა გამოიყვანოს იგი აფხაზეთის ტერიტორიიდან.

„მათ (რუსებმა) უთხრეს მას (პან გი მუნს), რომ ამ რეზოლუციას ვეტოს დაადებდნენ“, — **განაცხადა ლომაიამ და წყაროდ გაეროს გენერალური სამდივნოს წარმომადგენელი დაიმოწმა, თუმცა მისი ვინაობის გამხელაზე უარი თქვა“.**

ასეთ ბაზრის ჭორიკანობას ვინ გაპატიებს გაეროში!

ამ სკანდალმა დაგვანახა, რომ გაეროში ჩვენს წარმომადგენლებთან არავითარ კონსულტაციებს არ ატარებენ იმ საკითხებთან დაკავშირებითაც კი, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხება. საერთოდ არაფერს ეკითხებიან.

ისღა აკლიათ, სანტექნიკოსების ჭკუაზე იარონ!

ამიტომ იყო, რომ ამასთან დაკავშირებით, როგორც ამათ უყვართ თქმა, პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში, პან გი მუნის კანცელარიამ (!) თავს უფლება მისცა, მკვახედ განეცხადებინა: **„გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია და არ მიიღებს არანაირ მითითებას არც ერთი სახელმწიფოსგან“.**

თავში ჩაარტყეს ლომაიას!

ჩვენ რა ხეირი?!

ლაშა გიორგიძე

ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲑᲐ ᲥᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ მკითხველო, 28 მაისს შსს ზონდერების მიერ მომიტინგეების დარბევის ფაქტი მერაბიშვილის კანტორამ უკუღმა შეატრიალა და ეკა ზღულაძის პირით გვაუწყა, რომ, თურმე, საწყალი, ნიღბიანი და ბოდი ბილდერივით დაკუნთული „პოლისმენები“ შსს ოპერატორს აგრესიული მომიტინგეებისაგან იცავდნენ, რადგან მათ „გავეშებულმა“ მომიტინგეთა ბრბომ შეუტია თურმე და ისინიც იძულებულნი გამხდარან, თავი დაეცვათ... მერაბიშვილის კანტორამ არათუ შავი თეთრად გაასაღა, უმალ მოქმედებაზე გადავიდა და მეორე დღესვე დააპატიმრა...
არა ნიღბიანი პოლიციელები, რომლებიც ხელკეტებითა და დანებით ასე მარჯვედ ოპერირებდნენ, არამედ — „გავეშებული“ მომიტინგეები კანონის დამცველების განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის.

მინდა, გითხრათ, რომ იმ საღამოს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა და „ზონდერების“ ნასროლი აგურის ნატეხიც ლაზათიანად მომხვდა ბეჭში. წესით, ნორმალურ სახელმწიფოში, სანამ „პოლიციელების განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის“ მომიტინგეებს დააკავებდნენ, სულ მცირე, ფორმალურად მაინც, უნდა დაეკითხათ თვითმხილველები და გაერკვიათ, ვინ ვის ურტყამდა, ვინ წამოიწყო მუშტიკრივი და ა.შ.

ნორმალურ ქვეყანაში ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ... მერაბიშვილის კანტორას თვითმხილველები რომ დაეკითხა, მაშინ ეკა ზღულაძის პირით გახმიანებული ვერსია საპნის ბუშტივით გასკდებოდა. ამიტომ, გახლდით რა ზემოაღნიშნული ფაქტის თვითმხილველი, პირნათლად ვიხდი ჩემს მოქალაქეობრივ ვალს და საჯაროდ ვიძლევი შემდეგ ჩვენებას:

...28 მაისს, ოპოზიციური მიტინგის დასრულების შემდეგ, პარლამენტის შენობის წინ პროტესტანტთა საკმაოდ ხალხმრავალი საზეიმო ღონისძიება დაიწყო. ოპოზიციის ლიდერებმა 26 მაისის საპროტესტო მსვლელობა რატომღაც ხელისუფლებაზე გამარჯვებად შეაფასეს და კონცერტიც ამ „გამარჯვებას“ მიუძღვნეს. სწორედ ამ დროს (როგორც მოგვიანებით ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა განმარტა) შინაგან საქმეთა სამინისტროში „სახალხო ზეიმის“ ჩაშლისა და პროტესტანტებისათვის „გრძელი ხელკეტების ღამის“ მოწყობის ოპერატიულ გეგმაზე ბჭობდნენ...

დაახლოებით ღამის ათ საათზე, ანუ კონცერტის დაწყებიდან ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ, ფურცელაძის ქუჩაზე (რომელიც პარლამენტის შენობის წინ რუსთაველის გამზირს უერთდება) „ზონდერბრიგადები“ ჯგუფებად შეიკრიბნენ. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილნი ხალხს შეერივნენ, თუმცა, მომიტინგეებს მათ ქცევაში საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ...

დაახლოებით ნახევარსაათიანი დაზვერვის შემდეგ „ზონდერები“ მოქმედებაზე გადავიდნენ — ნიღბები მოირგეს და ჯერ მათთან ყველაზე ახლოს მდგომ ახალგაზრდებს დაერივნენ და ხელკეტები დაუშინეს, ხოლო შემდეგ ელვისებურად შეუტიეს მომიტინგეთა ფართო მასას, რომელიც ფურცელაძის ქუჩის გასწვრივ იყო თავმოყრილი...

შეტევა ერთობ სწრაფი და კარგად ორგანიზებული აღმოჩნდა — მომიტინგეთა დიდი ნაწილი ნიღბიანთა მოულოდნელი თავდასხმით დაიბნა და პანიკაში ჩავარდა...

მიტინგი ქაოსად იქცა, ქვებითა და დროშის ტარებით შეიარაღებული დემონსტრანტები ყიჟინით მიიწევდნენ ფურცელაძის ქუჩისკენ, სადაც „ზონდერბრიგადები“ სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს...

როცა ქუჩის ჩასახვევთან შეკრებილმა დაახლოებით ორასამდე მომიტინგემ კონტრიერიში დაიწყო, ნიღბიანებს შეტევითი პოზიციიდან თავდაცვაზე გადასვლა მოუხდათ. რიცხობრივი უპირატესობა დემონსტრანტების მხარეს იყო და „ზონდერები“ შემოტევის მოგერიებას ველარ ახერხებდნენ.

საბოლოოდ, ხელჩართულ ბრძოლაში მომიტინგეებმა იმარჯვეს, ხანმოკლე დაპირისპირების შემდეგ სამოცდაათამდე ნიღბიანმა უკან-დახევა დაიწყო, რაც მალე მათ პანიკურ უკანსვლაში გადაიზარდა.

ამის შემდეგ არეულობა ჩაცხრა. ყველას ეგონა, რომ დაპირისპირება დამთავრდა, მაგრამ მოულოდნელად „ზონდერებმა“ შეტევა განაახლეს. ამჯერად მათ ხელკეტებთან ერთად დანებიც ჰქონდათ და რიცხობრივადაც უფრო მეტნი იყვნენ.

დემონსტრანტებმა მასობრივ შემოტევას ვერ გაუძლეს. ნიღბიანებმა სწრაფი იერიშით „მოწინააღმდეგის“ ბარიერები გაარღვიეს და უცებ მომიტინგეთა შუაგულში აღმოჩნდნენ. **ხალხის მასა ისევ პანიკამ მოიცვა, დანით შეიარაღებულ ნიღბიანებთან ახლოს ვერავინ მიდიოდა — ყველა გარბოდა. ვინც გაქცევას ვერ ახერხებდა, „ზონდერთა“ ხელკეტების „მსხვერპლი“ ხდებოდა, ხოლო გაქცეულს არანაკლებ „შთამბეჭდავი“ ლანძღვა-გინება მიჰყვებოდა უკან (როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ბილწსიტყვაობის კურსებს საგანგებოდ გადიან)...**

დარბევის დროს, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, ერთი კურიოზული ფაქტი მოხდა — როცა ნიღბიანებმა ფურცელაძის ქუჩისა და რუსთაველის გამზირის კუთხეში მდგომ რამდენიმე მომიტინგეს საგანგებოდ შეუტიეს,

ერთ-ერთმა დემონსტრანტმა (თავდაცვის მიზნით) ქუჩაში სასეირნოდ გამოყვანილი პიტბულის ჯიშის ძაღლი აუშვა და „ზონდერებისკენ“ „მიუთითა“, ძაღლიც ელვისებურად მოსწყდა ადგილს და წამში ერთ-ერთ ნიღბიანს ზურგზე შეახტა...

კარგა ხანს სასოწარკვეთილი დარბოდა პიტბულის ყბაში ჩავარდნილი „ზონდერი“, მერე კი ძირს დავარდა და სანამ „თანამებრძოლებმა“ ხელკეტები მიაშველეს და პიტბული უკუაქციეს, მიწაზე ფართხალებდა...

იმ ღამით არა ერთი მსგავსი კურიოზული ფაქტი მოხდა — **იყო შემთხვევები, როცა დემონსტრანტები შემთხვევით ერთმანეთს ურტყამდნენ და ქვებს უშენდნენ (მერე კი ერთმანეთს ბოდიშებს უხდიდნენ), მაგრამ კურიოზი და ანეკდოტი იქით იყოს...**

28 მაისის ხელკეტიანმა ღამემ კიდევ ერთხელ გააშიშვლა „ვარდოსანთა“ ხელისუფლება, კიდევ ერთხელ სამზეოზე დადო „ნაცმოელთა“ ჭეშმარიტი სახე და ნათლად დაგვანახა ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობა...

ცნობისთვის:

თბილისის მასშტაბით საპროტესტო აქციების დაწყებიდან (ანუ 9 აპრილიდან დღემდე) შინაგან საქმეთა სამინისტროს „ზონდერ-ბრიგადების“ მიერ მომიტინგეთა დარბევის ას ოცზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. თითოეული ფაქტი ხელისუფლებამ ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციის მცდელობად შეაფასა და არც ერთ მათგანზე გამოძიება არ დაწყებულა.

უფრო მეტიც, 28 მაისის ღამეს მომხდარი ინციდენტიდან ორი საათის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და განაცხადა: **დემონსტრანტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და დაპირისპირებაც ამას მოჰყვაო. პარალელურად, კადრებში ვითომ დემონსტრანტების მიერ დანით დაჭრილი პოლიციელები აჩვენეს, რომლებიც ასევე თავგამოდებით ირწმუნებოდნენ, რომ ჩხუბი მომიტინგეებმა დაიწყეს.**

მოკლედ, ქალბატონი ზღულაძე და მისი ზემდგომი თუ ქვემდგომი ჩინოვნიკები ლამის ტყავიდან გამოძვრნენ თავის მართლებით, თუმცა მათ მხედველობიდან ერთი რამ მაინც გამორჩათ — **კადრებში, რომელთაც სახელისუფლებო არხები („რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“) მთელი ღამე ატრიალებდნენ, ნათლად ჩანდა, რომ პოლიციელებად შერაცხილ „ზონდერებს“ სახეზე რატომღაც ნიღბები ეკეთათ (ანუ ყაჩაღებს ჰგავდნენ), ჩანდა დანებიც (რომელთა გამოყენებაც დემონსტრაციის დასაშლელად ასევე აკრძალულია). კადრებში ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ მუშტიკრივში სწორედ ნიღბიანები აქტიურობდნენ და არა მომიტინგეები, როგორც ამაში ქალბატონი ზღულაძე გვარწმუნებდა.**

ერთი სიტყვით, ქალბატონი ზღულაძე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თეთრს შავად წარმოგვიდგენდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეკრანზე ორივე ჩანდა — თეთრიც და შავიც...

სხვათა შორის, ეს კადრები იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა მერაბიშვილის უწყებამ, შეცდომით თუ უნებლიედ, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდა მაყურებელს...

ჩვენება დაწერილია ჩემ მიერ. ვადასტურებ და ხელს ვაწერ
Ჯ. ᲥᲕᲐᲜᲘᲐ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლევან ვეფხვაძე:

რა უნდა ირაკლი ალასანიას ამ გიჟებთან, რატომ დგას ნინოსთან ერთად მიტინგზე?!

საქართველოს პრეზიდენტს საკუთარი ხალხი, მომიტევეთ, მაგრამ „ფეხებზე რომ ჰკიდია“, ეს ყველაზე ნათლად დამოუკიდებლობის დღეს გამოჩნდა, როცა აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალის გახსნის შემდეგ ფეხბურთის საყურებლად რომში გაფრინდა და გაღიმებული დატოვა რკინიგზის რელსებზე ჩამომსხდარი ოპოზიცია. 26 მაისი ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ოპოზიციის ერთგვარ მარცხად შეაფასეს და აღიარეს, რომ მიშამ დასავლეთში ავტორიტეტი თითქმის დაიბრუნა. ვამბობთ თითქმის, რადგან, როგორც ჩანს, იმ დონეს ვერ მიაღწია, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის მისთვის ხელი ჩამოერთმია. საპრეზიდენტო ლოჟაში მიწვევაზე აღარაფერს ვამბობთ. თუ რატომ განიცადა ფიასკო ოპოზიციამ, ამის გარკვევას „ქრისტიან დემოკრატიული“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, ბატონ ლევან ვეფხვაძესთან შევეცადეთ.

ხელისუფლების წინააღმდეგ არა 300 000, არამედ 60-70 ათასი კაცი იყო შეკრებილი

— თითქმის ორი თვეა, ქვეყანაში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს, თქვენი აზრით, მან რაიმე შედეგი გამოიღო?

— ორი თვეა, მიმდინარეობს, მაგრამ განსაკუთრებული მხოლოდ ორი დღე იყო — 9 აპრილი და 26 მაისი, ამ პროცესის დასაწყისი და, ალბათ, ლოგიკური დასასრული, რადგან ახლო მომავალში არ მეგულება ისეთი თარიღი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ამდენი ხალხის შეკრება. ერთადერთი რიცხვი 7 აგვისტოა, მაგრამ იქამდე ჯერ დიდი დროა, თანაც აგვისტოში პოლიტიკა ნაკლებად აქტიურია. ოპოზიცია ყოველთვის ახდენდა გარკვეული რიცხვების ულტრირებას და იძახდა, რომ ქუჩაში 200-300 ათასი კაცი იყოო. 26 მაისმა დაგვანახა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ არა 300, არამედ 60-70 ათასი კაცი იყო შეკრებილი. საქართველოსთვის ეს ძალიან ბევრია, შესაბამისად პრეზიდენტი არ უნდა იყოს თვითკმაყოფილი.

— ამ აქციის შედეგს მხოლოდ ქუჩაში გამოსული ხალხის რაოდენობაში ხედავთ?

— მარტო ხალხის რაოდენობა, როგორც ჩანს, სააკაშვილისთვის გადამწყვეტი არაა და, თუ ვინმეს ილუზია ჰქონდა, რომ პრეზიდენტი ქუჩაში გამოსული ასი ათასი კაცის დანახვაზე თვითმფრინავში ჩაჯდებოდა და გაფრინდებოდა, გაუქარწყლდა. ამ აქციების ერთადერთი შედეგი ისაა, რომ თუ 9 აპრილამდე ხელისუფლება საერთოდ არ საუბრობდა საკონსტიტუციო კომისიაზე, დღეს უკვე მათი მხრიდანაა შემოთავაზება. ვიღაცეებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან ერთად ყოფნა მიუღებელია, მაგრამ სხვანაირად არ გამოვა. ზვიად გამსახურდიამ საბჭოთა არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და დაამარცხა კომუნისტური პარტია. ამჟამად ჩვენ არ გვაქვს სხვა გზა, უნდა ვითამაშოთ სააკაშვილის მოედანზე, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობას მეორე მხარემ ვერ დაუმტკიცა, რომ ის მასზე უკეთესი და გაწონასწორებულია.

— რატომ ვერ დაამტკიცა?

— აბა, მაჩვენეთ, რომელი ლიდერია სააკაშვილზე უფრო გაწონასწორებული? ეს ლიდერები უცხოელ დიპლომატებთან ისე საუბრობენ, რომ აღშფოთებული დიპლომატები გაკვირვებულნი რჩებიან, რამ გააგიჟა ეს ხალხიო?

— კონკრეტულად რომელმა პოლიტიკოსმა გადარია დიპლომატები?

— ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ.

— დღემდე ქალბატონი ნინო ყველაზე გაწონასწორებული ფიგურა გახლდათ ქართულ პოლიტიკაში, როგორ ფიქრობთ, რა დაემართა?

— ზუსტად მაგ კითხვას გვისვამენ ის უცხოელი დიპლომატები, რომლებიც ხვდებიან ამ ქალბატონს. გაკვირვებული დიპლომატები კითხულობენ, ბურჯანაძე წონასწორობის და ბალანსის სიმბოლო იყო, ახლა რამ გააგიჟა? პირადად მე ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. მიხეილ სააკაშვილი 4 თუ 5 წელია მართავს ქვეყანას ისე, რომ არავის აზრს არ ითვალისწინებს. ახლა მე მაინტერესებს, მისი ადგილი სხვამ რომ დაიკავოს, თუნდაც ნინო ბურჯანაძემ, იქნება ის ისეთი ხელისუფალი, რომელიც არ გაიმეორებს სააკაშვილის ქმედებებს? — ცხადია, პასუხი უარყოფითია.

— რატომ ფიქრობთ ასე? თქვენი აზრით, ნინო ბურჯანაძე რომში ფეხბურთის საყურებლად გაფრინდებოდა, როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია?

— შესაძლოა, ბურჯანაძე სააკაშვილივით რომში არ წავიდეს, მაგრამ მის მმართველობაში შერწყმული იქნება სააკაშვილის და შევარდნაძის — ამ ორი ხელისუფალის, ყველაზე ცუდი მხარე — ნათესაურ-კლანური და გუნდურ-კლანური ურთიერთობები. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქვეყნის სათავეში ბურჯანაძის მოსვლის შემდეგ ეს ქალბატონი თავად იქნება რეალური მმართველი, ძალიან ცდება, რადგან მაშინ საქართველო ბიწაძეების კლანის ხელში აღმოჩნდება ბატონი ბადრის მეთაურობით.

— ხელისუფლებამ თავად რატომ არ დადო კომპრომატები ბურჯანაძის წინააღმდეგ, როგორც ეს სხვა ჩინოვნიკების შემთხვევაში გააკეთა?

— ვისზე დადო?

— იგივე ირაკლი ოქრუაშვილზე.

— ოქრუაშვილის დასჯა საჯაროდ სჭირდებოდათ, რადგან მას ნინო ბურჯუნაძისგან განსხვავებით სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

— ბატონო ლევან, ამ აქციების ორგანიზატორი არა მხოლოდ ნინო ბურჯანაძეა, არამედ დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ალასანია... რატომ გაქვთ აქცენტი ქალბატონ ნინოზე?

— ალასანიას და ბურჯანაძეს ერთ სიბრტყეში ვერ განვიხილავ, რადგან ჩემთვის მისაღებია ალასანიას ზომიერება, რასაც უცხოელი დიპლომატებიც აღნიშნავენ. დიპლომატებს უკვირთ, ასეთი ჭკვიანი ადამიანი რატომ გაეხვია შარში და რა უნდა ირაკლი ალასანიას ამ გიჟებთან, რატომ დგას ნინოსთან ერთად მიტინგზე.

— თქვენ 26 მაისი ამ აქციების ერთგვარ ლოგიკურ დასასრულად გამოაცხადეთ. ეს თარიღი ხომ არ გახდა, მართლაც, ოპოზიციის მარცხის დღე?

— ოპოზიციის მარცხზე არ მინდა საუბარი, რადგან ეს პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა. არის ადამიანთა ძალიან დიდი ჯგუფი, რომლებსაც ეზიზღებათ სააკაშვილი და, შესაბამისად, ეს ადამიანები ვერ აორთქლდებიან ჰაერში.

— თუმცა ეს ადამიანები აღარ გამოდიან ქუჩაში.

— ამ ადამიანებში არსებული მუხტის რეალიზება ცალკე საკითხია, რადგან, თუ გახსოვთ, 26 მაისს ისმოდა ასეთი ფრაზები — „რამდენჯერ უნდა გამოგვიყვანოთ ქუჩაში“, „რამდენჯერ უნდა გვატაროთ აქეთ-იქით და არაფერი არ მოხდეს!“ რევოლუციით მოსვლის მსურველი ხელისუფლება ბრძოლის პროცესში მის წინამორბედზე უფრო სისხლისმსმელ ძალად ყალიბდება.

— გინდათ თქვათ, რომ ამ აქციების ორგანიზატორები სააკაშვილის ხელისუფლებაზე უარესები და სისხლისმსმელები არიან?

— არა. ამ აქციების შედეგად თუ რევოლუცია მოხდა, ხელისუფლებაში მოვა ყველაზე აგრესიული პიროვნება და გახდება ყველაზე პირსისხლიანი ძალა.

— ბატონო ლევან, თქვენი პარტია შექმნილ სიტუაციაში რაღაც ოქროს შუალედის ძიებითაა დაკავებული, რაც არ მოსწონს საზოგადოების დიდ ნაწილს, რის გამოც ხელისუფლების სატელიტ პარტიად გთვლიან...

— ჯერ ერთი, ვინ დაადგინა, რომ საზოგადოებას არ მოსწონს.

— ბოლო მოვლენებმა აჩვენა.

— რას ნიშნავს საზოგადოება ან ვინ დათვალა პროცენტულად?

— თუ გადიხართ ხალხში, ესაუბრებით მათ, აუცილებლად შეიტყობთ, რას ფიქრობენ თქვენს პარტიაზე.

— გააჩნია, ვისთან გახვალთ, თუ მიტინგზე მყოფ ხალხს გაესაუბრებით, ცხადია, ეს არის ადამიანთა ერთი ჯგუფი, რომელიც აგრესიულად არის განწყობილი არა მარტო ხელისუფლების მიმართ; თან, როგორც გატყობთ, სოციოლოგია, როგორც საგანი, არ იცით. სოციოლოგიაში არის შერჩევის სტატისტიკური მეთოდი და, თუ გინდა, გაიგო, რას ფიქრობს საშუალო ქართველი, უნდა მოახდინო სოციალური ჯგუფების ზუსტი შერჩევა.

— მაპატიეთ, მაგრამ რობიკო სტურუა, ოთარ მეღვინეთუხუცესი და ბევრი სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ამ აქციებს უჭერენ მხარს და ეს არ არის ის სოციალური ჯგუფი, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია?

— სწორედ მაგას ვამბობ, ეს არ არის საზოგადოება მთლიანად.

— ამას არც მე ვამბობ, თუ ვერ გაიგეთ, დავაკონკრეტებ – ეს არის საზოგადოების დიდი ნაწილი.

— ბევრი ჭკვიანი ადამიანი სწორად აფასებს სიტუაციას და ამბობს, რომ არავის აქვს უფლება, ილაპარაკოს ყველას სახელით, ამით ღუპავს ქვეყანას. ახლა ძალიან მარტივ მაგალითს გეტყვით, დავუშვათ, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ არჩევნებში მივიღეთ ხმების ოცი პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ მე მთლიანი მოსახლეობის ხმების ათი პროცენტი მივიღე, ანუ ყოველი ათი მოქალაქიდან ერთი მხარდამჭერი მყავს და 9 შეიძლება მაგინებს. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი პოზიცია არასწორია?

— მაინტერესებს, რატომ გთვლიან ხელისუფლების სატელიტ პარტიად, თქვენ კი კითხულობთ, ვინ დათვალა თქვენი ოპონენტები და როგორ დათვალა.

— ვარდების რევოლუციის დროს დავით გამყრელიძე და შალვა ნათელაშვილი ვერ გამოდიოდნენ ქუჩაში, რადგან იყო ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მათ მოღალატეებს ეძახდა. დღევანდელი გადასახედიდან ვისი პოზიციაა უფრო სწორი?

— თუ თვლით, რომ გამყრელიძე-ნათელაშვილის პოზიცია სწორია, რატომ არ აკეთებთ მკვეთრ განცხადებებს?

— ჩვენ ხელისუფლების პოლიტიკა არ მოგვწონს, მაგრამ არ გვინდა, ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ. ჩემთვის ნომერ პირველი ამოცანაა, გადავაყენოთ სააკაშვილი ისე, რომ არ დავაზარალოთ ქვეყანა. ემოციების პოზიციიდან კი შეიძლება ვინმეს მიშა-2-ად მოვეჩვენო. ამასთან, სააკაშვილი დღეს გაცილებით უფრო ძლიერია საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე ადრე იყო. მას შიდა ლეგიტიმაცია არ აინტერესებს. მის შიდა ლეგიტიმაციას ვანო მერაბიშვილი ჰქვია. ამ აქციების ფონზე კი უკვე გაჩნდა კვლევითი ცენტრების სტატიები, რომლებშიც სააკაშვილს, როგორც დადებით და პოზიტიურ მოვლენას, ისე ხატავენ, რადგან აგერ აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოსულ მოსახლეობას ტყვიები ესროლეს, სააკაშვილი კი დემოკრატიის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ვინ აქცია სააკაშვილი დადებით გმირად — ჩვენ, ქრისტიან-დემოკრატებმა თუ იმათ, ვინც ქუჩაში დგანან, თავისი ირაციონალური მოთხოვნებით?

— გაჩნდა მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო კომისიის შექმნით, ხელისუფლება იგებს დროს, რათა სააკაშვილმა მშვიდად დაასრულოს საპრეზიდენტო ვადა და შემდეგ პრემიერ-მინისტრად მოგვევლინოს, რაშიც თქვენც უწყობთ ხელს ამ კომისიაში ყოფნით...

— საკონსტიტუციო ცვლილებებით სააკაშვილს დროს არავინ უხანგრძლივებს. ეს აბსურდია, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებები არ ეწინააღმდეგება ადამიანების სურვილს, გადააყენონ სააკაშვილი. თუ ვინმეს შესწევს ძალა — ჰა ბურთი და მოედანი! რაც შეეხება სააკაშვილის პრემიერ-მინისტრობას, მას შეუძლია, საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე დანიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები, გაამარჯვებინოს გიგი უგულავას მერაბიშვილის დახმარებით და გახდეს პრემიერ-მინისტრი. ნებისმიერი მოდელი არის დაუცველი, თუკი არ ჩატარდა სამართლიანი არჩევნები.

— და სანამ ხელისუფლებაში არიან სააკაშვილი და მერაბიშვილი, რამდენად შესაძლებელია სამართლიანი არჩევნების ჩატარება?

— სანამ სააკაშვილია ხელისუფლებაში, ჩვენ შეიძლება, მხოლოდ რაღაც ფორმით მივუახლოვდეთ სამართლიან არჩევნებს.

თქვენი კითხვებიდან კარგად ჩანს, რომ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, სააკაშვილის ქუჩიდან გადაყენება.

— ყველა სიტყვაზე რომ კვერი დაგიკრათ და სულ დიახ, დიახ გეძახოთ, არ ვიქნები ტენდენციური?

— კი, ბატონო, ძალიან მარტივი პასუხი მაქვს. თუ ვინმეს შეუძლია მიშას გადაყენება, აგერ არის ბურთი და მოედანი, უბრალოდ, მეშინია, რომ ნაბან წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ.

ესაუბრა
ნათია ჟადაგიშვილი

აბა, მაჩვენეთ, რომელი ლიდერია სააკაშვილზე უფრო გაწონასწორებული? ეს ლიდერები უცხოელ დიპლომატებთან ისე საუბრობენ, რომ აღშფოთებული დიპლომატები გაკვირვებულნი რჩებიან, რამ გააგიჟა ეს ხალხიო?..

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

არნო ხიდირბეგიშვილი:

„მორგსა და რეანიმაციას შორის...“

„ვირტუალური პროექტი სახელწოდებით „თავისუფალი საქართველო“ ჩავარდა. ლიდერი გაკოტრდა, რეჟიმს კრიზისი ემუქრება, სიტუაცია დაძაბულია. რაც უფრო სწრაფად გაერკვევიან ჩვენი ამერიკელი პარტნიორები ამ საკითხში, მით უკეთესი იქნება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობისათვის“, — განაცხადა 2008 წლის 2 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ტელეარხ „Euronews“-თვის მიცემულ ინტერვიუში.

მას შემდეგ ცხრა თვე გავიდა, მაგრამ „ბავშვის“ დაბადებას საშველი არ დაადგა: საქართველო დღემდე იმყოფება სადღაც **„მორგსა და რეანიმაციას შორის“,** ხოლო მისი **„გული“** — დედაქალაქის ცენტრალური პროსპექტი — რკინის **„საკნებმა“** დაიპყრო, როგორც მათ ოპოზიცია უწოდებს აზრობრივი შინაარსის ხაზგასმით; ანდა **„გისოსებმა“,** როგორც მათ, ვიზუალური ფორმის გამო, პრეზიდენტმა სააკაშვილმა უწოდა... თუმცაღა, ლითონის კონსტრუქციებს, რომლებმაც თბილისში რუსთაველის პროსპექტი გატიხრა, მე **„საპაკანს“** დავარქმევდი, რაც ფორმითაც და შინაარსითაც უფრო ზუსტი იქნებოდა.

არადა, 2007 წლის 10 აგვისტოდან **მორგსა და რეანიმაციას შორის** (ცნობილი ქართველი მედიკოსის კლინიკაში — **„გული“**, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!) სამი თვე იარსება **არა ვირტუალურმა, არამედ რეალურმა პროექტმა „სვობოდნაია გრუზია“** — იქ გააგრძელა თავისი საქმიანობა 1922 წლის 20 ივნისიდან გამომავალმა ერთადერთმა საერთო ეროვნულმა რუსულენოვანმა ქართულმა გაზეთმა... შეგახსენებთ, რომ იმ ავადსახსენებელ **აგვისტოს** დღეს **(ეტყობა, ყველა კატაკლიზმი რუსეთსა და საქართველოში აგვისტოში ხდება!)**, დილის 5 საათზე, **ხელისუფლება** — ასობით შეიარაღებული პოლიციელის სახითა და ეკონომიკის სამინისტროსა და ქალაქის მერიის მაღალჩინოსანთა ხელმძღვანელობით — თბილისის ცენტრში გამომცემლობა „**სამშობლოს**“ შენობაში შეიჭრა და ქუჩაში გამოაძევა **„სვობოდნაია გრუზიას“** რედაქცია, სხვა მრავალი გაზეთისა და ჟურნალის რედაქციასთან ერთად...

თუმცა მაშინ „საპკანის“ ავტორებმა — ქართული ოპოზიციის ლიდერთა უმრავლესობამ, რომელიც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვის ჟურნალისტთა ხელშეუხებლობისა და მედიის თავისუფლებისთვის — ეს, უბრალოდ, ვერ „შეამჩნიეს,“ რაც გასაკვირი სულაც არ არის: მაშინ ისინი თავად წარმოადგენდნენ ხელისუფლებას! და განა ხელისუფლება საკუთარ თავს დასჯის?!

იქნებ, დღეს, როცა საქართველოში, აი, უკვე ორი თვეა, უმწვავესი კრიზისია და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თავად მისი არსებობა როგორც სუვერენული და ერთიანი სახელმწიფოსი, ამის გახსენება არც ღირდეს (მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობა „სამშობლოს“ დარბევის შემდეგ იქ მომუშავე 3 ათასი სპეციალისტის უმრავლესობამ, როგორც ჟურნალისტებმა, ისე სტამბისა და გამომცემლობების მაღალპროფესიონალმა მუშაკებმა, სამსახური ვერ იშოვა), რომ არა ერთი სავალალო ფაქტი: **ზემოხსენებული სადამსჯელო აქციაც ამერიკული ვირტუალური პროექტის „თავისუფალი საქართველოს“ შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც სულაც არ ითვალისწინებდა საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესის არსებობას!** ხოლო ზუსტად ერთი წლის თავზე — 2008 წლის 10 აგვისტოს — ამ შენობაში ცხინვალიდან დევნილი ქართველები შესახლდნენ. ამ ორ მოვლენას შორის საზარელი, მაგრამ კანონზომიერი კავშირია...

ახლა კი, ძვირფასო მკითხველებო, დროებით დავივიწყოთ პირადი სიმპათია-ანტიპათიები და ვუპასუხოთ კითხვას: **დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელმაც ყველა „საკანს“ წააწერა „CELL“ (ინგლისურად — საკანი), საქართველო „რეანიმაციაში“ და არა „მორგში“ მიჰყავს?!** აქ ერთნაირად იგულისხმებიან როგორც რადიკალები, რომლებსაც ხელისუფლება მთელი „საკნით“ სძულთ, ასევე ზომიერი პარტალიანსებიც მათი „lite“ ლიდერებით. **და განა დიდი განსხვავებაა ხელისუფლებასა და იმ ოპოზიციონერებს შორის, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მრავალათასიანი საპროტესტო აქციის მთავარ მიღწევად იმას მიიჩნევენ, რომ ეს დასავლეთმა გაიგო და ამის შესახებ დასავლური მედია ლაპარაკობდა?!**

განა ეს ის დასავლეთი არ არის, რომლის ელჩებიც საქართველოში ოპოზიციას დესტრუქციულ ძალად მიიჩნევენ და თავიანთ საჯარო გამოსვლებში მათ აშკარად მეამბოხეებსა და ლამის ბანდიტებსაც უწოდებენ?!

ელჩები, რომლებიც საქართველოში აშშ ელჩის ჯონ ტეფტის მეთაურობით თავხედდებიან და ქართველ ხალხს, ვისაც ორთვიანი პროტესტის განმავლობაში ერთი მინაც არ ჩაუმსხვრევია, დემოკრატიას ასწავლიან?!

განა ისინი იმ მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები არ არიან, რომელთა სამშობლოშიც მიტინგები იშვიათად გრძელდება ერთ დღეზე მეტხანს, მაგრამ ხშირად მოგვაგონებს 1942 წლის სტალინგრადს?!

ანდა იმ ამერიკისა, რომლის სახელმწიფო დეპარტამენტში არ მოიძებნა კაცი, „ჩატვირთვასა“ და „გადატვირთვას“ შორის განსხვავებას რომ ხედავდეს?!

2009 წლის 26 მაისს საქართველოში მიტინგით მთელი ოპოზიციის ლუსტრაცია მოხდა, რომლის უპირობო ლიდერადაც ქართველი ხალხი იქცა! — აი, რაში მდგომარეობს სინამდვილეში ამ დღის მთავარი მიღწევა! ბედის ირონიით, იმ დღეს განრისხებულმა უბრალო ხალხმა ოპოზიციისგან მოითხოვა **„საქმე ლაპარაკის ნაცვლად“** („ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო სლოგანი), რასაც ბოლო წლების განმავლობაში ხელისუფლებისგან ვერ ეღირსა... **ხოლო ოპოზიციას, რომელიც თავისი ელექტორატის მოთხოვნებს ვეღარ პასუხობდა, ალბათ, არც კი უეჭვია, რომ „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი იმ 80 ათასი მოქალაქის უმრავლესობა, თუ პრორუსული არა, აშკარად ანტიამერიკული და ანტინატოური საქართველოს საგარეო კურსის მტკიცე მომხრე იყო!**

გეკითხებით: **თუ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი, ოპოზიციის აზრით, პროამერიკული უნდა დარჩეს და მიმართული იყოს ნატოში საქართველოს გაწევრებისკენ, განა ოპოზიციას შეუძლია შესთავაზოს ხალხს იმაზე უკეთესი ხელისუფლება და უკეთესი პრეზიდენტი, ვიდრე მიხეილ სააკაშვილია?! „მიშა და ნინა — ერთი „მალინა!“** — კალამბურებით ოხუნჯობს ხალხი, რომელსაც ვერ გამოაპარებ, რომ მკაფიოობა და წესრიგი აკლია ოპოზიციის მოქმედებებსა და მოსაზრებებს, რომლებიც ზემოხსენებულ **„საკნებს“** თანდათანობით ჩვეულებრივ **საგნებს** ამსგავსებენ...

„საქართველოში ამერიკის სულიერ ძალმომრეობას ერთობ ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. არც კი ვიცი, კიდევ რომელ ქვეყანაში არ სურთ ასე ძლიერ ამერიკელებთან ყოფნა. ბოლო წლებში სავსებით თვალსაჩინო გახდა ქართველების, როგორც ერის, დეგრადაციის დასაწყისი კულტურული და ტრადიციული თვალსაზრისით. ყველა ერის უნიფიცირების სურვილმა, რომელიც გლობალიზაციის ამერიკულ პროექტში უმთავრესია, უკვე მიიყვანა ქართველი ხალხი იმ შეგნებამდე, რომ გლობალიზაციის ამერიკული პროექტის საქართველოში რეალიზაცია ჩვენი ერისთვის დამღუპველია...

როცა 8-10 წლის წინათ ვლაპარაკობდი, რომ ამერიკულ ფასეულობათა სისტემის დანერგვა დამღუპველია ერისთვის, რომ ამ შემთხვევაში არავითარ განვითარებას არ უნდა ველოდეთ, დამცინოდნენ, ამბობდნენ, რომ რუსეთის იდეების გამტარებელი და „კრემლის აგენტი“ ვარ (თითქოს იმ დროს კრემლი ან რუსეთი თვით რუსი ხალხის თვითიდენტურობის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, რომ აღარაფერი ვთქვა ქართველზე ან სხვა რომელიმე ერზე)...

ახლა სულ სხვაგვარი დამოკიდებულებაა პირადად ჩემდამი და ჩემ მიერ პროპაგანდირებული იდეებისადმი, რადგან ხალხმა დაინახა, რომ ეს სიმართლეა! უფრო მეტიც, ამაში თავად ამერიკელები დარწმუნდნენ. ისინი, რუსეთისგან განსხვავებით, სისტემატურად ატარებენ სოციოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოში და ხედავენ, რომ ამერიკის, როგორც რაღაც სულიერი ფასეულობების მატარებლის, რეიტინგი უდიდესი სისწრაფით ეცემა; რომ ქართველ ხალხს ეს, თურმე, სულაც არ სჭირდება!.. უფრო მეტიც, სწორედ იმიტომ, რომ ამას ასე მკაფიოდ და იძულებით ახვევდნენ თავს პატრიარქალურ ხალხს, ბევრის თვალში ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაციას იწვევდა“, — განა შეიძლება არ დაეთანხმო ჩემ მიერ ხშირად ციტირებულ საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის **ალექსანდრე ჭაჭიას** თვალსაზრისს (**«РБК daily**“-თვის მიცემული ინტერვიუ, 16.11.2005)?

„შეერთებული შტატების ადმინისტრაციას საქართველოს ხელისუფლების დიალოგი ოპოზიციასთან უალტერნატივოდ მიაჩნია... დემოკრატიის მშენებლობის პროცესი შესაძლებელია მხოლოდ დიალოგის პროცესში ყველა პოზიტიური ძალის მონაწილეობით... ჩვენ მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ინიციატივას, ასევე იმ წინადადებებს, რომლებიც ოპოზიციას შესთავაზეს“, — **ტეფტის ეს „ტუფტა“ საქართველოში აღარავის სჯერა. „ჟანრის კრიზისი“, ეტყობა, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტშიც იგრძნეს, სადაც უთუოდ ითვალისწინებენ იმას, რომ:**

რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის აშშ პრეზიდენტ ობამასთან წლეულს 6 ივლისის შეხვედრამდე მოსკოვში ერთი თვეღა რჩება და იმ დრომდე საქართველოს „შენარჩუნების“ შემთხვევაში, მოლაპარაკებებისას ამერიკას მაგიდის ქვეშ „წიხლის ჩასაზელი“ ექნება რუსეთისთვის, თანაც, — გარეგნული უშფოთველობის შენარჩუნებით;

ივლისშივე უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო კომისიის დასკვნა საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მიზეზების გამოძიებასთან დაკავშირებით ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით;

პრეზიდენტ სააკაშვილს ჯიუტი ხასიათი აქვს, ამიტომ 2013 წლამდე მისთვის მხარდაჭერა არარეალურია;

შტატებს სასიცოცხლოდ სჭირდება საქართველოში ეროვნული თანხმობის, თუნდაც, იმიტაცია პოსტსააკაშვილისეული პერიოდის შესამზადებლად (იმ ექვსთვიანი პოსტშევარდნაძისეული პერიოდის ანალოგიურად, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბერს ითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო შევარდნაძისგან სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის რევოლუციურმა „სამეულმა“).

და აი, სახელმწიფო დეპარტამენტისგან ინსტრუქციის მიღების შემდეგ არასაპარლამენტო ოპოზიციაში ამერიკის კაცმა, „სევდიანმა“ „lite“ ლიდერმა ალასანიამ, პარლამენტში ამერიკისავე კაცის — მჭევრმეტყველი და „მოქნილი“ თარგამაძის მიბაძვით დაიწყო „დიალოგი“ ხელისუფლებასთან, რათა ეს საქმე უხმაუროდ მოაგვაროს და „ხავერდოვნად“ მიიყვანოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე! სწორედ რომ საპარლამენტო არჩევნებამდე, რადგან აშშ, რომელიც ერთხელ უკვე გაწბილებული დარჩა არაპროგნოზირებად სააკაშვილთან, მომავალში საქმის დაჭერას პარლამენტთან (საპარლამენტო მმართველობასთან) ამჯობინებს, სადაც პარლამენტართა ჯგუფებზე ზეწოლა და მანევრირება უფრო იოლი და უსაფრთხო იქნება, ვიდრე შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვილი ერთი პრეზიდენტის დაშოშმინება.

„რადიკალები“ კი, ქალთა „ტრიოს“ — ბურჯანაძე-ზურაბიშვილი-ბესელიას ხელმძღვანელობით, შეეცდებიან „ელიტარული რევოლუციის“ („ვარდების რევოლუცია-2“) მოწყობას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ამჟამინდელ პოლიტელიტას „პოლიტბიუროს შვილები“ შეცვლიან, როგორც უკვე ვწერდი მიმდინარე წლის მარტის იმავე დასახელების პუბლიკაციაში: *„ჩვენი თანდაყოლილი მიმნდობელობისა და ემოციურობის, ხოლო ხშირად ჩვენი არაინფორმირებულობისა და დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოყენებით, პატრიოტულ გრძნობებზე ბინძური თამაშით (ყოველ ქართველში ხომ ზვიად გამსახურდიას ნაწილი ცოცხლობს!), კიდევ ერთხელ მოგვინოდებენ სავარძლების გადანაწილებაში დახმარებისკენ... დაიკვირდით: განა ისინი (და მათი შვილები) არ იყვნენ ხელისუფლების სათავეში ბოლო 20 წლის განმავლობაში?! რა მნიშვნელობა აქვს, რა ჰქვიათ დღეს — ხელისუფლება, ოპოზიცია, პოლიტოლოგები თუ ტელეწამყვანები, განა 5, 10, 20 წლის წინათ, ხელისუფლების სათავეში მოსვლისას, იმავე დღეს არ ავიწყდებოდათ ხალხი, ჯერ კიდევ საზეიმო ბანკეტამდე?! რა სიახლის შემოთავაზება შეუძლიათ და რატომ უნდა ვირწმუნოთ კვლავ მათი?!“*

თუმცა სხვაგვარად როგორ?! — წამოიზარდნენ შვილები და შვილიშვილები, მათთვის ადგილები უნდა უზრუნველყონ და „საქმე“, ანუ არგუნონ საქართველო მემკვიდრეობით (გაწაფულ მკითხველს არ სჭირდება იმის ახსნა, რომ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველასათვის ცნობილი ნაწილი, სოლიდური „ბონუსების“ სანაცვლოდ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა, ამ „საქმეს“ ლამაზად „შეფუთავს“ — ტყუილუბრალოდ ხომ არ არიან პოეტები, რეჟისორები, მუსიკოსები და მსახიობები...)!

მაგრამ თუ ოპოზიცია მორიგ ჯერზეც „ყალბ ნოტს ააჟღერებს“ და ცოცხალ კავშირს განყვეტს მომიტინგეებთან (როგორც ეს 26 მაისს მოხდა), სიტუაციაზე კონტ-

კოკო გამსახურდია:

ხაინდრავასა და გაჩეჩილაძეს კონიუნქტურის შეეშინდათ

სანამ ოპოზიციის ერთი ნაწილი საპარლამენტო რესპუბლიკაზე ოცნებით რუსთაველის გამზირის პიკეტირებას ახდენს, რუსეთში მოღვაწე ქართველი მილიონერი ალექსანდრე ებრალიძე მომავალ პრეზიდენტობაზე ოცნების კოშკებს აგებს. ის მიზნის მისაღწევად 200 მილიონის ჩადებას გეგმავს ქართულ პოლიტიკაში. რა თქმა უნდა, ეს ის თანხა არაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად გამოდგება. როგორც მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი, ბატონი თემურ შაშიაშვილი ამბობს, ეს თანხა საკმარისია, რომ ამ პერსონის კართან პოლიტიკური პარტიების დიდი რიგი დადგეს. მრავალი პოლიტიკოსი უარს არ იტყვის, აიღოს ფული, რათა იცხოვროს ფუფუნებით და იაროს ძვირადღირებული მანქანებით. „საქართველოში პოლიტიკა იქცა ბიზნესად, ყველა ბიზნესი გაჩერებულია და მხოლოდ პოლიტიკური ბიზნესი მუშაობს, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი. — უცხოეთში მცხოვრებ ბევრ ქართველ მილიონერს, დაფინანსებული ჰყავს ის პარტიები, რომლებიც დღეს ასპარეზზე არიან.“

ბათუმში გაზრდილი ალექსანდრე ებრალიძე ოცდაათი წელია, რუსეთში მოღვაწეობს და ბოლო დრომდე მისი სახელი მხოლოდ პიტერის კრიმინალურ წრეებში თუ იყო ცნობილი თიკუნით „ალიკ-ბაზარით“. ქართული საზოგადოება მისი პიროვნებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ვლადიმერ ხომერიკთან, ლევან პირველთან და ბადრი მელაძესთან ერთად დააფუძნა მსოფლიოს ქართველთა კონგრესი და ვენაში პირველი კონფერენციაც მოაწყო. აქედან მოყოლებული, ქართული ტელევიზიები, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი პიარით არიან დაკავებულნი და ზოგიერთი მაუწყებლობა დღის მთავარ გამოშვებას სწორედ ალექსანდრე ებრალიძის პიროვნებისადმი მიძღვნილი სიუჟეტით იწყებს.

„როგორც ჩანს, ხელისუფლებას აწყობს, მისგან ახალი იგორ გიორგაძე შექმნას. სააკაშვილისთვის დღეს კომპოტია იმ პიროვნების პროპაგანდა, რომელიც ლაპარაკობს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, — მიიჩნევს თემურ შაშიაშვილი და დასძენს: **— ალექსანდრე ებრალიძეს კონსტიტუცია წაკითხულიც არ აქვს, პოლიტიკის აზრზე არ არის, ორჯერ ნასამართლევია. მას არ იცნობენ პეტერბურგის ცნობილი თეატრების ხელმძღვანელები: ალისა ფრეინდლიხი, იური ალექსანდროვი, გერგიევი. რამდენი ხანია, თემურ ჩხეიძე პეტერბურგის ერთ-ერთ წამყვან თეატრს უდგას სათავეში და ეს პიროვნება მისი გაცნობით არც კი დაინტერესებულა.**

ამ ადამიანის მთავარი ჰობი შენობების ყიდვაა და ბოლო დროს შეიძინა შერემეტიევის სასახლე, რითაც ქართველ ხალხს რუსეთში კიდევ უფრო გაუფუჭა საქმე. მის მიმართ რუსები ზიზღს გრძნობენ და არცაა გასაკვირი. რომელიმე რუსმა დადიანების სასახლე რომ იყიდოს, რა განწყობა გვექნება მის მიმართ?“

სანამ ხელისუფლება ახალი გიორგაძის პორტრეტის შექმნითაა დაკავებული, ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები ებრალიძესთან კონტაქტებს ამყარებენ. მის გვერდით პირველად პარტია „თავისუფლების“ ლიდერი **კონსტანტინე გამსახურდია** და „მრეწველი“ **ზურაბ ტყემალაძე** გამოჩნდნენ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, რას ეძებდნენ აღნიშნული პიროვნებები ვენაში და რა იყო მათი მიზანი, როცა მსოფლიოს ქართველთა კონგრესში ალექსანდრე ებრალიძეს დაუმშვენეს გვერდი.

საკითხის უკეთ გასარკვევად კონსტანტინე გამსახურდიას დავუკავშირდით.

— ბატონო კონსტანტინე, თქვენ იმყოფებოდით ვენაში ე.წ. მსოფლიო ქართველთა კონგრესზე. რას ემსახურებოდა ეს შეხვედრა?

— შეხვედრის თემა იყო საქართველო სააკაშვილის შემდეგ და ჩატარდა იმ მიზნით, რომ მიწვეულ სტუმრებს გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, თუ როგორ წარმოუდგენიათ საქართველო მას მერე, რაც მიხეილ სააკაშვილი ჩამოშორდება ხელისუფლებას. აღნიშნული შეხვედრა ორგანიზებული იყო ავსტრიის პარტია „თავისუფლების“ მიერ და ესწრებოდა ამ პარტიის თავმჯდომარე, ავსტრიის პარლამენტის წევრი ჰანს-ქრისტიან შტრახე. აქ იყვნენ, აგრეთვე, ამ პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი და სტუმრები რუსეთიდან. ორი სხდომა გაიმართა და ორივეს მე ვხელმძღვანელობდი, რადგან მიმყავდა გერმანულ, ქართულ და რუსულ ენებზე.

— ავსტრიის მხარეს რა დაინტერესება აქვს, რომ მსგავს შეხვედრებს უწევს ორგანიზებას?

— მართალია, ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა, მაგრამ არ არის დაინტერესებული რუსეთთან კონფრონტაციითა და ცივი ომით, რაც მის უსაფრთხოებას და უშიშროებას ემუქრება. უკანასკნელ ხანებში ცხადი გახდა, რომ საქართველო ისეთი ტერიტორიაა, ისეთი რეგიონია, სადაც შესაძლოა, მოხდეს დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა შეჯახება. ავსტრიის მთავრობას კი, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნების დიდ უმრავლესობას, ხელს არ აძლევს ამ სახელმწიფოსთან კონფრონტაცია. მათ ურჩევნიათ, რუსეთთან გაარკვიონ ურთიერთობა, რადგან ევროპას პირდაპირი ინტერესი აქვს მისი ენერგომატარებლების მიმართ. ამასთან, უზარმაზარი ფული აქვთ ჩადებული რუსეთში (მათ შორის, ბევრ ავსტრიელს) და, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი და ევროპა გადავლენ ცივი ომის მდგომარეობაში, უდიდესი დანაკარგი ექნებათ. ამიტომ

დაპირისპირება არავისთვისაა ხელსაყრელი და მიხეილ სააკაშვილი გვატყუებდა, როცა გვეუბნებოდა, რომ ცხინვალის გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა. სწორედ ესაა ამ შეხვედრის მიზეზი.

— აღნიშნულ კონფერენციაზე მხოლოდ თქვენ და ზურაბ ტყემალაძე გამოჩნდით. კიდევ რომელი პოლიტიკოსები იყვნენ მიწვეულები?

— მიწვეულები იყვნენ ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა. თავდაპირველად დათანხმდნენ, მაგრამ ბოლო დღეს გადაიფიქრეს. როგორც ჩანს, ხაინდრავას და გაჩეჩილაძეს გარკვეული კონიუნქტურის შეეშინდათ.

— როგორც ცნობილია, ამ შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ, აგრეთვე, ლევან პირველი და ალექსანდრე ებრალიძე. ამან არ იმოქმედა თქვენს გადაწყვეტილებაზე?

— ლევან პირველი ვენაში ცხოვრობს. მას გარკვეული ურთიერთობები აქვს ამ პარტიის წევრებთან. რაც შეეხება ებრალიძეს, ჩემი ინფორმაციით, ის ისეთივე სტუმარი იყო, როგორც ყველა დანარჩენი.

— ლევან პირველი მკვლელობაშია ბრალდებული, ამასთან, როცა საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, ბევრით ვერაფრით დაამახსოვრა საზოგადოებას თავი და ამჟამად რამდენად შეუძლია, ვენიდან ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენას შეუწყოს ხელი?

— საქართველოში მომავალში უნდა იყოს დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც გაარკვევს ლევან პირველის ბრალეულობას და დარწმუნებული ვარ, თავისი ნებით წარდგება ამგვარი სასამართლოს წინაშე, რათა საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს. როგორც ვიცი, იგი არ აღიარებს ამ დანაშაულს.

— დამნაშავეთა უმრავლესობა არ ცნობს საკუთარ ბრალეულობას...

— სწორედ ამისთვის არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, რომ დაადგინოს სიმართლე.

— ალექსანდრე ებრალიძის შემთხვევაში გარკვეულია ყველაფერი, ის არ უარყოფს, რომ ორჯერ ნასამართლევია.

— დიახ, ამბობენ, მაგრამ ამ საქმეებს არ ვიცნობ.

— ბატონო კონსტანტინე, ამ პიროვნებას სურს, ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენას შეუწყოს ხელი და ფული ჩადოს ქართულ პოლიტიკაში, არ დაინტერესდით ვინაა, რას წარმოადგენს?

— ეს მისი საქმეა.

— თქვენ არ დაგაინტერესათ იმ პიროვნებამ, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე აპირებს გამოსვლას?

— მე არ მეტყობა დაინტერესება.

— ალექსანდრე ებრალიძე ღიად საუბრობს, რომ 200 მილიონის ჩადებას აპირებს პოლიტიკაში, არადა, ყველა პარტიას სჭირდება ფინანსური მხარდაჭერა. ცუდი რა არის იმაში, რომ რომელიმე ბიზნესმენმა, თუნდაც, ამ პიროვნებამ თქვენი პარტია დააფინანსოს?

— მე ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე, ის — საპრეზიდენტოსი. ამდენად, მე ეს საკითხი არ მაინტერესებს.

— მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვა გაქვთ, მან მაინც მიგიწვიათ კონფერენციაზე, რატომ?

— მე ასეთი შეკითხვები არ მიმაჩნია სერიოზულად და კორექტულად. სხვათა შორის, რაც შეეხება რუსულ ფულს, კარგი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილისთვის გეკითხათ, როგორ შეავსო კახა ბენდუქიძის საშუალებით საქართველოს ბიუჯეტი რუსული ფულით.

— ვენაში უკვე ორი კონფერენცია ჩატარდა. გარკვეულ შედეგზე თუ შეგიძლიათ საუბარი?

— შედეგზე საუბარი ძნელია.

— მაშ, რა აზრი აქვს ამ შეხვედრებს?

— ეს არის ერთგვარი დიალოგი, რომელსაც ავსტრია შუამავლობს, რადგან დღეს რუსეთ-საქართველოს შორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობს. ერთადერთი შედეგი ეს შეიძლება იყოს.

— ანუ აღდგეს ძველი ურთიერთობები?

— ადრინდელი ფორმატითა და დონით ვერ აღდგება, მაგრამ საჭიროა ურთიერთობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მაგალითად, ამ შეხვედრაზე მკაფიოდ აღვნიშნე, რომ ჩვენგან გამორიცხულია იმ ახალი რეალობების აღიარება, რომელიც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში შექმნა.

— ებრალიძემ რაზე ისაუბრა ამ შეხვედრაზე?

— მოკლე სიტყვა თქვა და, როგორც მახსოვს, არც ის იყო მზად ამ ახალი რეალობების აღიარებისთვის.

— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, რამდენად არის მზად, აკეთოს ქართული პოლიტიკა, მიუხედავად თავისი ქურდული წარსულისა?

— ყველას აქვს უფლება, თქვას, რომ სურს, ემსახუროს თავის ქვეყანას. ისე, ძალიან მაინტერესებს მისი პასუხები თქვენს კითხვებზე.

— მან არა ერთხელ ისაუბრა საკუთარ გეგმებზე და ღიად განაცხადა, რომ სურს საქართველოს პრეზიდენტობა.

— ბადრი პატარკაციშვილსაც შესაძლებლად მიაჩნდა საქართველოს პრეზიდენტობა, თუმცა, კარგად იცით, როგორ დასრულდა მისი სურვილი.

ესაუბრა
ნათია ქადაგიშვილი

როლს დაკარგავს: **მაშინ არა „ფერადების“ სტილის „ელიტური რეოლუცია“, არამედ სახალხო რევოლუცია მოხდება გარედან კარნახის გარეშე და მხოლოდ ქართველი ხალხის ხელმძღვანელობით!** რომელსაც, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ხალხს, აქვს არა მარტო სიბრძნე – ის საზარელია თავის მრისხანებაში, რასაც ბოლო წუთებამდე მისთვის დამახასიათებელი არტისტიზმით მალავს (ალბათ, ზედმეტია იმის დაზუსტება, რომ „ქართველი ხალხის“ ცნების ქვეშ იგულისხმება საქართველოს ყველა ძირეული მცხოვრები — ადამიანები, რომლებსაც ერთი და იგივე საკაცობრიობო ფასეულობები, ტრადიციები, კულტურა, ერთი და იგივე მორალური და ზნეობრივი პრინციპები აქვთ, მიუხედავად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა)...

ჰოდა, სწორედ ამის ეშინიათ ყველაზე მეტად ჯონტეფტებს, მეთიუბრაიზებსა და მაკეინებს!

ამიტომაც მკაცრად აუკრძალეს საქართველოს ხელისუფლებას მომიტინგეების დაშლა, რადგან ამ შემთხვევაში მათ შეიძლება რუსეთი დაეხმაროს, რომლის ტანკებიც თვალისდახამხამებაში გაივლიან თბილისამდე დარჩენილ 40 კილომეტრს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე (ის კი არა, შეიძლება მათ სტუმარმასპინძლობის ყოველგვარი წესების დაცვით, პურმარილითაც შეეგებონ).

ამიტომაც შეწყდა ყოველგვარი ამერიკული სამხედრო ექსპორტი საქართველოში:

ამიტომაც „შერბილდა“ ასე მკვეთრად ზემოხსენებული დასავლეთელი ელჩების მენტორული ტონი 26 მაისის შემდეგ;

ამიტომაც აიძულებენ საქართველოს ხელისუფლებას, მაქსიმალურად დაუთმოს ოპოზიციას: „მიეცით, თორემ უკითხავადაც აიღებენ!“ — თითქოსდა აფრთხილებენ და, ამავე დროს, ურჩევენ, სასწრაფოდ „გააღრმაონ“ ოპოზიციაში გაჩენილი „ბზარები“ — ერთთან დიალოგი გამართონ, მეორეს თანამდებობას შეჰპირდნენ, მესამეს — ფულს, მეოთხე რბილად „დატუქსონ“, ზოგიერთს კი „მათრახით“ დაემუქრონ...

იმიტომ, რომ არ შეიძლება სრულფასოვნად ჩაითვალოს ხელისუფლება, რომელიც უკვე ორი თვეა, პარლამენტში, სახელმწიფო კანცელარიასა და პრეზიდენტის რეზიდენციაში არ შედის; რომელიც უმწვავესი მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში, ქვეყანაში, რომელიც საერთაშორისო დახმარებებითა და რუსეთში ქართული დიასპორის ფულით სულდგმულობს, ბათუმში კოშკის — ცათამბჯენის აგებას აპირებს, საიდანაც მისივე „დოყლაპიობის“ გამო დაკარგული (ვიმედოვნებ, არა — სამუდამოდ!) აფხაზეთი „გამოჩნდება“...

P.S. როგორც ამბობენ, საქართველოში აშშ ელჩი ჯონ ტეფტი ამ დღეებში თანამდებობას დატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება. მინდა, წინასწარ ვუსურვო ახალ ელჩს, რომ საქართველოდან მისი წასვლის დროს ის უფრო დიდი სინანულით გავაცილოთ, ვიდრე ბატონი ტეფტი...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

შოთა გამყრელიძე:

დიდია ალბათობა, რომ მომიტინგეთა უმრავლესობას დეპრესია გაუჩნდეს

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო 50 წელიწადში თვითმკვლელთა რიცხვი 60%-ით გაიზარდა. სუიციდი ორი სახისაა: დასრულებული და დაუსრულებელი (ანუ თვითმკვლელობის მცდელობა). სტატისტიკურად, დაუსრულებელი სუიციდის რაოდენობა არასათანადოდაა შესწავლილი, რადგან ამგვარი შემთხვევები ხშირად იმალება ოჯახის ან თვით პიროვნების მიერ. ხოლო დაზარალებულთა რეგისტრაცია თვით სამედიცინო დაწესებულებებში ხშირად სხვა დიაგნოზით ხდება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, „ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების არარსებობა“. ამრიგად, ფსიქიკურ აშლილობათა მომატება, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორს. სპეციალისტთა გამოკვლევით, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რევოლუციებს, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს ადამიანებში დეპრესიის გავრცელება მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა თვითმკვლელობით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი. სუიციდურ ქცევათა შესახებ გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შოთა გამყრელიძე.

— ბატონო შოთა, რა უდევს საფუძვლად სუიციდური ქცევებისა და ექსცესების მომრავლებას საქართველოში? ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა; შევარდნაძის მთავრობაში უშიშროების საბჭოს მდივანმა საკუთარ კაბინეტში ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა; უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ გამოვლინდა ჯარისკაცთა სერიული თვითმკვლელობების ფაქტები; ახლახან პედაგოგმა ბანკის ვალების გამო თავი მოიკლა; ამავე მიზეზით ამაღლების დღეს კახეთში კაცმა ტყეში თავი დაიწვა... რით ახსნით ამ მოვლენებს?

— სუიციდოლოგია ფსიქიატრიაში, როგორც ცალკე მიმდინარეობა, სულ რაღაც 40 წელია, რაც ჩამოყალიბდა. ეს ფაქტი თავისთავად ცხადყოფს, რომ სუიციდური მოვლენები მომრავლდა და პრობლემად იქცა. ამის საფუძველი კი გახლავთ არსებული შეუსაბამობა ჩვენს სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის. დღევანდელ სიტუაციაში ადამიანი ვერ ახდენს საკუთარი უნარების რეალიზებას. მას ეუფლება იმედგაცრუება, სასოწარკვეთა და უუნარობის შეგრძნება. დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი შებოჭილობა კი მუდმივი წყაროა დეპრესიისა, რომელიც თანდათან ღრმავდება და მისი ფინალური სტადიაა სუიციდი. ამ ავადმყოფობის შეცნობა შემდეგი სიმპტომატიკით შეგიძლიათ: ადამიანს გუნება-განწყობა უქვეითდება, ხდება ნაღვლიანი, მელანქოლიური, კარგავს ფიზიკურ და ფსიქიკურ აქტივობას, ყოველგვარი ინტერესი უქრება ამქვეყნიურობის მიმართ, ყველაფერი ბეზრდება. გარკვეული დროის შემდეგ იფიტება, სავსებით კარგავს შრომისუნარიანობას, უჭმელობა თანდათან გადასდის ჭამის აღკვეთაში. ამ პროცესის თანამდევია შინაგანი ორგანოების სხვადასხვა სახის დაავადება და გადაგვარება. ბოლო სტადიაზე მიიღწევა კახექსია — უკიდურესი სიგამხდრე. შფოთვა, ძილის დარღვევა, იოლი დაღლა, ხშირია თავისა და ზურგის ტკივილი, სხეულის მასის კატასტროფული შემცირება, გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავი, ხდება აზროვნებისა და მეტყველების შენელება, ყურადღებისა და მეხსიერების დაქვეითება. ახასიათებს სეზონური გართულებები გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

რაც შეეხება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობას, მე ეს არ მჯერა, რადგან ზვიადი ღრმადმორწმუნე კაცი გახლდათ. რელიგია თავისი არსით შეუდარებელი ფსიქოთერაპიაა, შთაგონებით უდიდეს დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. გამოკვლევათა მიხედვით ცნობილია, რომ კუვეიტში ყველაზე რელიგიური მოსახლეობა ცხოვრობს და იქ თვითმკვლელობის ფაქტები თითქმის არ ხდება. რელიგიური რწმენა დეპრესიის განდევნის საშუალებაა, ამიტომ გაემართა ათეულობით ათასი მომიტინგე „დინამოდან“ სამების ტაძრისკენ. ამასთანავე, აპრობირებული მეთოდია დამქანცველი შრომა, მიზანდასახულობა. საზრუნავი დეპრესიას კურნავს. დღეს ფსიქოთერაპიის მრავალი მეთოდი არსებობს. ყველა ისინი შთაგონებაზეა დამყარებული. დიდი პოპულარობით სარგებლობდა შთაგონება ჰიპნოზით (ძილის ქვეშ). დღეს ექიმები ამგვარ თერაპიას აღარ მისდევენ, რადგან ეს პროცესი დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, ამდენად, მედიკამენტურ მკურნალობას არჩევენ, მაშინ, როცა ყველა ფსიქოტროპულ მედიკამენტს უკუჩვენება აქვს, ზომაზე მეტი დოზა კი ინტოქსიკაციურია (მომწამვლელი).

საერთოდ, არ შეიძლება, მაღალ თანამდებობაზე დაინიშნოს პიროვნება ფსიქიკური აშლილობით, ეს საშიშია არა მარტო პიროვნებისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც.

ასევე აუცილებელი უნდა იყოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულთა ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმებაც.

— ბატონო შოთა, არის თუ არა ეს დაავადება გენეტიკური, როგორი ტკივილები და შეგრძნებები აქვს ავადმყოფს?

— როდესაც ავადმყოფი ექიმთან მიდის დეპრესიის სიმპტომებით, ექიმი ცდილობს, დაადგინოს, ხომ არ იყო ვინმე მისი წინაპარი სისხლით ნათესავი დეპრესიით დაავადებული ან ვინმე მისიანს ხომ არ მოუკლავს თავი. მემკვიდრეობითობა ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს.

ძალზე ხშირია მასკირებული (ფარული) დეპრესიის შემთხვევები, რომლის დიაგნოსტიკა ურთულეს კლინიკურ ამოცანას წარმოადგენს. კლინიციტისტები დახმარების მიზნით საძილე პრეპარატებს ნიშნავენ, რაც უფრო ნიღბავს და აღრმავებს დეპრესიას. ბევრი სუიციდური ფაქტი სწორედ ძილის წამლების მოჭარბებული მიღებით ხორციელდება ხოლმე.

დეპრესირებული ადამიანი შინაგანად იტანჯება. არც ერთი ბიოტკივილი არ არის ამ სულიერ ტკივილზე მძიმე. ყველაზე დიდი ტრავმა მასთან შედარებით მსუბუქია. შეიძლება დეპრესიით დაავადებული მივიდეს ექიმთან კბილის ტკივილის ჩივილით; გასინჯავენ, მაგრამ კბილი ჯანმრთელია; მას კი აუტანელი ტკივილის ტანჯავს და, თანაც, იმ დონეზე, რომ ასეთ წამებას სიკვდილი ურჩევნია. ასეთ წუთებში ნუ ურჩევთ თავის ხელში აყვანას — ეს უსარგებლოა; ნუ გაიცხავთ პასიურობისთვის, ამით მის დეპრესიას გააღრმავებთ; ნუ აიძულებთ, გულის გადასაყოლებლად სადმე წავიდეს; გახსოვდეთ, საკუთარ თავს ვერ გაექცევა.

ჩემი პრაქტიკიდან მახსოვს ერთ-ერთი ცნობილი მწერლის ქალიშვილი. მის ტანჯვას მკურნალობამ ვერაფერი უშველა, ელექტროთერაპიაც კი ჩაუტარეს, მაგრამ — ამაოდ. მან რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა, ამ მიზნით თუჯის ღუმლის სახელურიც კი გადაყლაპა, მაგრამ ოპერაციით გადაარჩინეს. მის ოჯახს ჰქონდა საშუალება, მის მეთვალყურედ ორი მანდილოსანი დაექირავებინა. ისინი იდგნენ ავადმყოფის საწოლთან მარჯვნივ და მარცხნივ და მისი ხელები ეჭირათ, რათა რამე არ მოემოქმედებინა. ერთ დილით კი მკვდარი ნახეს. სუიციდით შეპყრობილმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ენა შეიჭამა, საკუთარი ენა დაღეჭა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც სუიციდით დაავადებულ დედას შვილები დაუხოცავს და თვითონაც თავი მოუკლავს.

სულ სხვაა მანიფესტური დეპრესია, როცა დაავადება აშკარა სიმპტომატიკით ხასიათდება, მაშინ დიაგნოსტიკაც გაადვილებულია და, შესაბამისად — მკურნალობაც.

— ბატონო შოთა, სუიციდი და მასთან დაკავშირებული ფსიქიკური დაავადებები განკურნებადია, რა არის საჭირო, რომ ადამიანები ამგვარ უბედურ ხვედრს ავაცილოთ?

— თვითმკვლელობისაკენ აკვიატებული ლტოლვა პიროვნულად ანადგურებს ადამიანს, საზოგადოებას კი თავზარს სცემს. ამ ტრაგიკული სენის აცილების უპირველეს და აუცილებელ პირობად საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების გაჯანსაღება მიმაჩნია. სუიციდი დეპრესიის გარეშე არ არსებობს. დეპრესია კი იმითაა გამოწვეული, რომ დღეს თანამედროვე ადამიანი არსებულ რეალობაში დასაყრდენსა და გამოსავალს ვერ პოულობს. ათასობით მოქალაქე ორი თვეა, ქუჩაში დგას და მათ არავინ გამოხმაურებია. დიდია ალბათობა, რომ მომიტინგეთა უმრავლესობას არსებულ ხელისუფალთა მხრიდან დაუფასებლობის ან შეუფასებლობის გამო დეპრესია გაუჩნდეს. არხეინ ადამიანებს ეს დაავადება არ ემუქრება. დეპრესია იმათ ემართებათ, ვისაც ანუხებს იდეები, თავისი ქვეყნისა და ერის ბედი, ფიქრი ადამიანთა სრულყოფაზე. დიახ, ეს უცნაური და, ერთი შეხედვით, სათაკილო დაავადება, კეთილშობილთა დაავადებაა. მას ინტელექტუალთა დაავადებასაც ეძახიან, რადგან დეპრესია იმათ აქვთ, ვისაც ინტელექტი აქვს. ბოლო წლებში ჩემთვის საგანგებო და საწყენია ის ფაქტი, რომ

ჩვენი საზოგადოება დასავლეთიდან უფრო მეტს ითვისებს იმას, რაც მანკიერია, რაც არაფრად ვარგა ზნეობის ასამაღლებლად. ზნეობის დაქვეითება, განათლების კლასიკური დონის არქონა კი საზოგადოებაში იწვევს მასობრივ დეპრესიას.

— ბატონო შოთა, ჩვენც ხომ არ გველოდება უახლოეს მომავალში მასობრივ დეპრესია, ამის ნიშნებს ხომ არ ამჩნევთ საზოგადოების განწყობაში?

— დღეს ჩვენთან სიტუაცია ძალიან კრიტიკულია. ხალხი უკმაყოფილოა არსებულით. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია. მიუხედავად აღნიშნულისა, დღეს სუიციდური მოვლენები არ იმატებს იმიტომ, რომ საზოგადოება გარკვეული მიზანდასახულობით მობილიზებულია. მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ ომებისა და კატაკლიზმების პერიოდში ფსიქიკური აშლილობების ფაქტები არ ფიქსირდება. როდესაც სიტუაცია ჩაცხრება და ყველაფერი ავად თუ კარგად დამთავრდება, მაშინვე მასობრივად თავს იჩენს ფარულად განვითარებული დეპრესიული სნეულებანი.

თავიდან რომ ავიცილოთ აღნიშნული ავადმყოფობა, საჭიროა პოლიტიკური და სოციალური გარემოს გაჯანსაღება, მედიის მიერ პრობლემების ობიექტური გაშუქება, სულიერი, რელიგიური ცხოვრება; სახელმწიფოს მიერ ძირითადი კონსტიტუციური უფლების — ანაზღაურებადი შრომის უფლების უზრუნველყოფა; პრობლემების გადაწყვეტისას მოყვასის თანადგომა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა. ყოველივე ამის ერთობლიობით და აუცილებლობის შემთხვევაში მედიკამენტოზური დახმარებით თავს დავაღწევთ ადამიანებში სულიერების მსხვრევის ფატალურ შედეგებს.

ესაუბრა
ლალი ბაშიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

განახლებული „დონ ჯოვანი“ ოპერაში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 9, 12, 22 ივნისს, 19 საათზე, წარმოგიდგენთ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერის „დონ ჯოვანის“ აღდგენილ-განახლებული ვერსიის პრემიერას.

ჯანსუღ კახიძის, მიხეილ თუმანიშვილის, იური გეგეშიძისა და იური ზარეცკისეული სპექტაკლი, რომლის პრემიერა 1983 წელს შედგა, აღადგინეს და განაახლეს დირიჟორმა გოგი ჭიჭინაძემ, რეჟისორმა ლელა გვარიშვილმა, მხატვარმა ნინო ჩიტაიშვილმა და ქორეოგრაფმა ჩუქურთმა გუდიაშვილმა.

„დონ ჯოვანის“ საპრემიერო სპექტაკლებს გოგი ჭიჭინაძის დირიჟორობით შეასრულებენ მომღერლები: ნიკოლოზ ლაგვილავა, მამუკა ტეფნაძე, ირინე რატიანი, მიშელინა ქობალიანი, ირინე თაბორიძე, ტარიელ ჭიჭინაძე, კახაბერ თეთვაძე, მაყვალა ასპანიძე, მანანა იორდანიშვილი, ლეგი იმედაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯიღაური, ბონდო გოგია, ნინო ჩაჩუა, მარიკა მაჩიტიძე, თეატრის გუნდი და ორკესტრი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

სალომეში ზნეობის დეფიციტია

ფსიქოლოგები აღიარებენ, რომ XXI საუკუნის ადამიანი სულიერი განვითარებით წინა თაობებს ბევრად ჩამორჩება. თანამედროვეებმა ცოტა რამ ვიცით სულიერი უნარების შესახებ, რის გამოც ჩვენი შესაძლებლობების ორ მესამედს ვერ ვიყენებთ. ამჯერად საუბარი გვექნება „საქართველოს გზის“ ლიდერზე სალომე ზურაბიშვილზე, რომლის ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.

— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით სალომე ზურაბიშვილის ფსიქიკის ძირითად შტრიხებზე?

— ქალის ფსიქოპორტრეტის განსაზღვრა უფრო ძნელია. ტრადიციულად ვეკრძალვი მანდილოსნებს, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, საფუძვლიანად ჩავწვდეთ ამ პოლიტიკოსი ქალბატონის სულიერ სამყაროს.

სალომე ზურაბიშვილი ზედმეტი ინდივიდუალობით გამოირჩევა. ინდივიდუალიზმი პიროვნული სიმწიფის მნიშვნელოვანი ატრიბუტია, მაგრამ „ზედმეტი“ უკვე ზომიერების დარღვევაა. თუ თვალს გადავავლებთ მის ბიოგრაფიას, მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებას, დავასკვნით, რომ მისი ფსიქიკური წყობა წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. მისი სიმტკიცე სიჯიუტეში გადადის, სითამამე — თავხედობაში, იუმორი — ცინიზმში. მოგიყვანთ მაგალითს: სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ ზურაბიშვილმა ოპოზიციური პარტიების ოფისები კარდაკარ დაიარა და ყველა ლიდერს სთხოვა სამპუნქტიან დოკუმენტზე ხელმოწერა. მისივე განმარტებით, მემორანდუმზე ხელმოწერა ტესტი უნდა ყოფილიყო ოპოზიციონერობასა და არაოპოზიციონერობაზე. ამგვარი ტესტირების ჩატარება მისი მხრიდან, მსუბუქად რომ ვთქვათ, უხერხული იყო, რადგან მას ოპოზიციური პარტიების კვლევისა და ანალიზისთვის არც გონებრივი სიღრმე გააჩნია და არც მორალური უფლება. ამგვარი მიდგომა კვლევისა რაღაც მისეულ ინტრიგას ემსახურებოდა და შინაგანად აგენტურული საქმიანობის იერიც დაჰკრავდა. ჩნდება კითხვა — ასეთი უხეირო თავდაჯერებულობით რატომ აიღო ხელში ამ საჩოთირო საკითხის კვლევა? მემორანდუმში მოგვიანებით მეოთხე პუნქტიც გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთის ღანძღვა-გინება ეკრძალებოდათ. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ

ქალბატონ სალომეს ეშინია, წარსულის ცოდვები ვინმეს არ წამოაძახოს, ცხოვრების შავი ლაქები — ტრადიციებისადმი და რელიგიური საკითხებისადმი გულგრილობა და უპატივცემულობა შვილის ნათლიის ცოლად გაყოლის ჩათვლით —

შარაგზაზე არ გამოფინოს.

როგორც ჩანს, ქალბატონ ზურაბიშვილს არ სურს, გაახსენონ, რა ძალითა და ენერგიით ებრძოდა ის და ჯანრი კაშია საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ან როგორ იქცა დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი სააკაშვილის მთავრობაში კარიერისტ საგარეო საქმეთა მინისტრად, სადაც ქართული მენტალობისთვის მიუღებელი ნორმებით მოღვაწეობდა — განდევნა პროფესიონალი კადრები, თვითონ კი ორმაგ ხელფასს იღებდა საფრანგეთიდანაც და საქართველოდანაც...

სალომე ზურაბიშვილის საქართველოში მოღვაწეობა მისი კარიერის დრამატულ ფინალად იქცა, თუმცა მისი ცნობილი ფრაზა — „ქაჯები კი არ მოდიან, მიდიან“ — ხალხმა აიტაცა, მაგრამ სალომეს ფსიქოსამყარო მოკლებულია შინაგან სიმართლეს, ჰარმონიას, ამიტომ, რაც უფრო აქტიურად და ღრმად ებმება მიმდინარე მოვლენებში, უფრო მეტად კარგავს სულიერ მთლიანობას. ფსიქოანალიზისთვის ბევრის მთქმელია თვით სალომეს პოზიცია ერთმანეთის ღანძღვა-გინებასთან დაკავშირებით — „ერთმანეთის კრიტიკის დრო დადგება მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილს საერთო ძალით ჩამოვაცილებთ ხელისუფლებას და საპრეზიდენტო სკამისთვის თავად დავინყებთ ბრძოლას“. ეს კი ცხადად და ცალსახად ამტკიცებს, რომ ოპოზიციის დღევანდელი ერთობა ხელოვნურია და იმ მგელთა ხროვას ჰგავს, რომელიც დაუძლურებულ ტოტიას შეჭმას უპირებს, ხოლო შემდეგ, მგლური კანონის თანახმად, ერთმანეთს დაერევიან. დიახ, სალომეს ეს სიტყვები არის საკუთარი, სუბიექტური, სულიერი სინამდვილის სიტყვიერი გადმოცემა. ღანძღვა-გინებაზე გადასვლის ნებართვა კი ვიწრო მიზნების პროლოგია, რითაც იხსნება სალომეს მიზნობრივი რაობა პოლიტიკურ სარბიელზე, ანუ ხელისუფლების დაუფლება და კონკურენტთა დაძლევის მიზანსწრაფვა. ამ დასკვნას განამტკიცებს სალომეს დამოკიდებულება კოდექსისა და ადმინისტრაციის შეცვლის საკითხთან: — „ჩვენი მთავარი პრობლემა არ არის კოდექსისა და ადმინისტრაციის შეცვლა, შეგვიძლია, ჩავატაროთ არჩევნები ამ კანონმდებლობით, თუ სააკაშვილი და მერაბიშვილი აღარ იქნებიან“. მის მიერ შემოთავაზებული სქემა საშიშია, იგი სათავეშივე დებს შეცდომათა დიდ ალბათობას და ხაზს უსვამს თავისი ფსიქიკის კიდევ ერთ მთავარ შტრიხს — ზერელობას, უპასუხისმგებლობას მომავალზე, სიბრძნის ცოდნისა და გონიერი უნარების ნაკლოვანებას და რაციონალური საწყისის უქონლობას, რაც პიროვნული სიმწიფის უპირველესი ნიშანია.

— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით მის თავდაცვისუნარიანობაზე, არის ძლიერი ოპონენტი?

— ის შემტევი და მებრძოლი ბუნების ქალბატონია. მას ახასიათებს დაპირისპირება ირონიული კადნიერებით, რაც მისი ფსიქოპორტრეტის მახასიათებელი შტრიხია. ის ამბობს: — „წავიდნენ ლაშა ბუღაძეები და ვიღაცები დიალოგზე, მაგრამ არა ჩემი და ხალხის მანდატით“. დაუკვირდით წყობას: ჯერ „ჩემი“ და მერე — „ხალხის“. ნათელია: მასში „ეგო“ ხალხის ინტერესებზე მაღლა დგას. დასტურად სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, სადაც მისი ცინიზმის ხარისხი და პოლიტიკურ ძალებთან უპირატესობის შეგრძნების საზოგადოებაზე განვრცობის მცდელობაც იკვეთება. განა გუშინ არ გადმოხტა პრეზიდენტის ნავიდან? ვინმეს ასეთი რიხით რომ უკიჟინო, ამ უფლებას მოპოვება უნდა ან შუბლის ძარღვის უქონლობა. ამ კიჟინით მას სურს, სახელისუფლებო ძალებიდან იზოლირებულად მოიაზრებოდეს. თავგამოდებული ოპოზიციონერობის მიუხედავად, იცის, ჯერ კიდევ მოკლებულია ამ ელფერს. ამის მიღწევას კი საკმაოდ მარტივი მეთოდებით ცდილობს, რადგან გონებრივი უნარების სისუსტე ხელს უშლის, ეს ყველაფერი სხვადასხვა ვარიაციით მოახერხოს. ესწრაფვის, იყოს ორიგინალური, გამორჩეული, გავლენიანი და შთაბეჭდილების მომხდენი, ესწრაფვის პირველობას... ამბიციურია, პატივმოყვარე, საკუთარ შესაძლებლობებზე გაზვიადებული წარმოდგენა მისი ნატურის განუყოფელი ნაწილია. სურს არისტოკრატიზმითა და დახვეწილობით გამოირჩეოდეს, რაშიც ხელს უშლის პლებეური სული.

თავდაცვის მისეულ პოზიციაში ვლინდება დაპირისპირებული მხარისადმი შური. მისი შეფასებები მძაფრ, შინაგან აგრესიას ავლენს, ისინი ქვეცნობიერიდანაა ნაკარნახევი და მის სულიერებაში დაბუდებული. შიგნიდან გამოპარული შური და აგრესია იმითაა მოტივირებული, რომ რასაც სხვებს უწილადებენ, მას მხოლოდ თავისთვის უნდა. შური მასში სხვა მდაბალ მრავალ გრძნობას უხსნის კარს. როდესაც ეკითხებიან, თუ ვინ იქნება გამოკვეთილი საპრეზიდენტო კანდიდატი — ბურჯანაძე თუ გაჩეჩილაძე? — მის პასუხს აშკარად ეუფლება რისხვა — „არც — ბურჯანაძე და არც — გაჩეჩილაძე... რადგან მე საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ ვმონაწილეობ, შეიძლება საზოგადოებიდან დავასახელო კანდიდატი“. ბევრი გრძნობა დროებითი და წარმავალია, მაგრამ შური ყველაზე ხანგრძლივია. მისი გაღიზიანებული პატივმოყვარეობა და ავადმყოფური თავმოყვარეობა აშკარად მიისწრაფვის უპირატესობისაკენ, ხოლო ქედმაღლობა გადაზრდილია გაფუებულ, ფუჭ ამპარტავნებაში, რითაც შეგნებულად მალავს შინაგან სულიერ სიცარიელეს. ძალიან „პატარა“ და გულნამცეცაა, არ ჰყოფნის სულიერი სიმაღლე, დაპირისპირებულს სულგრძელობით უპასუხოს; პირიქით — „გადასროლილ ანკესს ყლაპავს“ და შინაგანი ამბოხით თავის თავს აძლევს უპირატესობას. სალომე ზურაბიშვილი ფსიქიკური სტრუქტურით ძალიან ჰგავს ირაკლი ოქრუაშვილს. ასეთ მსგავსებას სულიერ ნათესაობასაც უწოდებენ, ამიტომაც იმედოვნებს: — „ოქრუაშვილის ჩამოსვლა გააწონასწორებს სიტუაციას და ოპოზიციაში ორი კი არა, როგორც მინიმუმ, ოთხი პოლუსი იქნება“...

— ბატონო ზურაბ, რით ახსნით სალომე ზურაბიშვილის რეაქციას პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ — პირდაპირი და პრინციპული იყო?

— სალომე ზურაბიშვილი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა დიალოგს და აცხადებდა: — „როგორც დიპლომატს, დიალოგის არსსა და მნიშვნელობას ვერავინ მასწავლის, მაგრამ პრეზიდენტთან დიალოგი შეუძლებელია“... თანაც, მკაცრად უმასპინძლდებოდა დიალოგის მომხრეთა რჩევებს და აი, უცებ წავიდა დიალოგზე, როცა ნინო ბურჯანაძემ ამ მხრივ შესაშური სიმტკიცე გამოიჩინა.

სალომეს განვლილ გზას თუ ყურადღებით გადავხედავთ, წინააღმდეგობრივი ცვლილებები მისი ფსიქიკის მუდმივი თანმხლებია და გვიდასტურებს, რომ ამ პიროვნებაში არ არის ნებელობის სიმტკიცე, რის გარეშეც სუბიექტი ვერც პირდაპირი იქნება და ვერც პრინციპული. ამ ინდივიდში გონებრივ უნარებსა და ნებელობის სიმტკიცეზე მაღლა დგას ვნებანი, რომელთა სიმძაფრეც ჩრდილავს ყველა დანარჩენს და უკუაგდებს.

ასეთი რადიკალური ცვლილებების გამო ადამიანი, მით უმეტეს, პოლიტიკოსი, კარგავს თავის ფასს. სიმტკიცის გარეშე პოლიტიკოსის სულიერი უნარები და გონებრივი შესაძლებლობები ვერ შეძლებს საჭირბოროტო პრობლემებზე მობილიზებასა და დაძაბულ რუდუნებას რაიმეს მისაღწევად. მიტინგების წარმართვის ძალისხმევით მას სურს იმიჯის განმტკიცება, მაგრამ ამით დიქტატორულ ხასიათს უფრო ავლენს, ამიტომ მისი რეიტინგი აღარ იზრდება და მოვლენების ცენტრში ყოფნის ამბიციური პრეტენზიულობა შემაწუხებელი ხდება საღად მოაზროვნე საზოგადოებისთვის.

— ბატონო ზურაბ, ქალბატონი სალომე საარაკო გამძლეობას ამჟღავნებს, ამასთან, მისმა აქტიურობამ ბოლო ორ თვეში სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია, განა ეს ცოტაა?

— დიახ, ცოტაა, მას არ შეუძლია მოვლენების ობიექტურად შეფასება, ფაქტების კონსტატაცია, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა, დანაწევრებული მეტყველება აქვს, მოკლებულია ანალიტიკურ აზროვნებას... ამიტომ მისი გამოსვლები, ინტერვიუები და მსჯელობები ჭორაობას ჰგავს. წარმოგიდგენთ ამონაწერებს მისი გამოსვლებიდან: — „ახლა ამბობენ, მიშა ეს არის, მიშა ის არის... უკვე არმოწონებაზე აღარაა ლაპარაკი, რასაც აქ ამბობენ ჭორების დონეზე... მოსულია ხმები, რომ არათუ აფასებენ ევროპის მიერ გაწეულ დახმარებას, არამედ დაცინვით ამბობენ — რა გააკეთა ევროპამ?..“

ბენდუქიძის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი მეორე ადგილზეა ჟურნალისტებთან სიტყვიერი დაპირისპირების მხრივ. ესეც შინაგანი, სულიერი უნარების კონფლიქტის შედეგია. თავის თავზე ნარცისივით შეყვარებულს სურს, ყველა სიტუაციაში წამყვანი ფიგურა იყოს და მის დაკრულზე ცეკვავდნენ. სალომეს პიროვნებაში საბედისწერო შერწყმაა: ღრმა ეგოიზმი, მგზნებარე ტემპერამენტი და ალოგიკური განუსჯელობა. მისი დღევანდელი საარაკო გამძლეობა და სარეკორდო აქტიურობა განპირობებულია ძლიერი ვნებით, რაც შეიძლება სწრაფად მონახოს თავისი ფუნქცია და საჭირო ადამიანი გახდეს, მოიპოვოს პოპულარობა. ის გამსჭვალულია ძლიერი სურვილით, დაწყებული საქმე ფინალამდე იმგვარად მიიყვანოს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, არ უნდა მისი ძალისხმევით სხვებმა ისარგებლონ, წინააღმდეგობრივი ხასიათისა და მგზნებარე ტემპერამენტის გამო საშიში და დაუნდობელია მოწინააღმდეგის როლში. ცილობა, ჯიბრი, ჩაძირვა მისი სტიქიაა, მაგრამ მიზნის მიღწევაში ალოგიკურობა და ზერელობა ხელს უშლის. ზურაბიშვილის მარცხს ისიც განაპირობებს, რომ სულიერება ნეგატიური და აგრესიული მუხტითაა სავსე, არადა, თავგამოდებით იბრძვის, მაგრამ სალომეში ზნეობისა და კეთილგონიერების დეფიციტია. მისი გონებრივი უნარები ლოგიკის ფარგლებს არღვევს და საბოლოო ფინიშამდე ვერ აღწევს.

26 მაისს, როცა ქალბატონი სალომე 100-ათასიანი აუდიტორიის წინ სიტყვით გამოდიოდა, თითქმის აკვიატებულად ხშირად იმეორებდა სიტყვას „დავიბრუნებთ“. ეს არ იყო გამოწვეული მისი ლექსიკის სიმწირით. ჩემი პროფესიული ხედვით, ეს სიტყვა მას ქვეცნობიერმა უკარნახა, რადგან ღრმად აეკვიატა ფიქრები — „მე დავიბრუნებ ძალაუფლებას“... ამიტომ იბრძვის თავგადაკლული, თორემ სალომე 9 აპრილის კომიტეტის წევრიც კი არაა.

იმდენად ძლიერი ვნებითაა შეპყრობილი, რომ ხმამაღლა აცხადებს: — „დარწმუნებული ვარ, თუ დაგვჭირდა, ექვს თვესაც გავძლებთ“. ამ შეუპოვრობას ძალას აძლევს არსებულ ხელისუფლებაზე შურისძიების სურვილი, დაგროვილი ბოღმა და ღრმად შეურაცხყოფილი ქალის დაჭრილი პატივმოყვარეობა, სამაგიეროს გადახდის სიშლეგე, რომლისთვისაც საკმაოდ ვერაგულად ირჯება.

ფსიქოლოგიური განმარტებით, ხშირად კნინობითი სულიერების მატარებელ არსებებში შურისძიებით გამოწვეული განწყობილება გადადის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველ ენერგიულ აფეთქებებში. ამდენად, პიროვნება საოცრად აქტიურ, ცხოველმყოფელ ხასიათს იძენს.

ასე რომ,

ქალბატონი სალომეს ბარიკადებზე დგომა განპირობებულია შეზღუდული ეგოცენტრიზმით და მის მდაბალ მიზნებს საერთო არაფერი აქვს იდეებთან, ხალხისა და ქვეყნის ინტერესებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი სალომე დიდად არაფრით განსხვავდება იმ უმრავლესობისგან, ვის გვერდითაც დგას ეჭვითა და შურით აღშფოთებული მოუსვენრობითა და ურწმუნო გულით. ის ჩვენი ეპოქის ფსიქოტიპია, განიცდის სულიერ გაორებას, რომელიც ჩვენი დროის ტიპური მოვლენაა.

სამწუხაროდ, ამგვარ ფსიქოტიპებს ხშირად მხოლოდ უარყოფითი მისიის შესრულება შეუძლიათ.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ქართულად დამტკიცებული ბერძნული სიმართლე

37 საუკუნის წინანდელი ენიგმატური ფესტოსის დისკო, რომელიც 1908 წელს აღმოაჩინეს კუნძულ კრეტაზე, დღემდე მეცნიერთა თავსატეხად იქცა. ქართველმა მკვლევარმა გია კვაშილავამ მათემატიკური განათლებით, მდიდარი წარმოსახვითა და ლოგიკური აზროვნებით შეძლო ალგორითმის შექმნა, რასაც 17 წლის უწყვეტი შრომა მიუძღვნა. მან ამ დროში, როგორც პროფესორი მარიკა ჯიქია აღნიშნავს, აითვისა არეალით მოტივირებული ყველა დამწერლობითი სისტემა და შტუდირების წესით გაეცნო დიდძალ სპეციალურ ლიტერატურას.

ჯლიაკოს ალექსიოსი და გია კვაშილავა

„საქართველო და მსოფლიო“ უკვე იუწყებოდა გია კვაშილავას მიგნებისა და იმის შესახებ, რომ მან შეძლო ცალ-ცალკე ნახატ-ნიშნების მორფოლოგიური ღირებულების მარცვლოვანი წაკითხვა, შეაჯამა დისკოს ორივე მხარის შინაარსი და ლონდონის კონფერენციას წარუდგინა მოხსენება „ფესტოსის დისკოს — კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის — გაშიფვრა“ (ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ მის შესახებ, ჟურნალ „მინერვას“ გარდა, ასევე იუწყებოდნენ ამერიკის ფილოლოგიური ასოციაცია, ბრიტანეთის ეპიგრაფიკის საზოგადოება, აღმოსავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტის ლინგვისტური საიტი და გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“). აღვნიშნეთ ისიც, რომ ქართველი მკვლევარის ამ აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა მთელი 100 წლის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ნაღვაწი.

ბატონმა გია კვაშილავამ მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის — ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ფონეტიკური გაშიფვრის დროს ისინი შეადარა სხვა დამწერლობების ნიშნებს (მაგალითად, ეგვიპტურ და ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფებს, პროტო-სინაიტურ კონსონანტურ გრაფემებს, B-ხაზოვანი/მიკენური-ბერძნული და მონათესავე C-ხაზოვანი/კვიპროსული დამწერლობების სილაბოგრამებს) და მათ ფონეტიკურ მახასიათებლებს.

კვლევის მეთოდები, რომლითაც მკვლევარმა მიაღწია ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულ ნახატ-ნიშანთა ამეტყველებას კოლხურ ენაზე, მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება, — ერთსულოვნად აცხადებენ ავტორიტეტული მეცნიერები და დასძენენ, რომ გია კვაშილავამ ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვით მიაგნო ოთხი ათასი წლის წინანდელ ძველკოლხების ენას, რომლის დღევანდელ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და თურქეთის რეგიონებში — სამეგრელოსა და ლაზეთში შემონახული მეგრული და ლაზური.

ბუნებრივია, გია კვაშილავას ამ აღმოჩენამ შეაშფოთა საკუთარ წარსულზე განსაკუთრებული მზრუნველობით გამორჩეული ბერძენი მეცნიერები, თორემ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის ეს არის უბრალოდ თიხის დისკო 16-სანტიმეტრიანი დიამეტრით, რომელიც ამჟამად ირაკლიონის მუზეუმში ინახება. 2,5 სანტიმეტრის სისქის გამომწვარ თიხაზე დაწერილია ერთ მხარეს 122, ხოლო მეორეზე — 119 სიმბოლოს შემცველი საიდუმლოებით მოცული ეპიგრაფი. ფესტოსის დისკო პირველი „დაბეჭდილი“ ნაწერია, რადგან მსოფლიოში პირველი ნიმუშია, რომელიც ტოპოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. პროფესორი ტასოს კაფანდარისი მას პირველ კომპაქტდისკს ადარებს, ფესტოსის დისკოც ხომ სწორედ ინფორმაციის შენახვის მიზნით შეიქმნა და დღემდე არაჩვეულებრივად ასრულებს ამ მისიას — უკვე 3700 წელია, მასზე დატანილ ინფორმაციას ინახავს.

ალბათ, ამ დღემდე აუხსნელობამ დააეჭვა ძველი კულტურის შემსწავლელთა ჟურნალ „მინერვას“ გამომცემელი და ძველი ხელოვნების ნიმუშების ტრფიალი დოქტორი ჯერომ აიზენბერგი, რომელიც ლონდონის 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბრის კონფერენციის ორგანიზატორი იყო. იგი ბერძნულ არქეოლოგიურ წრეებში დიდ გაღიზიანებას იწვევს. ამის მიზეზი კი, პროფესორ კაფანდარისის აზრით, ის არის, რომ აიზენბერგმა 1990 წელს კორინთოს მუზეუმიდან მოპარული სამი ამფორის ფოტო ჟურნალ „მინერვაში“ გამოაქვეყნა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმომავლობის შესახებ კარგად უწყოდა (სხვათა შორის, FBI-მ 250 მოპარული ექსპონატი ფლორიდის ერთ-ერთ სარდაფში იპოვა. თუმცა დღემდე გაურკვეველია მარმარილოს სამი ბიუსტის ბედი: ეროსის, სერაპიდოსის და იულიუს კეისრის).

პროფესორი კაფანდარისი ანტაგონისტურად არის განწყობილი დოქტორ აიზენბერგის ეჭვის მიმართ ფესტოსის დისკოს ნამდვილობასთან დაკავშირებით. ბერძენი მეცნიერი შეურაცხყოფად აღიქვამს „მინერვას“ რედაქტორის მოსაზრებას. იგი ლონდონის კონფერენციის მასალების გაცნობის შემდეგ დაასკვნის, რომ აიზენბერგის გაყალბების სცენარმა ფართო გამოხმაურება ვერ ჰპოვა. თუმცა, პროფესორის აზრით, საბერძნეთის მიმართულებით გამოწვევა მაინც ითხოვს დასაბუთებულ პასუხს. მას არგუმენტად მოჰყავს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების კვლევის შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია დისკოს ნამდვილ შინაარსსა და არსთან.

ჯერომ აიზენბერგი და გია კვაშილავა

ბერძენი პროფესორი სპეციალურად ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში წერს:

„მესამე დამკვირვებლებს, ანუ თქვენ და მე, გამოცდილ მკვლევარებთან შედარებით ერთი უპირატესობა გვაქვს: შეგვიძლია ჩვენს ფიქრებში გადავხარშოთ ერთი შეხედვით დაუკავშირებელი ელემენტები. ოღონდ ისე, რომ სამეცნიერო ჩარჩოებს ძალიან არ დავშორდეთ...

ზოგიერთი ფესტოს დისკოს მინოსამდე პერიოდში ეგეოსზე გაბატონებული ხალხის დამწერლობად მიიჩნევს. ყურადღება მივაქციე იმ ენებს შორის იდენტურობას, რომლებიც დროდადრო დისკოს დამწერლობას იჩემებდნენ და გამახსენდა ზღვაზე მინოსების ბატონობის მასშტაბები. ვითომ, ნაკლებად სავარაუდოა, ამ ძველ ენას არსობრივი ზეგავლენა მოეხდინა იმ რეგიონის ენების ჩამოყალიბებაზე?

ჩემი ჰიპოთეზა გააძლიერა აიზენბერგის კონფერენციაზე ქართველი გია კვაშილავას მოხსენების წაკითხვამ. ათწლეულების წინ ავსტრიელი პროფესორის ჰერბერტ ძებიშის მოსაზრებებზე დაყრდნობით „პელაზგური ენებისა“ და მათი კავშირის შესახებ თანამედროვე ქართულთან, მან თავისი კომპიუტერი გამოიყენა A-ხაზოვანი დამწერლობისა და ძველი კოლხურის შედარებითი ანალიზისთვის. კვაშილავამ დაასკვნა, რომ არა მხოლოდ ტექსტია კოლხური, არამედ ის კრეტაზე ჩაიტანეს მათმა ქურუმებმა — კორიბანტებმა, რომლებიც ლიმნოსისა და სამოთრაკის კაბირებს უკავშირდებიან. ამ ენაზე მეტყველებდა მინოსის მეუღლე პასიფაე, რომელიც კოლხეთიდან იყო, ისევე, როგორც კოლხეთის მეფე აიეტი, მისი ქალიშვილი მედეა და მისი და — ჯადოქარი კირკე“.

მოკლედ, დოქტორ აიზენბერგის ეჭვმა დისკოს ნამდვილობის შესახებ დიდი ხმაური გამოიწვია. მისი აზრით, დისკოს აღმომჩენმა ლუიჯი პერნიერმა თვითონ შექმნა დისკო, რათა კნოსოს გამთხრელის არტურ ევანსისადმი თავისი ბოღმა ჩაეხშო, ხოლო სპირალური ეპიგრაფის იდეა მისი მსგავსი ეტრუსკული დისკოდან გადაიღო. აიზენბერგმა თხოვნით მიმართა ირაკლიონის მუზეუმს, რომ გადაიხედოს და ხელახლა დადგინდეს დისკოს ასაკი თერმოლუმინესცენციის მეთოდით, რომელიც ერთი პატარა ნაწილის გახსნასა და მასზე შეხებას ითვალისწინებს. საპასუხოდ კი უარი მიიღო. მუზეუმის კურატორმა ნოტა დიმოპულუ-რეთემიოტიკისმა მისწერა, რომ **„ფესტოსის დისკოსა და არკალოხორის ნაჯახის გამოკვლევა შეუძლებელია, რადგან ნაჯახი შეფუთულ მდგომარეობაშია, ხოლო ფესტოსის დისკო, თავისი უნიკალურობიდან გამომდინარე, არ უნდა გაინძრეს და გადაადგილდეს“.**

დოქტორ აიზენბერგის მიერ თავისი წერილის და მიღებული პასუხის გამოქვეყნებამ დიდი ხმაური გამოიწვია არამარტო სამეცნიერო წრეებში. მალე ხმებიც გავრცელდა, თითქოსდა მუზეუმი მალავს კოლოსალურ ტყუილს. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ საეჭვოა ექსპონატების შესანახად განკუთვნილი დაფინანსების საკითხის მოგვარება, ხოლო საბერძნეთის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, შარშან დაკეტილი ირაკლიონის არქეოლოგიური მუზეუმი არც ამ ზაფხულს გაიხსნება.

პროფესორ ტასოს კაფანდარისის პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ ვითარებაში გარკვევა ვთხოვეთ და რედაქციაში სასაუბროდ მოვიწვიეთ ქართველი მათემატიკოსი გია კვაშილავა, რომელმაც „ფესტოლოგების“ ყურადღება სენსაციური აღმოჩენით მიიპყრო.

— ბატონო გია, თქვენი აზრით, რატომ შეეპარა ეჭვი დოქტორ აიზენბერგს ფესტოსის დისკოს ნამდვილობაში?

— ასეთი ეჭვი დოქტორმა აიზენბერგმა თავის სამეცნიერო ჟურნალ „მინერვაში“ ჯერ კიდევ კონფერენციამდე გამოთქვა. მისი აზრით, დისკო ნაყალბევია, რადგან არ იშიფრება. ასევე არგუმენტად ის მოჰყავდა, რომ დისკოს ნახატ-ნიშნები სხვადასხვა კუთხით არის წარმოდგენილი. შემდეგ იგი ჩემს ნაშრომს გაეცნო და ლონდონის კონფერენციაზე მიმიწვია. ჩემს მოხსენებაში მითითებულია, რომ დისკოს ნახატ-ნიშნები მობრუნებულია სხვადასხვა კუთხით და ვუჩვენეთ სხვა დოკუმენტებიც. კერძოდ, ის, რომ არკალოროსის ცულის, მალიის ქვის ბლოკის და ფესტოსის ლარნაკის ნახატ-ნიშნებიც მობრუნებულია. ასევე, სხვადასხვა კუთხით წარმოვადგინე კრეტული იეროგლიფები, რამაც აიზენბერგის გაოცება გამოიწვია და მან დარბაზშივე განაცხადა, რომ ეს არის „განსაცვიფრებელი“ მოხსენება.

აიზენბერგის ეჭვს საფუძვლად დაედო ცნობილი ბელგიელი მეცნიერის ივ დიუოს მიერ 1996 წელს ამერიკის არქეოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, რომ ფესტოსის დისკოს გაშიფვრა შეუძლებელია.

ლონდონის კონფერენციამ ნათლად დაადასტურა, რომ ფესტოსის დისკო ნამდვილია. ამის შემდეგ მთლიანად შეწყდა დისკოს ნაყალბევობაზე საუბარი. თუმცა, ბუნებრივია, აიზენბერგის ეჭვმა ძალიან შეურაცხყო საბერძნეთის სამეცნიერო წრეები. ჩემი აღმოჩენით კი ბერძენმა მეცნიერებმა კიდევ ერთი არგუმენტი მოიპოვეს, რომ ფესტოსის დისკო ნამდვილია.

ისიც უნდა ითქვას, ინგლისელმა მეცნიერმა ნიკოლას რიდმა მკაცრად დაასაბუთა, რომ ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ტექსტი 16-ჯერ არის ჩასწორებული, რასაც გამყალბებელი ნამდვილად ვერ შეძლებდა.

სხვათა შორის, თავს არიდებენ საუბარს ვლადიკავკაზში აღმოჩენილ ფესტოსის დისკოს ზუსტი ასლის ნატეხზე. იგი 1992 წელს აღმოაჩინეს და მაშინვე განაცხადეს, რომ ნაყალბევია. ეს ნატეხიც შესწავლას საჭიროებს. ნამდვილად არ ვიცი, სად არის ამჟამად ვლადიკავკაზის დისკო. ამ ნატეხის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად საფუძვლიანია პროფესორ კაფანდარისის ბრალდებები დოქტორ აიზენბერგის მიმართ, თითქოს იგი უნიკალური არქეოლოგიური ნივთით ვაჭრობს?

— ეს უფრო სამეცნიერო წრეებს შორის კონფლიქტი მგონია. დოქტორი აიზენბერგი მინოსური კულტურის მაღალი დონის მკვლევარია და ამ დარგის სპეციალისტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. პროფესორ კაფანდარისის გამოთქმებს მე უფრო ცხელ გულზე ემოციურ ნათქვამს ვუწოდებ, რადგან, როგორც აღვნიშნე, ბერძნებმა პირად შეურაცხყოფად მიიღეს აიზენბერგის ეჭვი ფესტოსის დისკოს ნამდვილობასთან დაკავშირებით.

— ქართულ სამეცნიერო წრეებში რა გამოხმაურება გამოიწვია თქვენმა სენსაციურმა აღმოჩენამ?

— ზოგს გაეხარდა, ზოგს ირონია გაუჩნდა, ზოგიც გაბრაზდა და ეს სიბრაზე დღემდე არ განელებია. თუმცა ჩემთვის გაუგებარია მათი ამგვარი დამოკიდებულება. თუ რამე აინტერესებთ, წაიკითხონ ჩემი მოხსენება და, იქნებ, უფრო საღად შეხედონ ამ აღმოჩენას. თუ რამე შენიშვნა აქვთ, მირჩიონ. სხვათა შორის, რამდენიმე მეცნიერი კონსულტაციასაც მიწევს და ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ პროფესორებს: ნანა შენგელაიას, ნანი ჭანიშვილს, ნელი მახარაძეს, ინგა შადურს და სხვებს.

— ხელისუფლებამ თუ მიაქცია ყურადღება თქვენს აღმოჩენას?

— მისი მხრიდან ვერანაირი დაინტერესება ვერ დავინახე. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ინფორმაცია არ ჰქონდათ და წერილები მივწერე პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს და სხვა უწყებებს. ყველა ჩემმა წერილმა ბოლოს თავი მოიყარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. იქიდან ჯერ არავინ შემხმიანებია, ალბათ, იმიტომ, რომ ამას 9 აპრილს დაწყებული აქციები დაერთო და ვეღარ მოიცალეს.

პროფესორი ტასოს კაფანდარისი თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ ფესტოსის დისკოსთან დაკავშირებით უამრავ ლიტერატურას გაეცნო და მისი წერილითაც ადვილად ვრწმუნდებით, რომ ეს დისკო მისთვის მხოლოდ უბრალო თიხის ფირფიტა არ არის. იგი თავის დაკვირვებას იმ რწმენით გვთავაზობს, რომ, „როცა არ შეგიძლია გაუნათო შენს წინ მყოფთ, კარგია, უკან მყოფთ მაინც მიუნათო“. მისთვის ქართველი მკვლევარის აღმოჩენა სწორედ ის ლამპარია, რომელიც ამ საიდუმლოებით მოცული დისკოს გაშიფვრაზე წლობით დამაშვრალ მეცნიერებს უნათებს. გია კვაშილავას ალგორითმმა ბერძნებს (და არა მარტო მათ!) იმ საიდუმლოში ჩაწვდომის საშუალება მისცა, რამაც საყოველთაო გაოცება და შეშფოთება გამოიწვია. გასაკვირი არ არის, — ისევე, როგორც ყველა საკუთარი ისტორიის პატივისმცემელი ერი, ბერძნებიც სათუთად უფრთხილდებიან თავიანთ წარსულს.

ბატონმა გია კვაშილავამ ეს წარსული ქართულად გაანათა. ამიერიდან ფესტოსის დისკო მხოლოდ ბერძნების კი არა, ჩვენი — ძველი კოლხების შთამომავლების სიამაყის საგანიც არის. ამ სიამაყესთან მიახლოების საშუალება კი ქართველი მკვლევარის აღმოჩენამ მოგვცა.

ბონდო მჟინარაშვილი

P.S. ფესტოსის დისკოს საიდუმლოებით დაინტერესებულ საზოგადოებას ამ უნიკალური თიხის ფირფიტის შესახებ მასალების გაცნობა შეუძლია აშშ საკანონმდებლო ვებსაიტზე: www.USLAW.COM და ჟურნალ „მინერვას“ ვებსაიტზე: www.MINERVAMAGAZINE.com

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ნელი ჯავახიშვილი:

ვერაფრით გამირკვევია, საით მივდივართ, რას ვაშენებთ ან, საერთოდ, ვაშენებთ რამეს?

დღეს ქართველი კაცი უცხო მიწაზე კარდაკარ დაიარება, დამცირებულ დღიურ შრომაზე თანახმაა და მშობლიური მიწა და კარმიდამო უპატრონოდ დაუგდია; თანდათანობით ფერსაც იცვლის და ზნესაც. ასეთნი ჩვენი ქვეყნის იმ სოციალურ ფენას ეკუთვნიან, სამშობლოში რომ ვერ დასაქმდა, „ზედმეტ ბარგად“ გრძნობდა თავს ახალ „დამოუკიდებელ“ და „დემოკრატიულ“ საქართველოში. დღეს მათ ემიგრანტები ჰქვიათ, უცხო ქვეყნების მიწაზე ფრთხილად დააბიჯებენ, გალაღებული კაცის ნაბიჯიცა და სახეც დაუკარგავთ. მორცხვი, ობოლი, უპატრონო ბავშვის მორიდებით შესცქერიან გალაღებულ უცხოელებს, შენატრიან უცხო ქვეყნების სიმდიდრესა და სიდიადეს. ამჯერად რუბრიკის სტუმარია ყოფილი პედაგოგი, ამჟამად იტალიაში მყოფი ქალბატონი ნელი ჯავახიშვილი.

— ქალბატონო ნელი, რამ გადაგაწყვეტინათ უცხოეთში წასვლა — ცხოვრების გაიოლების სურვილმა, უკიდურესმა გაჭირვებამ თუ ქვეყნიდან წასვლის „მოდურმა“ ტენდენციამ?

— სენტიმენტალობა შორსაა ჩემგან, მაგრამ მშიოდა, მციოდა, უიმედობით გასავათებული ვიყავი. თავმოყვარე ადამიანისთვის მათხოვრული ყოფა სათაკილოა. საქართველოში საზოგადოების გარკვეული ნაწილი ემიგრანტებზე ფიქრობს, რომ ცხოვრების გაიოლების მიზნით დატოვეს ქვეყანა. მე კი ჩემი გადასახედიდან მიკვირს, რა არჩენთ, რით იკვებებიან, როგორ ახერხებენ მკურნალობას, როგორ უმკლავდებიან ჭირსა თუ ლხინს?..

ერთ-ერთ კერძო სკოლაში პედაგოგად ვმუშაობდი. ერთ დღესაც II კლასთან გაკვეთილი მქონდა. ფრიადოსანი მოსწავლე გამოვიძახე. ჭკვიანი ბავშვი იყო. გამიკვირდა, იმ დღეს მოუმზადებელი რომ მოვიდა. წიგნი დედამ როგორ ვერ ითხოვა ვინმესგან-მეთქი... ბავშვი ნერვიულობისგან ატირდა. ჩავეძიე და სლუკუნ-სლუკუნით მიპასუხა: — „ჩემი დედა საბერძნეთში წავიდა“... კლასი გაირინდა და გაიყინა, ისეთი სიჩუმე ჩამოწვა. ბავშვს მივუახლოვდი და ჩავიხუტე... სახელმძღვანელო ავტოგრაფით ვაჩუქე და საკლასო ოთახი აღელვებულმა დავტოვე.

90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ვაანალიზებ, მაგრამ ვერაფრით გამირკვევია, საით მივდივართ, რას ვაშენებთ ან, საერთოდ, ვაშენებთ რამეს?

საქართველოში ოჯახი მყავს: მარტოხელა და, ქალიშვილი, სიძე, შვილიშვილი... აქ ნაშოვნი კაპიკებით მათ გადარჩენას ვახერხებ. ასე რომ, ეს გზა მძიმე და ძნელია, მაგრამ არც მთლად უნაყოფო.

მახსოვს, როდესაც საბუთები შევაგროვე და ამერიკის კონსულთან შესახვედრად გრძელ რიგში ჩავდექი, ვინც თვალში მომივიდოდა, შურითა და ეჭვით შევცქეროდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ისინი კონსულისგან თანხმობას მიიღებდნენ. ნასესხები ფული მქონდა და მთელი დღის განმავლობაში მშიერმა ვერ გავიმეტე, ჩემთვის რაიმე მეყიდა. ისეთი დაღლილი შევედი მიღებაზე, რომ უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა შედეგს.

თანხმობა მივიღე, მაგრამ სიხარული არ მიგრძვნია. ალბათ, წასვლა რომ არ მინდოდა, მაგრამ ეს იყო თავის დაღწევის ერთადერთი გზა. დაღუპვას გაქცევა ვარჩიე. სული კბილით მეჭირა, რომ ჩემიანებს ჩემი ტანჯვა არ შეემჩნიათ... ასე დავტოვე ჩემი სულის ნაწილი სამშობლოში და უზარმაზარი ვალით ამერიკაში გავემგზავრე.

— როგორ მოეწყეთ, სამსახური სად იშოვეთ?

— იქაურმა რუსულმა ოჯახმა ბავშვის ძიძად დამიქირავა. დედას სამსახურის მიტოვება არაფრით სურდა. 4 თვის ბავშვი ხშირად ჭირვეულობდა. მთელი დღის განმავლობაში ბავშვს და საათს შევცქეროდი, რადგან მკაცრი რეჟიმის პირობებს ვიცავდი: დროზე ვბანდი, დროზე ვაძინებდი, საფენებს დროულად ვუცვლიდი, დადგენილ საათებში ვასეირნებდი, გარკვეულ საათებში ვაჭმევდი. თერმომეტრით ვაკონტროლებდი ფაფების ტემპერატურას, ოთახის ტემპერატურას, მასაჟისტის მოსვლას, ოჯახის ექიმის ვიზიტს.

ბავშვს ქართულად ველაპარაკებოდი. იმდენი ამაგი მქონდა, ძალიან შემიყვარდა, თანაც, მის სიყვარულში არავინ მეცილებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ქართულ სიმღერებს ვუმღეროდი, ისიც თავისებური ღიღინით მყვებოდა, ქართულ ლექსებსაც ვუკითხავდი, ჩემიანების მონატრებასაც შევჩიოდი ამ პატარა არსებას... რამდენიმე თვეში ფეხიც აიდგა, ჩემს ხმას შეეჩვია და სიხარულით მხვდებოდა. ემიგრანტი ქალების უმეტესობა მოხუცებს ან სნეულებს უვლის ან მძიმე საოჯახო საქმეს ასრულებს. ჩვენი კატეგორიის ქალისთვის ძიძობა საპატიო და დასაფასებელია.

ამერიკელებს, როგორც წესი, ძიძად ემიგრანტები არ აჰყავთ ნდობის ფაქტორის გამო. საოცარი რამ ხდებოდა, ფულის კუპიურებს ხან სად ვპოულობდი, ხან — სად, ყოველთვის ვიღებდი და პატრონს ვაბარებდი. გვიან მივხვდი, რომ მცდიდნენ.

ჟოზეფი ორი წლის გახდა და ჩემმა პატრონებმა მაუწყეს, რომ ბავშვს ახლა ძიძა კი არა, პედაგოგი სჭირდება სრულყოფილი აღზრდისთვის, ენის შესწავლისთვის და დამითხოვეს მადლობითა და კარგი რეკომენდაციით.

ღრმად განვიცადე, რადგან ამ გასამრჯელოთი ვაღს ვიხდიდი, თანაც, ბავშვთან განშორებას ვერ შევეგუე. გადავწყვიტე, პატარას აღარ გავკარებოდი. ბავშვებმა საოცარი შეჩვევა იციან. ამგვარი დამოკიდებულებები ამ ქვეყნისთვის უცხოა, ყველა ასეთ გამოვლენას პათოლოგიურს უწოდებენ. გარეგნულად ემოციას არ იმჩნევენ და ამას კარგ აღზრდას მიაწერენ. ამერიკელები ჰუმანიზმს აბსტრაქტულს ეძახიან, ხოლო ლმობიერებას — სისუსტეს. მათი ინტერესები სულ სხვა მიმართულებისაა და ჩვენგან რადიკალურად განსხვავდებიან.

— ქალბატონო ნელი, ჟოზეფთან განშორების შემდეგ

დღეს ემიგრაციაში 2 მილიონამდე ქართველია, რომლებიც საქართველოში ქრონიკულ უმუშევრობაში დარჩენილებს პურს აჭმევენ. მე უკვე მესმის დეპორტირებულთა კბილთა ღრჭიალი საქართველოში არსებულ პრობლემებთან შეჯახებისას. ეს ნებაყოფლობითი მონობის გზაც გადაგვიკეტეს. ერთი გზაღა დაგვიტოვეს — გზა ბრძოლისა, რათა სხვათა პოლიტიკური ექსპერიმენტის მსხვერპლად არ ვიქცეთ.

თქვენი ამერიკული ოდისეა როგორ წარიმართა?

— საცხოვრებლად ემიგრანტ ქართველებთან გადავედი. ოთხი ქალი ერთ პატარა ოთახში ციხის საკნის მსგავსად გაწყობილ საწოლებზე ვიწექით. სწრაფი კვების, ხანდახან უფასო კვების ობიექტებში ვიკვებებოდით. მეგობართაგან ორი მოსამსახურედ მუშაობდა, ერთი სახლებს ალაგებდა გამოძახებით და მეც ამ ქსელში ჩამრთო. მძიმე, აუტანელი სამუშაო წელში გვწყვეტდა. ყველა ჩვენგანი ფიზიკურადაც და სულიერადაც გაბზარული ვიყავით.

ამ დროს, როგორც სიბნელეში მზის შუქმა, შემოაღწია ინფორმაციამ, რომ საქართველოში შევარდნაძის 30-წლიანი დიქტატურა დასრულდა და საქართველოს პრეზიდენტი ახალგაზრდა, ამერიკაში განათლებამიღებული, დემოკრატი, ნაციონალური სულისკვეთების კაცი მიხეილ სააკაშვილია. ისეთი დაუოკებელი ინტერესი გაგვიჩნდა ამ ახალი „გმირის“ მიმართ, რომ მონური შრომით ნაშოვნ კაპიკებს ვხარჯავდით, რომ ტელეფონით ამ რევოლუციის ირგვლივ ყველაწვრილმანი გაგვეგო. მთელი სათვისტომო და ამერიკაც კი ამ რევოლუციას ექომაგებოდა და ახალ ხელისუფალთა პოზიციას აქტიურად იცავდა. მაშინ კი ვიფიქრე, სამშობლოში დავბრუნებულიყავი, აქ მემუშავა. ერთი სკეპტიკოსი გვყავდა ქუთაისიდან, — „ნელა წადი, არაფერი იტკინოო“, — დამცინოდა.

გუდა-ნაბადი შეკრული მქონდა, როდესაც ახალგაზრდა პრეზიდენტმა ემიგრანტებს საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებისკენ მოგვიწოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი მთავრობა ყველაფერს ადამიანთა საკეთილდღეოდ შეცვლიდა.

გავბრიყვდი. ავიღე ჩემი მცირე დანაზოგი, საჩუქრებიც ხალისით შევარჩიე და ფრთაშესხმულმა სამშობლოსკენ გამოვწიე.

აეროპორტში ჩემიანები დამხვდნენ. ცრემლიანი შეხვედრის შემდეგ ტაქსიში ჩავსხედით. ჩემი ქვეყნის ხილვით და მონატრებულ ოჯახში დაბრუნებით აღფრთოვანებული ახალ მთავრობას დითირამბებს ვუძღვნიდი. ტაქსის მძღოლმა ირიბად გადმომხედა და ცინიკურად მითხრა: — „იქნებ, შევარდნაძე სანატრელი გაგვიხდესო“. მეწყინა, ამ უცნობი კაცის მიმართ უნდობლობით განვეწყე.

ნათესავ-მეგობრების მოკითხვის შემდეგ ძველ სამსახურსაც მივაკითხე. დაპირებით კი დამპირდნენ შტატში აყვანას, თუ რამე გამოჩნდებოდა. ჯიუტად დარწმუნებული, რომ, უპირველესად, ხალხის დასაქმებაზე იზრუნებდნენ, ლოდინის რეჟიმში გადავედი. დაიწყო რეფორმები და სააკაშვილის ქომაგად ვრჩებოდი.

ამ პერიოდში ბიძაშვილმა თანხა მთხოვა საქმეში ჩასადებად, ცხადია, მეც მასარგებლებდა.

უცნაურად მეჩვენებოდა კადრების დაკომპლექტება. ვერ ვხვდებოდი, რა კრიტერიუმებით ირჩევდნენ ამ გამოუცდელ ახალგაზრდებს. რეფორმებმა კვალიფიციური კადრების მასობრივი გამოყრა გამოიწვია. ერთმა ჩემმა მეზობელმა, ნიჭიერმა პიროვნებამ, კვალიფიციურმა კადრმა შემომჩივლა, რომ ტესტირებაში მაღალი ქულების მიღების მიუხედავად, სამსახურიდან მაინც გამოაგდეს. ვურჩიე, სასამართლოში გაესაჩივრებინა, პრეზიდენტთან შესულიყო. მისი პესიმიზმი არ გადამდებია. იმედს არ ვკარგავდი, ეს საეტაპო მომენტია და გაივლის-მეთქი.

ამ დროს გარე ბაზრობების დარბევის მოწმე გავხდი, როდესაც პოლიციამ ქართველ დედას ზურგით ნათრევი ხილით სავსე ვედროს წიხლი უკრა, დამფრთხალ ქალს მუჯლუგუნით და უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდა...

ბიძაშვილმა ჩემგან ნასესხები ფული დაკარგა, მისი ბიზნესი სხვებზე გადავიდა... უმუშევარი დარჩა...

სააკაშვილის რევოლუციური ცეცხლით მოტანილი აგიზგიზებული იმედი ჩემშიც და ირგვლივ მყოფებშიც ჩაქრა და ფერფლად იქცა. ტაქსისტის სიტყვები გამახსენდა... ყველაზე მწარე ის იყო, რომ მივხვდი, ამას ახალგაზრდა პრეზიდენტი თავის მმართველ გუნდთან ერთად შეგნებულად აკეთებდა, სხვათა მითითებებით ქვეყანას თანდათანობით ანგრევდა, ყველაზე მეტად ეროვნულობას ზღუდავდა, რაც კოლონიური ყოფის სიმწარეს ჰგავს. მსგავსი რამ საბჭოთა ეპოქაში არავის უგრძვნია.

სააკაშვილის რეჟიმმა ჩემი ოჯახი კვლავ 1998 წლის მდგომარეობას დაუბრუნა. ახლა უფრო მეტად გულგატეხილი და სასოწარკვეთილი უნდა წავსულიყავი სამშობლოდან.

წასასვლელი ფული ამჯერად ამერიკაში დარჩენილმა მეგობრებმა გამომიგზავნეს ვალად. ქვეყნის დატოვებას სიკვდილს ვარჩევდი. ამერიკაში წასვლა მემძიმებოდა. ამერიკელებს მტრებად ვთვლიდი, რადგან უკვე ვიცოდი, რომ ჩვენს ამ ყოფაში მათი ხელი და ინტერესები ერია.

ამ მიზეზის გამო გადავწყვიტე ევროპაში გამგზავრება. ხელმეორედ წასვლა ბევრად ძნელი იყო. ამას სამშობლოდან „შოლტით გარეკვა“ ჰქვია. ხელ-ფეხი აღარ გვაქვს ბორკილებით შეკრული, ეგ არის, ამჯერად ყელში ეკონომიკურ მარწუხებს გვიჭერენ.

ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი ამ პროცესს თავისი პოლიტიკით ხელს უწყობს, ქვეყანას მუცელღმერთა სატირის საზომით უდგება და, თანაც, ავანტიურისტული გამომგონებლის სასწაულებს ჩადის. ყველაზე აუტანელი კი ისაა, ყოველივე ამას თეორიულ გამართლებას რომ უძებნის. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ღირსებაცა და სიცოცხლეც არაფრად ღირს. ასე ქვეყანა ვერ აშენდება, არც ხალხი დაწყნარდება, სულ გამოსვლები იქნება... შედეგი კი არ იქნება... ამ ამბებს ბევრს გადააყოლებს...

ახლა იტალიაში ერთ მოხუცს ვუვლი და მოძალებულ ნოსტალგიას ვებრძვი.

2007 წელს ქალაქ ჯენოვაში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ჩამოვიდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნდა ჩატარებულიყო. ყველაფერი ვიღონე, ფლორენციიდან იქ ნავსულიყავი. ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა შეიკრიბეთ. ერთმანეთს ვეხვეოდით, ვტიროდით... ვეცადეთ, ტრიბუნაზე ერთად დავმსხდარიყავით. შეძახილებითა და ოვაციებით ქართველებს ვქომაგობდით, მაგრამ წააგეს.

ემიგრანტთა საქმე იტალიაშიც ვერაა კარგად. აფრიკიდან უამრავი ემიგრანტი მოადგა გემით. იტალიის მთავრობა დღე-დღეზე დეპორტაციის კანონს დაამტკიცებს, რომლის თანახმად, ყველა ქვეყანა საკუთარ ემიგრანტს სამშობლოში გაიწვევს.

დღეს ემიგრაციაში 2 მილიონამდე ქართველია, რომლებიც საქართველოში ქრონიკულ უმუშევრობაში დარჩენილებს პურს აჭმევენ. მე უკვე მესმის დეპორტირებულთა კბილთა ღრჭიალი საქართველოში არსებულ პრობლემებთან შეჯახებისას. ეს ნებაყოფლობითი მონობის გზაც გადაგვიკეტეს. ერთი გზაღა დაგვიტოვეს — გზა ბრძოლისა, რათა სხვათა პოლიტიკური ექსპერიმენტის მსხვერპლად არ ვიქცეთ.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

გია მეფარიშვილი:

მკრეხელობად მიმაჩნია ნატოზე საუბარიც კი, სანამ ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება

მშვიდ და გაწონასწორებულ ყოფილ გენერალურ პროკურორს და კანონმდებელს გია მეფარიშვილს დღევანდელობის უმწვავეს პრობლემებზე საუბრის დროსაც არ უღალატია თავისი ხასიათის ამ თვისებისთვის, თუმცა დაძაბულობა მთელ ინტერვიუს გასდევდა და ეს ბუნებრივიცაა, — იგი ისევე განიცდის ამ ქვეყნის ტკივილს, როგორც ყველა ის ადამიანი, ვისთვისაც უცხო არ არის „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...“

— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ იმ პროცესებს, რაც დღეს საქართველოში ხდება?

— დღეს საქართველოში უმძიმესი სახელმწიფოებრივი კრიზისია. აბსოლუტურად ყველა სფეროში — შიდაპოლიტიკური თუ საგარეოპოლიტიკური და, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პროცესები, ასევე სოციალური სფერო მთლიანად ამ კრიზისმა მოიცვა. პრაქტიკულად პარალიზებულია სახელმწიფო აპარატი: არ ფუნქციონირებს პარლამენტი, დაკეტილია სახელმწიფო კანცელარია, პრეზიდენტის რეზიდენცია. მოშლილია მთელი სახელმწიფო სტრუქტურა.

— სამართლებრივ პრობლემებს თუ ქმნის ის ფაქტი, რომ პარლამენტი და მთავრობა თავიანთ შენობებში ვერ ახორციელებენ უფლებამოსილებებს?

— კონსტიტუციის მიხედვით გაწერილია პარლამენტის მუშაობის წესი.

პოლიტიკური პროცესები იმას მიგვანიშნებს, რომ სამართლებრივად ბევრი ჩიხური სიტუაცია შეიქმნება. ყოველ შემთხვევაში, კომიტეტების სხდომების საქართველოს რეგიონებში გამართვა მაფიქრებინებს, რომ სამართლებრივადაც სრული დომხალია.

— ფაქტობრივად, უკვე ორი თვეა, პარლამენტის სხდომა არ გამართულა...

— პარლამენტის მუშაობის ამ წესით შეწყვეტა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ასე რომ, აქ ძალიან დიდი კითხვის ნიშანი არსებობს. ვიმეორებ, ურთულესი მდგომარეობაა. ამიტომ, აქედან გამოსვლის გზებზე ყველამ უნდა ვიფიქროთ.

— თქვენ რა გამოსავალს ხედავთ?

— ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, ეს პროცესი დაარეგულიროს. 26 მაისმა დაადასტურა, რომ ხალხის რისხვა მალე პიკს მიაღწევს. ახლა ერთი შეცდომა, ერთი გაურკვეველი ნაბიჯი და შესაძლოა, ყველაფერი კატასტროფულად დამთავრდეს.

— ხელისუფლებამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მზად არის დიალოგისთვის. როგორ ფიქრობთ, ამ მხრივაც ყველა რესურსი ამოწურულია?

— დიალოგის რეჟიმით ამ სიტუაციის გამოსწორება წარმოუდგენელია. ახლა უკვე საუბარია არა დიალოგზე, არამედ მოლაპარაკებებზე. საქართველოს საპატრიარქოს სპეციალურ განცხადებაში სწორედ ეს საკითხია აქცენტირებული. საპატრიარქო საკმაოდ კარგად გრძნობს ქვეყნის მაჯისცემას, რაც მაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა შემთხვევით არ ჩაიწერა ამ განცხადებაში. მოლაპარაკება უნდა გაიმართოს, მაგრამ რამდენად ნაყოფიერი იქნება, ეს უკვე მეორე საკითხია.

— ზოგიერთი ექსპერტი ამ კრიზისიდან გამოსავალს საკონსტიტუციო ცვლილებებში ხედავს; კერძოდ, საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტო მმართველობით შეცვლაში. თქვენი აზრით, ეს თუ იქნება ხელისუფლებისთვის ის გზა, რომლითაც ამ კრიტიკული სიტუაციიდან თავს დაიხსნის?

— შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და ხელისუფლება კვლავაც აცხადებს, რომ დიალოგისთვის მზად არის, მაგრამ ეს ხალხს უკვე აღარ აკმაყოფილებს. დასმულია კონკრეტული მოთხოვნა — პრეზიდენტის გადადგომა და ყველა კონცენტრირებულია ამ მოთხოვნის გარშემო.

— მაგრამ სააკაშვილი ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. შეიძლება, რომ იგი გარემოცვის მძევალი იყოს?

— რა თქმა უნდა, იგი ანგარიშს უწევს იმ ძალას, რომელსაც ეყრდნობა. დარწმუნებული ვარ, იზიარებს და ითვალისწინებს თავისი პოლიტიკური კომპანიონების, თანამებრძოლების აზრს, მაგრამ პრეზიდენტი დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებებს.

— ამ დროს, გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლები არ არიან ოპოზიციის ლიდერები. თავისი დაპირებების ტყვეობაში ხომ არ აღმოჩნდა ოპოზიცია?

— ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ოპოზიცია საკმაოდ ჭრელია თავისი შემადგენლობით. მათი ძირითადი გამაერთიანებელი მხოლოდ პრეზიდენტ სააკაშვილის ფიგურაა. მაგრამ აქ მთავარი არის არსებული ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები. მხედველობაში მაქვს პირველი და უმთავრესი — აგვისტოს ომი, რამაც გამანადგურებელი შედეგები მოუტანა საქართველოს.

— აგვისტოს ომი, მე მგონი, ყველაზე ბოლო იყო...

— მაგრამ ყველაზე მძიმე, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. რომ არა ევროპის და მსოფლიო ქვეყნების ძალისხმევა, ეს, ალბათ, სრული კატასტროფით დამთავრდებოდა. ისედაც კატასტროფით დამთავრდა, რადგან იურიდიულად საქართველოს ტერიტორიაზე სამი სახელმწიფო დაფიქსირდა. მერე რა, რომ ისინი არ აღიარეს, მთავარი ის არის, რომ მათი დამოუკიდებლობა ცნო ორმა სახელმწიფომ და ეს პროცესი, ჩემი პროგნოზით, სამწუხაროდ, გაგრძელდება.

— სხვათა შორის, ლაპარაკია იმაზეც, რომ შარშან, 12 აგვისტოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას, რომლის საიდუმლო დანართიც სწორედ ამ რეგიონების დამოუკიდებლობას ითვალისწინებდა...

— რაც არ მინახავს და არ წამიკითხავს, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. რა თქმა უნდა, აგვისტოს ომი იყო სამარცხვინოდ წაგებული ომი, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო. ამ ომმა, ის პროცესები, რომელზეც საქართველოს თითოეული მოქალაქე ოცნებობს, 15-20 წლით უკან გადასწია. ამასთან, რაც მთავარია, უკვე ეჭვქვეშ დგება ამ პროცესების შემობრუნების პერსპექტივაც კი. თქვენ იცით პან გი მუნის მოხსენების შესახებ. ის, რაც გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების პროექტში ჩაიწერა, შემთხვევითობა არ არის. ამ დროს ჩვენი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ იგი რუსეთის ზენოლის ქვეშაა, რასაც უმწვავესი პასუხი მოჰყვა. ეს არ არის არც დიპლომატია და არც სახელმწიფო მართვის ხელოვნება.

— ბატონო გია, იქნებ ეს ყველაფერი პიარია და ამ ყალბი წინააღმდეგობებით, პირიქით, ქვეყნის დესუვერენიზაციას უწყობენ ხელს?

— რეალურად შევხედოთ პროცესებს. რომელი ხელისუფლება გაბედავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას? — ვერც ერთი! ვერც დღევანდელი ხელისუფლება გაბედავს, ყოველ შემთხვევაში, ამის საჯაროდ აღიარებას, მაგრამ არსებობს გარკვეული ფაქტორები, როგორც საშინაო, ასევე საგარეო. როგორც ვხედავთ, პროცესები საქართველოსთვის ძალიან არასახარბიელოდ ვითარდება და ამის დამაგვირგვინებელი იყო ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცნობა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ და შემდეგ უკვე მათთან სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობების ხელშეკრულებების გაფორმება. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ვეუბნებოდით საქართველოს ხელისუფლებას, რომ ეს ასე მოხდებოდა. „რია-ნოვოსტის“ ოფისში გამართულ კონფერენციას გაგახსენებთ, სადაც ეს საკითხი დაისვა. მაშინ სახელისუფლებო ძალების ახალგაზრდა წარმომადგენლებმა სასაცილოდ აიგდეს ეს საკითხი და განაცხადეს, რომ ამას ვერავინ გაბედავს, ჩვენ დასავლეთი გვიჭერს მხარს და საქართველო კვლავაც შეტევით პოლიტიკას გააგრძელებს კონფლიქტების მოგვარების საქმეშიო. შედეგად კი რა მივიღეთ: თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებზე დღეს ჩადგა რუსეთის სასაზღვრო ჯარები და თანაც საკმაოდ გრძელვადიანი ხელშეკრულებით. ამ ტერიტორიებზე იხსნება რუსეთის ბაზები და დაიწყო საკმაოდ ინტენსიური საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, ამ მხარეების ეკონომიკური აღორძინება და ა.შ. ასე რომ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გაცილებით მძიმეა, ვიდრე შეიძლება გვეგონოს.

— სხვათა შორის, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ერთ-ერთ ხელისშემშლელ გარემოებად სხვა საკითხებთან ერთად ტერიტორიული კონფლიქტების მოუგვაროებლობაც სახელდებოდა. ახლა ეს პრობლემა მოხსნილია და, თუკი სხვა შიდა საკითხებს მოვაგვარებთ, ნატოს კარიც გაიღება...

— მე არ მინდა ასე ვიფიქრო და თეორიულადაც კი დავუშვა მოვლენათა ასეთი განვითარება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დღეს უპირველესი საზრუნავია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ეროვნების მიუხედავად. ამიტომ მკრეხელობად მიმაჩნია ნატოზე საუბარიც კი, სანამ ტერიტორიების პრობლემა არ მოგვარდება. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს რუსეთთან საერთაშორისო ენის გამონახვა. ეს ძალიან რთულია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ასეთი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ერთია სურვილი და სულ სხვაა შესაძლებლობა. დღეს რუსეთის ხელისუფლებამ უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ ამ ხალხთან არ დაჯდება და არ ილაპარაკებს. დავფიქრდეთ ამაზე. ეს ორჯერ ითქვა პრეზიდენტის დონეზე, პრემიერ-მინისტრის დონეზე, სახელმწიფო სათათბიროს დონეზე. ასე რომ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ რუსეთის ხელისუფლებასთან საერთაშორისო ენის გამონახვის ალბათობა პრაქტიკულად ნულოვანია.

— ბატონო გია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე ოპოზიციის საპროტესტო აქციებზე ნაკლებად ლაპარაკობენ. ეს კი, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სააკაშვილის გადადგომა და ვადამდელი არჩევნები. თუ, ფიქრობთ, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება?

— ჩემი აზრით, ეს ერთი პრობლემაა. პროცესები, როგორც უკვე აღვნიშნე, გაყინულია. იმედი მინდა დავიტოვო, რომ მოვა ახალი თაობა, რომელიც უფრო მიზანმიმართულად იფიქრებს ამ პრობლემის მოგვარებაზე. ამ ხელისუფლებას ამის შესაძლებლობა არც აქვს და არც ექნება.

— სამაგიეროდ, ამ ხელისუფლებას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შეინარჩუნოს პოსტები. როგორ ფიქრობთ, ადმინისტრაციული რესურსი რამდენად უერთგულებს ხელისუფლების პირველ პირებს?

— ადმინისტრაციული რესურსი ძალიან დიდი ძალაა. მათ ზურგს უკან მათი ოჯახების წევრები — ათასობით ადამიანია; აქვთ როგორც პოლიტიკური, ასევე სხვა ინტერესებიც. ზუსტად პროგნოზირება ჯერჯერობით მიჭირს, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შემიძლია — პროცესები უფრო გაღრმავდება. ამ დროს როგორ მოიქცევიან ხელისუფლების წარმომადგენლები, შესწირავენ თუ არა საქართველოს მომავალს თავიანთ სკამებს, ვერ გეტყვით. მათი კეთილგონიერების დიდი იმედი არ მაქვს. ფაქტია, რომ მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვნახეთ, რომ ადმინისტრაციული რესურსი გამოსავალი არ არის.

— ბატონო გია, 1990-იან წლებში თქვენ იყავით საკონსტიტუციო კომისიის წევრი, შემდგომ კი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. თუ აპირებთ თანამშრომლობას ახლად შექმნილ საკონსტიტუციო კომისიასთან და რა წინადადებები გაქვთ?

— როდესაც კონსტიტუციაზე ვსაუბრობთ, უპირველესად გასათვალისწინებელია ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი. ეს არის პოლიტიკური კონსენსუსი თავად სახელმწიფოს შიგნით. სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს კონსენსუსი პოლიტიკურ ჯგუფებს, საერთოდ, სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის. თუ საუბარია კონსტიტუციის პროექტზე, შეიძლება გარკვეულმა ჯგუფებმა იმუშაონ, მაგრამ საკონსტიტუციო პროცესი უფრო ვრცელი და ფართო მოვლენაა, ამიტომ, ჩემი აზრით, საკონსტიტუციო კომისიის შექმნა მხოლოდ პოლიტიკური პიარია და, შესაბამისად, ვერ ვხედავ ვერავითარ პერსპექტივას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეძლოს ახალი კონსტიტუციის მიღება. არ დაგავიწყდეთ, რომ 1995 წლის კონსტიტუციაში დროებით დაკარგული ტერიტორიების საკითხი ღიად იყო დატოვებული. დღეს ამ საკითხზე ვინმე ფიქრობს? ისევ ღიად დავტოვოთ? მაშინ, რა შეიცვლება?

— ალბათ, ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთდება მმართველობის მოდელის შეცვლაზე ან პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვაზე...

— მთავარია, რომ დღეს ეს პროცესი გააზრებული არ არის. დიდ პატივს ვცემ საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, ისინი მაღალი დონის პროფესიონალები არიან, მაგრამ ისინი არ არიან პოლიტიკოსები. დარწმუნებული ვარ, დოკუმენტს შექმნიან, მაგრამ შემდეგ რა მოხდება? არის კონსენსუსი საზოგადოებაში?

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ხალხისთვის და ოპოზიციისთვის გადმოგდებული სატყუარაა?

— რა თქმა უნდა, ეს არის წმინდა პოლიტიკური მეთოდი, რომ ვითარება არ გამწვავებულიყო და ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას ამ პროცესში მონაწილეობა მიეღო. არ მოხდა ასე და არც მოხდებოდა.

— თქვენ გჯერათ, რომ ეს ოპოზიცია რადიკალურია?

— როდესაც ოპოზიცია აყენებს კონკრეტულ მოხოვნებს, თავისი ხასიათით ეს რადიკალურია. ისინი რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ. ამაზე მეტი რადიკალიზმი რა შეიძლება იყოს...

— ოპოზიციის პროტესტს პრეზიდენტი სააკაშვილი სკამებისთვის ბრძოლას უწოდებს...

— მე ასე არ ვიტყოდი. აქ იმდენი ადამიანია გამოსული, რომ ყველა პარლამენტში ვერ მოხვდება. ეს ხალხი ქუჩაში გამოიყვანა იმ დიდმა პროტესტმა, რომელიც ამ ხელისუფლების მოქმედებამ გამოიწვია. ეს უნდა ვაღიაროთ. ეს იყო შეცდომები ეკონომიკაში, საგარეო პოლიტიკაში, აგვისტოს ომი, რომელიც დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ამ ხელისუფლების თავზე. საპროტესტო მუხტი გაზარდა საკუთრების უფლების ხელყოფამ და უსასტიკესმა მიდგომებმა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გატარებისას — ყველანი ციხეში და

ნულოვანი ტოლერანტობა. ამის დეკლარირება ძალიან მაღალ დონეზე ხდებოდა.

თქვენ იცით, რომ დღეს საქართველოში 26 ათასზე მეტი პატიმარია? იცით, რომ პირველ ადგილზე ვართ სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობით? საქართველოს მოსახლეობის ყოველი 2000 კაციდან ერთმა თავის სახელმწიფოს უჩივლა, ანუ აქ ვერ იპოვა სამართალი.

ახლა ლაპარაკობენ, რომ პროტესტს გამოხატავენ განანყენებული მებაჟეები და პოლიციელები, რომლებიც სამსახურებიდან გაათავისუფლეს და ქუჩაში იმიტომ გამოვიდნენ.

26 მაისს რაც ხალხი ვნახე, ამდენი მებაჟე და პოლიციელი საქართველოს არ ჰყავდა. ხალხი ითხოვს ელემენტარულს — სამართლიანობას, რაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ეს იყო საკუთარი ღირსების დაცვისთვის გამოსული ხალხი და საქართველოს ხელისუფლებას ადეკვატური პასუხი არ ჰქონდა.

ძალიან დიდია პროტესტის მუხტი, რომელიც მე ძალიან მაშინებს როგორც მოქალაქეს და როგორც სპეციალისტს, რომელმაც ეს საკითხები სიღრმისეულად იცის. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც აკუმულირდება ძალიან ფრთხილად, დინჯად, ერთი შეხედვით ძალიან მშვიდად, მაგრამ როგორც კი ნაპერწკალი გაჩნდება, აუცილებლად იფეთქებს.

დააკვირდით, როგორი ბარიერი იქმნება საზოგადოებასა და პოლიციას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

— სხვათა შორის, ხალხსა და ოპოზიციის ლიდერებს შორისაც...

— ასევე, მათ შორისაც, რადგან ხალხის მოთხოვნაა უკვე რადიკალური და არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერების. ხალხმა მიიყვანა იქ პოლიტიკური ოპოზიცია და არა — პირიქით. ხალხი უუფლებო მდგომარეობაშია. ღირსების შელახვასთან ერთად, კატასტროფულმა ეკონომიკურმა ვითარებამ, სამუშაო ადგილების გაუქმებამ გამოიყვანა იგი ქუჩაში. ლაპარაკიც აღარ არის ინვესტიციებზე. გვიახლოვდება ეკონომიკური კოლაფსი. ორ-სამ თვეში უმძიმეს შედეგებს მივიღებთ. საქართველო პრაქტიკულად არაფერს აწარმოებს და მთლიანად შემოტანილ პროდუქციაზეა დამოკიდებული. ექსპორტსა და იმპორტს შორის უზარმაზარი სხვაობაა.

— ჩვენ ეკონომიკისა და წარმოების ასაღორძინებლად არ გვეცალა, ბატონო გია, რევოლუციის ექსპორტით ვიყავით დაკავებული...

— ამას მოჰყვა ის პროცესები, რამაც ძალიან გამაღიზიანებლად იმოქმედა ჩვენს მეზობლებზე. მხედველობაში მაქვს რევოლუციის ექსპორტის მცდელობები შუა აზიის ზოგიერთ რესპუბლიკაში, ბელორუსიაში და სხვა ქვეყნებში. ჩვენს საქმეს და ჩვენს ქვეყანას უნდა მივხედოთ. ნაკლებად ვიფიქროთ იმ პროცესებზე, რომელიც უშუალოდ არ გვეხება. ნუ ჩავერევით სხვის საქმეში. შედეგად რა მივიღეთ? — სრული კატასტროფა.

ესაუბრა
ბონდო მჟინარაშვილი

P.S. ინტერვიუ ამ პესიმისტურ ნოტაზე დავამთავრეთ. ვიცოდი, რომ სამართლის აღიარებულ სპეციალისტს, პროფესორ გია მეფარიშვილს ორიოდ დღეში 50 წელი შეუსრულდება. წინასწარ მივულოცე და ვკითხე, — თქვენი ვაჟი, ნიკა, რომელიც ახლა მხოლოდ 13 წლისაა, ათ წელიწადში დიდი ცხოვრების გზას დაადგება და უამრავი მოუგვარებელი პრობლემის დანახვისას, როცა გკითხავთ, რა გააკეთა თქვენმა თაობამ ამ ქვეყნისთვისო, რას უპასუხებთ-მეთქი. ამასთან, ვთხოვე, ახლა, ამ 50 წლის გადასახედიდან შეეფასებინა განვლილი წლები.

პროფესორი ჩაფიქრდა, ყოველთვის თავშეკავებულს სახე დაუსევდიანდა და მიპასუხა: — მძიმე კითხვაა... ბოლო ოცი წელია, სულ ომი და არეულობაა. ამ შეკითხვას ნიკასგან ველოდები. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ბევრით ვერაფერს დავიკვეხნი. ჩემმა თაობამ — 80-90-იანელებმა ჩვენს სამშობლოში ვერ შექმნეს ის პირობები, რომლითაც ვიამაყებდით და რასაც ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს გადავცემდით. ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ჩემს თაობას ბევრი არაფერი აქვს საამაყო. ყოველ შემთხვევაში, შემიძლია ნიკას ვუთხრა, რომ მამამისს თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს საზიანოდ არაფერი გაუკეთებია და ისე არ უცხოვრია, რომ მას შერცხვეს. უფრო ბედნიერები ვიქნებოდით მეც და ჩემი თაობის სხვა წარმომადგენლებიც, რომ მეტი გაგვეკეთებინა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ათი წელი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ რაღაცის გაკეთება მოვახერხოთ, რომელიც ამ მძიმე კითხვას შეამსუბუქებს. მართალია, დღევანდელ ინტერვიუში ცოტა პესიმისტური პროგნოზების გაკეთება მომიწია, მაგრამ მე მაინც ოპტიმისტი ვარ, იმედით ვცხოვრობ და მჯერა, საქართველოს მომავალი ბედნიერი იქნება. ასე უნდა ვიცხოვროთ და ასე უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილები. საქართველო მარადიულია, დარწმუნებული ვარ, კვლავაც გაძლიერდება, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი შრომა და სამშობლოს უფრო დიდი და ფანატიკური სიყვარული.

ბ. მ.

რას დაემსგავსა ბალტიისპირეთი ნატოს ფრთის ქვეშ

უკვე ხუთი წელია, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ნატოს შემადგენლობაში შედიან. მართალია, რუსი სამხედროების ზოგიერთი ავი წინათგრძნობა ბალტიისპირეთის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით ჯერაც არ გამართლებულა, მაგრამ დასავლეთი აქტიურად ცდილობს, ეს ბერკეტი რუსეთზე ზეწოლისათვის გამოიყენოს. სამივე სახელმწიფოში დგას ნატოს რადიოლოკაციური სადგური, ესტონეთში უკრაინელ და ქართველ სამხედროებს წვრთნიან, დროთა განმავლობაში კი ბალტიისპირეთი შესაძლოა, რუსეთის დასავლეთ საზღვარზე იარაღის არაკონტროლირებად საწყობად იქცეს.

ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ნატოს 2004 წელს შეუერთდა ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვაკეთისა და სლოვენიის მსგავსად. შედეგად, ალიანსის სამხედრო ძალები რუსეთის საზღვრებს მიებჯინა. რუსული თავდაცვის სისტემის შფოთვა ნაწილობრივ უსაფუძვლო აღმოჩნდა — **ბალტიის ზღვის სანაპიროზე ნატოს ბაზები არ განლაგებულა, მაგრამ, ამავე დროს, ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს ხელი არ მოუწერიათ ევროპაში ჩვეულებრივი სამხედრო ძალების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ტერიტორია უპრობლემოდ შეიძლება იქცეს იარაღის არაკონტროლირებად საწყობად.**

მიიღო რა ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა, რიგაც, ტალინიცა და ვილნიუსიც ძალზე აქტიურად გამოხატავენ არამეგობრულ დამოკიდებულებას მოსკოვის მიმართ. **ხუთი წლის წინათ ნატოს შტაბბინაში იმედოვნებდნენ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხი მოგვარდებოდა, ისინი მოახერხებდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტეგრირებას.** ითვლებოდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების ფაქტიც კი შეამცირებდა ბალტიისპირელთა ანტირუსულ რიტორიკას და, ბოლოს და ბოლოს, ამ ხალხებსა და ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობები დამყარდებოდა,

მაგრამ ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა ძველ კომპლექსებს ვერ უღალატეს და განაგრძეს იმის მტკიცება, რომ კრემლის გაუთვალისწინებელი პოლიტიკა კვლავაც მუქარას შეიცავს, მათ კი მხოლოდ ნატოს წევრობა აძლევთ უსაფრთხოების გარანტიას, ვინაიდან რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში სწორედ ალიანსის დახმარების იმედი აქვთ.

საქმე ისაა, რომ უკანასკნელ წლებში ალიანსმა საგრძნობლად შეცვალა რუსეთისადმი დამოკიდებულება. ადრე აღმოსავლეთით გაფართოების საქმეში ლატვია, ლიტვა და ესტონეთი მნიშვნელოვან ფორპოსტებს წარმოადგენდნენ, სწორედ ამ ქვეყნების გავლით ეკონტაქტებოდა ბრიუსელი პოსტსაბჭოთა სივრცეს. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის გეგმებში შედის, უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და მოლდოვაც საკუთარ საზღვრებში მოაქციოს. **ალიანსის სოლიდური დახმარების ფონზე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საკუთარ თავზე აიღეს ზემოჩამოთვლილი ქვეყნების მეურვეობა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მათი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა. ესტონეთის ქალაქ ტარტუში, ნატოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში — ბალტიის სახედრო კოლეჯში, ათეულობით უკრაინელ და ქართველ სამხედროს ასწავლიან.**

გამოდის, რომ ამჟამად ბალტიისპირეთის ქვეყნები საკმაოდ მნიშვნელოვან, თუმცა, რაღა თქმა უნდა, არაპირველხარისხოვან როლს ასრულებენ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში. **გარდა იმისა, რომ ამზადებენ კადრებს უკრაინისა და საქართველოს სამხედრო ძალებისათვის, რომელთა შესაძლებლობებით ნატო, ცხადია, დაინტერესებულია, ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს მომგებიანი სტრატეგიული მდებარეობა აქვთ. მათ ტერიტორიაზე განთავსებულ რადიოლოკაციურ სადგურებს სიტუაციის თვალთვალი რუსეთის ტერიტორიის სიღრმეებამდე და თავად მოსკოვამდეც შეუძლია.**

ამ ყველაფრის პარალელურად, ალიანსი ბალტიის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებსაც იყენებს. მართალია, შეზღუდული მასშტაბებით, მაგრამ ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთულ ოპერაციებში. მათი ჯარები მნიშვნელოვანი შემადგენლობით მსახურობენ ბალკანეთსა და ერაყში, ასეულებმა ავღანეთიც გაიარეს.

მართალია, სამხედრო თვალსაზრისით, პოლონეთს, უნგრეთსა და, განსაკუთრებით, მძლავრი თავდაცვითი მრეწველობის მქონე ჩეხეთს ნატოსათვის გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რუსეთის ინტერესებზე ზეწოლის ნატოსეულ სტრატეგიაში გადამწყვეტ როლს სწორედ ბალტიისპირეთის ქვეყნები ასრულებენ. თავის მხრივ, რუსეთი უკვე შეეგუა ამ ქვეყნების ნატოში გაწევრების ფაქტს, მაგრამ მაინც შიშობს როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო ურთიერთობებთან მიმართებაში. და თუ მეორე ასპექტში მოსკოვის მღელვარება მოვლენების წინსწრება აღმოჩნდა, პირველში ყველა დასაშვებ ზღვარს გადააცილა. ასე რომ, უახლოეს წლებში რუს დიპლომატებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდებათ.

ნატომ რუსეთისადმი დამოკიდებულება შეცვალა

რუსეთი-ნატოს საბჭო მომავალში უსაფრთხოების სტრატეგიული საკითხების განხილვის ოპერატიულ ორგანოდ გარდაიქმნება. ამის შესახებ ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა საბჭოს ელჩების დონეზე ჩატარებული სხდომის შემდეგ.

როგოზინის თქმით, რუსეთმა ნატოსთან ურთიერთობისას წინდაუხედაობა და პროვოკაციები არ უნდა დაუშვას. უკანასკნელმა სხდომამ სკეპტიკოსები დაარწმუნა, რომ ნატო კონფრონტაციული განწყობისაგან ნელ-ნელა განიმუხტა და რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის“ პირობის შესრულებას შეუდგა.

ენერგეტიკული პოლიტიკა — ევროკავშირის მთავარი ფიასკო

ევროკავშირისთვის ენერგეტიკული პოლიტიკა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ყველაზე სუსტ წერტილად ითვლებოდა, თუმცა, ბლოკის რუსეთზე დამოკიდებულების ზრდის კვალდაკვალ, მონაწილე ქვეყნებს ამ სფეროში შეთანხმებული სტრატეგიის შემუშავების სურვილიც ემატებათ. ევროკავშირი საქმეს ხელს მხოლოდ მაშინ ჰკიდებს, როდესაც კრიზისს გადააწყდება, ის ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაზე ნაკლებადაა შედეგზე ორიენტირებული და პრობლემები აქვს მსოფლიო არენაზე „მრავალეროვანი დემოკრატიის“ იმიჯის დამკვიდრებაში.

უკანასკნელი სამი წელია, ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოები აქტიურად მუშაობენ ერთობლივ ენერგეტიკულ პოლიტიკაზე. ამ მოღვაწეობამ ახალი პოლიტიკური იმპულსი 2006 წლის იანვარში შეიძინა, როდესაც რუსეთმა პირველად გადაკეტა გაზი გადაუხდელობის გამო და ამით ევროპელი მომხმარებლებიც დააზარალა. ვაშინგტონში ევროკავშირის წარმომადგენელი ჯონ ბრუტონი აფასებს მონაწილე ქვეყნების სოლიდარობას წლევანდელი კრიზისის პერიოდში და აცხადებს, რომ ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შესაქმნელად პოლიტიკური ინგრედიენტები უკვე სახეზეა. **ამავე აზრს იზიარებს ნატოს პოლიტიკური დაგეგმარების მმართველობის ხელმძღვანელი ჯეიმს ში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპაში არ უნდა შეიქმნას სიტუაცია, როდესაც მისი აღმოსავლეთი ნაწილი 25-გრადუსიან ყინვაში საწვავის გარეშე კანკალებს, დასავლეთი კი 25-გრადუსიან სითბოში ნებივრობს. მით უფრო, რომ საუბარია მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაზის გადაქაჩვაზე.**

პარალელურად, ვინაიდან უკრაინას მიწოდებული გაზის საფასურის ანაზღაურება არ შეუძლია, რუსული „გაზპრომი“ კვლავ იმუქრება მომავალ ზამთარს გაზის გადაკეტვით და ევროკავშირს ორმხრივი კამათის მოგვარებაში ჩარევას სთხოვს. ბრიუსელმა მზადყოფნა გამოთქვა უკრაინული გაზსადენის მოდერნიზაციისათვის სახსრების გამოყოფაზე, მაგრამ არ სურს რუსეთის, უკრაინისა და საეჭვო შუამავლების მონაწილეობით მიმდინარე გაუმჭვირვალე საგაზო გარიგებების ანაზღაურება.

არაორაზროვანი შეხსენება, რომ ენერგორესურსები ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია, საგარეო პოლიტიკაში განგაშის შეგრძნებას იწვევს, ევროკავშირს კი აღმოსავლელ მეზობელთან თანამშრომლობა მოუწევს.

EUobserver.com

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ალექსანდრე ტოლსტოი:

გაერთიანებული შტაბის დებულებამ მიხეილ სააკაშვილი სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას ჩამოაშორა

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ ალექსანდრე ტოლსტოისთან სპეციალისტების ყურადღება მიიქცია. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოში ნაწრთობი პოლკოვნიკის მოსაზრებები განსაკუთრებით საინტერესო იმითაც იყო, რომ იგი არა ზედაპირულად, არამედ პროფესიონალი სამხედრო მზვერავის პოზიციიდან აფასებდა საქართველოს სამხედრო სფეროში არსებულ მდგომარეობას. გრუ-ს პოლკოვნიკი თავშეკავებით გამოთქვამდა შენიშვნებს, რომელთა ხელისუფლების მხრიდან გაუთვალისწინებლობამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის შეიარაღებული ძალები. დღეს დაპირებისამებრ გაგაცნობთ ბატონ ALექსანდრე ტოლსტოის მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ლაფსუსები სამხედრო კანონმდებლობაში. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ ინტერვიუში გამოთქმული შენიშვნები დაზვერვის პოლკოვნიკმა წერილობით გაუზიარა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, თუმცა, როგორც ჩანს, დღევანდელი პოლიტიკური პროცესებით დაკავებულმა პირველმა კანონმდებელმა ამ მიმართვების გასაცნობად ვერ მოიცალა. სამხედრო კანონმდებლობა სასწრაფო მიხედვას საჭიროებს და ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუკი ამ ინტერვიუს ყურადღებით წაიკითხავთ.

— ბატონო ალექსანდრე, პარლამენტის თავმჯდომარისთვის მიწერილ წერილებში თქვენ იმ საკანონმდებლო ლაფსუსებზე მიუთითებდით, რომელთა გამოსწორება საშურ საქმედ მიგაჩნიათ. მართალია, მისი მაღალი ყურადღება ვერ დაიმსახურეთ, მაგრამ, იქნებ, ჩვენც გაგვიზიაროთ, კონკრეტულად რა და როგორ უნდა შეიცვალოს?

— მართალი გითხრათ, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან უყურადღებობა არ მიკვირს. მაგრამ მე ხომ პირადი თხოვნით არ მიმიმართავს ბატონი დავით ბაქრაძისთვის, საქვეყნო საქმე მალაპარაკებს. გადაავლეთ თვალი კანონებს „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, აგრეთვე, „თავდაცვის სამინისტროსა“ და „გაერთიანებული შტაბის“ დებულებებს და ადვილად მიხვდებით, რომ ისინი სამხედრო საქმეში ჩაუხედავმა ადამიანებმა შეადგინეს სამხედრო ხელოვნების, კანონებისა და წესდებების სრული უგულებელყოფით. წინადადებათა უმრავლესობა გაუმართავი და სამხედრო ტერმინოლოგიისგან დაცლილია. მრავლადაა გამეორებები უფლებამოსილებებში, ზოგიერთი მათგანი კი წინააღმდეგობრივია.

— იქნებ, მაგალითებიც მოვიშველიოთ ჩვენი საუბრის არგუმენტირებისთვის...

— კი ბატონო, კონკრეტული მაგალითებიც ვნახოთ:

„თავდაცვის სამინისტროს დებულების“ პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „თავდაცვის მინისტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის... და საქართველოს მთავრობის წინაშე...“, ხოლო მესამე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „...იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის წინაშე“; ამავე დებულების მესამე მუხლის მესამე ი) პუნქტის თანახმად, მინისტრი „დადგენილი წესით ანიჭებს ოფიცრებს სამხედრო წოდებებს პირველადი სამხედრო წოდებიდან პოლკოვნიკის (პირველი რანგის კაპიტნის) ჩათვლით“, ხოლო კანონით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ ეს უფლება მინიჭებული აქვს გაერთიანებული შტაბის უფროსს (მ.38, პ.9);

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონის მეცხრე მუხლის ა) პუნქტის თანახმად, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ფუნქციაში შევიდა:

„ა) ...საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო ხელმძღვანელობა“;

„დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ხელმძღვანელობის განხორციელება“.

შეიარაღებული ძალების საერთო ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს პრეზიდენტს, უშუალო — თავდაცვის მინისტრს, ხოლო ოპერატიული მართვა — გენერალური შტაბის უფროსს, სამოქალაქო ოფისმა კი მინისტრის განკარგულებები და დავალებები უნდა შეასრულოს.

გაუგებარია, აგრეთვე, თუ რატომ ეწოდა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს გაერთიანებული შტაბის სახელი. შეიარაღებული ძალების შემადგენელი ჯარების სახეობებს ხომ ჰყავთ სარდლები და შტაბები თავიანთი უფროსებით?

მაშინ რაღას აერთიანებს გაერთიანებული შტაბი?

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 8 აგვისტოს (№462) ბრძანებულებით გაერთიანებულ შტაბს გადაეცა გენერალური შტაბის მხოლოდ უფლებამოსილებები, ხოლო პასუხისმგებლობა და ვალდებულებები ისევ მას დარჩა. ფაქტობრივად, „შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი“ არ გაუქმებულა.

არც ერთ კანონში მკაფიოდ არ არის ჩაწერილი უმაღლესი მთავარსარდლის, თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის უფლებები, მოვალეობები და მათი პირადი პასუხისმგებლობა ოპერატიულ-სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებისას.

მე პარლამენტის თავმჯდომარეს შევთავაზე ჩემეული ვარიანტი, თუ როგორ უნდა დაფიქსირდეს პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის უფლებები და მოვალეობები თავდაცვის სფეროში. თუკი ბატონი დავით ბაქრაძე და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრები თავს შეიწუხებენ და გაეცნობიან ამ წინადადებებს, ისევ ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო.

კარგად მესმის, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტების და, მით უმეტეს, კანონების შექმნა არ არის ერთი პიროვნების საქმე, მაგრამ ზემოთ დასახელებული კანონების ძველებურად დატოვება, უბრალოდ, სირცხვილია, უფრო სწორად, სახიფათოა. აღარაფერს ვამბობ კანონებზე „საგანგებო“ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ და მხოლოდ პირველი მუხლებით განსხვავდება.

— ეს რაღაც ახალია... წარმოუდგენელ რამეს ამბობთ, ორი დამოუკიდებელი კანონი ერთმანეთისგან მხოლოდ პირველი მუხლებით განსხვავდება?

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

სამხედრო საკანონმდებლო აქტები (კანონები, დებულებები, წესდებები და სხვა) მკაფიოდ და ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს სამხედრო უწყებების სხვადასხვა სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულებას, შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებს, მოვალეობებს და ქცევის წესებს, სამხედრო ნაწილსა და მის ქვედანაყოფებში შინაგან წესრიგს, აგრეთვე, ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობისადმი.

ჩემი აზრით, ***სამხედრო საკანონმდებლო აქტების ავტორების ზედაპირულმა წარმოდგენამ არმიაზე, მის დანიშნულებაზე და, საერთოდ, სამხედრო საქმეზე უარყოფითად იმოქმედა ჯარის დისციპლინაზე, მის საბრძოლო მზადყოფნაზე.***

თქვენ ორი კანონის მსგავსება გაიოცეთ, მე კი უფრო მეტსაც გეტყვით: მათ მიერ მომზადებულმა დოკუმენტებმა ერთმანეთს დაუპირისპირა სამხედრო წესდებები დებულებებს, დებულებები — კანონებს, კანონები — კონსტიტუციას, კონსტიტუცია — რეალობას.

— ბატონო ალექსანდრე, სულ მალე საკონსტიტუციო კომისია შეიქმნება და, იქნებ, მისთვისაც მიგემართათ. კვალიფიციური იურისტები უფრო მიხვდებიან თქვენს საწუხარს, ვიდრე პოლიტიკოსები, რომლებმაც ქვეყნის კონსტიტუცია საკუთარ თარგზე გამოჭრეს...

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც არის საქართველოს პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი...“ (მ.9, პ.6) და

„7. გენერალური შტაბი“ (შეიარაღებული ძალების);

„გ) საომარი მდგომარეობის დროს ახორციელებს სამხედრო ძალების მართვას“;

ესე იგი, რა გამოდის, კანონის — „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ — მეცხრე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობამ დაჩრდილა სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა, ხოლო მეშვიდე გ) პუნქტმა კი საერთოდ წაართვა მას სამხედრო ძალების მართვის უფლება. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა და ***„საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულებამ“ უმაღლესი მთავარსარდალიც ჩამოაშორა სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას და სარდლების დანიშვნის უფლებაც კი ჩამოართვა:***

„1. გაერთიანებული შტაბის უფროსი“;

„ბ) საომარი მდგომარეობის დროს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმძღვანელობს სამხედრო ძალებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგენს დასანიშნად გაერთიანებულ ძალთა ოპერატიული და ტაქტიკური დაჯგუფებების მეთაურების კანდიდატურებს და ახორციელებს მათ მართვასა და კონტროლს“ (მ.4, პ.1, კ).

სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა და სარდლების დანიშვნა (ოპერატიულ გაერთიანებებს სარდლები ხელმძღვანელობენ და არა — მეთაურები) ხომ პრეზიდენტის პრეროგატივაა. და კიდევ: შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც არის უმაღლესი მთავარსარდლის ხელქვეითი, კი **არ უნდა ურჩევდეს** პრეზიდენტს, არამედ **უნდა მოახსენებდეს, უპატაკებდეს, წარუდგენდეს** და ა.შ., ხოლო მრჩევლის სტატუსი მას აძლევს თავის მართლების და პრეზიდენტზე პასუხისმგებლობის გადაბრალების საშუალებას.

ცნობისათვის: ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარე ითვლება შეიარაღებული ძალების უმაღლეს სამხედრო პირად.

ამ დოკუმენტის ავტორებს ერთმანეთში აერიათ ხელმძღვანელობისა და შტაბის ფუნქციები. ჯარებს ხელმძღვანელობენ სარდლები, მეთაურები, ხოლო შტაბებს — უფროსები. მათ დაავიწყდათ, რომ შტაბი არის ჯარების მართვის ძირითადი ორგანო და თავის საქმიანობას განახორციელებს სარდლის (მეთაურის) გადაწყვეტილებისა და ზემდგომი შტაბის განკარგულების საფუძველზე.

— საუბრის დასაწყისში თქვენ აღნიშნეთ იმ გაურკვევლობებზე, რაც „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ კანონში შეინიშნება...

— დიახ, გარდა ამ გაურკვევლობებისა, რაც უკვე მოგახსენეთ, ბუნდოვანია კანონის „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ მერვე მუხლის პირველი პუნქტის განმარტებაც საქართველოს სამხედრო ძალების სტრუქტურის შესახებ:

„1. საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს — აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებისაგან — საქართველოს სასაზღვრო პოლიციისაგან“ (მ.8, პ.1).

ამ პუნქტის პირველი წინადადება გაუგებარია. სიტყვა „შედგება“ ხომ მოითხოვს ორი ან მეტი საგნის (სუბიექტის) დასახელებას?

საკვირველია, აგრეთვე, სასაზღვრო პოლიციის გათანაბრება შეიარაღებულ ძალებთან. რა ძალები და საშუალებები აქვს სასაზღვრო პოლიციას (რომელიც სახელდება როგორც დაწესებულება), რომ მან შეძლოს, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა? ვინ დაუსახა მას ასეთი ამოცანა?

ამავე მუხლის მეორე პუნქტი განმარტავს, რომ:

„საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება:

ა) სახმელეთო ჯარებისაგან;

ბ) სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან;

გ) სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან“ (კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“).

რაღა დარჩა გასაერთიანებელი? თუ სახელის გადარქმევა აუცილებელი იყო, მაშინ უფრო ლოგიკური იქნებოდა, გენერალურ შტაბს მთავარი შტაბი დარქმეოდა.

ცნობისათვის: შეერთებულ შტატებში „გაერთიანებული შტაბი“ წარმოადგენს შტაბების უფროსების კომიტეტის მუშა ორგანოს; ნატოს ბლოკში „გაერთიანებული შტაბი“ ემორჩილება სამხედრო დაგეგმარების მუდმივ კომიტეტს და წარმოადგენს მის აღმასრულებელ ორგანოს.

ამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით შემომაქვს წინადადებები, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მეოთხე და 98-ე მუხლის მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციებით:

„პრეზიდენტი არის საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს შეიარაღებული ძალების გენარალური

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

შტაბის უფროსს, სარდლებს“ (მ.73, პ.4).

„ქვეყნის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები“ (მ.98, პ.2).

ტერმინის „სამხედრო ძალები“ ტერმინით „შეიარაღებული ძალები“ შეცვლით ჯარის ორგანიზაციული სტრუქტურა ლოგიკური ხდება და ემთხვევა სხვა ქვეყნების ჯარების ორგანიზაციულ სტრუქტურებს. თითქმის ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს დაცვა ევალება შეიარაღებულ ძალებს და სხვა სამხედრო (თუ გასამხედროებული) ფორმირებები ავტომატურად შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საომარი მდგომარეობის ან საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებისთანავე.

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, კონსტიტუციასა და კანონში „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ ზუსტად განისაზღვროს ჯარის გამოყენების მიზანი და ფორმა, რადგან ეს საკითხი ამ დოკუმენტებში დაკონკრეტებული არ არის.

მაგალითად: საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ჯარის გამოყენებას ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად (მ.98, პ.2), რაც შეესაბამება „საომარ მდგომარეობას“, მაგრამ „შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის დებულება“ (მ.2, პ.ბ) კი შესაძლებელს ხდის არმიის გამოყენებას „საგანგებო მდგომარეობის“ დროსაც;

„გაერთიანებული შტაბის ფუნქციები და ამოცანებია“:

„საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, აგრეთვე, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში არსებული ჯარების სახეობების ბაზაზე გაერთიანებულ ძალთა ოპერატიული და ტაქტიკური დაჯგუფებების ჩამოყალიბება და მათი მოქმედების კონტროლი...“

პუნდოვანია, აგრეთვე, კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი თ) პუნქტის მოთხოვნები „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადების შემთხვევაში:

„ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას“.

გაუგებარია:

რატომ ცხადდება „საგანგებო მდგომარეობა“ და არა „საომარი მდგომარეობა“ „ომიანობის“ თუ „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის“ შემთხვევაში;

იქნება თუ არა გამოყენებული ჯარი „მასობრივი არეულობის“ შემთხვევაში.

ესაუბრა
ბონდო მჟინარაშვილი

საბჭოთა სარაკეტო ბირთვულ ფარს ქართველი მეცნიერი ქმნიდა

სოციალისტური შრომის ორგზის გმირი (1976, 1982), ლენინისა (1966) და სახელმწიფო (1987) პრემიების ლაურეატი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი და დირექტორი ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძე 1914 წლის 20 აგვისტოს ქალაქ გორში დაიბადა; 1936 წელს, ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში გადასახლდა და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

1938 წლიდან სწავლის პარალელურად მუშაობდა ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში ინჟინრად, შემდეგ — ჯგუფის ხელმძღვანელად. დაკავებული იყო თვითმფრინავის საჰაერო ბალიშის პრინციპზე დაფუძნებული ამფრენ-დამჯდომი მოწყობილობის თეორიული, ექსპერიმენტული და სამეცნიერო კვლევით. ნადირაძის საჰაერო ბალიშზე დაფუძნებული ამფრენ-დამჯდომი მოწყობილობა დამონტაჟდა „УТ-2Н“ ტიპის თვითმფრინავზე. 1941 წელს ის დაინიშნა მოსკოვის ს. პ. გორბუნოვის სახელობის 22-ე ქარხნის საცდელ-კონსტრუქციული ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად. **1941 წლის ბოლოდანვე შეუდგა სარაკეტო ტექნიკის გამოკვლევას. ომის წლებში ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების ხუთი სახეობა გამოიგონა.**

1945 წელს ნადირაძემ შექმნა მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტის რეაქტიული შეიარაღების ფაკულტეტთან არსებული საცდელ-კონსტრუქციული ბიურო, რომელშიც თავად გახლდათ მთავარი კონსტრუქტორი. პარალელურად კითხულობდა ლექციებს რაკეტების პროექტირებისა და გამშვები მოწყობილობების შესახებ, განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ორსაფეხურიანი რაკეტებისა და ტურბორეაქტიული ჭურვების მიმართულებით.

1948 წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მოსკოვის მექანიკური ინსტიტუტის საცდელ-კონსტრუქციული ბიურო „КБ-2“-ის შემადგენელი ნაწილი გახდა და ნადირაძე ხელმძღვანელობდა ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვებისა და არამართვადი ზენიტური რაკეტების შემუშავების ქვეგანყოფილებას. 1950 წლიდან მუშაობდა საზენიტო ჭურვ „სტრიუზე“. 1951 წლიდან „КБ-2“ შეუერთდა „ГСНИИ-642 МСХМ“-ის, რომელშიც ფრთოსანი და დენთის რაკეტების, რადიომართვადი და თვითდამიზნებადი ავიაბომბების შესაქმნელად გაერთიანებული იყო ორლოვის, ნადირაძის, კაშერინინოვის და სვეჩარნიკის საცდელ-კონსტრუქციული ბიუროები. 1953 წლიდან ნადირაძე სათავეში ჩაუდგა „Ворон“-ის სისტემაზე მუშაობის საქმეს.

დაგროვილი გამოცდილებით შეიქმნა მსოფლიოში პირველი მაღლივი მეტეოროლოგიური კვლევითი რაკეტა, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ 1949 წელს დაიწყეს სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ცენტრალური აეროლოგიური ობსერვატორიის ტექნიკური დავალებით. რაკეტა გამიზნული იყო გაზომვითი აპარატურის ატმოსფეროს მაღალ ფენებში ტრანსპორტირებისათვის. 1951 წელს ობსერვატორიის თანამშრომელთა მონაწილეობით გაუშვეს პირველი მეტეოროლოგიური რაკეტა „МР-1“, რომელიც სწორედ ალექსანდრე ნადირაძემ შექმნა.

1951 წლის 15 ოქტომბერს ხელისუფლების დადგენილებით, ნადირაძეს რადიომართვადი ბომბ „УБ-2000Ф“-ით აღჭურვილი საავიაციო კომპლექს „Чайка“-ს შექმნა დაევალა. 1955 წელს მისი გამოცდები წარმატებით დასრულდა და იმავე წლის 1 დეკემბრიდან კომპლექსი „УБ-2Ф“ ბომბით მიღებულ იქნა შეიარაღებაში.

ქვეყნის მმართველობის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტრომ მოაწყო კონკურსი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შექმნის საუკეთესო პროექტზე. კონკურსი ნადირაძემ მოიგო. 1966 წლის 6 მარტს თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს დაევალა, შეექმნა მყარსაწვავიანი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა მოძრავი საგრუნტო კომპლექსისათვის. პროექტს „Темп-20“ ეწოდა.

1972 წლის 14 მარტს პლესეცკის პოლიგონზე „Темп-20“-ის გამოცდები დაიწყო და 1974 წლის დეკემბრამდე გაგრძელდა. 1976 წლის 21 თებერვალს „Темп-20“-ის ორი პოლკი პლესეცკის რაიონში საბრძოლო მორიგეობას შეუდგა.

1971 წელს ნადირაძის საკონსტრუქციო ბიურომ კომპლექს „Пионер“-ზე დაიწყო მუშაობა. ზაფხულის გამოცდებმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა და 1976 წლის 9 იანვარს დასრულდა. 1976 წლის 11 მარტიდან სარაკეტო კომპლექსი „Пионер“ შეიარაღებაში მიიღეს.

1977 წლის 19 ივლისს დაიწყო გაუმჯობესებული ტაქტიკურ-ტექნიკური შესაძლებლობების მქონე კომპლექს „Пионер“-ზე მუშაობა. **1981 წლის 28 აპრილს კომპლექსი „Пионер УТТХ“ შეიარაღებაში მიიღეს. ეს რაკეტა 5500 კილომეტრის დაშორებაზე ისეთი სიზუსტით ისროდა, რომ სწორედ ეს გახდა ახლო და საშუალო სიშორის (ანუ რაკეტები, რომელთაც შეუძლიათ, მიაღწიონ მიზანს 500-დან 5500 კილომეტრამდე მანძილის დაშორებიდან) რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების გაფორმების ერთ-ერთი მიზეზი.** ფაქტობრივად, უნდა განადგურებულიყო ყველაფერი, რაც მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში იქმნებოდა. 1752 განთავსებული და 845 განუთავსებელი საბჭოთა რაკეტა განადგურდა. შეერთებულმა შტატებმა, შესაბამისად, 859 და 283 რაკეტა გაანადგურა. თვითმხილველები იხსენებენ, რომ

როდესაც ოდნავი გადახვევის გარეშე ათეულობით საბჭოთა „Пионер“ აფრინდა, ამერიკელები დარწმუნდნენ, რომ „სარაკეტო-ბირთვული ფარი“ სულაც არ იყო უბრალო სიტყვები, რომელსაც საბჭოთა გენერლები ვინმეს შესაშინებლად იყენებდნენ.

ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ ვაშინგტონის ავიაციისა და კოსმონავტიკის მუზეუმში „Пионер“-ის ერთ-ერთი ეგზემპლარი დღემდე მთავარ ექსპონატად ინახება.

„Пионер“-ის შექმნისას დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება გახდა ახალი საგრუნტო სარაკეტო კომპლექსის, სტრატეგიული რაკეტით აღჭურვილი „Тополь“-ის შექმნის საფუძველი. მასზე მუშაობა ალექსანდრე ნადირაძემ დაიწყო, მაგრამ წელს გულის შეტევით მისი უეცარი გარდაცვალების შემდეგ ეს სამუშაოები ლაგუტინმა განაგრძო. სწორედ „Тополь“, დასავლური კლასიფიკაციით, იგივე „SS-25“ გახდა პირველი მოძრავი სარაკეტო კომპლექსი, რომელსაც შეეძლო, გადაელახა რაკეტსაწინააღმდეგო დაცვა და 10 000 კილომეტრზე მიეღწია მიზნისათვის. საბჭოთა კავშირს „МАЗ-7912“-სა და „МАЗ-7917“-ზე განთავსებული ასეთი 360 რაკეტა ჰქონდა. ისინი 1986 წლიდან ტყიან მასივებში ახორციელებდნენ საბრძოლო მორიგეობას, რათა მზვერავი თანამგზავრებიდან შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ. ამჟამად მათ ადგილი გაცილებით სრულყოფილ და ზუსტ რაკეტებს დაუთმეს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტ. 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ბრიუს ფაინი:

თქვენთან ტირანია და უნდა გიშველოთ!

თუ თქვენ გიკვირთ, რატომ ესვრის ჩვენი სახელმწიფო თავის ხალხს რეზინის ტყვიებს, გაზის ყუმბარებსა და ხანდახან „გრადის“ ტიპის არტილერიასაც კი, და თუ უფრო მეტად გიკვირთ, ამ ყველაფრის მიუხედავად, რატომ არიან ჩვენი დასავლეთელი მეგობრები ჩვენი „დემოკრატიით“ აღფრთოვანებულები და რატომ თვლიან ჩვენს თვალგამოთხრილ, შეგინებულ და დაფეხვილ სახელმწიფოს დემოკრატიის შუქურად, მაშინ წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუ და დარწმუნდებით, რომ თვითონ ჩვენი მამა და მარჩენალი ქვეყანა თავად ადგას მილიტარიზაციის გზას.

„Real News Network“-ის ჟურნალისტი პოლ ჯეი ესაუბრება ბრიუს ფაინს, ამერიკის კონსტიტუციის ცნობილ დამცველს, ამერიკული იმპერიის მოწინააღმდეგეს, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „American freedom agenda“-ს დამფუძნებელს. ფაინი მუშაობდა აშშ იუსტიციის სამინისტროში პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს. არის ავტორი წიგნისა „კონსტიტუციური რისკი“. ფაინი ასაბუთებს, თუ რატომ არ სჭირდება ამერიკას ამდენი სამხედრო ბაზა და მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დაუბრუნდეს საგარეოპოლიტიკურ, არასავაჭრო, მაგრამ მაინც იზოლაციონიზმის პოზიციას.

ბრიუს ფაინი

— მოდი, ძირითადი მტკიცებულებებით დავიწყოთ. რეიგანი, რომელზეც მუშაობდით... ამერიკას „მთის წვერზე მოკიაფე სეტყვას“ უწოდებდა. რეიგანის პრეზიდენტობისას ჩვენ სახეზე გვქონდა სამხედრო ხარჯების ზრდა. რა თქმა უნდა, იგივე იყო მანამდეც, რუზველტისა და კენედის დროს. როგორც ჩანს, არა აქვს მნიშვნელობა, რესპუბლიკელები არიან ხელისუფლებაში თუ დემოკრატები. რას ნიშნავს ეს? თავისუფლება თუ იმპერია?

— ვფიქრობ, თუ თვალს გადავავლებთ შტატების ტრაექტორიას მისი შექმნის დღიდან, იგი დაიწყო როგორც რესპუბლიკა, რომელიც ვერ ხედავდა აუცილებლობას, რომ, როცა დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, საფრანგეთის მონარქიას, რუსეთის, ბრიტანეთის, ოსმანთა იმპერიებს დასხმოდა თავს. ამერიკა აღიარებდა, რომ, კონსტიტუციის პრეამბულის შესაბამისად, შტატების მისია მდგომარეობდა შემდეგში: „გავამყაროთ თავისუფლების სიკეთეები ჩვენ მერე და ჩვენი შვილებისთვის“. სწორედ ამას გულისხმობდა ჯორჯ ვაშინგტონი თავის ცნობილ გამოსათხოვარ სიტყვაში, როცა გვიანდერძა, რომ არ შეგვექმნა ალიანსები, არ ჩავბმულიყავით ომებში. მაგრამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჩვენ მაინც გავხდით იმპერია.

— მოიცა. უნდა შეგაწყვეტინოთ. ეს ხომ უკვე რაღაც იმპერიის მსგავსი იყო აშშ საზღვრებში. ინდიელებზე — ამერიკის მკვიდრ მოსახლეობაზე თავდასხმა, მექსიკასთან გარჩევები, ექსპანსია. ვგულისხმობ, რომ ეს ტენდენციები მაშინაც შეიმჩნეოდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, იმ გაგებით, რომ ჩვენ ვიკავებდით მიწებს, რომლებიც ჩვენ არ გვეკუთვნოდა. ეს, რაც შეეხება კოლონიალიზმს. ისინი იქ არ დაბადებულან, ისინი დაბადებით ამერიკელები არ იყვნენ. ასე თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ ყველანი ცოტ-ცოტა იმპერიები ვართ, იმიტომ, რომ ხალხს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეუძლია. მე იმას ვამბობ, რომ ჩვენ გვქონდა კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრული უფლებები, სულ ცოტა, 50 წლით. ვფიქრობ, იდეა აბსოლუტურად ზუსტად გამოხატა ჯონ ქუინსი ადამსმა თავის გამოსვლაში 1821 წლის 4 ივლისს: — „ჩვენ არ უნდა ვეძებოთ ურჩხულები მთელ მსოფლიოში, რომ დავამარცხოთ ისინი“. ამით აიხსნება, რომ როცა ჩვენმა ლათინოამერიკელმა მეზობლებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ესპანეთის მარწუხებისგან გათავისუფლდნენ, ჩვენ ინტერვენცია არ მოგვიხდენია შეძახილებით: უი, თქვენ ტირანია გაქვთ და უნდა გიშველოთო! არც საბერძნეთის განმათავისუფლებელ ომში ჩავრეულვართ 1921 წელს.

იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ზეგავლენა ჩვენი მაგალითით მოგვეხდინა. ეს იყო და ეს. ჩვენ არ გვქონია აკვიატებული იდეა, რომ სხვა ქვეყნებიც ამერიკის ზუსტი ასლები გამხდარიყვნენ. თუ ისინი ჩვენგან მაგალითს აიღებდნენ და მოგვბაძავდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა. თავისუფლების წინააღმდეგნი არასდროს ვყოფილვართ, მაგრამ ვიცოდით, რომ, თუნდაც, საუკეთესო მოსაზრებებით, საკუთარი ძალაუფლების საზღვარგარეთ გავრცელების პროცესი ჩვენს საკუთარ დემოკრატიულ ინსტიტუტებს დაანგრევდა ქვეყნის შიგნით (რადგან მთელი ძალაუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში გადადის). ჯეიმს მედისონმა თქვა, რომ „ჩვენ გავხდებით ტირანები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გარეშე საფრთხე ძალიან დიდი იქნება“. ის ამერიკის პრეზიდენტი იყო 1812 წლის ომის პერიოდში.

ახლა სად ვართ? სულ თავიდან ეს სამხედრო ბაზები შევტენეთ მსოფლიოს 135 ქვეყანაში. რატომ ვიქცევით ასე? იმიტომ, რომ, როცა სუპერსახელმწიფო ხარ, მსოფლიოში ვერავინ დაემუქრება შენს სუვერენიტეტს. თვით საშინელი 11 სექტემბერიც კი ჩვენი დამოუკიდებლობისთვის მუქარა არაა. ჩვენ ძალიან მძლავრები ვართ. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი ყველაზე დიდია მსოფლიოში. ჩვენ გაგვაღიზიანა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ამბავმა, მაშინ, როცა რუსეთის ბიუჯეტი ჩვენი ბიუჯეტის მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენს. ეს სამხედრო ბაზები იმისთვის არაა განკუთვნილი, რომ ამერიკაზე თავდასხმა აგვაცილოს (თავდაცვა ჩვენს ტერიტორიაზეც შეიძლება). შეიძლება ამ ძალების აშშ ტერიტორიაზე გადმოყვანა და ისინი დაცვის ბუფერულ ზონას შექმნიან. ასევე შეიძლება მზვერავი თანამგზავრების გამოყენებით სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება. შესაძლოა წყალქვეშა ნავების გამოყენებაც. მაგრამ ბაზები თავდაცვისთვის არ იქმნება! ისინი ძლიერების დაცვისთვის გამოიყენება, რადგან ჩვენ აღგვაგზნებს ჩვენი დომინირება და ფიქრი იმაზე, რომ ყველასგან არ უნდა მოვითმინოთ მუქარა. ჩვენ პირველები არ ვართ, ვისაც ეს აღაგზნებს. ყველა გარდასული იმპერია, როცა საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობდნენ, ამბობდა: „ეს ეიფორიის მდგომარეობაა!“ მათ იცოდნენ, რომ ისინი მსოფლიოში მთავრები იყვნენ. ეს დაახლოებით სუპერთასის მოგების მსგავსი რამაა.

— მაგრამ მრავალი არგუმენტი მიუთითებს, რომ ეს კეთდება „ამერიკული ცხოვრების წესის დასაცავად“. ამაში არის სიმართლის წილი. იმ თვალსაზრისით, რომ თუ გადავხედავთ ამერიკის ცხოვრების დონეს, შტატების სიმდიდრეს დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით, რაღაც ვარიანტში ეს სამხედრო სიძლიერის პროეცირება ამერიკის კომერციულ ინტერესებს იცავს. ასე არაა?

— არა. ეს არაა აუცილებელი, პოლ. ეს მონაჩმახია. ხალხი ფულისთვის ყველაფერს გააკეთებს. აუცილებელი არაა, ხალხს ვაჭრობის სურვილი გაუღვიძო. ჩინეთთან ვაჭრობა, უკვე მრავალი საუკუნეა, რაც მიდის. ერთადერთი ემბარგო — ეს იყო ემბარგო ხორბალზე, რომელიც ჩვენ დავაწესეთ საბჭოეთის ავღანეთში შეჭრის შემდეგ. მათ კი უბრალოდ შეისყიდეს მეტი ხორბალი არგენტინიდან და ესპანეთიდან. ემბარგო კუბაზე? ეს არაფერია. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც არალეგალურად შემოიტანენ იმას, რისი შემოტანაც ლეგალურად აკრძალულია. ჩვენ ერთი ტრილიონი დავხარჯეთ ნარკოტიკების შემოტანის აკრძალვაზე, ის კი მაინც შემოედინება! ხალხი ივაჭრებს. ირანი ჩვენთან ივაჭრებს. უგო ჩავესიც ივაჭრებს ჩვენთან. ყველა ივაჭრებს, თუ საუბარი მიდის ფულზე. თუ პირდაპირ არა, შემოვლითი გზებით მოხდება. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, 73 წლის განკითხვის დღის ომისშემდგომი ნავთობის ემბარგო დაწესდა შეერთებული შტატებისა და ნიდერლანდების წინააღმდეგ, რადგან ჩვენ ისრაელს ვუჭერდით მხარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ნავთობი აღარ გვქონდა? არა. ისინი ნავთობს ყიდდნენ ვიღაცაზე, რომელიც შემდეგ ჩვენზე ყიდდა მას.

ჩვენ სიმდიდრისა და აყვავებისთვის სამხედრო ძალა არ გვჭირდება. პირიქით, ჩემი წიგნის წერისას მე ჩავატარე კვლევა, რომ გამერკვია, აყვავდა თუ არა ბრიტანეთის იმპერია თავისი გიგანტური საცეცების მეშვეობით და მისი წარმატებული საერთაშორისო ვაჭრობის ერთადერთი მიზეზი სამხედრო ძლიერება თუ იყო? არა. არაა აუცილებელი იმპერიად ყოფნა. უბრალოდ, საჭიროა შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე...

— და როგორია მოცემულ სიტუაციაში საინფორმაციო საშუალებების როლი?

— ფართო გაგებით, ვფიქრობ, რომ მედია ამ რეჟიმის გამხმიანებელია, თუ გნებავთ. მე არ მინახავს, რომ მედიას დაესვას კითხვა: — „და საერთოდ, რატომ გვაქვს ბაზები ყველა იმ ადგილას, სადაც გვაქვს?“

დღევანდელი „Washington post“-ის პირველ გვერდზე იყო მასალა იმის შესახებ, რომ „ჩვენ ძაააალიან საშიშ გარემოში ვცხოვრობთ“, იქ შემოთავაზებული იყო, გაგვეგრძელებინა მათი დევნა. შემოთავაზებული იყო დევნის გაგრძელება. დააკვირდით, ეს ხომ კუბური სარაკეტო კრიზისია! ისინი კი სწორედ ასე ხედავენ — კრიზისი კუბაზე და ოსამა ბენ ლადენი. მედიას აქაც არ შეუსრულებია თავისი როლი, მათ არ დაუსვამთ საკითხი — „როგორია რეალური საფრთხე“? რატომ არ შეგვიძლია თავის დაცვა, თუ არმია და თანამგზავრები აქ, შტატებში გვეყოლება? წყალქვეშა ნავების გამოყენებაც შეგვიძლია. კიდევ არის CIA. სადაზვერვო მონაცემების შეკრება უპილოტო თვითმფრინავების ჩამოგდებისა და ხალხის ხოცვისგან ბევრად განსხვავდება.

— პრეზიდენტ ბუშის არგუმენტები, რომლითაც ხანდახან ობამაც სარგებლობს ხოლმე, ძირითადად, მდგომარეობდა შემდეგში, რომ უკეთესია მათი დამარცხება იქვე, ვიდრე მათთან ბრძოლა აქ.

— ეს აბსურდული არგუმენტია. რადგან თუ თქვენ არ იბრძვით, შეიძლება, არც არასდროს მოგინიოთ „აქ“ ბრძოლა. თქვენ გაქვთ დაცვა, და იმყოფებით აქედან ათასობით მილის მოშორებით. „მე აქედან 5 000 მილზე ვიღაცას ვერ ვიტან და უნდა მოვკლა“, — ეს ადამიანურ ბუნებაში არ ზის. შესაძლოა, მეორე 11 სექტემბერიც მოხდეს, დიახ. მაგრამ ჩვენ აქ ჩვენი ტიმოტი მაკვეიებიც გვყავს და მათ ომს არ ვუცხადებთ. ჩვენ მათ დევნას და დაჭერას სისხლის სამართლის სისტემის შესაბამისად ვცდილობთ, მაგრამ ომის კატეგორიებით არ ვაზროვნებთ. დაიმახსოვრეთ, პოლ, ომის განმასხვავებელი ნიშნები — ის მკვლელობას კანონიერად აცხადებს, ხალხის მსხვერპლად შეწირვის ლეგალიზებას ახდენს. ეს ნიშნავს ნებისმიერი იურიდიული შეზღუდვის არარსებობას. უბრალოდ, ირჩევ მსხვერპლს და ესვრი. თუ მსხვერპლის არჩევაში შეცდი, ეს გადაჭარბებულ ზარალად ითვლება. ომის ფსიქოლოგია და მენტალიტეტი სწორედ ამით განსხვავდება იმისგან, რომ ჩვენ, უბრალოდ, გვეთქვა: დიახ, ისინი საშიშნი არიან, უნდა შევეწინააღმდეგოთ. დიახ, ჩვენ შეგვიძლია, ვებრძოლოთ ამას სისხლის სამართლის სამოქალაქო სისტემის ფარგლებში, სადაც მკვლელობა უკანონობაა. კანონიერია გამოძიების ჩატარება, დამნაშავეობის დადგენა და შემდეგ მოკვლა, თუ ეს მართლმსაჯულების აღსრულებისთვისაა საჭირო. ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს სიკვდილით დასჯას ეხება. ამაში დიდი განსხვავებაა.

ისევ მინდა, დავუბრუნდე იმ თემას, რომ თუ ჩვენ საზღვარგარეთ არ ვართ, მოვლენ და ომს გამოგვიცხადებენ. ვთვლი, რომ ეს ნონსენსია. არა მგონია, ერაყი ამერიკაში შემოჭრილიყო, ჩვენ რომ ახლა ერაყში არ ვიყოთ. მაინც, არა მგონია, დღესდღეობით, ჩვენ რომ ავღანეთიდან ჩვენი ძალები გამოგვეყვანა, ვინმეს, ტიმოტი მაკვეისავით ტერაქტის მოწყობა ეცადა. არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს უნდა უგულებელვყოთ, მაგრამ ეს მცირე რისკი არ ამართლებს ომის ფსიქოლოგიას. 80.000 ჯარისკაცის შეყვანა, უპილოტო თვითმფრინავების ჩამოგდება და ხალხის ხოცვა იმის გამო, რომ ერთი დანაშაულის ალბათობა არსებობს, სისულელეა.

— არგუმენტი, რომელიც ახლა, დღესდღეობით მოჰყავთ — ეს ჩამოშლილი პაკისტანია. პაკისტანი ბირთვული ზეძალაა, ესე იგი, ადგილობრივ ისლამისტებს რამე უნდა მოვუხერხოთ.

— ეს ხომ სისულელეა. პირველ რიგში, პაკისტანში ძირითადი პრობლემა ბევრ რამეში ჩვენ გამოვიწვიეთ, როცა პაკისტანელების გამოყენება დავიწყეთ საბჭოეთის შემოჭრის წინააღმდეგ ავღანეთში. ჩვენ შევქმენით თალიბანი და ოსამა ბენ ლადენი, ჩვენ შევაიარაღეთ ისინი სტინგერის მართვადი რაკეტებით და სხვა რაღაცებით. ჩარლი უილსონის ომი ამერიკასთან ომის პრელუდია იყო. რა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ვიცით, როგორ დავუჭიროთ მხარი პაკისტანის რეჟიმს? ჩვენ მხარს ვუჭერდით მუშარაფს, და მას წასვლა მოუხდა. ჩვენ მხარი დავუჭირეთ კიდევ ერთს — ზარდარის, ჩათვალეთ, რომ ეგეც წასულია. ჩვენ არ ვიცით! და ჩვენ ლეგიტიმურები არ ვართ პაკისტანში. აშშ პაკისტანში ასოცირდება შაჰის ბრძოლასთან მოლების წინააღმდეგ. პაკისტანელები ისეთივე ხალხია, როგორიც ყველა, მაგრამ მათ არ მოსწონთ, როცა უცხო ძალები ეუბნებიან, რა უნდა გააკეთონ. მე არ ვამბობ, რომ საფრთხე საერთოდ არ არსებობს. თუ გავითვალისწინებთ პაკისტანის მთავრობის სიმყიფესა და იმას, რომ მათ ბირთვული იარაღი აქვთ, ვაღიარებ, რომ არსებობს შანსი, მათ ხელში რაღაც შეიძლება მოხვდეს.

ჩვენ შევიჭრებით ირანში იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ ბირთვული იარაღის შექმნა? ჩრდილოეთ კორეას უკვე აქვს ბირთვული იარაღი, პოლ, უკვე აქვს. ჩვენ არ ვიჭრებით ჩრდილოეთ კორეაში. და თუ რეალურ საფრთხეებზე ვსაუბრობთ, არსებობს კიდევ ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური იარაღის შექმნის რეალური პერსპექტივები, რომელთა საშუალებითაც წყლის მოწამვლაა შესაძლებელი. ისინი ამ იარაღს შექმნიან, და ჩვენ ყველას ომს ვერ გამოვუცხადებთ, ვისაც ამ იარაღის შექმნა და ჩვენი წყალმომარაგების შეფერხება შეუძლია.

მე არ ვამბობ, რომ მსოფლიოს ვარდისფერი სათვალიდან უნდა ვუყუროთ, არც იმას ვამბობ, რომ საზღვარგარეთ ყველაფერი იდეალურადაა. იქ არიან ბოროტი ძალები, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველგან და ყოველთვის გამუდმებით ომის მდგომარეობაში ყოფნას და ხალხის ცხეში გამომწყვდევას იმის გამო, რომ თითოეულ მათგანს დანაშაულის ჩადენა შეუძლია. ზოგიერთი საფრთხე გასათვალისწინებელია, ოღონდ — მხოლოდ ზოგიერთი. არის თუ არა ამაში რისკი? დიახ. ჩვენ ამ მსოფლიოში ყველგან არ ვართ. ვიღაცამ სადღაც შეიძლება დაგვარტყას, ხალხი დაიხოცება, და ჩვენ ეს არ მოგვეწონება. მაგრამ გაიხსენეთ, რომ ჩვენ, როგორც ფაქტს, ისე ვუყურებთ, რომ ამერიკაში ყოველწლიურად 15.000-დან 20.000-მდე ადამიანს კლავენ. ჩვენ ხომ არ ვამბობთ „habeas corpus მკვლელობაზე!“, რადგან მაშინ მოგვიწევდა სპეციალური პროგრამების შექმნა, რომლის მიხედვითაც, პოლიციას ნებისმიერ დროს ნებისმიერ სახლში შეეძლებოდა შესვლა, სადაც, მისი მოსაზრებით, მკვლელობა შეიძლებოდა მომხდარიყო. 15 000-20 000 — ეს დიდი ციფრია, პოლ! ეს ნიშნავს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ ქვეყანაში 160 000 მკვლელობა მოხდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა მოხდებოდა, შტატებში რომ 160 000 ადამიანი ტერორისტების ხელით დაღუპულიყო?

ეს იქნება სამხედრო რეჟიმი. ეს, უბრალოდ, იქნება საბრძოლო რეჟიმი! უნდა შევიგნოთ, რამდენად რეალურია ეს საფრთხეები, და მათ შესაბამისად ვუპასუხოთ, და სახელმწიფო შევინარჩუნოთ! იმიტომ, რომ თუ ყველა საფრთხის განადგურებას შევეცდებით, სახელმწიფოს დავკარგავთ — მთელი ხელისუფლება გადავა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში. გაიფანტება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის ყოველგვარი აზრი.

დინა მანგალიევა
„ИноСМИ“

საიდ ისხაკ გეილანი:

ამერიკელებმა ბრძოლა არ იციან, პუშტუნებს კი მეომარი ხალხი მოსწონთ!

ოდითგანვე ასე იყო. ჩვენ ჯარი გვაკლდა, სხვის ომში კი წარმატებას წარმატებაზე ვაღწევდით. ყველაფერს რომ თავისი სახელი ერქვას, ქართველებს, სულ ცოტა, ნახევარი მსოფლიო გვაქვს დაპყრობილი და დალაშქრული.
ორონდ, როგორც ყოველთვის, სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ.
განსაკუთრებით საინტერესოდ ჩვენი და ავღანეთის ურთიერთობა განვითარდა — ჯერ იყო და, შაჰ-აბასის ლაშქარს გიორგი სააკაძე შეუძღვა იქ, მერე ნადირ-შაჰის არმიას უსარდლა ერეკლე მეორემ, რის შედეგადაც ავღანელებმა აღიარეს: ირანელები ჩვენთან არიან კრავები და ჩვენ — ქართველებთანო!
მერე საბჭოთა კავშირი იყო და როგორც კი ავღანეთზე ლაშქრობა გახდა საჭირო, მეწინავედ ქართველები გაგვიშვეს — ადგილობრივ კლიმატს უკეთესად იტანთო.
ჩვენც ავიტანეთ, ვსვით აქლემის რძე, ვისროლეთ ავტომატები და იმდენი ვქენით, რომ ერთმა „ჩვენიანმა“ ჯერ ავღანეთიდან გამოგვიყვანა, მერე — საბჭოთა კავშირის დაშლაშიც გაერია. და რომ გვეგონა, დავისვენეთ და ახლა მაინც აღარ მოგვინევდა ავღანური ქვიშისა და ტყვიების ყლაპვა, სად იყო და სად არა, ახალი პატრონი — აშშ მოგვევლინა და ამანაც, ბედის ირონიით, ზუსტად ისევ ავღანეთში მოინდომა შევარდნა. ჩვენც რისი ქართველები ვართ — ეს ამბავი გავიგეთ თუ არა, ახალი პატრონის საამებლად მაშინვე ჩანთების ჩალაგება დავიწყეთ, თითქოს ომში კი არა, კურორტზე გვეპატიჟებოდეს ვინმე. პრინციპში, ესეც არაფერია. ათასწლეულებია, არაკეთილგანწყობილი მეზობლების გვერდით ვცხოვრობთ და ეს ავღანელი თალიბები განა ვინ უნდა იყვნენ ისეთები, რომ ვერ მოველაპარაკოთ?
თემაზე — შესაძლებელია თუ არა თალიბებთან მოლაპარაკებები და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს საპრეზიდენტო არჩევნებს, „იზვესტიას“ ესაუბრა ავღანეთის ნაციონალური სოლიდარობის მოძრაობის ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი საიდ ისხაკ გეილანი.

პუშტუნი მეომარი

— ვიზიტმა რუსეთში გაამართლა თქვენი მოლოდინი?

— მოსკოვში ჩვენს დელეგაციას დიდი ინტერესით შეხვდნენ. ამან არ შეიძლება, არ გაგვახაროს. ჩვენი ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ. როგორც ცნობილია, რუსეთმა პირველმა აღიარა ავღანეთის დამოუკიდებლობა, ხოლო ავღანეთმა პირველმა ცნო საბჭოთა რუსეთი. კარგი ურთიერთობა მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა ჯარების შემოყვანის შემდეგ ეს ურთიერთობა გაფუჭდა. ახლა რუსეთი სულ სხვაა — ისევე, როგორც ავღანეთი. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია ურთიერთობების გაუმჯობესებით. და იმ ავღანელებსაც, რომლებმაც განათლება საბჭოთა კავშირში მიიღეს, ეს ძალიან კარგად ესმით.

— როგორ გესახებათ მოსკოვისა და ქაბულის თანამშრომლობა?

— პირველ რიგში — პოლიტიკურ დონეზე. მეორე რიგში — ეკონომიკურად: რუსეთს დიდი პოტენციალი აქვს, რომ ავღანეთს დაეხმაროს; დაბოლოს — კულტურულ ასპექტში. მაგალითისთვის, ჩვენთან ოდესღაც ფუნქციონირებდა საბჭოთა კულტურის ცენტრი. ახლა მის ადგილზე ნარკომანების ბუდეა. რუსეთს შეუძლია, აღადგინოს ეს ცენტრი ჩვენს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად.

— ფორუმის ერთ-ერთმა დელეგატმა ახსენა ქაბულის დაინტერესება იმით, რომ რუსეთმა „მხარი არა მხოლოდ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს დაუჭიროს“. საუბარია იმაზე, რომ ადრე მოსკოვი ბევრად იყო ორიენტირებული ჩრდილოეთის არაპუშტუნურ — ტაჯიკურ, უზბეკურ დასახლებებზე. თქვენ ეთანხმებით ამ შეფასებას?

— ახლა ომი სწორედ იქ მიდის, სადაც ცხოვრობენ პუშტუნები — ავღანეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი. თუ შეიხედავთ ბაგრამის ციხეში, იქ სულ პუშტუნები არიან. საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც, ძირითადად, პუშტუნები დაზარალდნენ. სხვა ხალხებთან მოსკოვს გარკვეული მოლაპარაკებები ჰქონდა. ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ რუსეთს ურთიერთობა ავღანეთის მთელ ხალხთან ერთად ჰქონდეს.

— დღეს ვინ აკონტროლებს ავღანეთს?

— თამამად შემიძლია ვთქვა: სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს, მხოლოდ დასახელებაა. მთავრობა ავღანეთის ტერიტორიის ნახევარსაც ვერ აკონტროლებს. ნატოს კონტინგენტებიც ვერ ახერხებენ სიტუაციის ხელში აღებას. ბევრი მოქალაქე თალიბებს მხარს უცხო ჯარების არარსებობის გამო უჭერს. ავღანელ დედებს ცრემლი აღარ შერჩათ, რომ შვილები გამოიგლოვონ. მათ ან ტერორისტები ხოცავენ, ან ამერიკელები ბომბავენ. ჩვენ შეგვიძლია უცხოელებთან მეგობრობა, მაგრამ მათი მსახურები არასდროს გავხდებით.

— ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ოპერაცია ჩიხში შევიდა?

— ამ ოპერაციის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ლაპარაკი ნაადრევია. მაგრამ უფრო ჭკვიანური იქნებოდა, სახსრები ომის გახანგრძლივებაზე კი არა, მშვიდობის აღდგენაზე იხარჯებოდეს. ამ მოსაზრებით ჩვენ მხარს ვუჭერთ ბარაკ ობამას სტრატეგიას ავღანეთთან მიმართებაში. მაგრამ რაღაც მაინც გვაფიქრებს: აშშ ფულს ჯერჯერობით მხოლოდ პაკისტანს აძლევს, ჯარებს კი ჩვენთან აგზავნის.

— თქვენი ბიძა, საიდ ახმად გეილანი, „პეშავარის შვიდეულის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და ქაბულის მთავრობისა და საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა. მანვე გაუკეთა ორგანიზება საბჭოთა ტყვეების პირველ განთავისუფლებას 1989 წლის ბოლოს...

— მეტსაც გეტყვით: ბიძაჩემს ტყვეებს სწორედ მე გადავცემდი. დიახ, მე რუსებს ვებრძოდი. საბჭოთა ჯარების შემოყვანისთანავე მთაში წავედი. ხოლო როცა უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა ჩვენი მიწა, მე ავტომატს ვაკოცე და ვთქვი: „მორჩა! ჯიჰადი დამთავრებულია“. ომის დროს ტყვეები ჩემს სახლში მყავდა. და შემიძლია, ვთქვა, რომ მათ კარგად ექცეოდნენ. ჩემთვის მნიშვნელოვანი თვითონ ადამიანია. თუ ის ტყვედ ჩავარდა და მეგობრობის ხელს მიწვდის, მეც შემიძლია, ხელი ჩამოვართვა მას. სხვათა შორის, უკვე არა ერთხელ მითხრეს: რუსები კარგად იბრძოდნენ, ამერიკელებმა კი ბრძოლა არ იციანო. ჩვენ, პუშტუნებს, მოგვწონს მეომარი ხალხი.

— შესაძლოა თუ არა ავღანური ტომების განცალკევებულობის დაძლევა?

— მთავარი ეკონომიკური ფაქტორია. ხალხის ცხოვრება უნდა დალაგდეს, სოფლის მეურნეობა უნდა აღდგეს. ავღანეთის ასაღორძინებლად ძალიან ცოტა სახსრები გამოიყოფა. ამერიკელებისგან მხოლოდ დაპირებები გვესმის, მაგრამ რეალურ დახმარებას ჯერ ვერ ვხედავთ. ერთადერთი, რაც ნამდვილადაა, ისინი მართლაც აშენებენ გზებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მე პარლამენტში კენჭი ვიყარე პაკტიკას პროვინციიდან, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილურია. მაგრამ თუ ჩვენთან ვინმე მოვა რეალური პროექტით, თუ როგორ უნდა წამოვწიოთ რეგიონის ეკონომიკა, მე სრული უსაფრთხოების გარანტიას მივცემ. ხალხი დაიღალა სიღარიბისა და ომისგან. ყველას მშვიდობიანი ცხოვრება უნდა.

— ამერიკაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ე.წ. ზომიერი თალიბების ფრთასთან შესაძლო თანამშრომლობაზე. ეს რეალურია?

— საერთოდ, არ მესმის, რას ნიშნავს „ზომიერი“ ან „არაზომიერი“ თალიბი. ეს გარეგანი განსხვავებაა. თალიბის პირველი ამოცანა შარიათის აღდგენაა. რაც შეეხება ტერორისტებს — ესაა ხალხი პოლიტიკისა და რელიგიის გარეშე. საჭიროა თუ არა თალიბების ეკონომიკურ პროცესში ჩართვა? თუ ისინი ავღანელები არიან, მათთან საუბარი აუცილებელია. ავღანეთს დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება ძლიერი ხელისუფლება.

— რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს მომავალი ზაფხულის საპრეზიდენტო არჩევნები... და რამდენად დიდი შანსები აქვს ჰამიდ კარზაის?

— მე თვითონ ვიყავი კანდიდატი პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ როცა გავიგე, რომ ჯორჯ ბუში კარზაის მხარდაჭერას ღიად აპირებდა, ბოლო მომენტში კანდიდატურა მოვხსენი. არასწორია, რომ ავღანელებს არსებითად ხმის უფლება წაართვეს. ჩვენი ქვეყანა არც ისე ღარიბია ხალხით, რომ კარზაის ალტერნატივა არ ჰყოლოდა. და თუ ხალხს ნამდვილი არჩევნების უფლებას მისცემენ, დარწმუნებული ვარ, ისინი სხვა ვინმეს აირჩევენ.

„იზვესტია“

ძველი პუშტუნები

ბრიტანეთში მილიონერები განახევრდნენ

კრიზისმა დიდ ბრიტანეთში მდიდრების ჯიბეები ისე ამოაცარიელა, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში მილიონერთა საერთო რაოდენობა განახევრდა. ბრიტანეთის ეკონომიკურ და საქმიან კვლევათა ცენტრის მონაცემებით, ახლა ბრიტანეთში 242 ათასი მილიონერია, როცა 2007 წელს მათი რაოდენობა 489 ათასს აღწევდა. ექსპერტების მტკიცებით, ამის მიზეზი ბაზრებზე უძრავი ქონებისა და ფასიანი ქაღალდების ჩავარდნაა.

გარდა ამისა, 2007 წელს მილიონერთა სიაში აღმოჩნდნენ ისინიც, ვისი ქონებაც ოდნავ აღემატებოდა მილიონს, უძრავი ქონების გაიაფებამ კი ამგვარი მილიონერები სიიდან ავტომატურად ამოშალა. ამიტომ ისინი მილიონერები ძალიან მცირე ხნით იყვნენ, თანაც, შესაძლოა, თავად არც კი იცოდნენ ამის შესახებ.

იმავე ცენტრის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მდიდართა რაოდენობის შემცირება ლუქსკლასის პროდუქციის ბაზარს ყველაზე მეტად დაეტყო. მიუხედავად ამისა, ექსპერტები იმედიანად არიან განწყობილნი და ირწმუნებიან, რომ 2011 წლიდან, როდესაც უძრავი ქონების ბაზარი გამოცოცხლდება, მილიონერთა რაოდენობაც კვლავ დაიწყებს მატებას.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

მაკედონიაში მართლმადიდებლურ ტაძრებს სასტუმროებად, მაღაზიებად და საკონცერტო დარბაზებად აქცევენ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №14)

„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც საუბარი იყო იუგოსლავიის დაშლის შემდეგ სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რამდენიმე ნაციონალურ ავტოკეფალიურ ეკლესიად დაშლის მცდელობაზე. განხილული იყო განხეთქილების რამდენიმე ეტაპი, აგრეთვე, ამ საქმეში ათეისტთა აქტიურობა და სახელმწიფო ტერორი სერბეთის ეკლესიის წინააღმდეგ. გთავაზობთ ამ თემის გაგრძელებას.

მაკედონია: უკრაინის „ბალკანელი ტყუპისცალი“

ამგვარად, სერბეთის საპატრიარქოსგან მაკედონიის ეპარქიის გამოყოფის მრავალწლიანი პროცესი, რომელიც არა მხოლოდ ფსევდოავტოკეფალიის თვითგამოცხადებით, არამედ ფართო ავტონომიის მოთხოვნით დაიწყო, სერბეთის ეკლესიის შევიწროებითა და დევნით გაგრძელდა. ამჟამინდელი სერბეთის ეკლესიის კატაკომბური (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) მდგომარეობა მაკედონიაში „მაკედონიური ეკლესიის“ ჭეშმარიტი არსის — ფილეტისტური განხეთქილების საუკეთესო მაჩვენებელია, განხეთქილებისა, რომლისთვისაც „ნაცია ეკლესიაზე მაღლა დგას“. ფილეტიზმის ლოგიკა იმაზე იგება, რომ თითოეული საადგილმამულო ეკლესია უნდა შეესატყვისებოდეს ცალკეულ ნაციას და სახელმწიფოს.

ჯერ ერთი, ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება საეკლესიო მოწყობის კანონიკურ ტერიტორიულ პრინციპს, პირველ რიგში კი, — ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძვლებს. მეორეც, ძალზე პრობლემატურია თავად მაკედონიური ფილეტიზმის საფუძვლებიც, ვინაიდან საკამათოა ბალკანელ „მაკედონიელთა“ როგორც საკუთარი ისტორიის მქონე ცალკეული ხალხის ნაციონალური თვითგამორკვევა.

თვითმყოფადი მაკედონიური ნაციის არსებობის საკითხი მართლაც პრობლემატურია. მაკედონიელი სეპარატისტებისთვის ნაციონალური საკითხი უმთავრესია: მათი არგუმენტების უმეტესობა თვითმყოფადი მაკედონიური ნაციისა და დამოუკიდებელი მაკედონიის სახელმწიფოებრიობის არსებობის ფაქტამდე დაიყვანება. და ეს მაკედონიური ნაცია ხან წარმოუდგენლად ნორჩია და სანამ საბოლოოდ შედგება, დიდ დახმარებას საჭიროებს, ხანაც — ერთ-ერთი უძველესი, თვით ალექსანდრე მაკედონელის შთამომავალი ერი, თუმცა, ეთნოგრაფიული მონაცემებით, „მაკედონიელები“ სამხრეთელი სლავები არიან, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის, ზოგიერთი მონაცემით, ბულგარელ, სხვა მონაცემებით კი — სერბულ ჯგუფთან ასიმილაციის შედეგად წარმოიშვნენ. ლინგვისტური კლასიფიკაციის თანახმად, „მაკედონიური ენა“ ენათა სამხრეთსლავურ ჯგუფს განეკუთვნება. ამასთან, სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, ამ ჯგუფის შიგნით ის ბულგარული ენის სახესხვაობას წარმოადგენს, დასავლურბულგარული დიალექტით. ასე რომ, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მაკედონიელი ხალხისა და მაკედონიური ენის პრინციპულ თვითმყოფადობაზე ვილაპარაკოთ.

მაკედონიელი სეპარატისტებისგან მოწოდებული, დამოუკიდებელი მაკედონიური სახელმწიფოებრიობის თემა სულ უფრო აბსურდული ჩანს, რადგან ისინი არ დაკმაყოფილდნენ 1991 წელს მაკედონიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების ფაქტით და ცდილობენ მაკედონიის სახელმწიფოებრიობის არსებობის დასაბუთებას გაცილებით ადრეული ხანიდან, რის გამოც ისტორიული მონაცემების გაყალბება უწევთ. ისინი სერბეთის ეკლესიის წიაღში დაბრუნებაზე უარს ამბობენ იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ მათი დაჟინებით, მაკედონია ისტორიულად სამხრეთ სერბეთს არ წარმოადგენს, ხოლო „მაკედონიური ეკლესია“ — სამხრეთ სერბეთის ეპარქიას. მაკედონიელი სეპარატისტების ერთ-ერთი უმთავრესი განზრახვაა, ნებისმიერი სიყალბითა და აჟიოტაჟით დაამტკიცონ დამოუკიდებელი მაკედონიური სახელმწიფოს არსებობა უძველესი დროიდან. საბოლოოდ, გამოცხადდა, რომ „უძველესი სახელმწიფო“ სერბებისა თუ ბულგარელების გამუდმებული ოკუპაციის მსხვერპლი ხდებოდა. მართლაცდა, სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის სამწუხარო ფაქტი, რომ ბალკანეთზე ასეთი სლავური სახელმწიფო 1991 წლამდე ბუნებაში არ არსებობდა.

„მტრის ძიების“ ლოგიკა მსოფლიოში ისტორიის ყველა ფალსიფიკატორთან მეორდება. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ თანამედროვე უკრაინელი ნაციონალისტები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ უკრაინელი ხალხი „უძველესი უკრებისგან“ წარმოიშვა და იმასაც დაჟინებით ამტკიცებენ, რომ დამოუკიდებელ უკრაინულ სახელმწიფოს არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ოღონდ — ასეთივე მრავალსაუკუნოვანი „რუსეთის უღლის“ ქვეშ. იმის ნაცვლად, რომ თავისი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნების ისტორიის ათვლა 1991 წლიდან დაიწყონ, თავგამოდებით ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, თავიანთ ფესვებს ნეოლითის ხანაში მიაგნონ. ასეთი სიბეჯითე ნაყოფიერია: ბევრს, მათ შორის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსაც, გულწრფელად სჯერა, რომ, ვთქვათ, ტრიპოლის კულტურის გავრცელების ტერიტორია სწორედაც რომ უძველესი უკრაინაა.

განხეთქილების ჩამომგდები მაკედონიელებისთვის ისტორიული ფალსიფიკაციის მთავარ ობიექტს ბალკანეთის უძველესი საეკლესიო ცენტრი — ოჰრიდის საარქიეპისკოპოსო წარმოადგენს. მათი განმარტებით, ეს საარქიეპისკოპოსო ყოველთვის იყო არა მარტო დამოუკიდებელი სხვა ბალკანური საპატრიარქოებისაგან, არამედ ეთნიკურადაც წარმოადგენდა მაკედონიურ საეკლესიო ცენტრს, რომელიც „მაკედონიური ავტოკეფალიის“ შექმნის უშუალო საფუძვლად იქცა. 1958 წელს ოჰრიდში გამართულ ავტონომიური „მაკედონიური ეკლესიის“ კრებაზე განაცხადეს ამ საარქიეპისკოპოსოს აღორძინების შესახებ, რომელსაც რატომღაც „მაკედონიურ-ოჰრიდული“ უწოდეს. მის საფუძველზე აღმოცენდა სწორედ „მაკედონიური ეკლესია.“ ამასთან დაკავშირებით, განხეთქილების ჩამომგდებმა მაკედონიელებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ სერბეთის ეკლესია „მაკედონიური ეკლესიისთვის“ დედაეკლესიას არ წარმოადგენს და, შესაბამისად, მისგან სრულებით არ სჭირდებათ თვითგამოცხადებული მაკედონიური ფსევდოავტოკეფალიის აღიარება.

როგორც ცნობილია, ოჰრიდის საარქიეპისკოპოსო ნამდვილად უძველესი ბალკანური საეკლესიო ცენტრია, რომელიც სლავური დამწერლობისა და კულტურის სულიერ ცენტრს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი მოღვაწე გახლდათ წმინდა კლიმენტ ოჰრიდელი, წმინდანების — კირილესა და მეთოდეს მოსწავლე. სწორედ ამ წმინდანებმა შექმნეს კირილიცას კლასიკური ვარიანტი, თუმცა ის პრეტენზია, რომ ოჰრიდი დამოუკიდებელი და, თანაც, მაკედონიური საეკლესიო ცენტრია, სავსებით უსაფუძვლოა. უკრაინელ ნაციონალისტებსაც ხომ სწორედ ასე მიაჩნიათ სრულიად რუსეთის სახელმწიფო — კიევის რუსეთი — უკრაინულ სახელმწიფოდ, ხოლო უძველესი და სრულიად რუსეთის კიევის მიტროპოლია — უკრაინის სულიერ ცენტრად, რომელსაც არაფერი აკავშირებს რუსეთსა და ბელარუსთან...

ალექსანდრე მაკედონელის შთამომავლები

ძალიან მნიშვნელოვანია მაკედონიის რესპუბლიკის გარშემო წარმოშობილი „ბერძნული კონფლიქტის“ გახსენებაც, რომელიც ჩინებულად ასახავს „მაკედონიური თვითმყოფადობისთვის ბრძოლის“ უაზრობას. მაკედონია საბერძნეთის ჩრდილოეთი ოლქის დასახელებაა, რომელიც უძველესი ხანიდან ცნობილია როგორც ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო. სახელწოდებაც მის მიერ შექმნილი მაკედონიის იმპერიის დასახელებიდან მოდის. ამიტომ, როცა 1991 წელს დაშლილი იუგოსლავიის ერთ-ერთმა ნაწილმა თავი მაკედონიის რესპუბლიკად გამოაცხადა, საბერძნეთმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ასეთი თვითმარქვიობის გამო, რაც დაუსაბუთებლად ანიჭებდა სხვა რეგიონს საბერძნეთის ერთ-ერთი უძველესი ტერიტორიის დასახელებას. ამ სავსებით სამართლიანი პროტესტის პასუხად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დემონსტრაციულად აღიარა იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა „მაკედონიის“ სახელწოდებით, თუმცა საბერძნეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა აქამდე არ ცნობენ რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციურ დასახელებას, რასთან დაკავშირებითაც გაეროშიცა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც მას БЮРМ-ს (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია. აბრევიატურა რუსულია) უწოდებენ.

შემდეგ დაიწყო კამათი ალექსანდრე მაკედონელის ფიგურისთვის: ბალკანელმა „მაკედონიელებმა“ თავიანთი უფლებები განაცხადეს ამ ანტიკურ სარდალზე, რომელიც თითქოსდა მათი ისტორიული წინაპარი იყო. მალე მაკედონიის რესპუბლიკის ხელისუფლებამ გაამჟღავნა თავისი განზრახვა, სკოპიეს ცენტრში ალექსანდრე მაკედონელის ძეგლის აღმართვისა და დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტისთვის მისი სახელის მინიჭების შესახებ, რამაც, ცხადია, ბერძნების აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია.

ამ მოულოდნელი „პრობლემის“ გადაჭრაზე მსჯელობისას, მეცნიერთა აზრით, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიულ მემკვიდრეობაზე კამათისას გამარჯვებული მუდამ ბერძნული მხარე რჩება. სარდალი ბერძნული კულტურის წარმომადგენელი იყო და ბერძნულ დიალექტზე ლაპარაკობდა, რასაც უამრავი ისტორიული წყარო ადასტურებს. ხოლო „მაკედონიის რესპუბლიკაში“ მცხოვრებ სამხრეთელ სლავებს არაფერი აკავშირებთ არც მაკედონელთან და არც ანტიკურ ბერძნებთან. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს თანამედროვე უკრაინაში რუსული კულტურისა და ისტორიის სხვადასხვა მოღვაწის „ნაციონალიზაციასა“ და „უკრაინიზაციას.“

ფილეტისტები და ფალსიფიკატორები

ტერიტორიული მოწყობის პრინციპის თანახმად, მსოფლიო ეკლესია, რომელიც ერთიანია თავისი ბუნებით, გაყოფილია რამდენიმე ავტოკეფალიურ საადგილმამულო ეკლესიად მისი „ადგილმდებარეობის“ — განთავსების ტერიტორიის შესაბამისად. ამიტომ ერთი საადგილმამულო ეკლესიის არე შეიძლება არა მხოლოდ რამდენიმე ეროვნებას მოიცავდეს, ვთქვათ, ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში, არამედ რამდენიმე სახელმწიფოზეც ვრცელდებოდეს. პრინციპულად მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ავტოკეფალიური ეკლესია ცნება „ნაციონალურის“ იგივეობრივი არ არის, ხოლო მსოფლიო ეკლესია არ წარმოადგენს „ნაციონალური ეკლესიების“ ერთობლიობას. ვ. ციპინის ნაშრომში — „საეკლესიო სამართალი“ მითითებულია, რომ „ეკლესიის ადმინისტრაციული დაყოფა ხდება ტერიტორიული და არა ნაციონალური პრინციპით. ნორმალურ პირობებში ნებისმიერი ეროვნების მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ერთ სამწყსოს შეადგენენ...“

ეს პრინციპულად ზენაციონალური და ზეპოლიტიკური ბუნება საშუალებას აძლევს ეკლესიას, დარჩეს ერთიანი და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მიუხედავად მუდმივად ცვლადი პოლიტიკური რეალიებისა. ამიტომ ეკლესიის მოწყობა ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიც იყო ორი ათასწლეულის განმავლობაში, მიუხედავად პოლიტიკური გარემოებების ცვლილებისა, ერებისა და სახელმწიფოების განადგურებისა და წარმოქმნისა. ეკლესია არ უნდა დაქუცმაცდეს მორიგი ახალი სახელმწიფოს წარმოქმნის ან ახალი ერის მოულოდნელი თვითგამორკვევის მიზეზით.

ეკლესიის ორგანიზაციისა და ინტერესების ნაციონალური და პოლიტიკური ინტერესებისთვის დაქვემდებარების ტენდენცია არაკანონიკურია. საეკლესიო მოწყობის საკითხში ნაციონალური პრინციპის გამოყენების კრიტიკა დიდი სიზუსტით არის გადმოცემული კონსტანტინეპოლის ეკლესიის 1872 წლის საეკლესიო კრებაზე ფილეტიზმის ერესის დაგმობისას: „1) უგულებელვყოფთ და ვკიცხავთ ტომობრივ დაყოფას, ანუ ტომობრივ განსხვავებებს, სახალხო შუღლსა და უთანხმოებას ქრისტეს ეკლესიაში როგორც სახარების სწავლებისა და ჩვენი ნეტარი მამების წმინდა კანონების საწინააღმდეგოს; 2) ასეთი ტომობრივი დანაწევრების მომხრეებს, რომლებიც ბედავენ და მასზე აქამდე უცხო ტომობრივ თავყრილობებს აფუძნებენ, წმინდა კანონების თანახმად, ერთიანი კათოლიკური და სამოციქულო ეკლესიისთვის მიუღებელ, ნამდვილ სქიზმატიკოსებად ვაცხადებთ.“

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ხშირია თვითგამოცხადებული ავტოკეფალიური ეკლესიების წარმოშობა: ამ სტატიაში განხილული „მაკედონიური ეკლესიის“ გარდა, ესაა 1993 წელს წარმოქმნილი კიდევ ერთი ბალკანური თვითგამოცხადებული „ჩერნოგორიის ეკლესია“; ასევე 1919 წელს წარმოქმნილი უკრაინული ავტოკეფალია „უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესია“ („УАПЦ“), რომელმაც ბოლო ხანს განაახლა საქმიანობა; აგრეთვე, 1922 წელს წარმოქმნილი „ბელორუსიის ავტოკეფალიური ეკლესია, ბოლო ათწლეულში შექმნილი საადგილმამულო „უკრაინული ეკლესია“; სულ ახლახან კი ავტოკეფალიზაციაზე პრეტენზია გამოთქვა „მოლდოვას ეკლესიამ... მსოფლიო მართლმადიდებლობის მიერ აუღიარებელი, ახალწარმოქმნილი „ეკლესიების“ უმეტესობა სწორედ თვითგამოცხადებულ ნაციონალურ ფსევდოავტოკეფალიებს მიეკუთვნება. თუ საეკლესიო ფილეტიზმის ამგვარი პოლიტიკა არ შეჩერდება, სრული საეკლესიო დანაწევრების რეალური საფრთხე დაგვემუქრება.

ელენა ვალერ-ვატიაზოვა
rpmonitor.ru

გაგრძელება იქნება

პერესტროიკის კრახის პირველი მერცხალი

**ამბობენ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
არ ვიცი, რამდენად იყო მერცხალი გერმანული თვითმფრინავი ან რამდენად იყო გაზაფხული ის, რაც მის შემოფრენას მოჰყვა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს იყო პირველი ნიშანი, რომ საბჭოთა სახელმწიფო საბოლოოდ დაანგრია გარდაქმნად წოდებულმა გორბაჩოვისეულმა ექსპერიმენტმა. ზუსტად 22 წლის წინათ, 1987 წლის 28 მაისის საღამოს (მესაზღვრეების დღეს), გრანდიოზული სკანდალი მოხდა: მდინარე მოსკოვის ხიდზე, წითელი მოედნის სიახლოვეს, დაეშვა თვითმფრინავი „Cessna-172“, რომელსაც 19 წლის გერმანელი მატიას რუსტი მართავდა. დაშვება განხორციელდა მზიან დღეს მოწმენდილ ამინდში ათასობით ადამიანის თვალწინ, რაც ამ დროს წითელ მოედანზე მოსეირნე ათასობით ტურისტმა გადაიღო ფოტო და ვიდეოკამერით. შედეგად, თანამდებობას დაემშვიდობნენ თავდაცვის მინისტრი სერგეი სოკოლოვი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მთავარი კომისარი ალექსანდრე კოლდუნოვი და კიდევ 300 ოფიცერი, ხოლო ქვეყნის მთავარ მოედანს ბორტი ენები კიდევ კარგა ხანს „შერემეტიევო-3“-ს ეძახდნენ.**

ირწმუნებიან, რომ ახალგაზრდა გერმანელი გულდასმით ემზადებოდა გადაფრენისთვის, უნდოდა, „მსოფლიოს მაცნე“ გამხდარიყო. მშვენივრად იცოდა რა, რომ ეს ადვილი არ იქნებოდა, მრავალსაათიან გადაფრენებს ახორციელებდა ატლანტის ოკეანეზე. 25 მაისს, გაფრენამდე 3 დღით ადრე, რუსტი ჰელსინკიში ჩავიდა. თვალის ასახვევად მფრინავმა ფინეთის ხელისუფლებას შვედეთში გაფრენის გეგმა წარუდგინა, საითაც მართლა აიღო გეზი აფრენის შემდეგ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზღვის თავზე აღმოჩნდა, რუსტმა მკვეთრად შეცვალა მიმართულება. მიუხედავად მზიანი უქარო ამინდისა, „Cessna“ მოხერხებულად გაექცა ფინურ რადარებს ბალტიის ზღვის სანაპირო რაიონში. ფინეთის სანაპირო დაცვამ განგაში ატეხა, მაგრამ მათ ვერაფერი იპოვეს, გარდა დიდი ზეთოვანი ლაქისა ზღვის ზედაპირზე. მყვინთავებმაც, რა თქმა უნდა, ვერ იპოვეს თვითმფრინავის ნამსხვრევები. მიუხედავად ამისა, მაინც გამოცხადდა, რომ მფრინავი დაიღუპა.

რუსტის მარშრუტის დანარჩენი ნაწილი მოგვიანებით გახდა ცნობილი. მან სსრ კავშირის საზღვარი ქალაქ კოხტლა-იარვეს შორიახლო გადაკვეთა. დამრღვევის აღმოჩენის შემდეგ ჰაერში მოიერიშე „Су-15“ აფრინდა, რომლის პილოტმაც ლენინგრადის არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სამმართველოს აცნობა, რომ ხედავდა რუსული „Як-12“-ის ტიპის, ოღონდ სხვანაირი შეფერილობის თვითმფრინავს. ამის მერე მან მხედველობის არედან დაკარგა რუსტი, რადგან გზა-გადამჭრელის სიჩქარეს „Cessna“-ს სიჩქარე ბევრად აღემატებოდა.

ლენინგრადის არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა კრომინმა შეატყობინა მოსკოვის შემოგარენის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მორიგე ოპერატორს, გენერალ-მაიორ რეზნიჩენკოს, რომ „დაკავშირების საზღვრებში იმყოფება ამოუცნობი სამიზნე... უკვე დიდი ხანია, ვამჩნევთ, სამჯერ შევნიშნეთ ლოკაციურად, ერთხელ — ვიზუალურად, მფრინავის პატაკის მიხედვით, წააგავს „Як-12“-ს, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა... იქ დიდი მოღრუბლულობაა... ღრუბლებში კი ძნელად თუ გაარჩევ რამეს, ამიტომაც ახლა ვარკვევთ, რა დაინახა... ეს არ ჰგავს საფრენ აპარატს...“ მეთაურმა ჩათვალა, რომ ეს იყო უბრალო ჩიტი. მით უმეტეს, რომ რუსტი ილმენის ტბის თავზე ზღვრულად დაბალ სიმაღლეზე დაეშვა, სადაც მას ველარავინ დაინახავდა. შედეგად, გენერალი კრომნენისგან არანაირი ბრძანება მოჰყოლია. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რადარებზე ამ კლასის თვითმფრინავები მხოლოდ და მხოლოდ პატარა წერტილით გამოისახება, ზუსტად ისევე, როგორც ჩიტები. „საშუალო სიმაღლე — 600 მეტრი, არცთუ ისე დაბალია... მე არ მინდოდა დამალვა, მშვიდობიანი ჟესტი თვალსაჩინო უნდა იყოს!“ — თავს იმართლებდა შემდეგ რუსტი.

როცა სიახლოვეს გამანადგურებელმა „МиГ“-მა ჩაუქროლა, მფრინავი შიშმა აიტანა. ელდა წამიერი იყო, მაგრამ რუსტმა განგაშის შეგრძნება ველარაფრით მოიშორა: „ისევ შერეული გრძნობა დამეუფლა. შვება, იმიტომ, რომ არ მესროლეს, და ეჭვი და განგაში, მე ხომ უკვე დანამდვილებით ვიცოდი: მათ იციან, რომ მათ ტერიტორიაზე მივფრინავ“.

მანევრის შემდეგ გერმანელმა კურსი აღმოსავლეთისკენ აიღო და ლენინგრადი-მოსკოვის შოსეს, ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვა ვიზუალური ორიენტირების მიყოლებით წითელ მოედნამდე მიაღწია.

არ უნდა დავივიწყოთ ახალი ინსტრუქციაც, რომელიც არასაბრძოლო საფრენი ობიექტების განადგურებას კრძალავდა. იგი შემოღებულ იქნა სამხრეთკორეულ ლაინერ „ბოინგ-747“-თან სკანდალის შემდეგ. 1983 წლის 1 სექტემბერს ლაინერი, რომლის ბორტზეც 300 მგზავრი იმყოფებოდა, სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოიჭრა, გადაუფრინა ისეთ რაიონებს, რომელთა თავზეც ფრენა სამამულო სამოქალაქო ავიაციასაც ეკრძალებოდა, არ უპასუხა მიწიდან მოთხოვნებს, არანაირი რეაგირება მოუხდენია საბჭოთა მოიერიშეების გამაფრთხილებელ მანევრებზე... შედეგად იგი ჩამოაგდეს.

არცაა გასაკვირი, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში რუსტის თვითმფრინავის, რომელიც ასევე არ პასუხობდა რადიომოთხოვნებს, განადგურების გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მეტიც, გერმანელის გადაფრენის ტრასაზე ამ დროს ორმა სამხედრო თვითმფრინავმა ავარია განიცადა და მცირე ავიაცია მათი ძებნით იყო დაკავებული. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც „Cessna“-ს თვალყურის დევნებას ხელი შეუშალა, იყო სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ფრენები, რომელიც ყოველთვის არ აცნობებდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას თავისი მარშრუტების შესახებ. შესაძლოა, გარემოებათა სწორედ ამ წყობამ გადაარჩინა მატიას რუსტი.

წითელი მოედნის დანახვამ რუსტი შეაშინა, რადგან ძალიან პატარა მოეჩვენა. „დასაშვებად 200 მეტრიც მეყოფოდა, სამჯერ ვცადე და სამჯერვე უკანვე ავფრინდი. ქვემოთ ცნობისმოყვარეთა ბრბო მოგროვდა, ყველაფერი ფელინის ფილმს ჰგავდა, — ირწმუნება რუსტი, — მეშინოდა, ვინმეს არ დავჯახებოდი ან არ დამეშავებინა.“

ბოლოს, როგორც იქნა, თვითმფრინავი დიდ ქვის ხიდზე დაეშვა, საიდანაც სპასკის კოშკის ძირისკენ გაუხვია. „აქ კი ჩავაქრე მოტორი და დიდხანს, დაახლოებით 25 წუთს, ვიჯექი კაბინაში, — იხსენებს რუსტი, — ჩემს თავს ვეკითხებოდი, ხომ არ აჯობებდა, ისევ ავფრენილიყავი და უკანვე დავბრუნებულიყავი? ძალიან გვიანია, მატიას! — ვუთხარი ჩემს თავს... — საწვავი აღარ გეყოფა! ბოლოს გავბედე, კაბინა გავაღე და ჩამოვედი. ხალხი მაშინვე გარს შემომეხვია... აგრესიული არავინ ჩანდა, მიღიმოდნენ...“

თუ გერმანელს დავუჯერებთ, მილიციელები და „კაგებეშნიკები“ „მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შავი „ჩაიკით“ მოვიდნენ“. ვიზა მოსთხოვეს და რომ არ აღმოაჩნდა, ყმაწვილი მანქანაში ჩასვეს და ჯერ მილიციის განყოფილებაში, შემდეგ კი „ლეფორტოვოში“ წაიყვანეს. დაკითხვებზე სუკ-ის ოფიცრები ვერაფრით იჯერებდნენ მატიასის კეთილ განზრახვას, მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავის ბორტზე ვერავითარი იარაღი ვერ აღმოაჩინეს. „ვშიშობდი, რომ იქიდან ველარ გამოვიდოდი. რამდენიმე კვირაში 10 კილოგრამი დავიკელი, ჩემი თანამოსაკნე უკრაინელი ალექსანდრე, რომელიც სასტუმრო „ასტორიაში“ „ფარცოვკისთვის“ იჯდა, სტატიებს მიკითხავდა „პრავდიდან“ და ასე მამშვიდებდა“, — იხსენებდა რუსტი.

მატიას რუსტი

სასამართლოზე გერმანელს ასეთი უცერემონიო ქცევისთვის 4 წლით ბანაკებში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მშობლებს უფლება მისცეს, 3 თვეში ერთხელ მოენახულებინათ შვილი. ხანდახან ჩინოვნიკებიც სტუმრობდნენ საელჩოდან. განაჩენიდან 14 თვის შემდეგ მოვიდა მოულოდნელი ცნობა: სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ანდრეი გრომიკომ ხელი მოაწერა რუსტის ამნისტიას. „უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, ალბათ, არ გამოვფრინდებოდი“, — აღიარა მოგვიანებით მატიას რუსტმა გერმანულ გაზეთ „Bild“-თან ინტერვიუში. საბჭოთა ციხეში გატარებულმა დრომ იგი გამოაფხიზლა და ილუზიებისგან გაათავისუფლა.

„მოსკოვური გასტროლების“ შემდეგ მატიასის ცხოვრება აირია. იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაბრუნდა. ბუნდესვერში სამსახურს ალტერნატიულობა ამჯობინა — სამოქალაქო სამსახურში მედძმად დაიწყო მუშაობა ჰამბურგის ერთ-ერთ ჰოსპიტალში. 1989 წლის ნოემბერში ერთ-ერთი მორიგეობის დროს რუსტი მედდას დანით დაესხა თავს და რამდენიმე სერიოზული ჭრილობა მიაყენა (მხოლოდ იმის გამო, რომ მან მატიასს კოცნის უფლება არ მისცა).

შემდეგი ორწლიწადნახევარი მან უკვე გერმანულ ციხეში გაატარა. „ვერ გეტყვით, რა დამემართა. ძალიან ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. სულ მინდა, რომ კიდევ ერთხელ მოვუბოდიშო იმ ქალს ჩადენილისთვის. სინამდვილეში მე აგრესიული ადამიანი არ ვარ“, — ირწმუნებოდა რუსტი.

1994 წელს რუსტი ისევ ჩავიდა რუსეთში. გერმანელმა მოსკოვში ფეხსაცმლის მაღაზია გახსნა, მაგრამ „ცნობილობამ“ ვერ უშველა და ბიზნესი ჩაუწვა. მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შემდეგ მატიასი სამშობლოში დაბრუნდა.

2001 წელს რუსტმა ისევ შეახსენა თავი სამყაროს. მან ჰამბურგის უნივერმაღიდან ქაშმირის სვიტერი მოიპარა, რისთვისაც 5 000 ევროთი დაჯარიმეს. ახლა უფრო განწასწორებულია — დილაობით ტრუსის ამარა დარბის, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ ეღირსა: 5 წლის წინათ გაშორდა მეორე ცოლს — ინდიელს, რომელიც ტრინიდადსა და ტობაგოში გაიცნო. რუსტი პოკერში პროფესიონალი იყო. ფულს თამაშით შოულობდა. მისივე სიტყვებით, ამ სფეროში ყველაზე დიდმა მოგებამ 750 000 დოლარი შეადგინა. ეს ფული მან ლას-ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში ტურნირისას მოიგო, მაგრამ მალევე დახარჯა.

გერმანიაში რუსტს თვითმფრინავის მართვის უფლებაზე ლიცენზია ჩამოართვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ცის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა: „მე ისევ დავფრინავ! სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახალი საბუთები გავაკეთე. ფრენა ჩემთვის საუკეთესო რამაა, რაც შეიძლება მოხდეს!“

რამ მოაფიქრებინა მატიასს წითელ მოედანზე დაფრენა? თვითონ გერმანელი ამას ახალგაზრდული იდეალიზმით ხსნის. ამბობს, რომ უნდოდა, მსოფლიოს ელჩი გამხდარიყო. სხვათა შორის, ზოგიერთი ჟურნალისტი ამბობს, რომ ამ ყველაფერს საკმაოდ ტრივიალური მიზეზები აქვს. ჯერ ერთი, მატიასის მამა აწარმოებდა თვითმფრინავ „Cessna“-ს, რომელთაც ვერაფრით ყიდდა, მაგრამ ასეთი ფართო რეკლამირების შემდეგ მათი შეძენა დაიწყეს. იყო სხვა მიზეზიც — გერმანელის სიყვარული რუსი მოდელი ნინასადმი, რომელიც ჰელსინკიში გაიცნო (სასამართლოში ამაზე საუბარი, სავარაუდოდ, სუკ-ის თანამშრომლებმა აუკრძალეს, რომ საბოლოოდ არ მოეჭრა თავი სსრ კავშირისთვის). ჰიპოტეზების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. მთავარი აქ სხვა რამაა: ინციდენტის შემდეგ ყველა ალაპარაკდა საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისუსტეზე. აგორდა მსოფლიო სკანდალი.

მომხდარს ყურადღება მიხეილ გორბაჩოვმაც მიაქცია, რომელმაც თავდაცვის მინისტრი და უამრავი ოფიცერი გაათავისუფლა სამსახურიდან. სხვათა შორის, მაშინ გენმდივანს მხოლოდ ემოციები არ ამოძრავებდა — მომხდარი გახდა საბაბი კონსერვატორი სამხედრო მეთაურების მოსაშორებლად, რომლებიც არმიის რეფორმას ხელს უშლიდნენ.

ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის სისუსტეზე აქცენტირებისას მაინცდამაინც არ იხსენებენ, რომ მსგავსი კაზუსი დასავლეთშიც მრავლად მომხდარა. უბრალოდ, მათ შესახებ არ საუბრობენ, მაგრამ წარმატებით იყენებენ ჭკუის სასწავლებლად. რუსტის „გმირობა“ შემდეგშიც არა ერთმა გაიმეორა. მაგალითად, 1994 წლის 12 სექტემბერს ვაშინგტონში თეთრი სახლის წინ დაეშვა თვითმფრინავი „Cessna“. პილოტი დაიღუპა. რამდენიმე ღამის განმავლობაში ზედიზედ ახორციელებდა არასანქცირებულ ფრენებს პარიზის თავზე მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც ყველასთვის ცნობილი ძალებისა და საშუალებების ყურადღების მიქცევას საკუთარ თავზე ცდილობდა. მაგრამ არც საფრანგეთში, არც ამერიკაში ამ ფრენებისთვის თავდაცვის მინისტრები არ დაუთხოვიათ, მით უმეტეს, შეიარაღებული ძალების ღირსებას არავინ შეხებია. იქ ასეთი გაფრენები უფრო ჯანსაღად შეაფასეს, უპირველესად, გააძლიერეს რადიოლოკაციური სამსახური, აღიჭურვნენ უფრო სრულყოფილი ტექნიკური საშუალებებით და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა კიდევ უფრო დააჩქარეს.

ირინა ანტონოვა
Сегодня.ру

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

პენტაგონი თავისი ინტერესებისათვის ტერორისტებსაც გამოიყენებს

კართაგენი უნდა დაინგრეს!
როცა კატონ უფროსი ამას ამბობდა, პირადი სიძულვილის გარდა, საკმაო ცოდნაც ალაპარაკებდა ბრძენ პოლიტიკოსს. ყველა იმპერია დასასრულით ერთმანეთს ჰგავს — როცა ჰანიბალმა რომზე გაილაშქრა, მის არმიაში კართაგენელებზე მეტი დაქირავებული მებრძოლები იყვნენ.
ასევე იყო ალექსანდრე მაკედონელის არმიაშიც — გავგამელას ბრძოლის შემდეგ, ალექსანდრეს არმიაში მაკედონელები სრულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. შედეგი კი ის არის, რომ აღარც კართაგენია სადმე ახლა და აღარც — ალექსანდრეს მაკედონია.
ისტორიას თავისი კანონზომიერება აქვს და, მწარე გამოცდილების არსებობის მიუხედავად, თანამედროვე იმპერიებიც იგივე გზით მიდიან, სწორედ ისევე გამოიყურებიან, როგორც ძველი კართაგენი თუ ძველი მაკედონია!

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, აშშ თავდაცვის სამინისტრომ ომის არასტანდარტული მეთოდებით წარმოების სფეროში შესაძლებლობების განვითარების დირექტივა მიიღო.

დირექტივა, პირველ რიგში, აჯანყებულებისა და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება, მაგრამ ამ დოკუმენტის თანახმად, ამ ბრძოლას პენტაგონი ჰომეოპათიის ანუ „მსგავსის მგავსით მკურნალობის“ პრინციპით აწარმოებს. აშშ სამხედრო უწყება საზღვარგარეთის უსაფრთხოების ძალებთან, ნახევრადსამხედრო ფორმირებებთან და ნაციონალური წინააღმდეგობის შეიარაღებულ მოძრაობებთან თანამშრომლობის განვითარებას აპირებს. სწორედ ასეა აღნიშნული ისინი დირექტივაში. ამერიკელი სტრატეგების მიერ მათი „აჯანყებულებად“ და „ტერორისტებად“ დაყოფა ხდება პრინციპით: ჩვენიანია — მზვერავია, არაა ჩვენიანი — ჯაშუშია.

ასეთი არაერთმნიშვნელოვანი თანამშრომლობის მთავარი დანიშნულება არასტაბილური ნაციონალური ხელისუფლებების კრახისგან დაცვაა, აშშ გავლენის გავრცელება ძნელად მისაწვდომ რეგიონებში და არასასურველ რეჟიმებთან ბრძოლა.

ახალი კურსი შემუშავდა დებატების მსვლელობისას, რომელიც სამხედრო საზოგადოებაში წელიწადზე დიდხანს გრძელდებოდა. იგი უკავშირდება საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ სრულმასშტაბიანი წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის შემცირებას და არასამთავრობო დაჯგუფებების, ძირითადად, ტერორისტების მიერ საშიშროების ხელოვნურად ზრდას.

ამ კურსის სიახლე, სხვათა შორის, ძალიან საეჭვოა. ამერიკელი სამხედროებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლობას სხვადასხვა „გამათავისუფლებელ მოძრაობებთან“, რომელთაგან ზოგიერთი სწორედ ტერორისტული მეთოდებით ხელმძღვანელობს, საკმაოდ დიდი ისტორია აქვს.

რაღაც დოქტრინის მსგავსი სახის საფუძველი მან ჯერ კიდევ პრეზიდენტ კენედის დროს შეიძინა. საკმაოდ სახასიათო მაგალითად იქცა კუბელი დაქირავებულების გადასხმა ღორების ყურეში. ჯერ კიდევ 50-იან წლებში ამერიკელები სათუთად ზრდიდნენ შეიარაღებულ ავღანურ ოპოზიციას (ჯერ კიდევ მეფის რეჟიმისას), რომელიც აპრილის რევოლუციის შემდეგ ძალიან გამოადგათ. კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას. „აშშ ფლობს მნიშვნელოვან უპირატესობას (ომის წარმოების) ტრადიციულ შესაძლებლობებში და სულ უფრო მეტ მტერს ესმის, რომ უფრო მომგებიანია ჩვენთან ასიმეტრიულ წინააღმდეგობაში შემოსვლა“, — განმარტა ახალი სტრატეგიის ერთ-ერთმა შემქმნელმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სპეციალური ოპერაციების დარგში მაიკლ ვიკერსმა.

ვიმეორებ, ამ სტრატეგიის მთავარი სიახლე ისაა, რომ პენტაგონი ახლა ხმამაღლა აცხადებს იმას, რის აფიშირებასაც ადრე ერიდებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ამერიკული სამხედრო უწყება ყოველგვარი „ახალი დოქტრინის“ მიუხედავად, სულ უფრო ხშირად სარგებლობს დაქირავებულების მომსახურებით. ბუნებრივია, ამ ადამიანების ბრძოლებში მონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ფულია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მათი ნაწილი მზადაა მტრის მიმართ ნაციონალისტური იდეებით ან შინაგანი კომპლექსებით გაჩენილი საკუთარი სიძულვილის გამო იბრძოლოს. სწორედ ამაზე მუშაობენ ე. წ. კერძო საბრძოლო კომპანიები, რომელთაც მეომრების გადაბირება ევალებათ. ხალხი, რომელიც მათ პირობებს ეთანხმება, როგორც წესი, „კონტრაქტორად“ იწოდება. უპირატესობა ენიჭებათ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებსა და პოლიციის ქვედანაყოფების თანამშრომლებს.

კერძო სამხედრო კომპანიების მოღვაწეობა მკაცრი კონტროლის, ძირითადად კი, დასავლეთის უშუალო მმართველობით ხორციელდება. უმეტესად ესენია ამერიკული „CIA“ და ბრიტანული „მი-6“, რომლებთანაც ასეთი სტრუქტურები სამუშაო ლიცენზიასა და კონტრაქტებს ათანხმებენ. პრაქტიკაში „კერძო არმიები“ ჩვეულებრივ კონფლიქტის ზონებში მოქმედებენ, ისიც მხოლოდ სამხედრო და სამოქალაქო ძალოვანი სტრუქტურების სიტყვიერი მხარდაჭერის საფუძველზე.

სპეცსამსახურები ხშირად იყენებენ კერძო სამხედრო კომპანიებს სპეცოპერაციების ჩასატარებლად, განსაკუთრებით, „ბინძურ აქციებში“, ისეთებში, როგორიცაა სამხრეთ ოსეთის სოფლებისა და ცხინვალის განადგურება.

თანამედროვე კერძო სამხედრო კომპანიები (კსკ) წარმოადგენენ ნამდვილ არმიებს უახლესი ტექნიკით, მათ შორის, მძიმე შეიარაღებით (საბრძოლო ვერტმფრენები, ტანკები და ა.შ.) აღჭურვილი დაახლოებით 70.000-მდე მებრძოლით.

აშშ ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემებით, დღეისათვის 60-მდე ქვეყანაში მოქმედი კსკ-ის შემოსავლები ყოველწლიურად 180 მილიარდ დოლარს აღწევს. პენტაგონი კერძო საგენტოებზე საკმაოდ სერიოზულ ფინანსებს ხარჯავს.

მაგალითად, კონგრესის მონაცემებით, ერაყის ომის დაწყების მომენტიდან ვაშინგტონმა უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად კსკ-ს 5 მილიარდი დოლარი გადაუხადა. გამოდის, რომ ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი კსკ-ის, „Blackwater“—ის ერთი დაქირავებული მებრძოლის თითოეული სამუშაო დღე აშშ ბიუჯეტს საშუალოდ 1222 დოლარი უჯდება.

ყველაზე მსხვილი ფირმა, რომელიც ამერიკელ სამხედროებთან მუშაობს, არის კომპანია „Kellogg, Brown and Root“ , რომელიც ერაყსა და ქუვეითში შტატში 70 000 ადამიანს ითვლის. კომპანია „Blackwater“, ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების ცნობით, „KBR“-ის შვილობილი კომპანიაა. 2002 წლიდან „KBR“-ის მომსახურება (არასამხედრო მომსახურების ჩათვლით) პენტაგონს თითქმის 15 მილიარდი დაუჯდა.

იგივე ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემებით, 160.000-იანი საბრძოო კონტინგენტის პარალელურად ერაყში ამერიკული კსკ-ის 200.000 თანამშრომელი მოქმედებს, რომლებიც ოფიციალურად სამოქალაქო პირებად არიან აღრიცხულნი. მათგან 120.000 ერაყის მოქალაქეა, 21.000 — ამერიკელი, ხოლო 59.000 — მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. ასე რომ, დაქირავებულები ერაყში რიცხობრივად კოალიციურ არმიას აჭარბებენ. აქედან 20.000 კაცი უშუალოდ კსკ-ის მეომარია, მათი უმრავლესობა — ამერიკელი, რომელიც არაამერიკულ კომპანიებშიც მუშაობს.

მაგრამ საქმე ერაყით არ მთავრდება. უცხოელი ექსპერტების მონაცემებით, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საომარ მოქმედებებში დაახლოებით 2.500-დან 3.000-მდე დაქირავებული მონაწილეობდა როგორც რიგით მეომრად, ასევე ინსტრუქტორად. თითოეულ დაქირავებულზე გაწეული ხარჯები საშუალოდ 1.500-დან 3.000-მდე დოლარს შეადგენდა დღეში.

ამერიკის მზადყოფნა, რომ კერძო დაცვის კომპანიებს ასეთი დიდი თანხა გადაუხადოს მომსახურებაში, იმით აიხსნება, რომ დაქირავებულებს, რომლებიც ოფიციალურად ამერიკის ადმინისტრაციას არ წარმოადგენენ, შეუძლიათ, თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად იმოქმედონ და მათზე მინიჭებულ უფლებებსაც კი გადააჭარბონ. აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში ფორმალურად პასუხისმგებელი არაა ამ პირების მონაწილეობით მომხდარ ინციდენტებში.

დაქირავებულები არ ხვდებიან რომელიმე სტატისტიკაში, მათი დანაკარგები ფასდება დაახლოებით და მათ შესახებ ცნობები ერაყიდან მოსულ ცნობებში არ შედის.

შესაბამისად, აშშ ადმინისტრაციას არ უწევს თავისი დანაკარგების შესახებ ზუსტი ცნობების გავრცელება. ამერიკული საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, მხოლოდ კომპანია „Blackwater“-ის ოფიციალური დანაკარგები ერაყში 1.000 დაღუპულსა და 15.000 დაჭრილს შეადგენს, თუმცა ტელეკომპანია „PBS“-ის ცნობით, მოცემული კერძო კომპანიის რეალური დანაკარგები 2003 წლის შემდეგ, სავარაუდოდ, ბევრად აღემატება ოფიციალურ ციფრებს.

სხვადასხვა მონაცემებით, სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დაახლოებით 50-110 დაქირავებული დაიღუპა.

დასავლეთის სამხედრო წრეებში ითვლება, რომ მომავლის ომებში და შეიარაღებულ კონფლიქტებში კსკ-ის როლი გაიზრდება. კსკ-ის ასეთი პოპულარობის მთავარი მიზეზი მთლიანად გლობალიზაციაში უნდა ვეძიოთ. თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელნიც მჭიდრო კავშირში არიან დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ელიტასთან და განკარგავენ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს, თავისი ინტერესების დაცვას საჭიროებენ, რომლებიც პრაქტიკულად ყოველთვის იკვეთება სახელმწიფო ინტერესებთან.

ამავე დროს, მიუხედავად მილიონობით კონტრაქტისა, კსკ-ები დღესდღეობით უამრავ პრობლემას აწყდებიან; იქნება ეს დაქირავებულთა ცუდი მომზადება თუ დისციპლინისა და დასავლეთის ქვეყნებისა და კორპორაციების მიმართ ლოიალურობის არარსებობა. ხშირია მათ რიგებში ინსურგენტებისა და საბოტაჟნიკების პირდაპირი შეღწევის ფაქტები.

კსკ-ების ამოქმედება, ასევე მსხვილი კორპორაციების მიერ არმიების შექმნა კარდინალურად ცვლის თანამედროვე ომის სახეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი სერიოზულ კონფლიქტში მოდის ადამიანის საერთაშორისო უფლებებთან. აკრძალული დაქირავება შედის გაეროს გენერალური ასამბლეის საერთაშორისო უფლებების პრინციპების დეკლარაციაში, რომელიც ეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ დამოკიდებულებებს გაეროს 1970 წლის დადგენილების შესაბამისად: **„თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიკავოს ირეგულარული ძალების ან შეიარაღებული ბანდების, მათ შორის, დაქირავებულების, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეღწევისთვის ორგანიზებისგან ან ორგანიზების წაქეზებისგან.“ ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო შეიარაღებული ფორმირებების, მათ შორის, ტერორისტული ორგანიზაციების გამოყენება ორლესული იარაღივითაა. მაგ. აშშ სპეცსამსახურების მიერ შექმნილ „ალ-ქაიდასა“ და მოძრაობა „თალიბანის“ მაგალითი უკვე ქრესტომათიული გახდა. ყველას კარგად გვახსოვს, რა შედეგები მოჰყვა ცივი ომის ეპოქის „ასიმეტრიულ ქმედებებს“: პოლ-პოტის, ბოკასას, დიუვალიეს წითელ ბრიგადებს, ირას, წითელი საფრანგეთის ფრაქციასა და მათ მსგავს სხვა რეჟიმებს.**

ნათელია, რომ პენტაგონის „ახალი დოქტრინა“ პანდორას ყუთს ხდის სახურავს, რომელსაც აურაცხელი უბედურება მოაქვს არა მარტო თავად ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

პოლიტიკური თავისუფლების ცენტრი

ევროკავშირს არ შეუძლია, უკრაინას გაზის შესაძენი ფული მისცეს

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ ევროკავშირს ჯერჯერობით არ შეუძლია, უკრაინას გაზის შესაძენი ფული მისცეს. მან პრეს-კონფერენციაზე რუსეთის პრემიერ-მინისტრთან ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრის შესახებ ილაპარაკა და აღნიშნა, რომ „ამჟამინდელი ევროპული ბიუჯეტით ძალზე ძნელია უკრაინის დახმარება“.

„პუტინს დავპირდი, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრისას შევეხები ამ საკითხს, რათა გავარკვიო, რის გაკეთება შეგვიძლია ამ მიმართულებით“, — აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

რუსეთის ვიცე-პრემიერის იგორ სეჩინის განცხადებით, ვლადიმერ პუტინმა ევროკავშირს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც უკრაინისათვის გაზის მიწოდებისა და ევროკავშირში მისი ტრანზიტის საკითხებს განიხილავდა. სწორედ ამ მიმართვაში შესთავაზა პუტინმა ევროკავშირს, განიხილოს საერთაშორისო პროექტის შექმნა უკრაინის კრედიტირების მიმართულებით. სეჩინისავე განცხადებით, რუსეთი უკრაინის კრედიტირების ორგანიზებაში მონაწილეობას მიიღებს, თუ ეს ეს პროცესი ევროპისა და მისი ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოიპოვებს მხარდაჭერას.

ევროკომისიის პრეზიდენტი რუსეთ-უკრაინის გაზის საკითხებთან დაკავშირებულ უთანხმოებას ივნისში ევროკავშირის სამიტზე განიხილავს.

იტალიის პრემიერმა სილვიო ბერლუსკონემ ორიოდე დღის წინათ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის წინადადებას, გადაუხადოს რუსეთს უკრაინის მიწისქვეშა საცავებში გაზის ჩატუმბვის ხარჯების 50 პროცენტი. გაზპრომი რუსული გაზის უკრაინისათვის მიწოდების საფასურზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მაისში ალაპარაკდა. მისი წარმომადგენლების თქმით, მაისის მიწოდებების ანაზღაურებაში პრობლემებია, მაგრამ სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ უკრაინას ზამთრისათვის დამატებით 19 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შეძენა ესაჭიროება. **უფრო ადრე იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მიწისქვეშა საცავებში ამ მოცულობის გაზის ჩატუმბვას 5 მილიარდი ამერიკული დოლარი სჭირდება. პოლიტიკური კვლევისა და კონფლიქტოლოგიის კიევის ცენტრის ექსპერტები თვლიან, რომ უკრაინის ვალებში ჩახრჩობით რუსეთი უახლოვდება თავისი სტრატეგიული მიზნის განხორციელებას — ხელში იგდებს უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის კონტროლს.**

ამ მიზნების საბოლოოდ მიღწევის შემთხვევაში კი რუსეთი გააკონტროლებს ევროპისათვის გაზის მიწოდების მთელ აღმოსავლეთ არხს.

2009-2019 წლებში რუსული გაზის უკრაინისათვის მიწოდებისა და ევროპაში ტრანზიტის ხელშეკრულებას ხელი 19 იანვარს მოეწერა მოსკოვში. ამ დოკუმენტს კი წინ „გაზის კრიზისი“ უძღოდა — ევროპელი მომხმარებელი თითქმის სამი კვირა სანვავის გარეშე იყინებოდა. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 22 მაისს ხაბაროვსკში გამართულ რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე ევროკავშირს შესთავაზა, ენერგოუსაფრთხოებასა და უკრაინისათვის კრედიტის გამოყოფაზე იფიქროს. პრეზიდენტის თქმით, უკრაინისათვის დახმარებით მხოლოდ რუსეთი არ უნდა იწუხებდეს თავს.

უკრაინას ფულს არც ამერიკელები მისცემენ

აშშ ელჩმა უკრაინაში უილიამ ტეილორმა უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის სარემონტო სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფაზე ვიქტორ იუშჩენკოს უარი უთხრა. ტეილორის მიერ გამართულ საზეიმო ვახშამზე, რომელიც საელჩოს ახალი შენობის მშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრას მიეძღვნა, მან იმედგაცრუება გამოთქვა „ნარინჯისფერთა“ მიერ ბოლო წლებში ქვეყნის მართვის მეთოდების გამო და ცხადი ხდება, რომ ამერიკა უკრაინის გამოკვებაზე უკვე უარს ამბობს. უკრაინულ ხელისუფლებას ახალი საგარეო მფარველის მოძებნა მოუწევს.

თავად უილიამ ტეილორი ახლო მომავალში დატოვებს კიევს, მის მიერ გამართულ საზეიმო ვახშამს კი მრავალი პოლიტიკოსი ესწრებოდა. როგორც გაირკვა, ვაშინგტონი დაღალა იუშჩენკომ და მისმა „თოჯინების თეატრმა“. როგორც ჩანს, ტეილორს უკრაინიდან წასვლამდე სურს, ახალი საელჩოს სახით დიდი ხნით დატოვოს საკუთარი კვალი კიევში, მაგრამ ტეილორი მხოლოდ ამერიკელი დიპლომატი არ გახლავთ; მას ძალზე სერიოზული გავლენა აქვს უკრაინულ პოლიტიკაზე. **როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნაწილი ირწმუნება, სწორედ ამ საზეიმო ვახშამზე დამტკიცდა, რომ გავრცელებული ხმები, თითქოსდა ვიქტორ იანუკოვიჩი და იულია ტიმოშენკო პრეზიდენტ იუშჩენკოს წინააღმდეგ კოალიციის შექმნას აპირებენ, სულაც არ არის უსაფუძვლო ჭორი.**

მრავალი წლის განმავლობაში უკრაინელი მმართველები სწორედ მსგავს ვახშმებზე ააშკარავებდნენ შექმნილი მდგომარეობისადმი საკუთარ დამოკიდებულებას. ვაშინგტონის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი უკრაინული საკითხი არ გადაწყვეტილა. როგორც ჩანს, სწორედ ამგვარი შემთხვევა მოხდა იანუკოვიჩისა და ტიმოშენკოს მოლაპარაკებებთან დაკავშირებითაც.

დღეს ამერიკელთა თანდასწრებით უკრაინისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზეზები გასაგები იყო, აშშ ხომ სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლებისა და სიმდიდრის მხრივ უპრეცედენტო ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, ვაშინგტონის სასურველი ვექტორით სიარული კი პოლიტიკურ წარმატებებს ნიშნავს — ფინანსურადაც არ დარჩები წაგებული. თავად ამერიკისთვის ეს მეტად მოხერხებული სტრატეგია იყო, რადგან მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, **„არ დაეშვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ისეთი მსხვილი და დამოუკიდებელი სტრატეგიული წარმონაქმნის შექმნა, რომელიც შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას შეძლებდა“.** სწორედ ასე ჩამოაყალიბა ამერიკის მიზნები 1992 წელს იმჟამინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში პოლ ვულფოვიცმა.

ყოველივე ეს ხდებოდა 90-იანი წლების რუსეთშიც ეკონომიკური ნგრევისა და პოლიტიკური ქაოსის პირობებში, უკრაინას კი ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ხელი შეეწყო ამ პროცესებისათვის. 2004 წელს პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ბრძანა კიდეც: — **„მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა მოსკოვის ჩაძირვა იყო, რისთვისაც დასავლეთი უხვად მოგვთვლიდა დოლარებს“.**

როგორც ყველაფერს დაეტყო, ვიქტორ იუშჩენკოს დოლარებთან დაკავშირებული ეს პასაჟი ნამდვილად არ დავიწყებია, ამის ცალსახა მტკიცებულება ძველი გაზსადენის შეკეთებისათვის ფულის ძებნაა. ევროპა ფიქრობდა, რომ უკრაინა ამ საქმეს საკუთარი სახსრებით გაუმკლავდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად უკრაინა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამ კეთილშობილური საქმისათვის ვიღაც სხვამ უნდა გაიკრას ჯიბეზე ხელი.

იუშჩენკოს არც იმაზე უფიქრია მაინცდამაინც დიდხანს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს სხვა და უმალ მდიდარი ამერიკელებისკენ გაიშვირა ხელი. არგუმენტაცია შემდეგნაირი იყო: თუ თქვენ არ გადაიხდით ჩვენი გაზსადენის სარემონტო თანხას, მას მოსკოველები წაიღებენ. იუშჩენკო დარწმუნებული იყო, რომ უფრო მყარი არგუმენტაციის წარმოდგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო და ამ ყველაფრის წინაშე აღმოჩენილი ამერიკა უმალ ჯიბეზე იტაცებდა ხელს. და უცებ ტეილორმა არც აცია, არც აცხელა და გადაჭრით ბრძანა, — ფულისა რა მოგახსენოთ, ჩვენ არ დავაფინანსებთ თქვენი გაზსადენის სარემონტო სამუშაოებს, მაგრამ გამოცდილების გაზიარებას არ დაგზარდებითო. იმავე ავბედითი ვახშმისას ტეილორმა განმარტა კიდევაც ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები: — **„ვფიქრობდი, რომ უკრაინაში ჩემი მუშაობის წლები უკრაინისათვის პოლიტიკური კონსოლიდაციისა და ეკონომიკური განვითარების პერიოდი იქნებოდა, რეფორმებს ველოდი, მაგრამ ეს არ მოხდა. სამი ხელისუფლება, სამი პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, უმაღლესი რადის სპიკერი შეიცვალა. საკმაო რაოდენობით არჩევნებმა ჩაიარა, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ, მდგომარეობა გამოსწორდება, განსაკუთრებით, ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან უარესი, უბრალოდ, აღარ არსებობს“.**

უკრაინა ფულს იმიტომაც ვერ მიიღებს, რომ ახლა თავად ამერიკელებსაც არ ულხინთ. ამერიკის ეკონომიკა სულაც ვერ დაიკვეხნის საუკეთესო მდგომარეობით და ამერიკელებს ცალსახად არ ეუკრაინებათ.

Правда.Ру

რუპერტ მერდოკი:

უფასო ახალი ამბების დრო წავიდა!

კორპორაცია „News Corp“-ის ხელმძღვანელმა, მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა „FOX business Network“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით საშუალებებს ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ უწერიათ და ორ-სამ წელიწადში მკითხველი გაზეთის ნაცვლად ელექტრონული სახით მიიღებს ინფორმაციას.

10-15 წლის შემდეგ კი, მერდოკის პროგნოზით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ციფრულ ტექნოლოგიებზე გადავლენ. საგაზეთო ბიზნესი ახლა კრიზისს ებრძვის და მედიამაგნატი გამომცემლობებს ვალების დაგროვებაში ადანაშაულებს: „დააკვირდით ბოლო ათი წლის განმავლობაში დადებულ საგაზეთო გარიგებებს — ნებისმიერი მათგანი ვალითაა გაკეთებული“.

„News Corp“-ის ხელმძღვანელმა ისიც განაცხადა, რომ გაზეთებს მომავალშიც ექნებათ შემოსავალი როგორც ტირაჟის გაყიდვიდან, ასევე განთავსებული რეკლამიდან, მაგრამ თავად გაზეთები სულ სხვანაირი გახდება. **„ქაღალდის დასტის ნაცვლად მკითხველი ელექტრონულ მოწყობილობაზე მიიღებს მთელ ონლაინ-გაზეთს, რომელიც ყოველ 1-2 საათში განახლდება“,** — თქვა მერდოკმა და იქვე დასძინა, რომ საყვარელი ელექტრონული გაზეთისთვის მკითხველებს ფულის გადახდა მოუწევთ, ვინაიდან უფასო ონლაინ ახალი ამბებიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

მერდოკმა სახელისუფლებო დოტაციების მიღების პერსპექტივა კატეგორიულად უარყო და უარის მიზეზიც ახსნა — ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ გვექნება ხელისუფლების გაკრიტიკებისა და საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულების ფუფუნება.

78 წლის მედიამაგნატმა მაისში განაცხადა, რომ თავისი გაზეთის ელექტრონული ვერსიისათვის მკითხველთა ხელმოწერების შემოღებას აპირებს და ეს უახლოესი 12 თვის განმავლობაში მოხდება. შეგახსენებთ, რომ მერდოკის მედიაიმპერიის შემადგენლობაშია „The Wall Street Journal“, „New York Post“, „Times of London, Sun and Australian“ და კიდევ მრავალი სხვა გაზეთი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ირინა ლებედევა

„ხაფანგი-21“, ანუ

პუბლიკაცია, რომელსაც „საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელ ნომერში გაეცნობით, უთუოდ იძლევა არა მარტო დაფიქრების, არამედ ღრმა შეშფოთების საფუძველსაც. როგორც ჩანს, გარემოზე მზრუნველობის ნიღაბს ამოფარებულმა კონკრეტულმა ადამიანებმა თავიანთ კორპორატიულ ინტერესებს დაუქვემდებარეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელისუფლებაც. „მწვანე რევოლუციონერებმა“ უმაღლესი ტექნოლოგიის დონეზე აიყვანეს ძალაუფლების მისაკუთრების ძველი მასონური პრინციპი და სამყაროს მართვის მათეული მოდელის აუცილებლობას კეთილშობილური მიზნებით ამართლებენ.

„დიდი რვიანის“ ქვეყნების გარემოს დაცვის მინისტრების ფორუმად ოფიციალურად გამოცხადებული ყრილობა, რომელიც გლობალური დათბობის პრობლემებს მიეძღვნა, სირაკუზში 22-24 აპრილს ჩატარდა და გამოცხადებული ფორუმის ჩარჩოებს გვარიანად გასცდა. ფორუმზე მიწვეული იყვნენ ჩინეთი, ინდოეთი, ავსტრალია, ინდონეზია, ბრაზილია, მექსიკა, ეგვიპტე, სამხრეთ კორეა და სამხრეთ აფრიკა. მწვანეთა „დიდ შეკრებას“ აგვირგვინებდნენ ჩეხეთის რესპუბლიკა (რომელიც ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს), შვედეთი (მომდევნო ნახევარ წელიწადში ევროკავშირის თავმჯდომარე) და დანია (რომელიც კლიმატის შეცვლის პრობლემებთან დაკავშირებულ გაეროს სამიტს მიმდინარე წლის დეკემბერში უმასპინძლებს).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კიოტოს ოქმის იდეებს ძლიერ ოპონირებას ვერ უწევენ, ამერიკის გარემოს დაცვის სააგენტო (EPA) იერიშზე გადავიდა. 18 აპრილს სააგენტომ საჯაროდ წარმოადგინა თავისი პოზიცია და ოფიციალურ მოხსენებაში ირწმუნებოდა, რომ „ნახშირორჟანგისა და სხვა სითბური გაზების ემისია ჯანსაღი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს.“ იმ ფართო უფლებამოსილების პირობებში, რომლებიც ობამას ადმინისტრაციის სტატუსით „დამოუკიდებელ“ სააგენტოს ეკისრება, EPA-ს განცხადებები ხელ-ფეხს უხსნის ლობისტებს გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში და საშუალებას იძლევა, საემისიო კვოტებით ვაჭრობის შესახებ კანონმდებლობა აშშ კონგრესში გაიტანონ. ჯერჯერობით ასეთ კანონმდებლობას სხვებთან შედარებით მეტად გააფთრებით ებრძვის შუა დასავლეთის შტატების დემოკრატებისა და რესპუბლიკელების კოალიცია, რომელსაც უსაფუძვლოდ როდი მიაჩნია, რომ კვოტებით ვაჭრობის ლეგალიზაცია ენერგეტიკის ფასებს მხოლოდ გაზრდის და შეუტევს ნაციონალურ ეკონომიკას.

კვოტებით ვაჭრობის ლობისტები უკვე გამარჯვებას ზეიმობენ, ჟურნალისტებს უხსნიან, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის „სითბური გაზების“ ემისიის საფრთხის შესახებ EPA-ს ოფიციალური დასკვნის შემდეგ მოუწევთ კვოტების ვაჭრობის ლეგალიზაციის თაობაზე კანონმდებლობის მიღება. უცნაური ლოგიკაა, თითქოსდა „ზედმეტი გამონატყორცნებისთვის“ ფულის გადახდით საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეიძლება, თუმცაღა „სითბური ინდულგენციების“ იდეა სულ უფრო მეტ მოწონებას იმსახურებს.

„ახლა აღარ ვლაპარაკობთ არჩევანზე კანონმდებლობის გატანასა და უქმად ყოფნას შორის, — განაცხადა „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებიდან კონგრესმენმა ედვარდ მარკიმ, საკანონმდებლო აქტის თანაავტორმა, — თუ კონგრესი არაფერს იღონებს, ამოქმედდება გარემოს დაცვის სააგენტო“.

სირაკუზში გამართულ ფორუმზე ამ სიტყვების სამართლიანობის დემონსტრირება თვალსაჩინოდ მოახდინეს. ამერიკის შეცვლილი პოზიციის წარმოდგენა სიცილიაში EPA-ს ადმინისტრატორს, ბარაკ ობამას კაცს, ამერიკის გარემოს დაცვის სააგენტოში პირველ აფროამერიკელ ლიზა ჯონსონს დაევალა.

კარგად ინფორმირებულმა იტალიურმა გაზეთმა სირაკუზში შეხვედრის შესახებ მასალას მრავლისმეტყველი სათაური წარუმძღვარა: „G-8 ობამას ეფექტის ტესტირებას ახდენს.“ გაზეთს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის ეკონომიკური კონსულტანტის, სერ ნიკოლას სტერნის ციტირებაც მოჰყავს, რომელმაც დანიაში გაეროს მოსალოდნელ სამიტს გაეროს დაცვის პრობლემებზე „მეორე მსოფლიო ომის დასრულების დროიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმი უწოდა“.

მკითხველს შესაძლოა, დაებადოს კითხვა: „ობამას ეფექტის“ რომელ ტესტირებაზეა საუბარი? რა უპრეცედენტო გადაწყვეტილებას ელიან გაეროს სამიტისგან კოპენჰაგენში? დაბოლოს, რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს რუსეთთან?

ჯორჯ სოროსმა, როგორღაც, შენიშნა, რომ რუსეთის რეფორმების წარუმატებლობის ფესვები იმაშია, რომ რუსეთს წარმოსახვა არ ჰყოფნის. შეეძლოთ კი ინფორმაციით შეუიარაღებელ რუსებს, წარმოედგინათ, რომ „გარდაქმნისა“ და დემოკრატიის ნიღბით მათ ქვეყანას თავიანთივე ხელით ანგრევენ? ანდა ახლა ეყოფა რუსეთს წარმოსახვის უნარი საიმისოდ, რომ დაიჯეროს — მსოფლიო რესურსებზე პრეტენდენტთა არსენალში არის არა მხოლოდ „წითელი“ და „ნარინჯისფერი,“ არამედ „მწვანე“ რევოლუციებიც?

სირაკუზში ფორუმი სიმბოლურად 22 აპრილს, ე.წ. „დედამიწის საერთაშორისო დღეს“ დაიწყო. რუსეთში რომ სცოდნოდათ, რა ხალხი და იდეები დგას ამ გლობალური ანტიქრისტიანული მოქმედებების უკან, დედამიწაზე ზრუნვას სხვა კამპანიაში ან სხვა გარემოებებში ირჩევდნენ.

ზოგიერთ ქვეყანაში 22 აპრილს ერთი საათით გამორთეს ელექტროენერგია, რათა ადამიანების ყურადღება გლობალური დათბობის პრობლემებისადმი მიეპყროთ, თუმცა მასობრივი „ჩაბნელების აქციისთვის“ გლობალურ პიარად საყოველთაო საგანგებო „დედამიწის საათი“ იქცა. იმ „საათიდან“ არცთუ დიდი დრო გავიდა და შეგვიძლია, გავიხსენოთ, რომ იმ კვირის ბოლოს, რომელიც ლონდონის „დიდი ოცეულის“ სამიტს წინ უძღოდა, მსოფლიოს უდიდესი ქალაქები ჩაბნელდა. სწორედ მაშინ, გლობალური დაბნელების აქციის პიკზე მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოებმა ამერიკის ახალი პრეზიდენტის კონკრეტული პროგრამა გააშუქეს. ობამამ 16 ქვეყნის ლიდერები მიიწვია გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით გამართულ „სამეცნიერო“ სამიტებში მონაწილეობის მისაღებად. პირველი ასეთი სამიტი 27 აპრილს ვაშინგტონში გაიხსნა. ამ მოვლენამ მწვანე ესტაფეტა უნდა გადასცეს „სამეცნიერო“ შეკრებებს, რომელსაც თეთრმა სახლმა „ენერგეტიკისა და კლიმატის შეცვლის საკითხებზე მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების ფორუმი“ უწოდა. ჰოდა, სწორედ „მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების“ მწვანე ფორუმების ზეწოლით ჩაუტარებენ ტესტირებას „ობამას ეფექტს“. შეძლებს კი აშშ ენერგიული პრეზიდენტი იმ დღის წესრიგის გატანას, რისთვისაც ბოლო 60 წელია, „გლობალური მართვის“ ადეპტები წელებზე ფეხს იდგამენ? „მეცნიერები“ და ჟურნალისტები მცდელობას არ აკლებენ.

ამერიკაში კარგად აცნობიერებენ ბუნების დაცვის დაწესებულებებში სამსახურის დაკარგვის საფრთხეს, თუ აშკარად აღიარებენ, რომ გლობალური დათბობის პრობლემას გლობალურ მანიპულაციად მიიჩნევენ. ამერიკის გარემოს დამცველი სამსახურების სპეციალისტები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში უკვე ათწლეულია, ზემოდან მიღებული დირექტივებით ხელმძღვანელობენ. 2000 წელს „მილენიუმის სამიტზე“ გაეროში 160 სახელმწიფოს მეთაურები „მსოფლიოს გლობალური გარდაქმნის“ შესახებ პათოსური გამოსვლების ფონზე ნამდვილად წამოეგნენ პიარს და ასეთი დღის წესრიგი „მიიღეს“ („AGENDA-21“). ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ცოტას თუ სმენია ამგვარი დღის წესრიგის არსებობის შესახებ.

პირველად განგაშის ზარები ამერიკელმა „ეკოლოგიურმა დისიდენტებმა“ დაარისხეს. ბუნების დაცვის მოძრაობის ანონიმურმა ანალიტიკოსმა, რომელიც წლების განმავლობაში გარემოს დაცვის სახელმწიფო და ფედერალურ სააგენტოებში მუშაობდა, შექმნა გულდასმით დოკუმენტირებული ინტერნეტპორტალი „დღის მწვანე წესრიგი“ — „the green agenda“ (!). როგორიც უნდა ყოფილიყო მასალის დადების ჭეშმარიტი მოტივები, ეს მაინც დიდი მოცულობის სამუშაოა, სადაც თითო მტკიცებულებას შეესატყვისება მონაცემი პირველწყაროზე და ის უთუოდ გვეხმარება თანამედროვე საერთაშორისო დისკუსიების წყალქვეშა „მწვანე ქვების“ დანახვაში. რატომ მოხდა, რომ უცებ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებმა, რომლებისთვისაც შორეულია „გლობალური დათბობის“ პროფესიული პრობლემები, თავიანთი პლატფორმების გასაერთიანებლად მაინცდამაინც ეს საეჭვო თემა აირჩიეს? რატომ არის, რომ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ხალხთა შეხედულებები „გულისა და გონების“ გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ „გლობალური მართვისა“ და „სინთეტიკური რელიგიის“ ეგიდის ქვეშ ასე ძალიან ჰგავს ერთმანეთს? რატომ არის, რომ „ათასწლეულის ფორუმის“, „კიოტოს ოქმის“, „დედამიწის ქარტიის“, „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ დოკუმენტები ერთი და იმავე ადამიანის მიერაა ხელმოწერილი, ადამიანისა, რომელიც განსაკუთრებული დამსახურებებით არ გამოირჩევა?

„დიდი ოცეულის“ ლონდონის სამიტი, რომელიც „გადატვირთვასა“ და დიდ ცვლილებებს გვპირდებოდა, 1 აპრილს, ე.წ. „სულელის“ დღეს დაიწყო. ყველა ძირითადი პუნქტი, რომელიც საფუძვლად უდევს წინადადებებს „გლობალური კრიზისის დაძლევის თაობაზე,“ დაწყებული „პროტექციონიზმთან ბრძოლით, საერთაშორისო საფინანსო სექტორში საყოველთაო დაბანდებების გადაწყვეტილებებით, ბირთვული არსენალებისგან გათავისუფლების მოწოდებით და დამთავრებული კლიმატის ცვლილებების სფეროში „გლობალური საფრთხეების“ საერთაშორისო რეგულირებით, მთლიანად შეესატყვისება სწორედ იმ „დღის წესრიგ-21“-ს? პროგრამის შავი ვარიანტი საზოგადოებას ჯერ კიდევ 1992 წელს წარუდგინეს რიო-დე-ჟანეიროში, ე.წ. „დედამიწის სამიტზე“. „დღის წესრიგი-21“ ტრანსნაციონალური ბიზნესის წარმომადგენლების გონებაში და მათ ელიტურ კლუბებში იშვა როგორც „მსოფლიო მთავრობის“ პროგრამა და ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება მსოფლიო ფორუმებზე, გლობალურ ნეოკერპულ აქციებზე „ქალღმერთ დედამიწისთვის“ ხოტბის შესასხმელად. ეს ფანტასტიკური, ნაბოდვარი იდეები გაეროსა და იუნესკოს ოფიციალურ დოკუმენტებად არის მიღებული. ოკულტური „დედამიწის ქარტია“, მის სულისჩამდგმელთა აზრით, მოწოდებულია, შეცვალოს 10 მცნება, „დღის წესრიგი-21“-ის შემოკლებული ვარიანტია, რომელიც იმავე ავტორებმა შეადგინეს და გაეროს საპროგრამო დოკუმენტად მიიღეს.

გორბაჩოვი და 10 მცნება

იმ ავბედით „დედამიწის საათს“ ამერიკაში მავანმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც გაეროშია აკრედიტებული „რუსი თანამემამულეების“ მიერვე, რუსულ ცენტრებს დაუგზავნა მოწოდებები, მონაწილეობა მიეღოთ საყოველთაო აქციაში — ერთი საათით გაეთიშათ ელექტროენერგია და ამ გზით სოლიდარობა გამოეცხადებინათ „გლობალური დათბობის“ წინააღმდეგ მებრძოლთათვის.

სანამ რუსული დიპლომატია ყურადღების კონცენტრირებას ნატოს გაფართოებაზე ახდენდა, „დღის წესრიგი-21“-ის ინიციატორებმა მეორე ფრონტის გახსნა დაგეგმეს და მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის საქმეში წინა პლანზე გადმოწიეს „მშვიდობისმყოფლური“ გაერო, ნაცვლად „ძალოვანი“ ნატოსი. არადა, გულისხმობდნენ არა ნატოს დასუსტებას, არამედ გაეროს გაძლიერებას მისთვის სამხედრო ფუნქციების მინიჭებით და გაეროს დამფუძნებელი 5 სახელმწიფოსთვის უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების ჩამორთმევას. ამ პროგრამის განხორციელება ეტაპობრივადაა დაგეგმილი, საერთაშორისო ფორუმებზე უამრავი სახელმწიფოს მეთაურთა მონაწილეობით. ამავე დროს, „გლობალურ მართვაზე“ გადასვლას ქვემოდან წამოსულ ერთსულოვან ინიციატივად წარმოადგენენ.

ამ მიმართულებით სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია. ახლა მუშავდება ე. წ. „სოციალური ქსელის“ („social network“) ფუნქციონირების მექანიზმი, რომელიც მოწინავე ტექნოლოგიებსა და მასობრივი გლობალური აქციების ულტრათანამედროვე მეთოდიკას აერთიანებს. გაეროში აკრედიტებულია 2 ათასზე მეტი „სწრაფი მოქმედების“ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც, ჩვეულებრივ, სახელმწიფოთა მიერ ფინანსდება. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია ამბიციური სახელწოდებით „გაერთიანებულ ერთა ფონდი“ 1998 წელს ტელე, ახლა კი უკვე კინომაგნატმა ტედ ტერნერმა დააფუძნა. კანადელი მკვლევარის ნეილ რაბის მონაცემებით, ორგანიზაციის საწყისი ბრუნვა 125,4 მლნ დოლარს შეადგენდა, შემდეგ კი სხვადასხვა გრანტის დამატებით 227,7 მლნ დოლა-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ტესტი „ობამას ეფექტზე“

„მწვანე რევოლუციონერები“

27 აპრილს ვაშინგტონში მსოფლიო წამყვანი ეკონომიკების ფორუმის მოსამზადებელი სხდომის გახსნისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა: — „ჯერ ერთი, კლიმატის ცვლილება ამჟამინდელი და აშკარა საფრთხეა მსოფლიოსთვის, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა მივაპყროთ ყურადღება“. უკვე ამ ერთი განცხადების შემდეგ შეიძლებოდა „მეცნიერთა დისკუსიად“ წოდებული ფორუმის დახურვა, მაგრამ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მიერ წარმოთქმული „მეორეც“, „მესამეც“ და „მეოთხეც“ უფრო დამაინტრიგებლად ჟღერდა: — „აშშ დაკარგული დროის ანაზღაურებას აპირებს, ხოლო მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკები და დანია, რომელიც გაეროს სამიტს კოპენჰაგენში უმასპინძლებს, „დაეხმარებიან“ შტატებს, უფრო წარმატებული იყოს ამ შეხვედრაზე“. ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ მანაც და ბარაკ ობამამაც კლიმატის შეცვლის პრობლემა თავიანთი საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალურ ფოკუსად აქციეს.

არადა, „მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს შორის,“ რომლებიც 17 ქვეყანასა და დამკვირვებლებს წარმოადგენდნენ, თავიდან არავითარი „კონცეპტუალური დისკუსია“ არ შეინიშნებოდა. „მეცნიერები“, რომლებიც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში შეკრიბეს, ადმინისტრაციის ჩინოვნიკებისთვის კარგად ცნობილ ზენაციონალური ლობისტების ჯგუფს წარმოადგენდნენ. ჰილარი კლინტონმა ამის შესახებ განაცხადა: — „მოხარული ვარ, რომ ჩვენი საგანგებო წარმომადგენელი კლიმატის ცვლილების პრობლემათა სფეროში ტოდ სტერნი თქვენთან იმუშავებს ისევე, როგორც მაიკ ფრომანი (თეთრი სახლის მრჩეველი საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებში, — რედ.), რომელიც თეთრ სახლში ნაციონალური უსაფრთხოებისა და ნაციონალური ეკონომიკის საბჭოებს შორის ზის. თქვენთვის ცნობილია დეტალები, სხვაგვარად აქ არ იქნებოდით“.

ძველი ნაცნობები ერთმანეთს შეხვდნენ. თავად ტოდ სტერნი ჰყვებოდა აშშ სენატში კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ სიმპოზიუმზე, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების ლიდერთაგან მომცრო ჯგუფები შეკრიბეს სითბური გაზების ემისიის დარეგულირების, ინვესტიციების ვარიანტებისა და ამგვარ საკითხებზე პოზიციების შესამუშავებლად. წინა ადმინისტრაციის დროს, — დაიჩივლა სიმპოზიუმზე ტოდ სტერნმა, — სამუშაო ჯგუფების ინიციატივათა გატანა შეუძლებელი იყო, რადგან რესპუბლიკელების ადმინისტრაცია ენინააღმდეგებოდა ემისიის დარეგულირების აუცილებლობას. ახლა ეს ჯგუფები რეანიმირებულია „წამყვანი ეკონომიკების ფორუმის სახით“ ვაშინგტონში. ფორუმის პრიორიტეტები კოპენჰაგენში გაეროს სამიტის სამუშაო ჯგუფებისთვის წინადადებათა პაკეტების მომზადებაა, ინოვაციური ეკოლოგიური პროექტების დამატებითი დაფინანსების საკითხები (ობამას ანტიკრიზისულ პაკეტში ეკოლოგიისთვის „სულ“ 80 მლრდ დოლარი გამოიყო), ასევე, კოპენჰაგენის სამიტზე იმ დოკუმენტის ხელმოწერა, რომელიც პოსტკიოტურ სითბურ გაზებს არეგულირებს. ტოდ სტერნის აზრით, კვლევისა და ეკოლოგიური ინოვაციებისთვის საჭირო სახსრები კერძო კორპორაციებმა, მობილურმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გამოყონ. ისინი მზად არიან, დაფინანსების დამატებითი სქემები წარმოადგინონ და ენთუზიაზმით ჩაერთონ „კლიმატური საფრთხის“ სალიკვიდაციო სამუშაოებში.

ამერიკულ ინტერნეტსაიტებსა და ფორუმებზე, რომლებმაც გარშემო შემოიკრიბეს „კლიმატური ჰოლოკოსტის უგულებელმყოფნი“, უთუოდ წააწყდებით ციტატას „რომაული კლუბის“ მასალებიდან: „ჩვენი გამაერთიანებელი ახალი მტრის ძიებაში იშვა იდეა, რომ გარემოს დაბინძურება, რომელიც გლობალური დათბობით გვემუქრება, წყლის უკმარისობა, შიმშილი და ა.შ. ხელს შეუწყობდა ხარჯების ანაზღაურებას...“

ძველი მასონური პრინციპი, რომლის თანახმადაც, ძალაუფლებას ბრძოლით მოპოვება კი არა, მისაკუთრება სჭირდება, ხოლო ადამიანები ამას შეეგუებიან, „მწვანე რევოლუციონერებმა“ ტექნოლოგიის დონეზე აიყვანეს. მათ მიერ მოწყობილ გლობალურ ფორუმებსა და კონფერენციებზე დღეს სტატისტებად სხედან სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელები, რომლებიც ერთხმად იღებენ თვითმარქვია „დედამიწის პრეზიდენტთა“ და არასამთავრობო ორგანიზაციათა ურდოებისგან ლეგიტიმიზებულ მათ სპონსორთა გლობალურ დეკლარაციებს.

ამერიკელი პუბლიცისტი ფილის სკლეფლი ურჩევდა ამერიკელ პოლიტიკოსებს, მკაცრი ზომები მიეღოთ იმ შემთხვევაში, თუკი თვითმარქვიების ჯგუფი არ შეწყვეტდა აშშ სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრას თავიანთი არასამთავრობო ორგანიზაციების სისტემის მეშვეობით, რომლებიც „გაეროს“ წურბელებივით მიეწებნენ; დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ნებისმიერი საერთაშორისო სტრუქტურის დაფინანსება და აეკრძალათ მათში გაწევრება, რაკიღა ისინი აშკარა საფრთხეს უქმნიდა ამერიკის სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ცხოვრების ტრადიციულ ამერიკულ წესს. მას ყური არავინ ათხოვა და საქმიანი ურთიერთობის ენად ქცეული სახელმწიფო კერძო დუქნების „ჟარგონი“ კვლავაც თავს მოახვიეს მსოფლიოს.

„მედუქნეებს“ ზოგიერთი ცისფერსისხლიანიც შეუერთდა. რიოს სამიტამდე პრინცმა ჩარლზმა თავისი საერთაშორისო ბიზნესფორუმი შექმნა, რომლის მიზანიც მთავრობას, ბიზნესსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის პარტნიორობის დამყარება იყო. ამგვარად შემუშავდა პრინციპულად ახალი ერთაშორისი სტრუქტურა, რომელიც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საშუალებას აძლევდა, ერთგვარად სუვერენულ სახელმწიფოთა თანამმართველნი გამხდარიყვნენ. პრინც ჩარლზისა და კოფი ანანის, მორის სტრონგის, ალბერტ გორის დიალოგების შედეგად იქცა გაეროს ოფიციალური დოკუმენტის — „გლობალური პარტნიორობის“ — მიღება.

ამჟამად ამგვარი „კერძო სახელმწიფოებრივი გლობალური პარტნიორობის“ ჩარჩოებში წარმოქმნილი ათასობით დაწესებულება მთელ მსოფლიოში მოქმედებს. უკვე 2002 წლისთვის, მორიგი მსოფლიო ფორუმისთვის, იმ ფიგურანტების მიერ, რომლებიც, ჩვეულებრივ, როტშილდების, როკფელერების, სამეფო დინასტიათა შთამომავლების, ნავთობისა და ალმასის კარტელების, უოლსტრიტის ბანკირების ინტერესებს წარმოადგენენ, შეიქმნა 250-ზე მეტი სტრუქტურა „კერძო სახელმწიფოებრივი პარტნიორობისთვის“. დღეს მათი რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა!

რამდე გაიზარდა. ასე რომ, როდესაც „CNN“-ზე „გლობალისტთა“ შეკრებას უყურებთ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ლონდონის სამიტის წინ თქვენთვის გადაცემებიდან ნაცნობი მწვანეპარიკიანი პედერასტი უწინდებურად პრეზერვატივებს კი არ არიგებს („დღის წესრიგი-21“-ში ესეც შედის!), არამედ თავის მონაწილეობას აქციაში „გლობალურ დათბობასთან“ ბრძოლის სურვილით ხსნის.

საინტერესოა: გაეროში მომსახურე რუსი მოქალაქეები არც კი დაფიქრებულან, რატომ დაემთხვა კიოტოს ოქმის შემდგომ „ახალი მწვანე წესრიგის“ განმხილველი ფორუმი სიცილიაში აქცია „დედამიწის საათის“ დაწყებას?

დასავლეთში ჩინებულად ესმით, რა კავშირია გლობალურ „მწვანე“ აქციებში ელექტროენერგიის „მარაოსებურ გათიშვებსა“ და პლანეტის ენერგორესურსების გადანაწილებას შორის. აი, რუსეთში კი ამ კავშირს, რატომღაც, ვერ ხედავენ. იტალიური გამოცემა „Il sole 24 ore“, რომელიც ხოტბას ასხამდა ვენეციაში ჩირაღდნებით მსვლელობას ლონდონის სამიტისა და „დედამიწის საათის“ წინ, არა მხოლოდ აღფრთოვანებით იტყობინებოდა, რომ ვატიკანი ასევე ჩააქრობს შუქს წმინდა პეტრეს ტაძარში, არამედ „მოულოდნელი სიხარულის“ მიზეზსაც განმარტავდა. „იტალიის შეერთებას გლობალურ აქცია „დედამიწის საათთან, — ხაზს უსვამდა გამოცემა, — სპეციფიკური ღირებულება“ აქვს: რამდენიმე თვის შემდეგ იტალია უმასპინძლებს „G-8“-ის სამიტს და „ინიციატივასთან შეერთება ნიშნავს „რვიანის“ ლიდერებისთვის გზავნილს: კლიმატის შეცვლაში მთავარი დამნაშავენი განვითარებული ქვეყნები არიან, ამიტომ მათ უნდა შეიმუშაონ ერთიანი პოზიცია მოლაპარაკებებში და დააფინანსონ ამ ცვლილებების დაძლევისკენ მიმართული ძალისხმევა, გადასცენ ტექნოლოგიები უფრო ღარიბ და ამით დაზარალებულ ქვეყნებს“.

ის, თუ როგორ შეცვალა იეზუიტურმა ლოგიკამ აქცენტები „ღარიბთა სასარგებლოდ,“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ, მზაკვრული „დღის წესრიგის“ დროშის ქვეშ მიმდინარე ეკოლოგიური ბრძოლის ამჟამინდელი რაუნდი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ჩინეთსა და ინდოეთთან დასავლეთმა უკვე მიაღწია პირველ შეთანხმებებს ურთიერთხელსაყრელ პარტნიორობაზე ეკოლოგიურ პროექტებში.

„დიდი რვიანის“ ფორმატში გამართულ უახლოეს „ენერგეტიკულ“ სამიტზე, რომელიც 2009 წლის ივლისში სიცილიაში (მადალენაში) არის დაგეგმილი, ამერიკული ბაზების გვერდით, რუსეთი შესაძლოა, სრულ სიმარტოვეში აღმოჩნდეს.

„მსოფლიო კულისების“ ნების ყველაზე ბეჯით შემსრულებელზე, რომელმაც მილიარდები იშოვა გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულ ტრიუკებში, „დედამიწის ქარტიის“, „კიოტოს ოქმის“, „დღის წესრიგი-21“-ის ინიციატორზე — გაეროს რეფორმების კოორდინატორ მორის სტრონგზე რუს მკითხველს უთუოდ სმენია თავისი ყოფილი სახელმწიფოს ყოფილი ხელმძღვანელობისგან. კანადელი სოციალისტი მორის სტრონგი ოდესღაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გორბაჩოვთან. „მორის სტრონგმა გორბაჩოვთან ერთად, — ირონიით წერს ერთ-ერთი ამერიკელი მიმომხილველი, — გადაწყვიტა, 10 მცნება „დედამიწის ქარტიით“ შეეცვალა“. და ეს ჰიპერბოლა როდია. ამერიკულ გაზეთებთან ინტერვიუებში ყბადაღებულ „დედამიწის ქარტიას“ მიხეილ სერგეის ძე ნამდვილად უწოდებდა არა მარტო „10 მცნების“ ახალ ფორმას, არამედ „ქადაგებასაც“.

მორის სტრონგის კარნახით დაწერილი „ქარტია“ გაეროს დოკუმენტად მიიღეს. სტრონგმა იქ „გარემოს დაცვის პრობლემებზე“ პასუხისმგებლობა იკისრა, მოგვიანებით კი კოფი ანანის მთავარი მრჩეველი გახდა. სწორედ მან შესთავაზა გორბაჩოვს პრესტიჟული თანამდებობა „გლობალური მართვის“ სტრუქტურაში. მორის სტრონგის ძალისხმევით, გაეროში აქტიურად ამუშავდა სპეციალური კომისია გლობალური მართვის საკითხში. ყოფილი სსრ კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა „გლობალურ მართვას“ მწვანე გზა გაუხსნა რუსეთის გზაჯვარედინზე. გორბაჩოვი სტრონგის მიერ გამოგონილი სტრუქტურის — „საერთაშორისო მწვანე ჯვრის“ თავმჯდომარე გახდა.

„გორბაჩოვი მსოფლიო მთავრობის იდეას 1992 წლიდან ავითარებდა, — წერს 16 წიგნის ავტორი და რესპექტაბელური რესპუბლიკური ფორუმის პრეზიდენტი ფილის სკლეფლი, — ფულტონში — ჩერჩილის მემორიალურ დარბაზში გამოსვლისას მან „გლობალური სტრუქტურის“ შექმნისა და „შეიარაღებული ძალებით გაეროს განმტკიცებისკენ“ მოუწოდა.

ფილის სკლეფლიმ ქვა ქვაზე არ დატოვა სტრონგ-გორბაჩოვისეული „დედამიწის ქარტიისგანაც.“ მისი შენიშვნები სასარგებლო იყო უკვე იმიტომ, რომ ქარტიის დებულებანი შემოკლებული სახით წინ უძღვის „დღის წესრიგი-21“-ის ძირითად მიმართულებებს, რომლის ხელახლა თავსმოხვევასაც ლამობენ რუსეთისა და მსოფლიოსთვის.

აქ მოგვყავს ზოგიერთი პუნქტი „დედამიწის ქარტიისა“ — დოკუმენტისა, რომელიც ხალხებსა და ქვეყნებს ახალ კოსმოპოლიტურ ფილოსოფიას სთავაზობს:

„ქარტია“ აცხადებს, რომ „სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა ღირებულია, მიუხედავად ადამიანის მიერ მისი შეფასებისა“, რითაც ბუნების გვირგვინს – ადამიანს ათანაბრებს ცხოველებთან, მცენარეებთან და მწერებთან;

„ქარტია“ ითხოვს ბუნებრივი რესურსების (წყალი, მინა, ტყეები, ზღვის ბიორესურსები) გაეროს მართვის ქვეშ გადაცემას;

„ქარტია“ მოუწოდებს „ნაციონალური უსაფრთხოების დემილიტარიზაციის“, ანუ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების განადგურებისკენ;

„ქარტია“ დაჟინებით მოითხოვს „სქესთა თანასწორობასა და სექსუალურ ორიენტაციაში დისკრიმინაციის ლიკვიდაციას“, ანუ მოგვიწოდებს, გახრწნილება — ლესბოსელობა და პედერასტია ნორმად მივიჩნიოთ;

„ქარტია“ ითხოვს უნივერსალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს „რეპროდუქციულ ჯანმრთელობას“ (იგულისხმება აბორტის პროპაგანდა, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გავრცელება), მოუწოდებს „ბუნებრივი რეპროდუქციისკენ“ (შობადობის დაქვემდებარებას საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლქვეშ);

„დედამიწის ქარტია“ ხელშეკრულება არ არის, რომლის მიღება ან უგულებელყოფაც აშშ სენატს შეუძლია, — წერდა 9 წლის წინ ფილის სკლეფლი, — ეს „მცოცავი“ კანონია, პოლიტიკური დოკუმენტი, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის მსგავსი. მოცემულ დოკუმენტს არ აქვს ლეგალური სტატუსი, მაგრამ ბილ კლინტონის ტიპის გლობალისტებსა და ალბერტ გორის მსგავს „ბუნების დამცველებს“ უბოძებს იმ ქანდარას, რომლიდანაც ისინი ხალხს „მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებენ.“

დღეს, როცა ობამას ადმინისტრაციაში ბილ კლინტონის ძველი გუნდის ბირთვი შეკრებილა, ძველი სცენარი კვლავ ვითარდება. მაშინ, 2000 წლის სექტემბერში, „გლობალური მმართველობის“ პროგრამა „მილენიუმის ასამბლეის“ მეშვეობით დიდის ამბით გაიტანეს გაეროს გენერალური ასამბლეის 55-ე სესიაზე. მაშინ გაიმართა „მილენიუმის სამიტიც“, რომელზეც 160 სახელმწიფოს მეთაურები შეიკრიბნენ. „მილენიუმის“ ორგანიზატორებმა კიდევ ერთხელ სცადეს სახელმწიფოს ლიდერთათვის „დედამიწის ქარტიის“ შეთავაზება და მოუწოდეს, მიეღოთ დეკლარაცია გაეროს ახალი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც „გლობალური მმართველობის“ შემოსაღებად საჭირო რეკომენდაციებს შეასრულებდა, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანდა მსოფლიო მთავრობის შექმნასა და ნაციონალური სუვერენიტეტების განადგურებამდე.

ამ გეგმის ერთ-ერთი განმახორციელებელი გაეროში მორის სტრონგია, რომელმაც გაეროს რეფორმების „აღმასრულებელი კოორდინატორის“ პოსტი დაიკავა საგანგებოდ ამისთვის შექმნილ კომისიაში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი მაისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა. იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას. მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს. თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

გიორგი მაისურაძე

სალამი საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-14

ჩაადგა თუ არა ფეხი კიბეზე „მერსედესის“ უკანა კარი გაიღო და სალონიდან ორმოციოდე წლის საშუალო ტანის გამხდარი კაცი გადმოვიდა, ფითრი სახით და შავი გამჭოლმზერიანი თვალებით.

— დილა მშვიდობისა, მისტერ როჯერს! — თქვა გამართული ინგლისურით. გაღიმებულმა და ხელგაწვდილმა ორიოდ ნაბიჯი გადადგა, — მერაბ სანიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

— სიდნეი როჯერსი, — შეაგება ხელი „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— ბოდიშს არ გიხდით ამ ადრიანი ვიზიტისთვის, — მაგრად ჩამოართვა ხელი, — ვინაიდან ვიცი, ამერიკელები ადრე იღვიძებენ.

— რა თქმა უნდა... — „ყველა არა“, — გაიფიქრა როჯერსმა.

— დაბრძანდით, მისტერ როჯერს, — მანქანაში მიიპატიჟა მინისტრმა, — ერთად ვისაუზმოთ და საქმეზეც დავილაპარაკოთ. პრეზიდენტმა დამავალა, ყველანაირი დახმარება აღმოგიჩინოთ.

ესკორტი ადგილს მოსწყდა და ცარიელ ქუჩას გაუყვა დიდი სისწრაფით. საგზაო პოლიციას სრულად გადაეკეტა მოძრაობა მინისტრის მარშრუტზე.

— აქ ყველაფერია, მისტერ როჯერს, — მინისტრმა კეისი გახსნა და მუქი ლურჯი მუყაოს დიდი კონვერტი მიაწოდა, — აქ ყველაფერია, ექსპერტიზის დასკვნა, შემთხვევის ადგილის გეგმა, თვითმხილველთა ჩვენებები, ფოტოსურათები, ვიდეოფირი... ძალიან შეწუხებულები ვართ, — თქვა პაუზის შემდეგ, — მე, როგორც მინისტრს, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მე ვიყო დამნაშავე. კარგი კაცი იყო რაილი, ჭეშმარიტი პროფესიონალი და ნამდვილი ჯენტლმენი. ჩემი ბიჭებიც, ანუ მისი აქაური თანაშემწეებიც შეძრწუნებულები არიან მომხდარით. პატაკი დამიწერეს სამსახურიდან გათავისუფლების თხოვნით, ეს არ უნდა მოგვსვლოდაო.

— უბედური შემთხვევისგან არავინაა დაზღვეული, — თქვა სიდნეი როჯერსმა.

— ეგ მართალია, ჩვენთანაც და თქვენთანაც, მაგრამ ტვირთი მძიმეა, უსაშველოდ დიდი დანაკარგია. რაილის სამივე თანამშრომელი ათი დღით შვებულებაში გავუშვი, ნერვიული შოკიდან და სტრესიდან რომ გამოვიდნენ. არადა, სამივე ბრწყინვალე ოფიცერია, უამრავხიფათგამოვლილი, ნაბრძოლი.

— მათ ნახვას შევძლებ? — იკითხა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— რა თქმა უნდა; უფრო მეტიც, იმედი მაქვს, იქნებ თქვენ დაამშვიდოთ.

მანქანების ესკორტმა ქვის ფილებით მოპირკეთებულ დაბალ აღმოსავლურ-ფასადიან შენობასთან სვლა შეანელა, შეუხვია და ეზოში შევიდა.

საუზმე შენობის უკანა მხარეს, მეორე სართულზე, იყო გაშლილი. ვერანდა ქალაქის შუაზე გამყოფ მდინარეს გადაჰყურებდა. სუსტი გრილი სიო ქროდა, ყრუდ ისმოდა ქალაქის გუგუნი.

ასკეტური საუზმე იყო: ერბოკვერცხი ლორის თხელი ნაჭრით, ყველი, კარაქი, ჩაი.

— ყავა ხომ არ გნებავთ? — იკითხა მინისტრმა, მაგიდას როცა მიუსხდნენ.

— არა, ჩაი მირჩევნია.

შუა საუზმისას მინისტრის მობილური ტელეფონი აწკრიალდა. „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს მოუბოდიშა და მობილური ყურთან მიიტანა. საუბარი ქართულად მიმდინარეობდა, მაგრამ რამდენიმე სიტყვის შემდეგ მინისტრი ინგლისურად ალაპარაკდა: „დიახ“, „რა თქმა უნდა“, „აბსოლუტურად ყველაფერს, რასაც მოითხოვს“, „აუცილებლად“, „კარგი, კარგი...“ საუბარი შეწყდა, მინისტრმა მობილური მაგიდაზე დადო და „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს ღიმილით შეხედა.

— საოცარი კაცია — ყურადღებიანი, გულისხმიერი და ტაქტიანი... პრეზიდენტი იყო, — დაამატა მინისტრმა, — როგორც კი გაიგო, რომ თქვენთან ერთად ვარ, იმავე წამს ინგლისურ ენაზე გადავიდა, მოგიკითხათ და ყველანაირად შეუწყვეთ ხელიო, კიდევ ერთხელ დამავალა.

— მე მომწონს თქვენი პრეზიდენტი.

— მასაც ძალიან მოსწონხართ და აქვე მინდა, გითხრათ, როგორ შეიძლება, თქვენ მიერ გაკეთებული ინტერვიუს ავტორი რომელიმე ქართველს არ მოეწონოს? დიდი სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა, როცა წავიკითხე.

— დიდი მადლობა, ბატონო მინისტრო, მაგრამ ეს ხომ ჩემი მოვალეობა და პროფესიაა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ პროფესიონალიზმის დონეა, დონე მთავარი!

— ამ შემთხვევაში დონეს ინტერვიუერი განსაზღვრავს.

— გეთანხმებით, მაგრამ ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ანდა ჰომეროსი რომ არ ყოფილიყო, აქილევსი ეცოდინებოდა ვინმეს? — გაიღიმა მერაბ სანიშვილმა.

— დიდი მადლობა, ბატონო მინისტრო. ვატყობ, აქ გაცილებით მაღალია განათლების დონე, ვიდრე ჩემს ქვეყანაში.

საუზმის ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თავისი სავიზიტო ბარათი გადასცა, რომელსაც საკუთარი ხელით მიაწერა იმ მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მხოლოდ პრეზიდენტი ურეკავდა. როჯერსის ნომერიც ჩაიწერა.

— უოლტერ რაილის თანამშრომლები ხვალ დილით დაგიკავშირდებიან, — უთხრა, როცა მანქანების ესკორტი სასტუმროსთან მივიდა.

მინისტრის მიერ გადმოცემულ საბუთებში „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტისთვის ახალი არაფერი იყო. ყველა ეს დოკუმენტი მისი კომპიუტერის მეხსიერებაში ინახებოდა და ისინი საქართველოსკენ ფრენისას ძირფესვიანად შეისწავლა. საბუთები ისევ კონვერტში ჩააბრუნა და მაგიდაზე დადო.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯეფრი ჯელტრის დაურეკა, შემდეგ — არჩილ კამარაულს.

— საელჩოში! — უთხრა მძღოლს მანქანაში ჩაჯდომისას.

* * *

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს ელჩის მისაღებში ნინო იაშვილი შეხვდა.

— ძალზე მადლობელი ვარ თქვენი, — უთხრა სიდნეი როჯერსმა, — არჩილ კამარაული დიდებული ბიჭია, მაგრამ...

ნინო იაშვილმა შემკრთალმა შეხედა.

— ძალზე მოკრძალებულია, უცნაურადაც კი, მე ვიტყოდი. ახლაც არაფრით შემომყვა საელჩოში, გარეთ დაგელოდებითო. სადმე წადი, ტელეფონით გამოგიძახებ-მეთქი და — არაო.

— გეთანხმებით, მისტერ როჯერს, ძალზე მოკრძალებულია, — თვალები გაუბრწყინდა ნინოს.

„ნაღდად გავა სანახავად“, — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა, როცა ნინო იაშვილი დაემშვიდობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯეფრი ჯელტრი აშკარა კმაყოფილებით შეხვდა.

— მომილოცავს, სიდ! პრეზიდენტი აღფრთოვანებულია პუბლიკაციით. პრესა მისთვის ყველაფერია! როგორაა საქმეები?

— დაიძრა, მისტერ ჯეფრი. ამ დილით შინაგან საქმეთა მინისტრმა მომაკითხა სასტუმროში.

— ესე იგი, პრეზიდენტმა დაავალა. ეგ კაცი პრეზიდენტის უახლოესი მეგობარია, სიდ, ჩათვალეთ, მეორე პირია ამ ქვეყანაში; აქ პრემიერ-მინისტრი ბუტაფორიაა, მანეკენია მხოლოდ. მერაბ სანიშვილი ძალზე ჭკვიანია. საერთოდ, ქართველები ნიჭიერი ხალხია — უძველესი ისტორიით, დიდი პოეტებით. სტალინი, ვინც სამოცდაათწლიანი უნიკალური ზესახელმწიფო — სსრკ შექმნა დედამიწის ერთ მეექვსედზე და ვისი დანატოვარი მემკვიდრეობითაც რუსეთი დღესაც მძლავრ ქვეყნად ითვლება, ქართველი იყო — იოსებ ჯუღაშვილი. აქედან სულ რაღაც ერთი საათის სავალზეა მისი მშობლიური ქალაქი. იგი „ცივი ხარაზის“ შვილი იყო... იცით, რა არის „ცივი ხარაზი?“

— არა, — აღიარა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა. სტალინი, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ მის ეროვნებასა და სოციალურ წარმოშობაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

— „ცივი ხარაზი“ ის ადამიანი იყო, რომელიც ზამთარ-ზაფხულ შენობის გარეთ, ქუჩაში, ღია ცის ქვეშ კერავდა წაღებს. სტალინის წარმოშობა და ბიოგრაფია რომ ჰქონოდა ჩვენს რომელიმე პრეზიდენტს, ამერიკული ისტორიის მამები და იდეოლოგები შეშისმჭრელ ეიბ ლინკოლნზე გაცილებით დიდ ამერიკულ ოცნებას შექმნიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, თქვენს ყოვლისშემძლე კომპიუტერულ საიტებზე არ იქნება, — თაობათა შორის სხვაობა აგრძნობინა ელჩმა, — სასაყვედუროდ არ გეუბნებით ამას, ჭეშმარიტების კონსტატაციას ვახდენ მხოლოდ, — გაეღიმა ჯეფრი ჯელტრის.

— მამაჩემი კი ყველაფერ ამას სასაყვედუროდ მეუბნებოდა, — გულწრფელად თქვა სიდნეი როჯერსმა.

— მამაშენი დიდი კაცი იყო, სიდ, დიდი პიროვნება — ამერიკული პოლიტიკის უკანასკნელი დინოზავრი, ალბათ... რაო, მინისტრმა?

— საბუთები გადმომცა, ძალზე შეწუხებულია.

— შეწუხებული რბილად ნათქვამია კიდევ. ქართველები უაღრესად თავმოყვარე ხალხია. მას ჰგონია, რომ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, როგორც პრეზიდენტის მეგობარს, თანამებრძოლს, ამ უბედურებამ, ტრაგიკულმა შემთხვევამ პრესტიჟი შეულახა და ჩრდილი მიადგა არა მარტო მის დაწესებულებას, არამედ მთელ ქვეყანას, მით უმეტეს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალში. სპეციალური წერილის ორგანიზებაც კი მომიხდა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პრეზიდენტისგან საქართველოს პრეზიდენტისადმი. მერაბ სანიშვილს კი ძლივს ავაღებინე ხელი განზრახვაზე, პასუხისგებაში მიეცა ჩვენი აგენტის თანმხლები აქაური თანამშრომლები.

— ხვალ დამიკავშირდებიან.

— ძალიან კარგი. თქვენი საქმე თქვენ იცით. ალბათ, ერთი კვირა გეყოფათ.

— ალბათ, შეიძლება მაგდენიც არა.

— აქედან გამგზავრების პრობლემა არაა, სიდ. საელჩოს ყოველდღიური ჯავშანი აქვს ავიაბილეთებზე. ახლა კი, რადგან ეჭვი არ მეპარება, რომ მხოლოდ მეგობრული ვიზიტით არ ხართ ჩემთან მოსული, — გაეღიმა ჯეფრი ჯელტრის, — გისმენთ, სიდ.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა დაწვრილებით უამბო საქართველოს პრეზიდენტთან საუბრის შინაარსი საქართველოს მეგობარ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნის შესახებ და რიჩარდ ჰოფნერის პასუხიც გააცნო ამ საკითხზე.

— კანტორა არ იცვლება! — აღნიშნა ელჩმა. — მათ უნდათ, ეს ინფორმაცია ჩემი მეშვეობით გავიდეს, ანუ სახელმწიფო დეპარტამენტის ხაზით და, თუ მათ რაიმე გადაწყვიტეს, რამეს მოიგონებენ და ისევ კანტორას მიადგებიან.

— მე როგორ მოვიქცე, მისტერ ჯეფრი?

— დაეთანხმეთ, რას კარგავთ? რაიმე ვალდებულება გაქვთ?

— ჯერჯერობით — არავითარი, მაგრამ...

— თუ სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ წინადადება მისაღებია ჩვენი სტრატეგიული, პოლიტიკური ინტერესებისთვის, მაშინ გექნებათ ვალდებულებები, ისიც იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ იქნებით წინააღმდეგი, არადა, იოლად გამოძებნიან სხვა ვინმეს. მეთანხმებით?

— დიახ, სერ.

— კიდევ რაიმე გაქვთ?

— არა. უღრმესი მადლობა კონსულტაციისთვის.

— ვალდებული ვარ, ეს ჩემი მოვალეობაა.

— ერთი სათხოვარი მაქვს, მისტერ ჯელტრი, — თქვა ცოტა ხნის პაუზის შემდეგ „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— ბრძანეთ.

— თქვენს თარჯიმანს ვერ გამაყოლებთ ერთი-ორი საათით? რაღაცების ყიდვა მინდა და იქნებ მეგზურობა გამიწიოს აქაურ მაღაზიებში. არაფერი წამომიღია ნიუ-იორკიდან ნესესერის გარდა.

— რა პრობლემაა?! — ჯეფრი ჯელტრი სამუშაო მაგიდასთან მივიდა, სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა, — მის ნინოს გადაეცით, მისტერ როჯერსს გაჰყვეს, — უთხრა მდივანს, — მართალი ხართ, სიდ, ამ შემთხვევაში ქალი გაცილებით კარგი მეგზური და მრჩეველია. არა მგონია, დღეს თარჯიმანის მომსახურება დამჭირდეს.

სიდნეი როჯერსი და ნინო იაშვილი საელჩოდან ერთად გამოვიდნენ. როცა ნინო იაშვილს მანქანაში წინა სავარძელზე სვამდა, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა არჩილ კამარაულის შეშფოთებული მზერა შენიშნა.

— საით? — იკითხა არჩილმა.

— სადმე კარგ მაღაზიაში, სადაც ნამდვილი ტანსაცმელი იყიდება. ნინო გვირჩევს, ალბათ, მერე კი სადილად გეპატიჟებით ორივეს.

გაგრძელება იქნება

მამიდაშვილის გაუპატიურებისთვის 12 წელი მიესაჯა

ეს ამბავი 7 წლის წინათ თბილისის ერთ-ერთ უბანში მოხდა. 20 წლის ეკა ს.-ს ოჯახი მალავდა იმ ამბავს, რასაც ოჯახის თავისმოჭრა და თავზე ლაფის დასხმა ჰქვია. აბა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა აზრად ისეთი სამარცხვინო საიდუმლოს განთქმა, რაც მათ ოჯახში დატრიალდა. ეკა ს. საკუთარმა ბიძაშვილმა მისსავე სახლში გააუპატიურა.

სიმართლე მოგვიანებით გაირკვა, როდესაც ოჯახისთვის ეკას ფეხმძიმობის შესახებ გახდა ცნობილი, თუმცა დამნაშავე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დააკავეს. სამართალდამცველებმა იგი რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში აიყვანეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახმა ქალიშვილის გაუპატიურების შესახებ შემთხვევით შეიტყო...

ეკა 13 წლის იყო, როდესაც 17 წლის ბიძაშვილმა მერაბ მ.-მ გააუპატიურა. მას მერე წლები გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გოგონა მერაბის შიშით სიმართლეს ვერ ამხელდა, რადგან ბიძაშვილი მოკვლით ემუქრებოდა. მომხდარის შემდეგ მერაბი საქართველოდან გაიქცა და დიდხანს აფარებდა რუსეთს თავს.

საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული დანაშაული 2002 წლის აგვისტოში მოხდა თბილისის ერთ-ერთ რაიონში. მერაბი მამიდის სახლში თითქმის ერთ წელიწადს ცხოვრობდა.

ნიშანდობლივია, რომ მერაბს მამიდის სახლი მამიდაშვილის გაუპატიურების შემდეგ კარგად ხანს არ დაუტოვებია. იგი მათ ოჯახში იმ დრომდე ცხოვრობდა, სანამ მომხდარის შესახებ ეკას ახლობლებისთვის ცნობილი არ გახდა.

როგორც ეკა ამბობს, მასზე ბიძაშვილმა საკუთარ სახლში ორჯერ იხმარა ძალა, თან დაემუქრა, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა.

ერთი თვის შემდეგ ეკას საოცრად დაეტყო ცვლილებები, რაც მის ფეხმძიმობას ადასტურებდა. შეშფოთებულმა მშობელმა შვილი ექიმთან წაიყვანა. ეჭვი ფეხმძიმობაზე ექიმმაც დაადასტურა.

ამ ამბების შემდეგ მერაბი მამიდის სახლიდან გაიქცა.

სამართალდამცველებმა მერაბი მომხდარიდან მხოლოდ 6 წლის შემდეგ, 2007 წლის თებერვალში, რუსეთის ერთ-ერთ ოლქში დაიკავეს.

სხვათა შორის, ქართული მხარისთვის პატიმრის ექსტრადიციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა. რატომღაც, საქართველოსთვის პატიმრის გადმოცემაზე რუსეთმა უარი განაცხადა.

საქმე ისაა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, 137-ე მუხლი კვალიფიცირდება გაუპატიურებით, ხოლო რუსეთში ეს მუხლი როგორც გაუპატიურების მაკვალიფიცერებელ გარემოებას (არაერთგზისობას), არ ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, მერაბს ამ მუხლის მეორე ნაწილი მოუხსნეს და საბოლოოდ მას 137-ე მუხლის მხოლოდ მე-5 ნაწილი დაუტოვეს (გაუპატიურება).

* * *

ეკამ ბიძაშვილი პირველად 2002 წელს ნახა ბებიის სახლში. ოჯახური კონფლიქტის გამო ეკას ოჯახს მერაბის მამასთან ურთიერთობა არ ჰქონდა.

„მთელი ზაფხული სოფელში ერთად გავატარეთ. ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა როგორც ბიძაშვილ-მამიდაშვილს. მისთვის არაფერი შემიმჩნევია. აგვისტოში თბილისში ჩამოვედით. ჩემთან ერთად მერაბიც წამოვიდა. თითქმის მთელი წელი ჩვენთან ცხოვრობდა. იმ შემთხვევის მერეც, სანამ ჩემები გაიგებდნენ. მე მაშინ მე-8 კლასში ვიყავი“, — აცხადებს ეკა.

ახლა ეკა მომხდარის შესახებ დეტალურად საუბრობს: — **„2002 წლის აგვისტო იყო, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს. სახლში მარტო ვიყავი. შუადღეს მერაბი მოვიდა და საჭმელი შევთავაზე. არაფერი მიპასუხა. მე კვლავ გავუმეორე. მითხრა, მომწონხარო. დავიბენი და გავიკვირვე, — რას მეუბნები-მეთქი... — ვერ გაიგე, რაც გითხარი?!.**

ვუთხარი, სახლიდან წასულიყო, მაგრამ მტკიცედ მიპასუხა, რომ არსადაც არ წავიდოდა. მაშინ მე წავალ-მეთქი და როცა კარებთან მივედი, დაკეტილი დამხვდა.

გასაღები მომეცი-მეთქი და... — არაფერს მოგცემო... — და ჩემთან მოვიდა. ხელები უკან გადამიჭირა.

ჩემს ყვირილზე პირზე ხელი ამაფარა და „ზალაში“ შემათრია. სახეში რამდენჯერმე გამარტყა და ძალის გამოყენებით ჩემთან სქესობრივი კავშირი დაამყარა...

წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ ვერ შევძელი...

მერე თავისი სისხლიანი შორტი მომცა, — ან გარეცხე, ან გადააგდეო.

ამის შემდეგ სახლიდან წავიდა, თან გამაფრთხილა, რაც მოხდა, არავისთვის მეთქვა, თორემ მომკლავდნენ...“

ბიძაშვილმა ეკა მომხდარიდან ერთ კვირაში მეორედ გაუპატიურა.

„იმავე თვეს, რიცხვი არ მახსოვს, ჩემს ძმას ოპერაცია გაუკეთეს. დედაჩემი საავადმყოფოში ედგა თავს. სახლში მე, მამიდაშვილი და მამაჩემი ვიყავით. ნასვამ მამაჩემს ლოჯში ეძინა. მე და ჩემს მამიდაშვილს კი — ორსაწოლიან ლოგინში. შუაღამისას მერაბი შემოვიდა და საწოლზე ჩამოჯდა. როცა გაგდება დავუპირე, — ხმა არ ამოიღო, თორემ ხომ იცი, მამაშენი სახლშია და გაიგებსო...

მან ორივე ხელი შემიკრა და მეორედ მაშინ დაამყარა ჩემთან სქესობრივი კავშირი. ჩუმად ვტიროდი, რომ ჩემს მამიდაშვილს არ გაეგო...

ერთ თვეში უკვე ფეხმძიმედ დავრჩი. ამის შესახებ მხოლოდ მამიდაშვილმა იცოდა. იცოდა მერაბმაც. ბავშვის მოცილების საშუალება არ მქონდა...

7 თვის ფეხმძიმე ვიყავი, როდესაც დედამ და მამიდამ ექიმთან წამიყვანეს, რადგან შეეშინდათ, სხვა რამე ხომ არ მჭირდა.

ექიმმა მამიდას დაუდასტურა ჩემი ფეხმძიმობის ამბავი.

მერე ჩემმა ოჯახმაც გაიგო. ბებიასთან სოფელში წამიყვანეს. თავი მოვიწამლე... საკეისრო გამიკეთეს, მაგრამ ბავშვი დაიღუპა...“

— ასეთია ეკას აღსარება.

ეკას მეორედ გაუპატიურებას მისი მამიდაშვილიც შეესწრო. ეს გვიან ღამით მოხდა. ეკა მამიდაშვილის გვერდით იწვა, ერთ საწოლში.

მომხდარის შესახებ ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს.

„მე და ეკას ერთ საწოლში გვეძინა. გვიან ღამით მერაბი შემოვიდა. მე ჯერ კიდევ ფხიზლად ვიყავი. ეკასთან მივიდა, გააღვიძა და მოფერება დაუწყო. ეკამ უთხრა, — აქედან გადიო.

მან პირზე ხელი ააფარა, ფეხი დაუჭირა. ეკა ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მერაბმა მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. შემდეგ ის ოთახიდან გავიდა. ეკა ტიროდა...“ — ამბობს ეკას მამიდაშვილი.

ოჯახისთვის მომხდარის დამალვა მან იმით ახსნა, რომ ეშინოდა, ეკას თავი არ მოეკლა.

ბოლოს და ბოლოს, სიმართლე გამჟღავნდა. დედის თვალს შვილის ცვლილებები არ გამოჰპარვია. ეკას მადა შეეცვალა, წონაში მოიმატა. დედა შვილის ასეთმა ცვლილებამ შეაშფოთა და ექიმთან წაიყვანა.

„ვატყობდი, ჩემს შვილს მუცელი ეზრდებოდა. მეგონა, რამე სჭირდა და ვნერვიულობდი. ექოსკოპიაზე წავიყვანე, თან მამიდამისი მახლდა. ექიმმა მამიდას უთხრა, რომ ეკა ფეხმძიმედ იყო. ეს ამბავი მერე ჩემს უფროსს ბიჭს გაანდო. მაშინ მერაბიც ჩვენთან ერთად იყო. როდესაც ჩემი შვილის ფეხმძიმობის შესახებ შევიტყვე, კივილი დავიწყე, ფანჯრიდან ვხტებოდი. ამ დროს მერაბი ფეხებში ჩამივარდა, მამშვიდებდა, – ნუ ტირი, მამიდა, გავიგებთ, ვისგან არის ფეხმძიმედო...

ეკას ჩემი რძლისთვის უთქვამს, ვისგანაც იყო ფეხმძიმედ. თავის მოკვლა მინდოდა. მერაბს მივვარდი, რატომ დამლუპე-მეთქი. — არ ვიცი, რა გავაკეთეო...

ის ცოცხალი იმიტომ არის, რომ არ მინდოდა, ჩემი შვილები შარში გახვეულიყვნენ, თანაც, ამ ამბის გახმაურებასაც ვერიდებოდი“, — ამბობს ეკას დედა.

განსხვავებული ვერსია აქვს მერაბის ადვოკატს, რომელიც პროცესზე დაკავებულის დაკითხვას ითხოვდა. იგი თვლიდა, რომ საქმიდან გამოიკვეთა ფაქტი, თითქოს ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით ურთიერთობას და არა გაუპატიურებას.

მერაბმა სასამართლოს ჩვენება არ მისცა.

„მერაბის გადასაწყვეტი იყო, მისცემდა თუ არა სასამართლოს ჩვენებას. ისე, მისთვის უკეთესი იქნებოდა, ჩვენება მიეცა“, — ამბობს ადვოკატი.

საბოლოოდ, მამიდაშვილის გაუპატიურებისთვის ბიძაშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღსანიშნავია, რომ დაკავებისას მერაბმა დანაშაული აღიარა, თუმცა პროცესზე დუმილის უფლება გამოიყენა და სასამართლოს ჩვენება არ მისცა.

ნანა არეშაძე

უვადო პატიმრობა სასტიკი მკვლელობისთვის

„როცა მეხსიერება დამიბრუნდა, ვასოს გვამი ჩემს სახლში აღარ იყო. არ მახსოვს, როგორ დავანაწევრე გვამი; პოლიციას თვითონ ვუთხარი, სად მქონდა დამალული ვასოს თავი და ხელი... ვნანობ ჩადენილ დანაშაულს“...

თითებმოჭრილ მკვლელს, რომელმაც ორი ადამიანი მოკლა და დაანაწევრა, უვადო პატიმრობა მიესაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიამ ასეთი განაჩენი გამოუტანა 42 წლის მიხეილ აზალაძეს 28 წლის ვასილ მეცხვარიშვილის მკვლელობისა და გვამის დანაწევრებისათვის. მკვლელობა 28 მარტს ორხევის დასახლებაში მოხდა. ჩანტლაძის ქუჩის მცხოვრებთ დილის რვა საათზე ეზოში მამაკაცის თავმოკვეთილი და თითებმოჭრილი გვამი იპოვეს. მოკლული ახალგაზრდა ვასილ მეცხვარიშვილი აღმოჩნდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიხეილ აზალაძე პოლიციამ იმავე დღეს დააკავა. მან ჩადენილი დანაშაული მაშინვე აღიარა. ბრალდებულ აზალაძეს ათივე თითი დაზიანებული ჰქონდა, ამასთან, ანალოგიური მკვლელობისთვის იგი ადრეც იყო ნასამართლები.

მოკლული ვასილ მეცხვარიშვილი გორის რაიონში, სოფელ მერეთში ცხოვრობდა. ასევე, გორის რაიონიდან, სოფელ ფლავიდან იყო მიხეილ აზალაძე, თუმცა ბოლო დროს ჩანტლაძის ქ. №10-ში, ძმის ბინაში ცხოვრობდა.

აზალაძემ და მეცხვარიშვილმა ერთმანეთი 1999 წელს საგარეჯოს კოლონიაში გაიცნეს.

მიხეილ აზალაძე პირველად ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს, მეორედ — გაუპატიურებისთვის. შემდეგ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 2004 წლის 9 მარტს, აზალაძე ვინმე გია ბრატულიჩის განზრახ მკვლელობისათვის დააკავეს, რომლის გვამიც მისი ძმის ბინაში იპოვეს. მას საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიამ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა აღნიშნული განაჩენი დაცვის მხარემ გასაჩივრა და 2007 წლის 8 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ აზალაძემ კვლავ გააგრძელა მისთვის ჩვეული საქმიანობა და 2007 წლის 28 მარტს ისევ ძმის ბინაში 28 წლის ახალგაზრდა ჯერ მოკლა, შემდეგ დაანაწევრა და დაწვა.

„მე და ვასოს კარგი ურთიერთობა გვქონდა, ვძმაკაცობდით. ციხიდან რომ გამოვიდა, თვითონ შემომთავაზა, შენს ძმას სთხოვე, საქმეში ჩაგვრთოსო და მას შემდეგ ერთად ვმუშაობდით ნავთლუღის ბაზარში.

იმ პერიოდში ჩემმა ძმამ ფული დაკარგა, ეჭვი ორივემ ჩვენი გარდაცვლილი ძმის შვილზე მივიტანეთ. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში დამაკავეს. მერე კი, როცა ციხიდან გამოვედი, შემთხვევით შევხვდი ვასოს. თავის მოკვლა მინდოდა, მანქანას შევუვარდი და შემთხვევით ვასომ დამინახა.

ამის მერე ერთად წავედით სახლში, დავლიეთ. ვასოს წამოსცდა, შენი ძმის ბინა ორჯერ გავქურდეო. ამაზე გავბრაზდი და ჩვენს ურთიერთობას ხაზი გადავუსვი. თვითონ კი დამემუქრა, ჩვენ კიდევ შევხვდებითო, — განაცხადა პროცესზე აზალაძემ... — 25 მარტს ვასომ თვითონ მომაკითხა სახლში და დამიწყო დაცინვა, — სამხედრო ჟილეტი რომ გაცვია, კაცობას თავი დაანებე და ბოზობა დაიწყეო? ვთხოვე, გაჩუმდი-მეთქი; ლანძღვა დამიწყო, მაგინებდა, თავშიც წამომარტყა და... ამის მერე რა გავაკეთე, აღარ მახსოვს. როცა გონს მოვედი, ვასოს გვამი ჩემს სახლში აღარ იყო. არ მახსოვს, როგორ დავანაწევრე იგი. პოლიციას მე თვითონ ვუთხარი, სად მქონდა დამალული ვასოს თავი და ხელი“...

პროცესზე აზალაძემ მოინანია ჩადენილი დანაშაული, თუმცა ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია განაჩენზე. თბილისის პროკურატურის პროკურორის გიორგი ჩივიაშვილის თქმით, გამოძიების შედეგად მთლიანად იქნა დადასტურებული აზალაძის ბრალი, „ასევე გათვალისწინებულია დანაშაულის ხარისხი და ხასიათი. გამომდინარე აქედან, ვითხოვ, მიხეილ აზალაძეს სასჯელის ზომად განესაზღვროს უვადო პატიმრობა“, — განაცხადა პროცესზე ჩივიაშვილმა.

აზალაძის ადვოკატის ემზარ საბანიძის განცხადებით, პროკურატურამ არ გაითვალისწინა აზალაძის შემამსუბუქებელი გარემოებანი, კერძოდ, „ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ მიხეილ აზალაძის მიმართ აწ გარდაცვლილი ახორციელებდა ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას; ამასთან, დანაშაულის ჩადენამდე ორი დღით ადრე აზალაძემ თავის მოკვლა რომ სცადა; ასევე, აზალაძე რომ აღიარებს დანაშაულს და არ უარყოფს თავის ქმედებას“.

მიუხედავად ადვოკატის მიერ წარმოდგენილი შემამსუბუქებელი გარემოებისა, მიხეილ აზალაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიამ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

მაკა ქობალია

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲐᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲠᲯᲘᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გიორგი გურჯიევს თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს. ქვეცნობიერის გააზრებით, კონცენტრირებული მედიტაციისა და მკაცრი დისციპლინის შედეგად იგი დაეუფლა თავის შინაგან სამყაროს და შეიძინა ახალი ცოდნა ადამიანის სულიერი ძალების შესახებ. ვინ იყო გურჯიევი და რატომ ფიგურირებს მის გვარში სიტყვა „გურჯი“, რომელიც ქართველის სინონიმია?

გიორგი გურჯიევი 1873 წელს ამიერკავკასიაში, ალექსანდრეპოლში დაიბადა. თავისი ბავშვობის შესახებ მან მოგვითხრო წიგნში „შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან“. მამამისი ბარდი იყო. მისმა სიმღერებმა შუმერ გმირ გილგამეშზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პატარა გიორგიზე. როდესაც გაიგო, რომ ამ სიმღერის ტექსტი თიხის ფირფიტების სახით ათასწლეულების განმავლობაში ნინევიაში (ასურეთის დედაქალაქი) ინახებოდა, დაებადა აზრი, რომ უნდა არსებობდეს სხვა საიდუმლო სწავლებანიც. ოკულტიზმის ფენომენის ასახსნელად მან ამ სფეროში ყველაფერი წაიკითხა, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. გურჯიევი ორმოცი წლის ასაკამდე მოგზაურობდა; მოიარა ევროპისა და აზიის მონასტრები, ჩავიდა იერუსალიმში, შემდეგ — ტიბეტში, სადაც კარგა ხანს დალაი-ლამას მეგობარი და მრჩეველი გახლდათ. ერთ-ერთი წმინდა სავანის მონახულებისას გურჯიევმა დაინახა ნახევრად პარალიზებული ახალგაზრდა, რომელიც მიხოხდა წმინდა ადგილამდე და დაიძინა. გაეღვიძა კი სრულიად ჯანმრთელს. ის სასწაულიც ნახა, თუ როგორ განიკურნა მომაკვდავი გოგონა ფილტვების ანთებისგან ასკილის რძიანი ნახარშით...

გურჯიევი რკინიგზაზე ცეცხლფარეშად მუშაობდა. ცოტაოდენი თანხის დაგროვების შემდეგ იგი თავის მეგობარ სარქის პოღოსიანთან ერთად წავიდა ძველი სარმოუნგების ძმობის დარჩენილ წევრთა საძებნელად. ეს ძმობა ბაბილონში ჩვენს ერამდე 2500 წელს შეიქმნა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გურჯიევი მოსკოვში შეხვდა პეტრე უსპენსკის, რომელიც, ასევე, ბევრს მოგზაურობდა ცოდნის შესაძენად. უსპენსკის შეკითხვაზე — **„შესაძლებელია თუ არა იმ ძალების გამოღვიძება, რომლებიც ადამიანის ფარული უნარების ცოდნას გამოავლენენ“, — გურჯიევმა მშვიდად უპასუხა: — „შესაძლებელია“.**

მოგვიანებით ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, ფსიქოლოგიისა და მეცნიერების ცენტრებში, შეიქმნა გურჯიევისა და უსპენსკის საზოგადოებები, რომლებიც ფართო საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა. გურჯიევზე წერდნენ, რომ იგი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სტალინთან ერთად. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, იგი დედით წარჩინებული ქართული გვარის შთამომავალი იყო, მამით კი — ბერძენი.

რატომ იქცევდა ასეთ ყურადღებას გიორგი გურჯიევის პიროვნება?

იგი ამბობდა, რომ ადამიანი მანქანაა და თუ სურს, თავი დააღწიოს ამ მექანიკურობას, კარგად უნდა შეისწავლოს ეს მანქანა. მთელი ცხოვრება ცდილობდა, აემუშავებინა ადამიანის მთვლემარე ძალები, ყველაზე ძლიერი ენერგია. დღეს უკვე უდავოა, რომ მან ეს შეძლო ადამიანში ფარული სულიერი შესაძლებლობების ამოქმედებით.

გურჯიევის მოძღვრების თანახმად, ადამიანები 21 წლამდე ვიზრდებით, ანუ ავტომატური განვითარება ამ ასაკში მთავრდება. თუ ზრდის გაგრძელება გვსურს, არნახული ძალისხმევით „რობოტს“ უნდა მივცეთ მუდმივი განახლების სტიმული. ესაა მისი მოძღვრების საფუძველი. უპირველესად, ადამიანმა უნდა გადალახოს ზებუნებრივი სიზარმაცე, მიდრეკილება მოდუნებისა და გათიშულობისაკენ. მთავარი საიდუმლო კი ის არის, რომ გასაღები ისეთ შრომაში დევს, რომელიც ადამიანს ყველაზე მეტად ეძნელება.

ამ ფენომენის ახსნაში დაგვეხმარება გაზეთ „ნიუ ეიჯის“ ლონდონელი გამომცემელი ორეიჯი. 1914 წელს მან გაყიდა თავისი გაზეთი და ფონტებელოში, გურჯიევის „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტში“ გაემგზავრა. გურჯიევმა მას ნიჩაბი მისცა და დაბარავა დაავალა. ორეიჯი ისე დაიქანცა, საკუთარი თავის სიბრალულით ცრემლები გადმოსცვივდა. ამ ჭაპანწყვეტაში კი მოულოდნელად სიამოვნება იგრძნო. ეს იგივეა, სპორტსმენებს უკიდურესი დაძაბვისას მეორე სუნთქვა რომ ეხსნებათ. ამ დროს ქვეცნობიერი „რობოტი“ ყოველგვარი უსიამოვნების ასატანად მზადაა. ამრიგად, შინაგანის გამოღვიძება ტანჯვითა და ტკივილით ხდება. ამ დროს „რობოტი“ დამატებითი ძალისხმევით არღვევს კედელს, იმარჯვებს დისკომფორტზე და შინაგანი სულიერება მდიდრდება. ასკეტებიც ამ პრინციპით ცხოვრობენ, წმინდანთა ნეტარების არსი კი სწორედ ტანჯვაშია.

გურჯიევის აზრით, ადამიანი იმპულსებისა და ემოციების ნაზავს წარმოადგენს, რომელიც წამიერად იცვლება, ჰიპნოზური მდგომარეობით შეპყრობილი კი ხშირად მოვლენების უმწეო მსხვერპლია. ფაქტობრივად, ადამიანს სძინავს, თუმცა აქვს გამოღვიძების იშვიათი მომენტები — ცნობიერების გამობრწყინებები, მაგრამ მისი ტვინი მალევე თვლემას უბრუნდება, რადგან სავსეა ცხოვრებისეული წვრილმანებით. ნორმალური ცნობიერება არაფრითაა ძილზე უკეთესი. ძილის მსგავსად, ისიც გვაშორებს რეალობას. ადამიანს უნარი აქვს, შეიგრძნოს და შეიცნოს რეალობა, თუ ცნობიერებას გააღვიძებს, არადა, განცდილიდან მხოლოდ ბუნდოვანი მოგონება დარჩება. გურჯიევმა გააკეთა უბრალო, მაგრამ გენიალური აღმოჩენა — არაჩვეულებრივად ძლიერი ძალისხმევა აღვიძებს მთვლემარე ცნობიერებას ყურადღების გამახვილებით და მოულოდნელად ფოკუსში ხვდება ის, რაც გვაინტერესებს. მას უკვე გაღვიძებული ცნობიერებით ისე ვხედავთ, თითქოს მიკროსკოპით ან ჭოგრიტით ვუყურებდეთ. ჩვენში რეალობის შეგრძნებას, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანია, ხშირად აღვიძებს კრიზისის ან ექსტაზის მდგომარეობა, უკეთეს შემთხვევაში — მუსიკა ან პოეზია, აფართოებს რა ჩვენს შინაგან ჰორიზონტებს, მაგრამ ეს ხომ მუდმივი არ არის! ჩვენ გვჭირდება საიმედო მაღვიძარა. როგორ უნდა ავამუშაოთ იგი? პასუხი მარტივია — ვაიძულოთ ჩვენი შინაგანი „რობოტი“, ჩვეულებრივზე მეტი ენერგია გამოიმუშაოს. გურჯიევის მეთოდის საფუძველი „შრომაა“. მის სტუდენტებს გაჰყავდათ გზები, არხები, ჭრიდნენ ხეებს, ამტვრევდნენ ქვებს...

გურჯიევის ამ მეთოდს გამოყენებითი დაოიზმი უწოდეს. ის თავის მოძღვრებაში ხაზს უსვამდა შრომის სწავლების დიდ მნიშვნელობას. გურჯიევს უსპენსკისთვის უთქვამს, რომ ადამიანი, რომელსაც შეუძლია წყვილი ფეხსაცმლის შეკერვა, მისთვის უკეთესი სტუდენტი იქნება, ვიდრე ინტელექტუალი.

პრაქტიკულად, გურჯიევი თავის ინსტიტუტში დაღლილ, ეგოისტ, შეცბუნებულ ადამიანებს კარგად დაბალანსებულ მანქანებად აქცევდა. ისინი მეტისმეტად იყვნენ დატვირთულნი და საკუთარ თავზე ფიქრის საშუალება არ ჰქონდათ. ფიზიკური ქმედება აღვიძებდა მათი ბუნებრივი შესაძლებლობების სამ ცენტრს: ინტელექტუალურს, ემოციურსა და ფიზიოლოგიურს. ადამიანი თუ მაქსიმალური თვითგაცემით იმუშავებს, სამივე ცენტრი ჰარმონიაშია, თუ არა და... მათი დაშორებით ადამიანები ძლიერ გადაღლას გრძნობენ, ამაში დამნაშავედ კი გურჯიევი ცივილიზაციას მიიჩნევდა.

გაუწონასწორებლობისა და არაჰარმონიულობის დროს ადამიანები თავიანთ თავში აღძრავენ უარყოფით ემოციებს. ამას კი მათთვის ისეთივე ზიანი მოაქვს, როგორც ცეცხლს — შენობისთვის. ეს იდეები გურჯიევმა გადმოსცა თავის წიგნში „ყველა ისტორია ბელზებელისა და მისი შვილიშვილისთვის“, რომლის იდეა ნეგატიური მოვლენებისგან გათავისუფლება იყო. მეცნიერები, რომლებიც გურჯიევთან ურთიერთობდნენ ან თანამშრომლობდნენ, ერთხმად აღიარებდნენ, რომ იგი უფრო კარგად საუბრობდა, ვიდრე წერდა.

ფიზიკური მუშაობა მხოლოდ სწავლის დასაწყისი იყო. ნამდვილი ოფლისღვრა ცეკვებთან იყო დაკავშირებული, რაც მან ტიბეტში დერვიშებისგან შეისწავლა. 1924 წელს გურჯიევმა 40 თავისი მოწაფე ნიუ-იორკში წაიყვანა. ამერიკა მოხიბლა საოცარმა, ავტომატურმა, რობოტების მსგავსმა მოძრაობებმა. მოცეკვავეები თითქოს ზომბები იყვნენ. ეს იყო დემონსტრაცია იმისა, თუ რამდენად შეძლო გურჯიევმა, მათში განვითარებინა ფიზიკური კონტროლის, კოორდინაციისა და რელაქსაციის უნარები. ისინი იყინებოდნენ ფრენის პროცესში, ერთხელ კი ორკესტრს გადმოევლენ და პარტერში უკვე დაცარიელებულ სკამებს დაეცნენ. პირველ რიგებში მსხდომმა მაყურებლებმა წამოხტომა მოასწრეს. როცა მოცეკვავეები წამოდგნენ, მაყურებელმა დაინახა, რომ არც ერთი მათგანი არ დაშავებულა.

ამერიკამ გურჯიევის იწამა. იგი აცხადებდა, რომ უმჯობესია, ვაწამოთ ჩვენი სული, ვიდრე მონოტონურ სიმშვიდეში მივატოვოთ. სიბრუკის გადმოცემით, ამ ძალიან რთული ცეკვების დასადგმელად დაძაბული ვარჯიშები იყო საჭირო, ისეთი, როგორიც იოგებს აქვთ. გურჯიევმა ეს ცეკვები დერვიშებისგან და ბუდისტებისგან გადმოიღო.

გურჯიევი ხელოვნებას ორ ნაწილად ყოფდა — სუბიექტურ და ობიექტურ ხელოვნებად. სუბიექტური გონებიდან მოდის; ობიექტური კი მედიტაციური უნარით, დუმილით იქმნება. გურჯიევის ვარჯიშები და ცეკვები არის ცენტრებისთვის ენერგიის უშუალო გადაცემა, რომელიც ადამიანის შინაგანი პროცესების მუდმივი ინტენსივობისა და ცვალებადობის შენარჩუნებას ემსახურება. ცეკვების მიზანია სხეულის, გონებისა და ემოციების ერთიანობის აწმყოში განვითარება, რაც გამოიწვევს ცნობიერების მაღალ მდგომარეობას. ამ დროს ადამიანში იღვიძებს ჩაკეტილი მთვლემარე ცენტრების ძალა, რომელიც მანამდე მისთვის იდუმალი და უცნობი იყო.

გურჯიევის მოძღვრების შესწავლა და შესრულება არის ადამიანში ახალი ენერგიის დაბადება, ძალის პასიურობისა და აქტივობის მომენტების შეგრძნება. თუ გურჯიევის მეთოდს ბოლომდე მიჰყვებით, შინაგანი პროცესების ისეთ სფეროებს შეეხებით, როგორიცაა: განრიდებული ყურადღება, სიმსუბუქე, მყუდროების ძალა, ათვისების უსაზღვრო უნარი და სხვა. ადამიანი სამყაროს ყველაზე სრულყოფილი რობოტია და თუ ვისწავლით მის მართვასა და სრულად დაუფლებას, ეს ყველაზე მეტად დაეხმარება სამყაროს შეცნობაში.

მოამზადა
ᲚᲐᲚᲘ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲓᲦᲔᲡ 72 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲘᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲕᲐᲘ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ

2007 წლის 14 აგვისტო!..
15 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც შევარდნაძისა და იოსელიანის „ვაჟკაცებმა დაიწყეს აფხაზეთის აოხრება. მანამდე ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოახდინეს სამეგრელოს უსასტიკესი ეგზეკუცია. რაც მოხდა მაშინ სამეგრელოში, ყველამ კარგად უწყის.

სამეგრელო რომ მოიბალახეს, აფხაზეთში გადავიდნენ. ბევრი ჭეშმარიტი ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ახალგაზრდა (არა მარტო ახალგაზრდა) შეეწირა იმ სიბინძურეს, რასაც აფხაზეთის ომი შეარქვეს. ზოგის ცხედარი მიიღო ჭირისუფალმა, ზოგისა კი... უფალმა უწყის, გმირები სად განისვენებენ.

თბილისში, გმირთა მოედანზე, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად შეიქმნა შესანიშნავი მემორიალი. პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი გამოდგა. ხელისუფლებამ დაღუპულთა ოჯახები აბუჩად აიგდო.

ის მწირი დახმარებები, რაც ეძლეოდათ, სრულად მოუხსნეს (თვითონ წამდაუწუმ იმატებენ ხელფასებსა და პენსიებს). მიზეზად ბიუჯეტის სიმწირეს ასახელებენ. ყოველივე ამას ისე უტიფრად აკეთებენ, რომ შუბლის ძარღვიც არ უტოკდებათ!

ამას წინათ გამახსენდა დიდი კონსტანტინეს „მთვარის მოტაცება“, გაუბედურებული მამა — ტარიელ შერვაშიძე. რატომ? — ჩვენც ხომ შვილმკვდარი მშობლები ვართ! როგორ წყევლის იგი თარაშ ემხვარს...

მომყავს ამონარიდი აღნიშნული ნაწარმოებიდან (მცირედი დამატებებით):

„დიდხანს ლოცულობდა მიცვალებულის საწოლთან დამხობილი მამა. და როცა სინათლე შემოიჭრა ფანჯრიდან, წამოდგა, მაღლა აღაპყრო ხელნი და ქართლის კათოლიკოსის მიერ დაწყევლილი ვარდან ემხვარის უკანასკნელი

ნაშიერი, რვა საუკუნის შემდეგ ასდამერვე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენა გაბურძგვნილმა, ნახევრად შეშლილმა ხუცესმა ... დაადგინე ცოდვული მასზედა (მათზედა) და ეშმაკი დადევინ-მარჯვენით მისდა (მათდა). იყვნენ დღენი მისნი (მათნი) მცირე, და გასაგებელი მისი (მათი) სხვამან მიიღონ. იყვნენ შვილნი მისი (მათი) ობოლი და ცოლი მისი (მათი) ქვრივ. აღირძნედ და გარდაიცვალედ შვილნი მისნი (მათნი), პურისმთხოველ იქმნედ და გახდედ იგინი სამკვიდრებლისაგან მისისა (მათისა). იყუვნენ ნაშიერნი მისნი (მათნი) მისარეველ ერსა შორის და ნათესავისაგან აღირაცხონ სახელი მისი (მათი), და მოისპონ ქვეყნით სახსენებელი მათი. ...ეყავ მას (მათ) წყევა — ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვას და ვითარცა სარტყმელი, რომელ შეირტყას წელთა მისთა (მათთა). კრულიმცა არს ძილი და ღვიძილი მისი (მათი), საფლავი და სახსენებელი თარაშ ემხვარისა (საქართველოსი და ყველა ქართველის გამაუბედურებლების) და სატანას გაუხსნელითამცა საკვირველითა შეიკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებელით მისითურთ (მათითურთ)“.

უფალო, უმორჩილესად გთხოვ პატიებას ამ მარხვის დღეებში ჩემ მიერ თქმული სიტყვებისათვის, რამეთუ მე, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, ვეღარ გავუძელი ცხოვრების ამ ყოველდღიურ დავიდარაბას. მეც ხომ ორი დაღუპული მებრძოლის მამა ვარ! მეც ხომ სხვასავით გამწარებული სიბერე მერგო.

უფალო, შენ მიაგე ყველას თავისი წილი მისაგებელი ჩვენი ამ დღეში ჩაყრისათვის!

უღრმესი პატივისცემით,
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ
23 აგვისტო, 2007 წელი

P.S. დღეს 72 წელი შემისრულდა. ვაი ამისთანა სიცოცხლეს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 2008 წლის აგვისტოში საქართველოში, განსაკუთრებით, სამაჩაბლოში, განხორციელებული ანტიადამიანური ქმედებების შედეგად დაღუპულთა გამო და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს.

ფონდის თავმჯდომარე ᲐᲜᲖᲝᲠ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ
2008 წელი, ქ. თბილისი

„Malware“ – მავნე პროგრამები

მას შემდეგ, რაც ოპერაციულ სისტემებთან დაკავშირებულ ავ-კარგში მეტ-ნაკლებად გავერკვიეთ და, იმედია, არჩევანიც შევაჩერეთ ერთ-ერთ მათგანზე, შეგვიძლია, პროგრამების ჩაწერა-დაინსტალირების საქმეზე გადავიდეთ. ეს კი, უმჯობესია, ანტივირუსით დავიწყოთ. როგორც მოგეხსენებათ, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ყველაზე აქტუალური საკუთარი სისტემისა და ინფორმაციის დაცვის პრობლემაა.

მცოდნე ადამიანის ხელში კომპიუტერი საკმაოდ მძლავრი იარაღია, მით უფრო, როდესაც საქმე გლობალურ ქსელში ჩართულ კომპიუტერს ეხება. „მავნე“ ფაილების საშუალებით შესაძლებელია სხვის კომპიუტერში შეძრომა და მისი გამოყენება ნებისმიერი მიზნისთვის. სწორედ ამიტომ კომპიუტერული მსოფლიო ყველაზე მეტად თავდაცვაზე ფიქრობს. დაცვის უმარტივესი მეთოდი კომპიუტერის გლობალური და ლოკალური ქსელებიდან გამორთვაა, მაგრამ ვინაიდან ეს ვარიანტი არავისთვისაა ხელსაყრელი, დაცვის მთელი სისტემა ანტივირუსულ პროგრამებზეა დაფუძნებული.

ანტივირუსების შესახებ საუბარი კი, ცხადია, ვირუსებით უნდა დავიწყოთ — პირველ რიგში ხომ სწორედ ის უნდა გავარკვიოთ, ვისთან გვიწევს ბრძოლა და ვისგან ვიცავთ თავს.

მაშ ასე, ვირუსი იმ პროგრამების „მოფერებითი“ სახელია, რომლებსაც ოფიციალურად „Malware“ („Malicious Software“ — მავნე პროგრამა) ჰქვია და რომელთაც, როგორც სახელიდანაც ჩანს, მომხმარებლისთვის რაიმე ზიანის მიყენება შეუძლია. მართალია, ეს ზიანი შესაძლოა, ძალზე სერიოზული იყოს და საიდუმლო ინფორმაციის, კომპიუტერული რესურსების ან, სულაც, ფულის მოპარვას, სხვის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას და უამრავ სხვა სისაძაგლეს მოიცავდეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომპიუტერული ვირუსი ნამდვილად არაა ყოვლისშემძლე ბოროტი ჯადოქარი, რომელსაც ნებისმიერი ბოროტმოქმედების ჩადენა შეუძლია, როგორც ამას ხშირად მიაწერენ ხოლმე.

მაგალითად, ვირუსი წარმატებით ამოატრიალებს თავდაყირა გამოსახულებას თქვენს მონიტორზე, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოატრიალებს თავად მონიტორს. სამაგიეროდ, სრულიად შეესაბამება ჭეშმარიტებას მტკიცებულება, რომ ვირუსი თვითგამრავლებადი პროგრამაა, რომელიც, სხვა უამრავი არავირუსული პროგრამის მსგავსად, საკუთარ თავს აკოპირებს, ოღონდ ვირუსების კლონები ზოგჯერ ნაწილობრივ, ზოგჯერ კი აბსოლუტურად არაფრით ჰგავს საკუთარ „დედანს“. მათვე „ევალება“ შემქმნელებისგან ინფორმაციის არასანქცირებული განადგურება, დაბლოკვა, შეცვლა ან კოპირება, მანქანის ან ქსელის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა. ვირუსებს არ შეუძლია აბსოლუტურ იზოლაციაში არსებობა — დღეისათვის, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ვირუსი, რომელიც არ იყენებს სხვა პროგრამების კოდებს, ინფორმაციას, ფაილურ სტრუქტურებს ან, თუნდაც, სახელს მარტივი მიზეზის გამო — ის ყოველთვის ცდილობს, რაიმე მეთოდით ხელში ჩაიგდოს მართვის სადავეები. **სამაგიეროდ, მათ შეუძლია, ჩვენს დაუკითხავად დააკავშიროს ჩვენი კომპიუტერი სხვასთან და იმ სხვას გადასცეს არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მანქანის მართვის სადავეებიც, დააზიანოს ან სხვისთვის ამუშაოს ჩვენი კომპიუტერის რესურსები. ამგვარი მავნებლობების ნუსხა უსასრულოდ გრძელია. ზოგიერთი წყაროს მტკიცებით, დღეისათვის ორ მილიონზე მეტი სახეობის ვირუსი არსებობს, ყველა მათგანი ჩვენს კომპიუტერში შემოღწევასა და რაიმეს გაფუჭებას ცდილობს.**

ზიანის მოტანის თვალსაზრისით, რამდენიმე კატეგორიის ვირუსი გამოირჩევა. ყველაზე უვნებლები კომპიუტერის მუშაობას არ აფერხებს, მაგრამ ამცირებს ოპერატიული მეხსიერების მოცულობას და იკავებს მყარი დისკების მეხსიერებას, უფრო სახიფათო ვირუსებს კომპიუტერის მუშაობაში სხვადასხვა შეფერხების გამოწვევა შეუძლია, ყველაზე დაუნდობლებს კი პროგრამებისა და მონაცემების სრულად განადგურებაც არ გაუჭირდება.

სიტყვა „ვირუსი“ რიგითი მომხმარებლისთვის ყველანაირ ცუდ მოქმედებასთან ასოცირდება და სავსებით სამართლიანადაც, მაგრამ როდესაც პროფესიონალები იყენებენ აღნიშნულ ტერმინს, გულისხმობენ მავნე პროგრამების მხოლოდ ერთ ნაწილს – მათ, რომლებიც ფუნქციონირებისთვის მომხმარებლის ჩარევას მოითხოვს. დაუდევრობის გამო მომხმარებელი ხშირად ანტივირუსით შემოწმების გარეშე ტოვებს კომპიუტერში მოხვედრილ ინფორმაციას და ხსნის ფაილს. შედეგად, კომპიუტერი უკვე დავირუსებულია. ამგვარი საშიში ფაილები კომპიუტერში შესაძლოა, მოხვდეს ნებისმიერი სახის დისკების, ინტერნეტრესურსების ან ქსელში გავრცელებული ფაილების საშუალებით. ვირუსები საარსებო გარემოს მიხედვით კლასიფიცირდება, შემდეგ კი ცალკეული კლასი ქვეკლასებად იყოფა დავირუსების საშუალებების მიხედვით. დავირუსების ყველაზე გავრცელებული მეთოდი გადამწერი ვირუსებია („overwriting“). ისინი იწერს პროგრამის კოდს, ცვლის მას თავისით და შედეგად, ბუნებრივია, ფაილი აღარ მუშაობს. უფრო მეტიც, ის აღდგენას არ ექვემდებარება. სამაგიეროდ, ვინაიდან დავირუსებული პროგრამა ან ფაილი უკვე გამოუსადეგარია, ვირუსიც უკვე ნაპოვნია. პარაზიტი ვირუსების ტიპი („parasitic“) ცვლის ფაილის შიგთავსს, მაგრამ, ამასთან, უნარჩუნებს მას მუშაობის ფუნქციას, მაგრამ ამუშავებისთანავე მართვის სადავეებს ვირუსის კოდს გადასცემს. ვირუსი-კომპანიონები („companion“) ქმნის ფაილის ორეულს და არ ცვლის მსხვერპლის კოდს, სამაგიეროდ, ცვლის მის გაფართოებას. შემდეგ ქმნის თავის ასლს მსხვერპლი ფაილის სახელითა და გაფართოებით. მომხმარებელს აზრადაც არ მოსდის, რომ ეს ვირუსია და ხსნის ფაილს.

არსებობს არაპროფესიონალების მიერ ასევე ვირუსებად წოდებული სხვა სახის მავნე პროგრამებიც, რომლებიც კიდევ რამდენიმე სახეობად იყოფა. „ჭიაყელა“, იგივე „ვორმი“(„worm“), ვირუსისგან განსხვავებით, მოიცავს „Malware“-ის იმ ნაწილს, რომელსაც დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია. ასეთი ტიპის პროგრამები თავისით ასკანირებს ქსელს და ეძებს მასში ჩართულ დაუცველ მანქანებს. შემდეგ კი მომხმარებლის ყოველგვარი ჩარევის გარეშეც ახერხებს მათში შეძრომას და საჭირო მანიპულაციების ჩატარებას. **„ვორმი“ მავნე პროგრამის კოდია, რომელიც თავის ასლებს ლოკალურ და გლობალურ ქსელში ავრცელებს. ამისათვის ელექტრონულ ფოსტას, მესენჯერებს ან მონაცემთა გაცვლის პროცესებს იყენებს. უმეტესობა ვრცელდება ფაილების სახით, ზოგიერთი კი — ქსელური პაკეტების სახითაც.** შეაღწევს თუ არა კომპიუტერში, ჩასახლდება მის მეხსიერებაში და იწყებს რეზიდენტულ მოღვაწეობას. საფოსტო „ვორმები“ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მრავლდება, ისინი მსხვერპლს უგზავნის წერილს, რომელზეც მიმაგრებული ფაილის სახითაა „ვორმის“ კოდი ან თავად წერილშია ჩადებული დავირუსებული რესურსის მისამართი. **„ვორმს“ შეუძლია, დაასკანეროს დისკებზე შენახული ფაილები და მათ შორის საფოსტო მისამართები ამოიცნოს, დააგზავნოს წერილები საკუთარი კოდით საფოსტო ყუთში შენახულ ყველა მისამართზე, ზოგიერთ „ვორმს“ ისიც კი შეუძლია, შემოსულ წერილებს მომხმარებლის სახელით უპასუხოს.** უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსების შემქმნელები ამ სახეობას მაინცადამაინც დიდად აღარ წყალობენ.

„ტროას“ (ჩვენში „ტროიანებად“ ცნობილი) მავნე პროგრამები ძალიან წააგავს თავიანთ ანტიკურ მოსახელეს – ტროას ცხენს. ტიპური „ტროა“ სრულიად უვნებელ პროგრამად გამოიყურება, თუმცა გაშვებისას ცდილობს, შეუმჩნევლად შეასრულოს თავისი ბოროტი ზრახვები — მოიპაროს, გაანადგუროს ან გადააკეთოს ინფორმაცია, მისცეს საშუალება ვირუსის მფლობელს, უნებართვოდ მართოს დავირუსებული კომპიუტერი და ა. შ. ფაქტობრივად, „ტროა“ არაფრით გამოირჩევა ჩვეულებრივი პროგრამებისაგან და ძალზე ხშირად სწორედ ამით ახერხებს მომხმარებლის მოტყუებას. ის ვირუსისგანაც მხოლოდ ამით განსხვავდება – მთლიანად ეყრდნობა შეცდომაში შეყვანის ტექნოლოგიას და, აქედან გამომდინარე, არ საჭიროებს თვითგავრცელებას (თუმცა მისი ასეთი ნაირსახეობაც არსებობს). „ტროას ცხენს“ ასევე შეუძლია მოხსნას გარკვეული დაცვითი სისტემები და მოამზადოს სისტემა სხვა მავნე ფაილისთვის, ჩამოტვირთოს და გაუშვას მავნე კოდი.

„Spyware “ – ასე ჰქვია კიდევ ერთი სახეობის მავნე პროგრამების კლასს, რომელიც შეიძლება „ტროას“ მიებას ან სავსებით უვნებელ პროგრამასთან ერთად დაინსტალირდეს. ინსტალირების შემდეგ პროგრამა იწყებს რაიმე პროდუქციის რეკლამირებას ყველა საშუალებით, მაგალითად, ფანჯრების გახსნას საკუთარი ინიციატივით, თუმცაღა, ზემოთ განხილულთა ფონზე ეს ნამდვილად არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ასეთი ტიპის პროგრამები თავისი არსითაც უვნებელია; ერთადერთი ზიანი, რომლის მოტანაც მათ შეუძლია, მომხმარებლის გაღიზიანებაა.

„BotNet“-ის ტიპის მავნე კოდი, „ვორმის“ მსგავსად, ასკანირებს ქსელს და იჭრება დაუცველ კომპიუტერებზე, შემდეგ თავისით გაიშვება და მმართველი კომპიუტერიდან მოსული ბრძანებების შესასრულებლად იყენებს კომპიუტერულ რესურსებს. ამ ტიპის მავნე პროგრამები ინფიცირებული კომპიუტერების ერთიანი ქსელის შესაქმნელად გამოიყენება, მსგავსი ქსელის უზარმაზარი რესურსები კი შემდგომ სხვადასხვა საქმიანობისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. უშუალოდ კომპიუტერში არსებული ინფორმაციის მიმართ ასეთი შეტევა უწყინარია.

„KeyLoggers“ მომხმარებლის მიერ კოპიუტერში კლავიატურიდან შეყვანილი ინფორმაციის ჩამწერი პროგრამაა. ძალზე ეფექტიანი საშუალებაა, თუნდაც, მსხვერპლის პაროლების მოსაპარავად. ინსტალაციის შემდეგ ასეთი ტიპის პროგრამები დამოუკიდებლად ირთვება, იწერს ყველანაირ აქტივობას, იღებს „Desktop“-ის სურათებს და ამ ყველაფერს გარკვეული ინტერვალით შემქმნელთან აგზავნის.

ყველაზე საშიში ტიპის ვირუსი ეგრეთ წოდებული „Rootkit“-ია. ის გაშვების შემდეგ ოპერაციულ სისტემას მოდიფიცირებას უკეთებს, რითაც ახერხებს, სრულად დაიმალოს მომხმარებლისა და ანტივირუსისაგან.

მაია სვიანაძე

შემნახველი ბანკი და „ГАЗ“ „ოპელს“ მხსნელებად მოევლინენ

რუსეთის ფედერაციის შემნახველი ბანკი კანადა-ავსტრიულ კომპანია „Magna International“-თან ერთად კონცერნ „General Motors“-ისაგან „Opel“-ს ყიდულობენ.

გერმან გრეფი დარწმუნებულია, რომ ეს შენაძენი რუსული ეკონომიკისათვის აუცილებელია. გერმანიაში რუს ინვესტორებს გაფაციცებით შეჰყურებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში შემნახველი ბანკი და „ГАЗ“ მხსნელების როლში აღმოჩნდნენ — ოპელის შესყიდვას ხომ არცერთი გერმანული კომპანია არ განიხილავს სერიოზულ საკითხად. უფრო მეტიც, კომპანიის ბანკროტად გამოცხადების შემთხვევაშიც კი „Daimler“-ისა და „ BMW“-ს კონცერნები უარს აცხადებენ მისი ოთხი ქარხნიდან ერთ-ერთის შეძენაზეც კი. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აღფრთოვანებულია, რომ „ოპელს“ პერსპექტივა გაუჩნდა. კომპანიის ახლანდელი სავალალო მდგომარეობა ამერიკაში მის მენეჯერებს დაბრალდათ. ოპელი ამ დრომდე ამერიკულ კორპორაცია „ჯენერალ მოტორსს“ ეკუთვნის, ვინაიდან ამ უკანასკნელის გაბანკროტებას წინ ვეღარაფერი აღუდგა, გერმანიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, „ოპელი“ მაინც გადაერჩინა. ამჟამად მხსნელების როლში ფიგურირებენ კანადა-ავსტრიული კომპანია „მაგნა“ — ავტოკომპონენტების უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში, თუმცა მისი წილი 20%-ია და რუსული შემნახველი ბანკის 35%-ს საგრძნობლად ჩამოუვარდება. საავტომობილო სფეროს წამყვანი ექსპერტი ფერდინარდ დუდენჰოფერი თვლის, რომ ამ ეტაპზე არსებული ვარიანტებიდან ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. „ჯგუფი „ГАЗ“ და შემნახველი ბანკი „Opel“-ისა და მისი მომავლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან რუსული ავტობაზარი ევროპაში უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებს, ხოლო „ოპელი“ ამგვარი გარიგების შემდეგ აღნიშნული ბაზრის 10%-ს იოლად ჩაიგდებს ხელში. საერთო ჯამში, რუსეთი „ოპელს“ კარგ შანსს აძლევს სამომავლოდ — ახალ პერსპექტივებს სთავაზობს“, — განაცხადა დუდენჰოფერმა. აღნიშნულ ფაქტს გერმანიაში „ოპელის“ შთანთქმის მცდელობად არ განიხილავენ, გაკოტრების შემდეგ ხომ ერთადერთი ამოცანა მისი გადარჩენა გახლდათ. უახლოეს მომავალში ბანკები „ოპელს“ კრედიტის სახით მილიარდნახევარ ევროს გამოუყოფენ, ამ კრედიტს გარანტიად გერმანიის ხელისუფლება დაუდგება, თუმცა გარანტორები დარწმუნებულნი არიან, რომ „ოპელს“ მათი დახმარება არ დასჭირდება და ინვესტორები მთელ ვალს დაფარავენ.

გალში რუსები სასტუმროს აშენებენ

„РИА Новости“-ს ინფორმაციით, რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბესლან არშბას თქმით, რუსი ინვესტორი გალის რაიონში 100-ნომრიანი სასტუმროს აღდგენისათვის გაიღებს სახსრებს.

„ამჟამად გალში მხოლოდ კერძო სასტუმროში შეიძლება გაჩერება. კომფორტული სასტუმროს მოთხოვნილება კარგა ხანია გაჩნდა, ბოლო პერიოდში ჩვენთან სტუმრად ხშირად ჩამოდიან რუსი ექიმები, პედაგოგ-მეთოდისტები და სხვანი“, — განაცხადა არშბამ. რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იმედოვნებს, რომ რუს ინვესტორს ობიექტის აღდგენის დასაფინანსებლად ფინანსური კრიზისი ხელს არ შეუშლის. გასულ კვირას ხელისუფლებამ ნახევრადდანგრეული შენობის პრივატიზაციაზე თანხმობა განაცხადა და ამ ფაქტთან დაკავშირებით დე-ფაქტო პრემიერ მინისტრმა ალექსანდრე ანკბარმა ჩამოთვალა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კიდევ რამდენიმე ობიექტი, რომელიც, ასევე, ექვემდებარება პრივატიზაციას.

თუთაშხიას ნაცვლად შენში ზოგი ზარანდიას ხედავს!..

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. შესავალი სიტყვით აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი გამოვიდა. ქებათა ქება იმდენად დაუმთავრებელი აღმოჩნდა, რომ წამყვანმა გოგონამ ბატონ ავლიპს წელზე ხელი მოხვია და აკადემიკოსი ფერებ-ფერებით კულისებში გაიყვანა, რასაც დარბაზიდან მქუხარე ტაში მოჰყვა. საღამოს, წესისამებრ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

ვინ როდის დატოვებს ამ წუთისოფელს, ღვთის გარდა არავინ უწყის. ამიტომ გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობისას ერმა თუ ბერმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს. აკაკი ბაქრაძე ამბობდა: **„საინტერესო ისაა, ვინ ხატავს და არა ის, რას ხატავს“.** ბედნიერება სწორედ ისაა, ვისთან გაქვს საქმე, ვის გარემოცვაში ხარ, ვინ წერს წიგნს, ვინ გიყვება ამბავს... ჰოდა, ფილარმონიის სცენაზე დგას ვაჟკაცობის სიმბოლო, ახოვანი, ლამაზი კაცი, ცოცხალი კლასიკოსი, ბატონი ჭაბუა და გვიამბობს:

„ციმბირში გადასახლებაში ყოფნისას ერთი ქართველი გავიცანი, რომელიც ჩემზე ადრე იყო გადასახლებული. ერთი წყება ცოლ-შვილი საქართველოში ჰყავდა, ხოლო მეორედ ციმბირში რუსის ქალზე იქორწინა. მასთან ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთხელ საქართველოდან უფროსმა ვაჟმა ჩამოაკითხა და ძმებმაც გაიცნეს ერთმანეთი.

გაზაფხულის ბოლო თვე ილეოდა, ვესტუმრე ჩემს მეგობარს, მასთან სტუმრად ხშირად დავდიოდი. ეზოში რომ შევედი, ძმები დავინახე. მათ საქმიანობას ყურადღება მივაქციე. უფროსი ეზოში დაბმულ დათვის ბელს ეფერებოდა, ხოლო უმცროსი კიბით სხვენში ასულიყო და მერცხლის ბუდეს არბევდა, ბარტყებს თავებს აცლიდა და დაბლა ყრიდა. ერთ ეზოში ორი ძმა ერთიმეორის საწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიოდა. მე, რა თქმა უნდა, ჩემი სათქმელი ბავშვებს ვუთხარი.

სუფრასთან რომ დავსხედით, რამდენიმე ჭიქის მერე ნანახის გამო ჩემი გულისტკივილი გავუმხილე მეგობარს: ორივე შენი შვილია, ორივე ქართველია, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა — ერთი მერცხლის ბუდეს არბევს, მეორე კი ბელს ეფერება. რაშია საქმე?..

ჩემს მეგობარს გაეღიმა და ძალზე მოკლედ მიპასუხა: — ერთი „პავლიკა მოროზოვზეა“ გაზრდილი, მეორე კი — „შვლის ნუკრის ნაამბობზეო“.

ცეკას პირველი მდივანი და პასუხისმგებელი მუშაკები უხერხულად რომ აწრიალდნენ სავარძლებში, ამის ცოცხალი მოწმე მე ვარ.

მართალი სიტყვა ჭაბუა ამირეჯიბის აუცილებელი მოთხოვნილება რომ იყო, იმიტომ გაატარა ნახევარი ცხოვრება ციმბირში, გაქცევა-გამოქცევისათვის „სროკი“ „სროკს“ ემატებოდა და ბოლოს საქართველოს მოევლინა „დათა თუთაშხიასთან“ ერთად. როგორც წარმოუდგენელია შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე, ასევე წარმოუდგენელია ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიას“ გარეშე.

საკმარისია, წაიკითხო მურმან ლებანიძის ლექსი „წარწერა წიგნზე „დათა თუთაშხია“:

„რომანზედ დამთენებია,
ფანჯრებში რიბირაბოა;
რა ზვრები, რა მტევნებია,
ამირეჯიბო ჭაბუა!
ლენცოფა აგიცელია,
მორჩი კეთილი გიცვნია;
რა წიგნი დაგიწერია,
რა სიკვდილები გიგრძვნია!
გამხმარო, გაძვალებულო,
მეკობრევ, ბერად შემდგარო,
სიცოცხლეგამწარებულო,
სიკვდილისაგან ვერმკვდარო!
თეთრ ცხენზედ ამხედრებულო
მწუხარე სახის რაინდო,
სოფლისგან გამეტებულო,
შენთან ბევრი მაქვს საერთო!
მიყვარხარ — ცერად გავლილი,
მიყვარხარ — ვეფხად მხტომარე,
მიყვარხარ — ეხლა დაღლილი,
სენაკში — სანთლით მჯდომარე!..“

როგორც გაირკვა, დათა თუთაშხია არ მომკვდარა. ასეთ კაცს რა მოკლავდა! გვარი გამოუცვლია და ჭაბუა ამირეჯიბად გადაქცეულა. აგერ, თავის ძმაკაცს ნოდარ დუმბაძეს და ჟურნალ „ნიანგს“ ულოცავს საიუბილეო წელს; ამავე დროს, აინტერესებს: **„ვინ, რისგან და რა ხერხებით აპირებს ქართველი ერის გადარჩენას? კარგა ხანია, შავი ფიცი დავდე: არ მოვკვდები, სანამ არ გავიგებ ქართველ ერს ასე უსაშველო გადასარჩენი რა ჭირს, ვინ უნდა აღასრულოს ეს ისტორიული ფუნქცია და, რაც მთავარია, რა საშუალებებითა და ხერხებით აპირებს ყოველივე ამას ის დალოცვილი?! დავრწმუნდი, არაფერი გამომივა, სიკვდილი უფრო ადრე მეწვევა, ვინაიდან ხმა დადის, იმ ხალხს, ოპოზიციას რომ უწოდებს თავის თავს, ჩემზე უშავესი ფიცი დაუდვია, — დავიხოცოთ და კრინტი არ დავძრათ ამაზე, ვიქადაგოთ, ხმა მოგვეცით, გადაგარჩენთ, მაგრამ რისგან და, მით უმეტეს, რა გზებით, საიდუმლოებაა, ნურაფერს შეგვეკითხებითო!“**

ჭაბუა ამირეჯიბის რედკოლეგიის წევრობა დიდი პატივია ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციისათვის:

„როგორც ბევრმა აღნიშნა, —
მოვალე ხარ, გვიწერო
და „ნიანგი“ აგვივსო,
რედკოლეგიის წევრო“.

ქება-დიდება არ აკლია ბატონ ჭაბუას, მაგრამ მისივე მეგობრის, აწ გარდაცვლილი ბრწყინვალე ნიანგელის და პოეტის ზაურ ბოლქვაძის სალაღობოთი მინდა დავამთავრო ეს წერილი:

„ამა სალაღობო ლექსით
სიმართლის თქმას გაგიბედავ,
თუთაშხიას ნაცვლად შენში
ზოგი ზარანდიას ხედავს!..
ოც წელს იყავ პატიმარი,
ხუთ წელს დაჰყავ აბრაგებთან!..
სანამ საქართველო არის,
შენი გვარი არ ჩაქრება!
უდიდესი სიხარულით
მოგილოცავ დაბადებას!
ქაოსი რომ განქარდება,
გეტყვი უფრო მაგარ ქებას!“

ქაოსი გრძელდება. სამწუხაროდ, ამ სალაღობო ლექსის ავტორი ვერ მოესწრო ქაოსის დამთავრებას.

ძვირფასო მკითხველო! ამიტომ არც მე მინდა, დავამთავრო ეს წერილი. ბატონ ჭაბუას — ლომკაცს, პატრიოტს, ქართველი ერის სიყვარულში გაკაჟებულს — სულითა და გულით მინდა, ვთხოვო: როგორც არასდროს გაგიტეხავს ფიცი, ახლაც არ გატეხო! იცოცხლე მანამ, სანამ საქართველო არ გამთლიანდება და არ გახდება ძლიერი ქვეყანა.

ჟანი სიხარულიძე

მე შაირი არ მინდოდა...

ვაჰ, საქართველოვ, ოდითგან
დიდსულოვნებით ქებულო!
ვაჰ, საქართველოვ, დედა და
რკინიგზააფეთქებულო!

ახლა ყველაფერს გავუძლებთ,
ხომ მოვატანეთ აქამდი...
აკაკი ასათიანი
ნოღაიდელთან გადადის!

სხვა საქციელი კაკოსგან
მოსალოდნელი არც იყო...
ვინმემ მითხარით, სად გაქრა
მაღლაფერიძე ვასიკო?

თუ გიყვარს, რას არ იკისრებ
კაცი ფეხბურთის გულისთვის —
მიშიკო ლიგის ფინალზე
ჩავიდა როგორც ტურისტი!

კაციშვილს არ შეხვედრია,
ისე დაბრუნდა უკანო...
როდემდე უნდა ვითმინოთ,
ნეტავ, ასეთი უგვანო?

ზამთარში ვჭამეთ „ტუშონკა“,
აწი გვაჭმევენ ბალახებს...
თბილისში მელორ ვაჩნაძე
უკვე მესამედ გალახეს!

ალბათ, ძალიან ძნელია,
ნერვები თუ გაქვს აშლილი,
სახელად გქვია გია და
გვარად ხარ მაისაშვილი.

უკვე ორი თვე შესრულდა,
ქუჩაში მიდის აქცია,
9 ივნისს კიდევ ვიხილავთ,
ვინ რა ქალი და კაცია.

ჩვენი სიბრმავე-სიყრუე
მიშამ მრავალჯერ გვანანა —
საკნების ალაგებაზე
წუხს ნაჭყებია მანანა.

მაგრამ უკეთესს გვპირდება
დავით მაღრაძე — პოეტი:
დაიდგმებაო ზაფხულის
საკანი-კაბრიოლეტი!

ძალიან კონსტრუქციულად
შეშფოთებულან ახლები:
გადაივსოო თბილისის
უმწეო ბავშვთა სახლები.

მიშა კი მაინც ამაყობს
თავისი ლაღი ბავშვობით...
რატომ არ გიყვარს სამშობლო?
ნეტა, რისგან ხარ ნაშობი?

ბაიკანურზე ზეცაში
ისევ უშვებენ რაკეტებს,
ისევ ნაკელის სუნი აქვს
მარიამ-ჩაის პაკეტებს.

პარლამენტს აღარ აღებენ,
ჟანგი ჭამს კარის საკეტებს...
კახა კუკავას მამა კი
ზის და ტაბურეტს აკეთებს!

გეგა ბაიტიანი

საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა, რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი, რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე (897 99 20 62), ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე, რეკლამის მენეჯერი მაია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.; 38-41-97, e-mail: info@geworld.net